თენგიზ ჩოგოვაძე

ჟორჟიკი

ესაჩქეთა ულუდუ

ფრანგულიდან თარგმნა
ციცინო მესტიაშვილმა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1968

И. (Фр)....
84 — 31
-8 854

სამყარო, რომელსაც ცნობილი ფრანგი მწერალი ფრანსუა მორიაკი თავის შესანიშნავ რომანში აღწერს, ჭეშმარიტად შემზარავი და თავზარდამცემია. ასპიტთა ბუდე — ეს არის ბურჟუაზიული ოჯახი, სადაც მამა, შვილები და შვილიშვილები — ყველანი მზად არიან ერთმანეთი მოწამლონ და დაღუპონ ფულის გამო.

7 — 3 — 4
217 — 68 ადგ.

ეს თავის მოყვასთა მცველი, ვისი სულიც სიბოლოვლითა და სიხარბით არის გამსჭვალული, სულმდაბალი არაფაა! მაინც ბინდა, თქვენს გულში მისდამი სიმრავლეულის ნაპერწკალი გავაღვივო, თანაგრძნობა განვიწვიო. მთელი მისი ცუავღამო ცხოვრების მანძილზე უმადრეკი ვნემანი ეჩრდილავდენ სინათლეს, რაც ზოგჯერ ისე ახლოს კამკამშედა, რომ მცხენვარე სხივებს შეეძლო დაეშვა იგი. დიახ, ვნემანი... მაგრამ, ეპარველეს ყოლისა, ადამიანები, არცთუ ესოდენ გულმოწყალე ქრისტიანები, ითვალთვალეშდენენ და ადგენდენენ მას, მოლოს ვი თვითონვე გახდენენ მისი მსხვერპლი. ჩვენ მორის ხომ შეკრია საბიზღარი ცოდვილის მკაცრი მსაჯული—სწორედ ისინი ჩამოაცილებენ ჭეშმარიტებას, რაც მათ მრმოში ეღეარასოდეს აღმოჩრწყინდება.

არა, ფული არ გასლდათ ამ ბუნების ვერპი, არც შერისძიებას გაუმეაგეთია იგი. თქვენ გაიგეთ მისი სიყვარულის ნამდვილ საგანი, თუ გეყოფათ მოთმინება და გამშედაობა მოისპინოთ ამ ადამიანის უკანასკნელი აღსარება, ვიდრე მის მაგეს სიკვდილი დაეუფლებოდეს.

პირველი ნაწილი

თავი პირველი

გაგიკვირდება, როდესაც ჩემს სეიფში დადებულ ამ წერილს ფასიანი ქაღალდების გროვაზე აღმოაჩენ. იქნებ უკეთესი ყოფილიყო, იგი ნოტარიუსისათვის მიმენდო, რათა ჩემი სიკვდილის შემდეგ შენთვის გადმოეცა; ანდა, საწერი მაგიდის უჯრაში ჩამედო. მაგრამ ჩემი გვამი ჯერ გაციებულიც არ იქნება, რომ მემკვიდრეები შეამტვრევენ საწერ მაგიდას. მე ხომ მრავალი წლის განმავლობაში ვფიქრობდი, ეს წერილი დამეწერა თუ არა. უამრავი უძილო ღამე გამიტარებია ფიქრში, როგორ დაგხვდებოდათ მთლად გამოცარიელებულ სეიფის თაროზე შურისძიების ეს საბუთი, რასაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გიმზადებდით. დამშვიდდი (თუმცა, ისედაც მშვიდად ხარ), —პროცენტიანი ქაღალდები არ არის დაკარგული! თითქოს მესმის შენი შეძახილები. ბანკიდან დაბრუნდები თუ არა, სამგლოვიარო შავი მანდილი არც კი გეჭნება მოხსნილი, რომ შვილებს გასძახებ: „პროცენტიანი ქაღალდები აქ არის!“

ეს ქაღალდები კინაღამ გაქრა სეიფიდან. საამისოდ დავაპირე კიდეც სათანადო ზომების მიღება. რომ მომეწადინებინა, სახლისა და მიწის გარდა, ყველაფერს წაგართმევდით. თქვენს იღბალზე, სიძულვილი ჩავიხშე. დიდხანს კი მეგონა. რომ ყველაზე ძლიერი განცდა ჩემში—სიძულვილი იყო. მაგრამ აი, უკვე აღარ ვგრძნობ ამას, — ყოველ შემთხვევაში, დღეს არ განვიცდი ასეთ რაიმეს.

მოვხუცდი, დავჩაჩანაკდი და მიჭირს დავიჯერო—ნუთუ ოდესმე ვიყავი გიჟი, ავადმყოფი, სიძულვილით შეპყრობილი? ნუთუ მთელი ღამეების განმავლობაში შურისძიებაზე კი არ ვფიქრობდი (ეს ნელა მოქმედი ყუმბარა ისეთი დიდი გულმოდგინებით იყო გაკეთებული, რომ ძალიან მეამაყებოდა), არამედ იმ საშუალებაზე, რომ ამით დავმტკბარიყავი. როგორ მსურდა იქამდე მეცოცხლა, რომ მეხილა თქვენი დაგრძელებული სახეები, როცა ბანკიდან დაბრუნებული დაცარიელებულ სეიფს გახსნიდი. ამიტომ ისე უნდა მოვახერხო, რომ სეიფის გახსნის მინდობილობა, არც ძლიერ ადრე და არცთუ მოგვიანებით გადმოგცენ, რათა მქონდეს ბედნიერება უკანასკნელად გავიხარო თქვენს სასოწარკვეთილ შეძახილზე: „ფასიანი ქაღალდები სადღაა?“ ვგონებ, სასტიკი აგონიაც კი ვერ წამიხდენდა ესოდენ უდიდეს სიამოვნების განცდას. დიახ, მე მაქვს ამგვარი მუხანათობის უნარი. მე ხომ არ ვიყავი მტარვალი. მაშ როგორ მიმიყვანეს აქამდე?..

უკვე დღის ოთხი საათია. საუზმის ნარჩენებიანი სინი ისევ დგას საწოლ ოთახში ბაგიდაზე. ჭუჭყიან თეფშებზე ბუზები დაცოცავენ. ამაოდ ვრეკავ ზარს. სოფელ ადგილას ზარი ყოველთვის მოშლილია ხოლმე. მოთმინებით ველი ვინმეს შემოს-

ელას. ბავშვობიდანვე ამ ოთახში მეძინა და, უდაოა, აქვე ძოვ-კვდები. მაშინათვე ჩემი საყვარელი ქალიშვილი ევნევიევა ამ ოთახს თავის ბავშვებისთვის მოითხოვს. ის ხომ ყველა ოთახ-ზე დიდი და საუკეთესოა. გოხოვთ, სამართლიანი იყოთ და გაიხსენოთ, გეთაყვა, რომ ჩემს ევნევიევას მე თვითონ ვთავა-ზობდი ამ ოთახს, ექიმი ლაკაზი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. მან მირჩია, ვშიშობ პირველი სართულის სინესტე ცუდ გავ-ლენას იქონიებს თქვენს ბრონქებზეო. კიდევ კარგი, ხელი შე-მიშალეს, თორემ, მართლაც გადავსახლდებოდი ქვედა სარ-თულზე და გულში სულ ხინჯად მექნებოდა. (ჩემი ცხოვრების მანძილზე ხშირად გამიღია ამგვარი მსხვერპლი, რაც არსებო-ბას მიწამლავდა. დროთა განმავლობაში მსხვერპლთა გაღებით გამოწვეული ცუდი შეგრძნება კი არ ქრებოდა, არამედ უფ-რო მიმტკიცდებოდა).

უსიამოვნება და გულღვარძლიანობა ჩვენი მოდგმის დამა-ხასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. ხშირად მსმენია დედა-ჩემისაგან, მამაშენი უმძრახად იყო თავის მშობლებთანო. თვითონ ისინი კი ისე დახოცილან, რომ არ უნახავთ თავისი ქალიშვილი, რომელიც ოცდაათი წლის წინ სახლიდან დაით-ხოვეს. (მისგან შეიქნა მარსელელი მამიდაშვილების შტო. რომელთაც არ ვიცნობთ). უმცროსმა თაობამ არ იცოდა ამ განხეთქილების მიზეზი, მაგრამ ის სიძულვილი, რითაც ჩვენი უფროსები იყვნენ გაჟღენთილნი, ჩვენც გადმოგვედო. დღეს-აც ჩემს მარსელელ მამიდაშვილებს ზურგს შევუქცევდი თუ სადმე შევეყრებოდი. შეიძლება შორეულ ნათესავებს პირი მოარიდო, მაგრამ სად გაექცევი კანონიერ ცოლსა და შვილ-ებს? რა თქმა უნდა, ჩვენში მეგობრული და ტკბილი ოჯახე-ბიც არსებობს, მაგრამ თუ დაფიქრდები რამდენია იმგვარი

ოჯახი, როცა ცოლ-ქმარს ერთმანეთი სძულს, თუმცა ერთ მაგიდაზე ჭამენ, ერთი პირისაბნიდან იბანენ პირს, ერთი საბნის ქვეშ სძინავთ — პირდაპირ საკვირველია, რომ შედარებით კიდევ ნაკლებია განქორწინებები! ერთმანეთი სძულთ და დაცილება კი ვერ გადაუწყვეტიათ. ისევ ერთ ჭერქვეშ განაგრძობენ ცხოვრებას.

რატომ შემიპყრო სწორედ ჩემი დაბადების დღეს წერის ასეთმა დაუდგრომელმა წყურვილმა? სამოცდა მერვე წელში გადავდექი, მაგრამ ეს მხოლოდ მე მახსოვს. ჟენევიევას, გუბერისა და მათი ბავშვების დაბადების დღე ყოველთვის ახსოვთ, ტკბილ ღვეზელს აცხობენ, შიგ არჭობენ სანთლებს, ყვავილებს მიართმევენ.. კარგა ხანია შენი დაბადების დღეს არაფერი მიჩუქებია. ეს შურისძიება იყო და არა დავიწყების მიზეზი.. კმარა!.. ჩემს დაბადების დღეზე უკანასკნელად მხოლოდ საბრალო დედაჩემმა მომართვა ნიკრისის ქარისაგან დამახინჯებული თითებით მოკრეფილი თაიგული; მიუხედავად გულით ავადმყოფობისა და ყველა სხვა უბედურობისა, რაც მას სჭირდა, რის ვაი-ვაგლახით მიხანხალებულა ვარდის ბუჩქების ხეივნამდე.

ჰო, რას ვამბობდი? გაკვირვებული ხარ, რამ შეგყარა ასე უცაბედად წერის სიშმაგეო? დიახ, სწორედ წერის სიშმაგე. შეგიძლია ჩემი ხელნაწერის მიხედვით განსაჯო: ასოები ისე არიან ერთი მიმართულებით გადაღრეცილები, როგორც დასავლეთიდან ამოვარდნილი ქარიშხალი ნაძვის ხეებს გადააქცევს ხოლმე. მისმინე: წერილის დასაწყისში ჩანაფიქრი შურისგების შესახებ გიამბობდი, რომელსაც ახლა უარვყოფ. სამაგიეროდ შენში არსებობს ისეთი რამ, რასაც აღტაცებაში

მოვყავარ — ეს შენი სიჩუმეა. ცუდად ნუ ჩამომართმევ. შესანიშნავად ვიცი, რა ენაჭარტალაც ბრძანდები — მზადა ხარ საათობით ეკამათო კაზოს ბოსტანსა და შინაურ ფრინველებზე. ბავშვებთან, პაწიებთანაც კი შეგიძლია იქაქანო და იმხიარულო მთელი დღე. მაგრამ ჩემთან! ოჰ, რომ მაგონდება სევდისმომგვრელი მდუმარებით აღსავსე ის ოჯახური პურისჭამა! მაგიდიდან ისევ დაღლილ-დაქანცული ვდგებოდი, გამოთაყვანებული, გული ბოღმით სავსე მქონდა, თქმით კი ვის რას ვეტყოდი... ჩემი მდგომარეობა სახლში განსაკუთრებით ვილნავას საქმის გარჩევის შემდეგ გახდა აუტანელი, როდესაც სახელი გამეთქვა, როგორც ვექილ — კრიმინალისტს. ასე მიხსენიებენ გაზეთებში. რამდენადაც მინდოდა თავი განმედიდებინა, იმდენად ცდილობდი ჩემი არარაობა დაგენახვებინა... თუმცა ამაში არ არის საქმე — მე სულ სხვა რამ მამოქმედებს, სამაგიეროს რომ გიხდი — შენი ჯიუტი დუმილი, როდესაც საქმე ჩვენს ოჯახურ მდგომარეობას, ჩვენს უღრმეს განხეთქილებას ეხებოდა. ხშირად, თეატრში პიესის მსვლელობის დროს, ან წიგნის კითხვისას ჩავკითხივარ ჩემს თავს: განა არ არსებობს ისეთი ცოლ-ქმარი, ან შეყვარებულები, რომლებიც ერთმანეთს „სცენებს“ უწყობენ, შემდეგ გულწრფელად აღიარებენ ყველაფერს და მათ გულებსაც შვება ეძლევა-მეთქი?

ორმოც წელზე მეტხანს ვიცხოვრეთ ერთმანეთის გვერდით და მთელი ამ ხნის მანძილზე მუდამ ახერხებდი სიტყვა ბანზე შეგეგდო, თუ იგი რაიმე საგანის სიღრმეს ეხებოდა. ყოველთვის იძვრენდი თავს.

დიდხანს მეგონა, ეს შენს მიერ შემუშავებული სისტემა იყო, მაგრამ რისთვის გჭირდებოდა, ვერაგზით ვერ გამეგო.

ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე კიდეც ამოცანის გასაღები. თურმე სულაც არ გაინტერესებდა ჩემი ცხოვრება, ეს იყო და ეს. არავითარ მზრუნველობას არ იჩენდი ჩემდამი. თურმე ჩემთან მოწყენილობას გაურბოდი და არა შიშს. იმდენად დახვეწილი ალღოს პატრონი ხარ, როდესაც კი შენთან სიახლოვეს მოვისურვებდი, მაშინვე რაიმეს მოიმიზეზებდი, ან ლოყაზე ხელს მომითათუნებდი, საჩქაროდ მაკოცებდი და გაიქცეოდი.

რა თქმა უნდა, შეიძლება იმის შიში მქონდეს, რომ პირველი სტრიქონების წაკითხვისთანავე დახევ ამ წერილს. მაგრამ არა, ამას არ გააკეთებ—უკვე რამდენიმე თვეა შენში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა: გაკვირვებული და დაინტერესებული ხარ ჩემით. თუმცა ნაკლებად მაქცევ ყურადღებას, გულგრილი ხარ, მაგრამ მაინც აუცილებლად შემნიშნავდი, რაოდენ მკვეთრად შემეცვალა ხასიათი. დარწმუნებული ვარ, ამჯერად ახსნა-განმარტებას ვეღარსად გაექცევი. მე კი მსურს, და ბოლოს შენც, შენმა ვაჟიშვილმაც, ქალიშვილმაც, სიძემაც და შვილიშვილებმაც გაიგონ, რა ადამიანი იყო ის, ვინც თქვენი მყუდრო წრიდან შორს ცხოვრობდა, განმარტოებით. რას წარმოადგენდა ის გაწამებული, დატანჯული ვექილი, ვისაც მხოლოდ იმიტომ უვლიდნენ, რომ ხელში ფულებით სავსე ქისა ეპყრა. კაცი, რომელიც სადღაც სხვა პლანეტაზე იტანჯებოდა. რომელ პლანეტაზე? შენ არასოდეს ფიქრადაც არ მოგსვლია მისი ხილვა. დამშვიდდი, წინასწარ არ ვაპირებ ჩემს სამარესთან გამოსამშვიდობებელი ქება-დიდების შეთხზვას. არც თქვენი საწინააღმდეგო საბრალმდებლო სიტყვის წარმოთქმა მაქვს განზრახული: ქალების განცვიფრება ჩემი ბუნების ერთ-ერთი თვისებაა (რა თქმა უნდა, ეს შენ არ გეხე-

ბა). [illegible]ც ჩემს უსაზღვროდ ნათელ აზროვნებას უნდა მიეწე-
როს.

არასდროს არ მქონდა მოხერხება და უნარი იმ თვითკმა-
ყოფილებას მივცემოდი, რაც უმრავლესობას ცხოვრებას
უმსუბუქებს. თუ ოდესმე რაიმე სიმდაბლეს, სისაძაგლეს ჩა-
ვიდენდი, პირველი მე თვითონვე შევიცნობდი ხოლმე მას...

დროებით წერა უნდა შევწყვიტო... ვუცდი, როდის მომი-
ტანენ ლამპას. ვიდრე ამინთებდნენ და დარაბებს დაკეტავდ-
ნენ, ფანჯარაში ვიყურებოდი, თვალს ვაამებდი ღვინის სარდა-
ფის და ფარდულების სახურავების ცქერით, რომელთა კრამი-
ტები, ზოგი კაშკაშა ყვავილების ფერია, ზოგიც მტრედის ბუმ-
ბულისებრ მოლივლივე. ვუსმენდი როგორ გალობდნენ შაშვები
სუროთი და ლაფანით გადახლართულ ვერხვის ტოტებზე, რო-
გორ მირახრახებდა გაგორებული კასრი. მაინც ბედნიერი ვარ, იქ
ვიმყოფები სიკვდილის მოლოდინში, სადაც ყოველივე ისევე
ხელშეუხებლადაა, როგორც ჩემს ბავშვობაში იყო. მხოლოდ
წყლის ამწე ძრავა ხმაურობს, უწინ კი ბორბალი ჭრიალებდა,
და იმასაც სახედარი ატრიალებდა... (კიდევ ისაა, რომ ყოველ
დღე სამხრობისას გრუხუნებს ფოსტის საზიზღარი თვითმ-
ფრინავი და ლაყვარდოვან ცას ამახინჯებს). მხოლოდ მცირედს
აქვს ბედნიერება სინამდვილეში, სულ ახლოს, თავის გვერ-
დით დაინახონ თავისი წარსული სამყარო, და იგი ისე ახლოს,
ისე ცხოველად შეიგრძნონ მაშინ, როდესაც ხალხის უმეტეს
ნაწილს არ ძალუძს გადაეშვას მოგონებათა მორევში, ვიდრე
სიმამაცითა და გამბედაობით არ აღიჭურვება. გულზე ვიდებ
ხელს და ვუსმენ როგორ აჩქარებით და სუსტად სცემს იგი.
კარადის კარებში ჩასმულ სარკეში ვიცქირები, სადაც შპრიცი,

ატროპინის და ქაფურის ამპულები ინახება. ყველაფერი, რაც გულის შეტევის დროსაა საჭირო. გაიგონებენ კი ჩემს ძახილს, როდესაც გამიჭირდება? მარწმუნებენ: „გულის ცრუ ანგინა" გაქვსო. მაგრამ ამით უფრო თვითონ იმშვიდებენ გულს, ვიდრე ჩემზე წუხან. ნელ-ნელა ვიწყებ სუნთქვას. უსიამოვნო გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაცამ მარცხენა მხარზე ხელი დამაბჯინა და მაწვება. განძრევის საშუალებას არ მაძლევს, არ მათავისუფლებს და მახსენებს: „ნუ გავიწყდება, აქა ვარ!" რაც მართალია, მართალია, სიკვდილს უნდა მიეზღოს საკადრისი, იგი ქურდულად არ მეპარება. კარგა ხანია, თავისუფლად დაძრწის ჩემს ირგვლივ. მესმის მისი ნაბიჯების ხმა, ვგრძნობ მის სუნთქვას. რა დასამალია, ბევრს მითმენს. სურს შემაჩვიოს იმ მკაცრ დისციპლინას, რაც საჭირო იქნება მისი მოსვლის ჟამს. ჰოდა, მეც ჩემს სიცოცხლეს საშინაო ხალათიანი ვამთავრებ ყოველივე იმით გარშემორტყმული, რაც სნეულებისაგან განუკურნავ ავადმყოფს სჭირდება. სავარძელში მჯდარი, ყურთბალიშზე მინებებული, როგორც დედაჩემი უცდიდა სიკვდილს. დედაჩემივით ვუზივარ წამლის შუშებით და აბებით სავსე მაგიდას გასაპარსი. ცუდი სუნი მდის, ათასგვარ საძაგელ ჟინს შევუპყრივარ, მაგრამ ყოველივე ამას ნუ ირწმუნებთ, როგორც კი შეტევა გამივლის, კვლავ სიცოცხლეს ვუბრუნდები. ისევ გამოვეცხადები ჩემს რწმუნებულ ბურუს, რომელსაც უთუოდ ეგონა, სული უფალს მიაბარაო. ჯერ კიდევ შემწევს ძალ-ღონე საათობით ვიჯდე ბანკის სარდაფებში და საკუთარი ხელით ვჭრა კუპონები.

ცოტა ხანს კიდევ უნდა ვიცოცხლო, რომ დავამთავრო ჩემი აღსარება. და ბოლოს, ხომ უნდა გაიძულო მომისმინო მე, ვისაც მრავალი წლის მანძილზე სარეცელს უზიარებდი. საკ-

ილიშვიყო საღამოს მოგკარებოდი, რომ ერთი და იგივეს გა-
ვილადან: „ოჰ, სასტიკად დაღლილი ვარ, ეკვდები, ისე მეძინე-
ნელ... უკვე მძინავს, მძინავს!..“

შენ უფრო მეტად ჩემს კითხვებს გაურბოდი, ვიდრე
ალერსს.

მართლაცდა, ჩვენი უბედურება ხომ იმ საუბრის შედეგია,
ესოდენ რომ გვიყვარდა ახლად დაქორწინებულებს. ერთობ
ახალგაზრდები ვიყავით. მე ოცდა სამი წელი შემისრულდა,
შენ თვრამეტისა იყავი და, ჭეშმარიტად, სასიყვარულო ამბები
უფრო ნაკლებ გვიზიდავდა, ვიდრე გულახდილი, მინდობილი
საუბარი. როგორც ბავშვობისას იციან ხოლმე მეგობრებმა,
ერთმანეთს ფიცი მივეცით არაფერი დაგვემალა. სიმართლე
გითხრა, მე არაფერი მქონდა სააღსარებო. ის კი არა, ზოგჯერ
იძულებული ვიყავი ჩემი საბრალო წარსული რაიმეთი გამე-
ზვიადებინა და ვფიქრობდი, შენც ასეთივე ალალი იყავი. ვერ
წარმოვიდგენდი, თუ ჩემამდე სხვა ჭაბუკის სახელს ახსენებ-
დი. ასე მწამდა იმ საღამომდე, ვიდრე...

ეს იმავე საწოლ ოთახში მოხდა, სადაც ახლა ვწერ. კედ-
ლებზე შპალერი გამოცვალეს, მაგრამ წითელი ხის ავეჯი ისევ
დარჩა იმავე ადგილას. მაგიდაზე ოპალის მბზინავი შუშის
წყლის დოქი და ლატარიაში მოგებული ჩაის ჭურჭელი ალა-
გია. მაშინ ხალიჩას მთვარის შუქი ზოლად მიჰყვებოდა. ქვიში-
ანი დაბლობის მხრიდან მონაბერ სამხრეთის თბილ ნიავს
ჩვენს საწოლში დამწვრის სურნელება მოჰქონდა.

შენი მეგობრის, ვიღაც რუდოლფის სახელს ხშირად ახსე-
ნებდი და ყოველთვის ღამით, საწოლ ოთახში. თითქოს მისი
აჩრდილი ჩვენი ყველაზე ღრმა სიახლოვის დროს შუა უნდა

ვდგარიყო; იმ საღამოსაც მისი სახელი ახსენე, გაგო
არა? მაგრამ ესეც არ იკმარე.

— ჯვრისწერამდე ზოგი რამ უნდა მეთქვა, გეთაყვა.
მართლე გითხრა, სინდისი მქენჯნის, რომ ყოველივე არ ვაღ
არე... ოჰ, დამშვიდდი, განსაკუთრებული არაფერი ყოფილ!..

სულაც არ ავღელვებულვარ, არც რაიმეს გამოკითხვა მო-
მისურვებია. მაგრამ შენ თვითონ უკიდურესად გულახდილ
იყავი და ისეთი გულმოდგინებით მიყვებოდი, რომ დავიბენი.
შენი გულწრფელობა სათუთი გრძნობებით კი არ იყო გამოწ-
ვეული, არც სინდისის ქენჯნით, როგორც მარწმუნებდი. არა,
თავად გჯეროდა, რასაც ამბობდი: სიამეს გგვრიდა ტკბილი
მოგონებები და ჩუმად ყოფნა არ შეგეძლო. შეიძლება
გრძნობდი კიდეც, რომ ჩვენს ბედნიერებას საფრთხე ელოდა,
მაგრამ, როგორც იტყვიან, ის განცდა შენზე უფრო ძლიერ
იყო. რუდოლფის აჩრდილი შენი სურვილის წინააღმდეგ ჩვე-
ნი საწოლის ირგვლივ ტრიალებდა.

ნუ იფიქრებ, თითქოს ჩვენი უბედურების მიზეზი
ნობა ყოფილიყოს. მართალია, მოგვიანებით აუტანელი
გავხდი, მაგრამ 1885 წლის ზაფხულის იმ ღამეს, ამ ულმობა-
ლი განცდის ნატამალიც კი არა მქონია. როცა გულახდილად
აღიარე: წარსულ ზაფხულში მთელი ჩვენი ოჯახი ეკსში რომ
ვიყავით, ის უბაწვილი კაცი ჩემი საქმრო იყოს.

ჰმ! სასაცილო არ არის? მხოლოდ ორმოცდა ხუთი წლის
შემდეგ მომეცა საშუალება ამაზე გულაპარაკო. წაიკითხავ კი
ჩემს წერილს? ეს ყოველივე ხომ შენ სრულიად არ გაინტე-
რესებს. ის, რაც მე მეხება, შენთვის მოსაწყენი და მოსაბეზ-
რებელია. აქამდე ბავშვები გივსებდნენ ცხოვრებას — ისინი
ხელს გიშლიდნენ, რომ მე გენახე, გესაუბრა ჩემთან. ახლა

ჰვილიშვილები გახვევია თავს... რა ვქნა, მით უარესი. უკანას-
ნელად მაინც მინდა ვცადო, შეიძლება მიცვალებული უფრო
საინტერესო გავხდე შენთვის, ვიდრე ცოცხალი ვარ. —თუნ-
დაც პირველ დღეებში, და შენც ამ სტრიქონებს ბოლომდე
მოვალეობის გრძნობა წაგაკითხებს. მე მინდა, ასე იყოს და
მჯერა კიდეც — ასე იქნება.

თავი მეორე

არა, მე არავითარი ეჭვიანობა არ აღმძვრია შენი აღსარე-
ბის დროს. როგორ გაგაგებინო, რა დაამსხვრია მან ჩემში? მე
დედისერთა ვიყავი. ქვრივ-ობლობაში მარტოდმარტო გამოზრ-
დილი. შენ იცნობდი დედაჩემს, უფრო სწორად წლების მან-
ძილზე ცხოვრობდით ერთმანეთის მეზობლად და არ კი იცოდი,
ვინ იყო. კიდევაც რომ დაინტერესებულიყავი, მაინც გაგიჭირ-
დებოდა იმის გაგება, რა სულიერი კავშირი შეიძლებოდა
ჰქონოდა ორ ეულ არსებას — დედა-შვილს. თქვენ სულ სხვა
ოჯახი გქონდათ — მდიდარი, გავლენიანი, მრავალრიცხოვანი,
მტკიცე კანონებზე აგებული, იერარქიულ-ბურჟუაზიული
ოჯახი. შენ ვერასოდეს გაიგებ წვრილი მოხელის, პრეფექტუ-
რის ერთ-ერთი განყოფილების გამგის ქვრივი რაოდენ მზრუნ-
ველობასა და სითბოს იჩენდა თავისი ვაჟიშვილისადმი, რომ-
ლის მეტი ამ ქვეყანაზე არავინ ებადა. სკოლაში ჩემი წარმა-
ტებანი სიამაყის გრძნობით აღავსებდა. ჩემთვისაც ხომ ერთ-
ადერთი სიხარული ეს იყო. იმ დროს ეჭვი არ მეპარებოდა,
რომ ძალიან ღარიბები ვიყავით. მე ვხედავდი ჩვენს ხელმოკ-
ლე ცხოვრებას და იმ მკაცრ ეკონომიას, რაც დედაჩემის მიერ

მტკიცედ იყო დაკანონებული. მე, რა თქმა უნდა, არაფერი მაკლდა. ახლა კი ვხედავ, თურმე როგორ მათამამებდა და მანებივრებდა დედა. ოსტეინში ფერმა ჰქონდა. იქიდან იაფად მოგვქონდა სანოვაგე და ძალიან გამიკვირდებოდა, თუ ვინმე იტყოდა, მაგიდაზე საუკეთესო საჭმელები გილაგიათო. ჩასუქებული ქათმები, კურდღლები, ნანადირევის პაშტეტი — არ მიმაჩნდა ფუფუნებად. მუდამ ის მესმოდა, თქვენს ფერმას ფასი არა აქვსო. და მართლაც, როდესაც დედაჩემს მემკვიდრეობით ერგო, ეს იყო ერთი მწირი ადგილი, სადაც პაპაჩემი ბავშვობისას ნახირს აძოვებდა. აბა, რა ვიცოდი, თუ ჩემმა მშობლებმა, უპირველეს ყოვლისა, გადახნეს ეს ადგილები და ფიჭვი დათესეს. ამდაგვარად, ოცდაერთიę წლის ასაკში უკვე ორი ათასი ჰექტარი ფიჭვის ტყის მფლობელი გავხდი, ამ დროს უკვე ჩეხდნენ ამ ტყეს და მორებით ამარაგებდნენ შახტებს. დედაჩემიც თავისი მცირედი შემოსავლიდან იზოგავდა ფულს. ჯერ კიდევ მამაჩემის სიცოცხლეში ორივენი „წელზე ფეხს იდგამდნენ“ და ასე იყიდეს კალეზი (ორმოციათას ფრანკად. ახლა ამ ვენახებს მილიონნადაც არავის მივცემ). ვცხოვრობდით საკუთარ სახლში, წმინდა კატერინას ქუჩაზე, მესამე სართულზე (ეს შენობა და რამდენიმე დაუსახლებელი მიწის ნაკვეთი მამაჩემმა ქორწინების წინ მშობლებისაგან მიიღო საჩუქრად). ხოფლიდან კვირაში ორჯერ დატვირთულ ~~კალათს~~ ვიღებდით. დედაჩემი იშვიათად თუ წავიდოდა ხორცისათვის ყასაბთან. ჩემი ახირებული სურვილი იყო ეკოლ ნორმალში [1] შევსულიყავი. ხუთშაბათობით და კვირა დღით თითქოს ძალით

[1] პედაგოგიური სასწავლებელი.

მაგდებდნენ შინიდან „ჰაერის ჩასაყლაპად.“ მე არ ვგავდი იმ ბაქიებს, რომლებიც თავს იწონებდნენ, თითქოს პირველ მოწაფეობას ყოველგვარი სიბეჯითის გარეშე მიაღწიეს. მე ვიყავი „ზუთხია“, ნამდვილი „ზუთხია“ და ვამაყობდი კიდეც ამით. ლიცეიში სწავლის დროს არავითარ სიამოვნებას არ მგვრიდა ვირგილიუსის და რასინის შესწავლა. რაკი „საკურსო“ მასალაში შედის — მაშ გაზუთხე და ის არის. კაცობრიობის უკვდავ ქმნილებათა შორის მხოლოდ ისინი მიმაჩნდნენ სრულყოფილად, რაც „პროგრამაში შედიოდა“. მარტო ამ ნაწარმოებს ჰქონდა ჩემს თვალში ფასი. და როცა თემას ვწერდი, მაშინაც იმას ვუსვამდი ხაზს, რაც ჩვენს გამომცდელებს ესიამოვნებოდათ,—ესე იგი, იმას, რაც უთქვამთ და დაუწერიათ ეკოლ ნორმალში შემსვლელ ახალგაზრდა თაობებს. აი, როგორი სულელი ვიყავი. შესაძლებელია ასეთივე დავრჩენილიყავი, საკონკურსო გამოცდების დაწყებამდე ორი თვით ადრე სისხლის ღებინებას თავზარი რომ არ დაეცა დედაჩემისათვის, მეც იძულებული გავხდი ყველაფერი მიმეტოვებინა.

ასე ძვირად დამიჯდა ის გადაჭარბებული სიბეჯითე, რაც ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მახასიათებდა: როდესაც ბიჭი იზრდება, ვითარდება, არ შეიძლება სულ ერთთავად, შუაღამემდე რვეულებსა და წიგნებზე თავდახრილი უჯდეს საწერ მაგიდას, არ ვარჯიშობდეს ფიზიკურად.

წერილმა თავი ხომ არ მოგაბეზრა? ვშიშობ არ შეგაწუხო. გემუდარები, ნურც ერთ სტრიქონს ნუ გამოტოვებ. გარწმუნებ, მხოლოდ იმას ვწერ, რაც აუცილებელი იყო! ჩვენი ერთად ცხოვრების მთელი ტრაგედია იმ წვრილმან შემთხვევებზეა

აგებული, რომლებიც შენ ან არ იცოდი, ანდა დავიწყებას მიეცი.

თანაც, როგორც ჩემი წერილის პირველივე სტრიქონებიდან დარწმუნდი, ალბათ ხედავ, რომ სულაც არ ვაპირებ შემწყნარებელი ვიყო. ამ ნაწერებში მრავალ ისეთ რამეს შეხვდები, რაც ჩემდამი შენს სიძულვილს უფრო განამტკიცებს... არა, ნუ უარყოფ, შენ ხომ, თუ ოდესმე გიფიქრია ჩემზე, აუცილებლად მტრულად.

ვშიშობ, მაინც უსამართლო ვარ იმ სუსტი, მაღალი ბიჭუნას მიმართ, როგორიც მე ვიყავი მარად მუყაითად დახრილი ჩემს ლექსიკონებსა და კითხვარებზე. როდესაც ვკითხულობ სხვების მოგონებებს ბავშვობის ხანაზე და ვხედავ, როგორი გასხივოსნებული სამოთხე წარმოუდგებათ ხოლმე თვალწინ, სევდიანად ვეკითხები ჩემს თავს: „მე? რატომ იყო ჩემი ცხოვრება უდაბნოსებრ უკაცრიელი? ეგებ, უბრალოდ, დამავიწყდა ის, რასაც სხვები იგონებენ? იქნებ მეც მქონდა ბავშვობისას ასეთივე საამო სიხარული?..“ ვაი, რომ სიცოცხლის განთიადზეც ზუთხვის მეტს ვერაფერს ვხედავ, თავგამოდებით მებრძოლს პირველი ადგილისათვის, გაბოროტებული რომ ეჯიბრება თავის ორ თანაკლასელს—ენოხსა და როდრიგოს. ინსტინქტურად უარვყოფდი ყოველგვარ ამხანაგობას. მახსოვს, ჩემი ბრწყინვალე წარმატებანი და სიამაყეც კი იზიდავდა ზოგიერთ მოსწავლეს. მაგრამ მე ცივად ვკრავდი ხელს ყველას, ვინც კი ჩემდამი თავის სიმპათიებს გამოხატავდა. მძაგდნენ „სენტიმენტალები“. მე რომ ხელობით მწერალი ვყოფილიყავი, მაშინაც ვერ დავწერდი ვერც ერთ მგრძნობიარე ფურცელს ჩემი წარსული, სასკოლო ცხოვრებიდან. მოითმინე... ერთხელ მაინც

მქონდა ნათელი გრძნობისმაგვარი რაღაც, მაგრამ ისიც მეტად უფერული, თითქმის უმნიშვნელო. ხშირად ვფიქრობდი მამაზე, იგი ძლივსღა მახსოვდა და ვირწმუნებდი თავს, რომ კი არ მოკვდა, არამედ უცნაური შემთხვევის გამო სადღაც გაქრა. ლიცეიდან დაბრუნებული სირბილით მივყვებოდი ქვაფენილს წმინდა კატერინას ქუჩაზე. ეტლებს შორის ვძვრებოდი, რადგან ტროტუარზე უამრავი ხალხი იყო და სწრაფად სიარული არ შეიძლებოდა. შურდულივით ავიქრებოდი კიბეზე. დედაჩემი ფანჯარასთან იჯდა, თეთრეულს კემსავდა. მამაჩემის ფოტოსურათი თავის ჩვეულებრივ ადგილას—საწოლის მარჯვნივ ეკიდა. დიდსულოვნად ვაძლევდი დედაჩემს ნებას ეკოცნა, შეკითხვაზე ძლივს ამოვღერღავდი პასუხს და მაშინვე გაკვეთილებს მივუჯდებოდი.

სისხლის ღებინებამ სრულიად შეშიცვალა ცხოვრება. უნივერსიტეტის პროფესორობის კარიერაზე ოცნება მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა დაამსხვრია. იძულებული გავხდი ზღვის ყურესთან მდებარე არაკშონის სოფლურ სახლში უფერულად გამეტარებინა თვეები. ძალიან გაჯავრებული ვიყავი დედაჩემზე. ჩემის ფიქრით, ეს უბედურება მისთვის არაფერს ნიშნავდა, და სულაც არ ზრუნავდა ჩემს მომავალზე. ის საბრალო კი ყოველ დღე შიშით მოელოდა „თერმომეტრის საათს". მისი სიხარულიც და მწუხარებაც ჩემს ყოველკვირეულ წონაზე იყო დამოკიდებული. მრავალი წლის შემდეგ, როცა ვიწვნიე, რა ძნელია იწვე გადადებული ავადმყოფი ისე, რომ არავის არაფრად აწუხებდეს შენი ავ-კარგი, გავიფიქრე: დამსახურებულად ვისჯები იმის წილ, რომ გულქვა, უგრძნობმა შვილმა ვერ დავაფასე დედის ამაგი-მეთქი.

გაზაფხულის მშვენიერი დღეები დადგა. როგორც დედა-ჩემი ამბობდა მაშინ, პირდაპირ „მკვდრეთით აღვსდექი". არაკშონის მიდამოებში—მაშინ ჯერ კიდევ უბრალო სოფელ-ში — კენკრისა და კურდღლისცოცხას ბარდებით შეფენილ ფიჭვის ტყის წყალობით გაიფურჩქნა ჩემი უწესო ცხოვრე-ბით დაძაბუნებული და დასუსტებული სხეული.

ამ დროს დედაჩემმაც მითხრა, მომავლისა ნუ გეშინია, რადგან საკმაოდ დიდი ქონების პატრონები ვართ და წლითი-წლობით ეს თანხა იზრდებაო. საჩქარო არაფერი მქონდა, მით უმეტეს, სამხედრო სამსახურიდან უთუოდ გამათავი-სუფლებდნენ. მასწავლებლებს ვაკვირვებდი ჩემი სხარტი მეცნიერებისა. ამიტომ დედაჩემს უნდოდა სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე გამეგრძელებინა. იგი იმედოვნებდა, რომ სამართლის მეცნიერების შესწავლას იოლად მივაღწევდი და ადვილად გავხდებოდი სახელგანთქ-მული ვექილი. თუ მოვისურვებდი, შემეძლო პოლიტიკური მოღვაწეობისათვისაც მომეკიდა ხელი. ოცნებაში წასული დედაჩემი გატაცებით ლაპარაკობდა, თავის გეგმებს მიხ-ატავდა. მე კი ბოროტად მოღუშული, დაბღვერილი ვუსმენდი და თვალები ფანჯრისკენ მქონდა მიპყრობილი.

მე უკვე დავიწყე „არშიყობა." დედაჩემი შიშისა და სი-ბრალულის გრძნობით მითვალთვალებდა. მას შემდეგ, რაც შენს წრეში ცხოვრება მომიხდა, ჩემთვის ნათელი შეიქნა, როგორ კიცხავენ ამგვარ მანკიერებას მორწმუნე ოჯახები. დედაჩემს კი მხოლოდ იმისი ეშინოდა, ამას ჩემს ჯანმრთე-ლობაზე უარყოფითად არ ემოქმედა. რაკი დაინახა, ბოროტად არ ვიყენებდი ამგვარ სიამოვნებას, აღარ ღელავდა, მხოლოდ მთხოვდა, თორმეტი საათისათვის შინ ვყოფილიყავი. ნუ გეში-

ნია, მე არ ვაპირებ ჩემი ახალგაზრდობის დროის სასიყვარულო თავგადასავლების მოყოლას. ვიცი, ეს შენზე ძლიერ ცუდად მოქმედებს. თუმცა, მეტად უბადრუკი თავგადასავლები და შემთხვევები მქონდა.

მაგრამ ესეც ძალიან ძვირი მიჯდებოდა. და ამის გამო ვიტანჯებოდი კიდეც. ის მაწუხებდა, რომ არც ლამაზი ვიყავი, არც მიმზიდველი, რაიც ახალგაზრდობის სამკაულს წარმოადგენს. მაგრამ არც მახინჯი გახლდით! სახის ნაკვთები, ასე ვთქვათ, „სწორი" მქონდა, ასეთივე აქვს ჟენევიევას, ის ხომ ორი წვეთი წყალივითა მგავს და ლამაზ ქალიშვილად ითვლებოდა. მე იმ მოდგმის ადამიანებს ვეკუთვნი, ვისზედაც იტყვიან, ნაადრევად დაბერებულანო. არ გესიამოვნება ისეთი ჭაბუკის შეხედვა, ვისაც ახალგაზრდული სინორჩის ნატამალიც არ გააჩნია. ჩემი მარტო გულჩათხრობილი გამოხედვითაც კი ადამიანს ერუანტელს ვგვრიდი. რამდენადაც ღრმად ვიგებდი ამას, იმდენად უფრო გულჩათხრობილი ვხდებოდი. მე არა მქონდა გემოვნებით ჩაცმის, ჰალსტუხის ამორჩევის და მისი ლამაზად შენასკვის უნარი. არ შემეძლო თავდავიწყებით მივცემოდი სიმხიარულეს, მეცინა, მეხუმრა. წარმოუდგენელი ამბავი იყო, მხიარულ საზოგადოებაში დავეპატიჟე. ჩემისთანა ადამიანი ხომ სტუმრებს მხოლოდ მხიარულ განწყობას ჩაუკლავს! თანაც წყენია ვიყავი. ვერ ვიტანდი ოდნავ გადაკრულ სიტყვასაც კი. სამაგიეროდ, თუ მე მომინდებოდა ხუმრობა, ჩემდა უნებურად ისეთი სიმძაფრით დავესხმოდი თავს მოწინააღმდეგეს, არავინ მაპატიებდა. მოურიდებლად გამოვააშკარავებდი მის სასაცილო თვისებაა, ფიზიკურ ნაკლოვანებას, რასაც ადამიანი მხოლოდ ფარავს. მოკრძალებისა და სიამაყის გამო ქალებს ყოველთვის დამრა-

გებლური და მფარველი კილოთი ველაპარაკებოდი. ეს კი, მოგეხსენებათ, მათ სძულთ. არაფერი გამეგებოდა მათი ჩაცმულობისა. რაკი ვგრძნობდი, ქალებს არ მოვწონდი, მათ ჯიბრზე განზრახ ხაზს ვუსვამდი ჩემს ხასიათში იმ თვისებებს, რითაც უფრო მეტად ვაძულებდი თავს. ერთი სიტყვით, ჩემი ახალგაზრდობა გახანგრძლივებული თვითმკვლელობის გზაზე მიმავალ ადამიანს მიაგავდა. იმის შიშით, ქალებმა არ დამიწუნონ-მეთქი, ვასწრებდი და მე ვიწუნებდი მათ.

შეიძლება ვცდებოდი, შეიძლება მართალიც ვიყავი, რომ ამაში დედას ვადანაშაულებდი. ასე მეჩვენებოდა, რომ ჩემმა წარსულ ცხოვრებას სამაგიეროს ვუზღავდი, რადგან დედა-ჩემის წყალობით მეტისმეტად გათამამებული, განებივრებული და ნაპატიები ვიყავი. იმ დროს დედას უხეშად და სასტიკად ვექცეოდი. ვუსაყვედურებდი, გადაჭარბებულად გიყვარვარ-მეთქი. ვერ მეპატიებინა ის უანგარო სიყვარული, რასაც მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ის განიცდიდა ჩემდამი და რაც არასოდეს არავისაგან აღარ მღირსებია. მაპატიე, რომ ისევ იმას ვუბრუნდები, მაგრამ დედაზე ფიქრით მინდა შევიმსუბუქო ჩემი მარტოობა და შენი გულგრილობა ჩემს მიმართ. ღირსეულად ვიღებ სამაგიეროს. საბრალო ქალმა დიდი ხანია მარადიული ძილით დაიძინა და მისი მოგონება მხოლოდ მოხუცის მოქანცულ გულშიღა დარჩა, როგორიც ახლა მე ვარ. რომ შეძლებოდა წინასწარ განეჭვრიტა თუ ბედისწერა ასე მკაცრად გადამიხდიდა სამაგიეროს, როგორ დაიტანჯებოდა!

დიახ, მე მკაცრი ვიყავი მის მიმართ! სოფლური სახლის პატარა სასადილო ოთახში ჩამოკიდებული ჭაღი სევდიანად დანათოდა ჩვენს ვახშამს. დედაჩემის მოკრძალებულ კითხ-

ვებზე უნიათოდ, მოკლედ თუ ამოვღერღავდი პასუხს. უეცრად პატარა რამეზე, ან სრულიად უმიზეზოდ ავენთებოდი და ჯიჯღინს დავიწყებდი. არასოდეს უცდია ჩემი გაჯავრების მიზეზი გაეგო, გარკვეულიყო მოვლენებში, პირდაპირ, თითქოს ღვთის რისხვა ყოფილიყოს, ისე ღებულობდა. „ეს ავადმყოფობაა, — იტყოდა ხოლმე, — უნდა განიტვირთო. შემდეგ დასძენდა: გაუნათლებელ და უსწავლელ ქალისათვის ძნელია გაგიგოსო. „რაღა თქმა უნდა, აბა, რა საზოგადოება გაქვს, შენისთანა ახალგაზრდა ვერაფრით გაერთობა ჩემებრ ბებერთან!..“ და დედაჩემი, ვისაც ძლიერ ყაირათიან ქალად ვიცნობდი, რომ აღარაფერი ვთქვა სიძუნწეზე, ახლა უფრო მეტ ფულს მაძლევდა, ვიდრე ვთხოვდი. ხელს მიმართავდა ფულის ხარჯვაში, ბორდოდან ჩამოჰქონდა უმსგავსი ჭრელ-ჭრელი ჰალსტუხები, მე კი არ ვხმარობდი.

ჩვენ დავუმეგობრდით მეზობლებს. მე მათ ქალიშვილს გავეარშიყე, თუმცა სულაც არ მომწონდა. ქალიშვილს ექიმების რჩევით ზამთარი არკაშონში უნდა გაეტარებინა. დედაჩემი ლამის გაგიჟებულიყო იმის შიშით, ჭლექი არ გადაგედოსო, ისიც აკრთობდა, ქალიშვილი არ შემერცხვინა, რადგან მაშინ იძულებული გავხდებოდი მეთხოვა. ახლა კი დავრწმუნდი, რომ მხოლოდ იმიტომ ვცდილობდი ჯიუტად (თუმცა ამაოდ), გამემარჯვა იმ ქალიშვილზე, რომ დედაჩემისათვის უსიამოვნება მიმეყენებინა.

ერთი წლის შემდეგ ბორდოში დავბრუნდით. შევიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი. დედაჩემს ერთ ბულვართან სახლი ეყიდა, ოღონდ ამაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს. მას უნდოდა სიურპრიზი გაეკეთებინა. გაოცებული დავრჩი, როდესაც

ლაქიამ გამიღო კარი. მეორე სართული ჩემთვის იყო განკუთვნილი. ყველაფერს სიახლის ელფერი დაჰკრავდა. გულში აღტაცებული ვიყავი ამ ავეჯის მდიდრულობით (თუმცა, ვფიქრობ ახლა საძაგლად მომეჩვენებოდა). ყველაფერს მკაცრად ვაკრიტიკებდი, მენანებოდა ამაზე დახარჯული ფული.

მაშინ კი გაბრწყინებულმა დედამ მთელ საოჯახო საქმეებში ჩამახედა, თუმცა მოვალე არ იყო ჩემთვის ანგარიში ჩაებარებინა (ჩვენი ქონების დიდი ნაწილი დედაჩემის მზითვი იყო). გაჩეხილი ფიჭვის ტყიდან აღებული ფულის გარდა, კიდევ ორმოცდაათი ათასი ფრანკი შემოსავალი გვქონდა და იმ დროისათვის პროვინციელთა თვალში საკმაოდ „სახარბიელო“ ქონების პატრონი ვიყავი, რასაც სხვა ახალგაზრდა გონივრულად გამოიყენებდა ქალაქის უმაღლეს საზოგადოებაში მოსახვედრად: თუმცა საკმაოდ პატივმოყვარე ვიყავი, მაგრამ იმდენად მძულდნენ ჩემი ფაკულტეტის ამხანაგები, რომ ვერ ვახერხებდი დამეფარა ჩემი მტრული განწყობა მათდამი. თითქმის ყველანი არისტოკრატული ოჯახებიდან იყვნენ და იეზუიტებთან იზრდებოდნენ. მე, ლიცეის მოსწავლეს, მწყემსის შვილიშვილს ვერ ჩამეხშო ჩემში ის საშინელი შურის გრძნობა, რასაც მათი დახვეწილი მანერები იწვევდა ჩემში. თუმცა ვხედავდი, რომ გონებრივი განვითარებით გაცილებით ჩემზე დაბლა იდგნენ. გშურდეს ისეთი არარა კაცუნებისა, ვინც გძულს — ისეთი სამარცხვინო გრძნობაა, რომ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუწამლოს. დიახ, მე მძულდნენ ისინი და მათი ქედმაღლობა (შეიძლება მოჩვენებითი) უფრო აღვივებდა ჩემს სიძულვილს. მე ისეთი ბუნებისა ვარ, რომ კი არ ვცდილობდი მათი სიმპათია მომე-

პოვებინა, არამედ დღითიდღე უფრო მეტ საერთოს ვპოუ-
ლობდი მათ მოწინააღმდეგეებთან. რელიგიისადმი სიძულვილს
დიდი ხანია ჩემში ფესვები გაედგა, რის გამოც შენ ძლიერ
იტანჯებოდი და რამაც ერთმანეთის სამუდამო მტრებად გა-
დაგვაქცია. რელიგიისადმი სიძულვილის გრძნობა ჩემში
იურიდიულ ფაკულტეტზე ყოფნის დროს 1879—1880 წლებში
აღმოცენდა, როდესაც პალატაში ხმას აძლევდნენ ცნობილი
დეკრეტის მეშვიდე სტატიას, რის შედეგადაც საფრანგეთიდან
იეზუიტები განდევნეს.

მანამდე რელიგიისადმი გულგრილი ვიყავი. დედაჩემი
არასოდეს იჭრებოდა რელიგიის საკითხებში, მხოლოდ ხან-
დახან თუ იტყოდა: „მე რა უნდა მაწუხებდეს? თუ ჩვენი კა-
თანა ხალხი ვერ მოხვდება სამოთხეში, მაშ იქ შესვლის იმედი
საერთოდ ნურავის ექნება.“ მონათლული ჩვილობაშივე ვი-
ვიყავი. პირველი ზიარება ლიცეიში, რომლისაც რაღაც ბუნ-
დოვანი მოგონება დამრჩა, მომაბეზრებელ ფორმალობად
მეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, ზიარებაზე მეორედ აღარ
წავსულვარ. რელიგიური საკითხებისადმი დიდ უვიცობას
ვიჩენდი. ბავშვობისას ქუჩაში მღვდლები რომ მხვდებოდნენ,
კარნავალისათვის გადაცმულ ნიღბებად მიმაჩნდნენ. არასოდეს
მიფიქრია ამგვარ პრობლემებზე, მაგრამ, როდესაც რელიგიას
პირისპირ დავეჯახე, მისი გადაჭრა პოლიტიკური თვალთა-
ხედვით მოვინდომე.

ყოფილი სტუდენტებისაგან შევქმენი წრე. ვიკრიბებოდით
„ვოლტერის კაფეში“ და იქ მშევრმეტყველებაში ვვარჯიშობ-
დით. თუ პირად ცხოვრებაში ძლიერ მოკრძალებული ვიყავი,
სამაგიეროდ, სულ სხვა ადამიანად ვიქცეოდი ხოლმე საჯარო
კამათში. გამიჩნდნენ მომხრეები და მსიამოვნებდა თავიანო

ხელმძღვანელად რომ მაღიარებდნენ. მაგრამ გულში მდიდარ ბურჟუებზე ნაკლებ არ მძულდნენ. ბრაზი მომდიოდა, გულუბრყვილოდ რომ მიშლიდნენ თავიანთ უბადრუკ გულის წადილს, რაიც მათი ცხოვრების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. სწორედ ამგვარი სურვილები მამოქმედებდა მეც და მაიძულებდა საკუთარ გრძნობებზე დავფიქრებულიყავი. ყველა ისინი წვრილი მოხელეების ვაჟები იყვნენ, გონიერნი და პატივმოყვარენი, მაგრამ შურითა და ღვარძლით მოწამლულნი; მეფარისეველებოდნენ, თუმცა არც ერთს არ ვუყვარდი. ხანდახან სადილზე თუ მივიწვევდი, ეს მათთვის მნიშვნელოვან ამბავს წარმოადგენდა, დიდხანსაც ჰქონდათ მსჯელობის საგნად ეს ფაქტი. მაგრამ მე მეზიზღებოდა მათი ქცევა. ხანდახან თავს ვერ შევიკავებდი და ღვარძლიანად დაეცინებდი ვინმეს, ეს კი გულში განუკურნავ ჭრილობად რჩებოდათ.

ჩემი სიძულვილი რელიგიისადმი გულწრფელი იყო. სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის სურვილმა მეც შემიპყრო. დედაჩემი ვაიძულე დაენგრია ალიზის ქოხები, სადაც ჩვენი მოიჯარადრე მონახევრეები ცხოვრობდნენ და შავი პურისა და ღომის მეტი არაფერი ჰქონდათ საჭმელი. დედაჩემი თავდაპირველად შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია.

—როგორ გგონია, მადლობას გეტყვიან?..

მეტი საქველმოქმედო საქმე აღარაფერი ჩამიდენია. ის აზრი მტანჯავდა, მე და ჩემი მოწინააღმდეგეები ერთ საერთო იდეალს რომ ვეტრფოდით: მიწასა და ფულს. ამქვეყნად ორი ჯგუფი არსებობს: მესაკუთრენი და არაფრისმქონენი. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ყოველთვის კერძო მესაკუთრეთა მხარეზე ვიქნებოდი. ასევე და უფრო მეტად მდიდარიც კი

ვიყავი, ვიდრე ის მედიდური ვაჟბატონები, ჩემი ფიქრით. პირს რომ მარიდებდნენ, მაგრამ თუ ხელს გავუწვდიდ., თვითონაც ჩამომართმევდნენ. თუმცა ისიც სათქმელია, საჯარო ყრილობებზე მემარცხენეებიცა და მემარჯვენეებიც მსაყვედურობდნენ, ორასი ათასი ჰექტარი ტყისა და ვენახების პატრონი ხარო. მაპატიე, ასე რომ ვაჭიანურებ, მაგრამ ამ წვრილმანის გარეშე ვერ მიხვდები, რას ნიშნავდა ჩემისთანა გესლიანი ადამიანისათვის ჩვენი შეხვედრა და ჩვენი საყვარული. მე, გლეხის შვილი, რომლის დედაც თავშალით დაიარებოდა, ფონდოდეეების ოჯახის სასიძო გავხდი! ეს პირდაპირ წარმოუდგენელი, გაუგონარი ამბავი იყო!

თავი მესამე

წერა შევწყვიტე. ჯერ ერთი, უკვე მოსაღამოვდა, მეორეც—ქვევიდან ხმადაბალი ლაპარაკი მომესმა. ერთობ ჩუმად საუბრობდით და სწორედ ეს მაწუხებდა. ოდესღაც ჩემი საწოლი ოთახიდან შესანიშნავად შემეძლო თქვენი საუბრის მოსმენა. ახლა კი გამირბიხართ, მალულად ჩურჩულებთ. ამას წინათ მითხარი ყურთასმენა დაგაკლდაო. სრულებითაც არა, შესანიშნავად მესმის რკინიგზის ხიდზე მატარებლის რახრახი. არა, არა, მე ყრუ-მუნჯი არ გახლავარ! თქვენ განზრახ საუბრობთ ხმადაბლა, რომ ვერ გავიგონო რას ლაპარაკობთ. ნეტავი რას მიმალავთ? იქნებ საქმეებია ცუდად? მთელი ოჯახი ხომ შენს ირგვლივ არის შემოკრებილი და ენაგადმოგდებული ძაღლებივით მოგდევენ. აქ ბრძანდება ჩვენი მშვენიერი სიძე, სირაჯი, შვილიშვილის ქმარი, ნამდვილი უქნარა, და ძვირ-

ფასი ჩვენი შვილი გუბერი... სხვათა შორის, ის ხომ ბანკირია. მთელი ქვეყნის ფული მის ხელში იყრის თავს და დივიდენდებს ოც პროცენტად ასეხსენებს! ჩემი იმედი ნუ გექნებათ! ვერაფერს დამცანცლავთ. დარწმუნებული ვარ, ამ საღამოს წამჩურჩულებ: „არაფერი დაგაკლდებოდა, რომ ტყე გასაჩეხად გაგეყიდაო.“ იმასაც გამახსენებ, გუბერის ორივე ქალიშვილი რომ გათხოვების შემდეგ ქმრის მშობლებთან ცხოვრობს, რადგან ფული არა აქვთ საკუთარი ოჯახის მოსაწყობად. „ჩვენი სახლის სხვენზე ავეჯეულის ბოთელი გროვა ყრია, მტვერი ედება, იმტვრევა. რა მოხდება, რომ „დროებით ვათხოვოთ.“ დიახ, დიახ, დარწმუნებული ვარ, აღარ გაათავებ ამაზე ლაპარაკს: „ორივენი ნაწყენები არიან, ჩვენთან ფეხს აღარ დგამენ... იმის ღირსიც კი არა ვარ, ჩემი პატარა შვილიშვილები ვნახოო“. უდაოა, ახლა ამაზე ლაპარაკობთ ხმადაბლა.

ხელახლა გადავიკითხე ის სტრიქონები, რომელიც გუშინ განერვიულებულმა მივბოდ-მოვბოდე. როგორ ამიყოლა ამ-გვარმა რისხვამ? კაცმა რომ თქვას, წერილს ხომ არა ვწერ, ეს დღიურია, რომელსაც ხელახლა ვიწყებ. როგორ მოვიქცე? წავშალო, რაც დავწერე და სხვანაირად დავიწყო? შეუძლებელია, დროც არ იცდის. როგორც დავწერე, დაე ისევე დარჩეს. მე ხომ მინდრდა ჩემი გულისნადები გადამეშალა და სულის სიღრმეში ჩამეხედებინე. აი, უკვე ოცდაათი წელია ცუდად მომუშავე ჩლუნგი ავტომატივით მიყურებ, ავტომატივით, ათასფრანკიან კრედიტებს რომ ისვრის, ისიც მოშლილია და დაუსრულებლივ უნდა ანჯღრიო, ვიდრე გახსნი, გამოშიგნავ და შიგ ჩამალულ ფულს არ ამოაცლი.

აი, კვლავ სიავემ ამიტანა, უმჯობესია, ისევ იმას, ჩემი გაშ-მაგების ამბავს დავუბრუნდე, გუშინ რომ შევწყვიტე. თანდა-თან მივალ სათავეებამდე, გავიხსენებ იმ საბედისწერო ღამეს... მაგრამ ჯერ ჩვენი პირველი შეხვედრით დავიწყოთ.

1883 წლის აგვისტოს მე და დედა ლუშონში ვიყავით. იმ დროს „სასტუმრო სკარონი“ სავსე იყო რბილი სავარძლებით, დივნებით, პუფებით, მშვენივრად გაკეთებული არჩვის ფიტუ-ლებით. რა დამავიწყებს ეტინიის ცაცხვის ხეივანს! ამდენი წელი გავიდა და ახლაც, როცა ცაცხვი ჰყვავის, თითქოს სწო-რედ იმ საამო სურნელებას ვიყნოსავ. ყოველ ცისმარე დილით ქვაფენილზე მიმავალი ვირების ზანზალაკების წკარუნი, ფლო-ქვების ბაკაბუკი და მათი გამყოლების შოლტების ტყლაშუნი მაღვიძებდა. მთიდან მომავალი ნაკადულები პირდაპირ ქუჩებ-ში მოჩხრიალებდნენ. მეწვრილმანე მოვაჭრე ბიჭები ფუნთუ-შებს, რძეში მოზელილ პურებსა და კვერებს ქუჩაში ყვირი-ლით დაარბენინებდნენ გასაყიდად. ჩაივლიდნენ ცხენებზე ამ-ხედრებული გამყოლები. ეხედავდი მთელი კავალკადა როგორ მიემართებოდა სასეირნოდ.

მთელი პირველი სართული ფონდოდეკების ოჯახს ეკავა. მათ მეფე ლეოპოლდის დარბაზები დაუთმეს. „აი, როგორ ანი-ავებენ ფულებს!“ — მეტყოდა ხოლმე დედაჩემი. — მიუხედა-ვად ამისა, როცა ფულის გადახდის დრო დადგებოდა, ყოველ-თვის უგვიანებდნენ მიცემას (ბორდოში, ფონდოდეკებს ჩვენი ნავსადგურის ახლოს მიწის საკმაოდ დიდი ნაკვეთი ჰქონდათ ნაქირავები და საქონელი ეწყოთ).

მე და დედა სასტუმროში საერთო მაგიდაზე ვსადილობ-დით. თქვენ კი ცალკე მოგართმევდნენ ხოლმე. კარგად მახსოვს

თქვენი მრგვალი მაგიდა ფანჯარასთან, რომელსაც მსუქანი ბებია უჯდა, მელოტი თავი შავი არშიებიანი მოსახვევით დაეფარა, ზედ წვრილი მძივები რომ ციმციმებდნენ. ისე მეჩვენებოდა, თითქოს იგი მე მიღიმოდა. მაგრამ იმიტომ ვტყუვდებოდი, რომ მოხუცს მოჭუტული, პაწაწინა თვალები და ყურებამდე გახსნილი, ხვრელივით პირი ჰქონდა. მას ყვიციანი მონაზონი ემსახურებოდა, რომელსაც „მოციქულის“ გახამებული ტანსაცმელი ეცვა და სახეც შეშუპებული ჰქონდა. დედაშენი კი რა მშვენიერი იყო! ორი ვაჟიშვილის დაღუპვის გამო შავებს ატარებდა. პირველად შენ კი არა, ის შემიყვარდა და ჩუმ-ჩუმად ვტკბებოდი ხოლმე მისი ცქერით. მაღელვებდა მისი შიშველი მკლავები და მოღერებული ყელი. არავითარ სამკაულს არ ატარებდა. მე სტენდალისებურ სასიყვარულო ხრიკებს ვიგონებდი, რომ საღამოს რაიმე სატრფიალო სიტყვა მეთქვა, ან ხელში ჩუმად წერილი ჩამედო. შენ თითქმის არც კი გამჩნევდი, რადგან ჩემს თავს შთავაგონე, ქალიშვილები არაფრით არ არიან საინტერესონი-მეთქი. თანაც ისე ამაყად გეჭირა თავი, არავის აქცევდი ყურადღებას და ქედმაღლურად უყურებდი ყველას.

ერთხელ, კაზინოდან რომ დავბრუნდი, უნებურად დედაჩემისა და ქ-ნი ფონდოდეჟის საუბარს შევესწარი. ქ-ნი ფონდოდეჟი თავაზიანად, შემპარავი ხმით ლაპარაკობდა, როგორც კარგად აღზრდილ ადამიანს შეშვენის, რომელსაც არ სურს თავის მდაბიო თანამოსაუბრეს გაუყადროს თავი. დედეჩემი კი, პირიქით, არაფერს ერიდებოდა და ხმამაღლა გაჰკიოდა: აქაოდა, ჩემს ხელთა ხარ, გეთაყვა და, ახლა მე ვიცი შენიო. მისი აზრით, ფონდოდეჟები ცუდი გადამხდელები იყვნენ და მეტი არაფერი. გლეხივით მარტო მიწის ფასი იცოდა, სავაჭრო საქ-

მეს და ამ გზით მოპოვებულ ქონებას უნდობლად უცქეროდა, სულ გაკოტრების შიში უნდა მქონდესო. მწარე ფრაზა, რომლის თქმასაც აპირებდა, შუაზე შევაწყვეტინე. „რა თქმა უნდა, მჯერა თქვენი მეუღლის ხელმოწერა, მაგრამ, იცით, რომ...“

ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩავერიე საქმიან ლაპარაკში. ქ-ნ ფონდოდეეს გავუგრძელეთ ვადა, როგორც თვითონ მოითხოვდა. უფრო გვიან ხშირად მიფიქრია, რომ დედაჩემის გლეხურმა ალღომ სწორედ განჭვრიტა: შენი ოჯახი საკმაოდ ძვირად მიღირდა. თქვენ რომ აგყოლოდით, შენი ქალი, ვაეი და შვილიშვილის ქმარი თავისი საქმეების საკეთილდღეოდ მთელ ჩემს ქონებას გაანიავებდნენ და შთანთქავდნენ. მათი საქმეები! კანტორა პირველ სართულზე, შიგ ტელეფონი, მემანქანე ქალი... ეს ის უბრალო და საქმიანი დეკორაციაა, რომლის უკან ასი ათასები მიფრინავს! რა მემართება, ისევ გადავუხვიე... მე ხომ ბანიერ დე ლუშონში 1883 წელს ჩვენი გაცნობის დღეებს ვიგონებ...

ამიერიდან მთელი შენი ამაყი ოჯახი ღიმილით მხვდებოდა. მაგიდასთან მჯდარი ბებიაშენი ენას აღარ აჩერებდა, კითხვაზე პასუხს აღარ ელოდა, ყრუ იყო. დედაშენშიც, მას აქეთ, რაც სადილის შემდეგ რამდენჯერმე ველაპარაკე—განვიხიბლე, ერთობ მოსაწყენი მეჩვენა, მასზე ყოველგვარი რომანტიული წარმოდგენა გამიქრა. ნუ გაჯავრდები, გეთაყვა, რომ ასეთი რამეები მახსენდება, მაგრამ მართალს გეუბნები, გონებაშეზღუდულობის გამო მუდამ რაღაც უმნიშვნელოს, სულელურს ლაპარაკობდა. მეტყველება კი საოცრად ღარიბი და მარტივი ჰქონდა. ერთი სიტყვით, სამი წუთის შემდეგ უკვე მომეწყინებოდა ხოლმე და აღარ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა მასთან.

რაკი დედამ იმედები გამიცრუა, ყურადღება ქალიშვილზე

გადავიტანე. პირველად ვერც კი შევნიშნე, რომ ჩვენს შეხვედრებს სიამოვნებით უწყობდნენ ხელს. რა მომაფიქრებდა, თუ ფონდოდეკები ჩემში სასურველ სასიძოს დაინახავდნენ? მაგონდება ჩვენი გასეირნება ლილიის ველზე. ეტლით გავემგზავრეთ. — ბებია თავის მონაზონით ეტლის უკანა სკამზე იჯდა, ჩვენ კი წინ ვისხედით. მადლობა ღმერთს, ლუშონში საქირაო ეტლები ბლომად იყო. მხოლოდ ფონდოდეკებს შეეძლოთ ფიქრად მოსვლოდათ, რომ სახლიდან თავიანთი საკუთარი ეტლი გამოიწერეს.

ცხენები ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ. ბუზები ბურნასავით ეხვეოდნენ. მონაზონს თვალები სანახევროდ მიელულა და თვლემდა. ოფლიანი სახე ულაპლაპებდა. ბებიაშენი ეტინის ბაღში ნაყიდ მარაოს ინიავებდა, რომელზედაც მატადორის დაშნით განგმირული შავი ხარი ეხატა. მიუხედავად სიცხისა, შენ გრძელი, ნიდაყვებამდე ხელთათმანები გეცვა და თავიდან ფეხებამდე თეთრებში იყავი გამოწყობილი. მაღალყელა ფეხსაცმელებიც კი თეთრები გემოსა. „ჩემი ძმების დაღუპვის შემდეგ აღთქმა დავდე თეთრი ტანსაცმელი ვატარო“. ასე მითხარი. მაშინ მე არ მესმოდა, რას ნიშნავდა აღთქმის გამო ამა თუ იმ ფერის ტანსაცმლის ტარება. შემდეგში შევიტყე, რომ შენს ოჯახში ამგვარ რელიგიურ, უაზრო ადათ-წესებს თაყვანს სცემდნენ, მაგრამ იმ დროს, იმ გუნებგანწყობაზე, მე რომ ვიყავი, ყოველივე ეს პოეტურად მეჩვენებოდა. როგორ აგიხსნა, რა გრძნობა გააღვივე ამ სიტყვებით ჩემში? განცდა იმისა, რომ ქალიშვილებში აღარ იწვევ სიძულვილს, მოსწონხარ კიდეც ვიღაცას! ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დამავიწყდება ის საღამო, როდესაც მითხარი: „საოცრად გრძელი წამწამები გაქვთ, იშვიათია, ვაჟს ასეთი გრძელი წამწამები ჰქონდეს.“

მე გულმოდგინედ ვცდილობდი ჩემი მოწინავე აზრები არ გამომეთქვა. მახსოვს, ამ სეირნობის დროს ცხენებისთვის ტვირთი რომ შეგვემსუბუქებინა მე და შენ აღმართზე მიმავალი ეტლიდან გადმოვედით. ბებიაშენი და მონაზონი ლოცვანს ბუტბუტებდნენ, თან კრიალოსანს მარცვლიდნენ. მრავალი წლის მანძილზე თქვენთან გაწაფული მოხუცი მეეტლე კი კოფოდან ეპასუხებოდა: „Ave, Maria!“ შენ ღიმილით მიცქეროდი, მაგრამ მე წარბსაც არ ვიხრიდი, სერიოზულად მეჭირა თავი. ჩემი სურვილით მოგყვებოდით ხოლმე ეკლესიაში კვირა დღეობით თერთმეტი საათის წირვაზე შენ და დედაშენს; ეკლესიური წეს-ჩვეულებანი არავითარ მეტაფიზიკურ აზრებს არ იწვევდნენ ჩემში. რელიგიის კულტი—ეს იყო და ეს, მეტი არაფერი იმ კლასისათვის, რომელსაც ახლა მეც ვეკუთვნი (ამას ამაყად ვამბობ). ეს გახლდათ ერთგვარი ტრადიცია, ჩვენი წინაპართა რელიგია, ბურჟუაზიის მიერ შემონახული ადათ-წესების თავყრილობა, რომელსაც მხოლოდ სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ეკლესიაში ზოგჯერ ჩუმჩუმად მიცქეროდი და ყოველი ასეთი წირვა შესანიშნავ, სულის დამატკბობელ აღმოჩენასთან იყო დაკავშირებული: თურმე შეიძლებოდა მოვწონებოდი, დამეინტერესებინა და ამეღელვებინა ქალიშვილის გული. მეგონა, ჩემი სიყვარული შენს ჩემდამი სიყვარულს უერთდებოდა. თუმცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს განცდებს, მთავარი ის არის, რომ მჯეროდა ჩემდამი შენი სიყვარული. ჩემი პიროვნება ქალის სულში სარკესავით ირეკლებოდა და იგი არ გაურბოდა ამ გამოსახულებას. რა საამო განცდა იყო! ამგვარი სანეტარო განცხრომისაგან ჩემი არსება ყვავილივით

გაიფურჩქნა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გაალხვო ყინულადქცეული ჩემი სული შენმა ნაზმა შემოხედვამ და შადრევანივით ააჩქეფა შიგ ჩამარხული გრძნობები. ალერსის გამომხატველი სრულიად ჩვეულებრივი ნიშნები—ხელის ჩამორთმევა იქნებოდა ეს, თუ გამხმარი ყვავილის შენახვა წიგნში, ყველაფერი მხიბლავდა. რაოდენ ახალი იყო ყოველივე.

მხოლოდ დედაჩემი იდგა განზე და არ იზიარებდა ჩემი გარდაქმნის სიხარულს. მე ვხედავდი, იგი მტრულად იყო განწყობილი ჩემი ოცნებისადმი, რაც თავადაც უაზრობად მიმაჩნდა. მწყინდა გულგრილად რად უცქეროდა ჩემს აღტაცებას. „ნუთუ ვერ ხვდები, ეგ ხალხი მახეს გიგებს?“ — მეუბნებოდა და სულ არ ფიქრობდა, რომ ამით შეეძლო გაენადგურებინა იმ ბედნიერების შეგრძნება, თურმე შეიძლება ქალიშვილმა მეც შემიყვაროს-მეთქი. არსებობდა ისეთი ქალიშვილი, ვისაც მოვწონდი და იქნებ ჩემი ცოლობაც უნდოდა. მე ეს მჯეროდა, მიუხედავად დედაჩემის უნდობლობისა.

„ასეთი მდიდრები, ასეთი გავლენიანი ხალხი და აბა რა სარგებლობა ექნებათ ჩვენისთანა ოჯახთან დანათესავებით,“ — ვფიქრობდი. ბრაზი მომდიოდა დედაჩემზე, თითქმის მძულდა კიდეც იმის გამო, რომ ჩემს ბედნიერებას ეჭვის თვალით უცქეროდა.

დედამ მაინც შეაგროვა თავისთვის საინტერესო ცნობები მსხვილ ბანკებში, სადაც კავშირი ჰქონდა გაბმული. მე აღტაცებაში მოვედი, როდესაც შეიტყო, რომ მიუხედავად დროებითი დაბრკოლებისა, ფონდოდეჟების ფირმა საკმაოდ დიდი ნდობით სარგებლობდა და სიამოვნებითაც აძლევდნენ კრედიტს. „ბევრ ფულს კი ხვეტავენ, მაგრამ ერთობ ხელგაშლილად ცხოვრობენ, — მეუბნებოდა დედაჩემი. — მთელ ფულს

მეჯინიბეებსა და ფარეშებში აბნევენ. ცდილობენ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ, დაზოგვა არ იცვან, რა არის...“

ბანკებიდან მიღებულმა ცნობებმა საბოლოოდ დამარწმუნა ჩემს ბედნიერებაში. მე ახლა ხელთ მქონდა შენი მახლობლების უანგარობის საბუთები: მაშასადამე, შენიანები იმიტომ მიღიმოდნენ, რომ მოვწონდი. უეცრად მომეჩვენა, რომ მთელი ქვეყანა სიმპათიით იყო ჩემს მიმართ განწყობილი. ჩვენ ნებას გვაძლევდნენ საღამოობით მარტო გვესეირნა კაზინოს დაბურულ ხეივნებში. საკვირველია, როცა პატარა ბედნიერება შემოგვეყრება, რატომ იდუმალი ხმა არ გაგვაფრთხილებს: „რაც არ უნდა ყამგრძელი იყო, არასოდეს ასეთი ბედნიერი აღარ იქნები, როგორც ახლა იყავი, ამ რამდენიმე საათში. მაშ დატკბი და ბოლომდე შესვი ბედნიერების ეს ფიალა, — ამის მეტი აღარაფერი გერგება. წყარო, რომელიც ცხოვრების მანძილზე პირველად შეგვხდა, უკანასკნელი იქნება. მოიკალი წყურვილი ერთხელ და საბოლოოდ, რამეთუ მეტად ვეღარ იხილავ.“

მე კი, პირიქით, თავს ვირწმუნებდი, ეს ბედნიერი ცხოვრებისა და მგზნებარე სიყვარულის მხოლოდ დასაწყისია-მეთქი. და ჯეროვნად ვერ ვაფასებდი იმ საღამოებს, როდესაც ორივენი ბაღში ხის გარინდებული ფოთლების ქვეშ უძრავად ვისხედით.

თუმცა მაშინვე იგრძნობოდა ზოგიერთი ამაღელვებელი ნიშნები, მაგრამ მე ვერ ვხვდებოდი. მახსოვს ის ბნელი ღამე, მაღლა გორაკზე სამკურნალო წყლების გზის უკან სკამზე რომ ვისხედით. უეცრად შენ უმიზეზოდ აქვითინდი. ახლაც ვგრძნობ შენი ცრემლებით დანამულ ლოყების სურნელებას, ჩემთვის გაუგებარი დარდის სურნელებას. მე მეგონა, ბედნიერებისაგან

ტიროდი. იმის გამო, რომ ახალგაზრდა ვიყავი, სხვაგვარად ვერ ავხსენი შენი ქვითინი, თუმცა მამშვიდებდი: „ეს არაფერია, ასე მხოლოდ იმიტომ დამემართა, რომ თქვეხს გვერდით ვარო...“

მართალს ამბობდი, მატყუარავ! მართლაც ის გატირებდა, რომ ჩემს გვერდით იყავი და არა იმის გვერდით, ვისი სახელიც ბოლოს და ბოლოს რამდენიმე თვის შემდეგ გამიმჟღავნე ამავე ოთახში, სადაც ახლა ვწერ! სადაც მე, სნეული, ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ვატარებ, ჩემი ოჯახის საყვარელი წევრები კი მოუთმენლად ელიან როდის ამომივა სული, რომ ჩემი ქონება მიითვისონ.

მე კი, მე ტუტუცს, იმ საღამოს ბანიერთან, სადაც ბილიკი გველივით მიიკლაკნება, შენს გვერდით თავი ბედნიერ კაცად მიმაჩნდა. ლოყას გადებდი მხარზე, ყელყელა კისერზე გეკონებოდი და ხარბად ვისუნთქავდი ჩემი მტირალა გოგონას სპეტაკი სხეულის სურნელებას. პირინეის თბილსა და ტენიან ჰაერში ცვრიანი ბალახისა და პიტნის სუნი ტრიალებდა და შენს სურნელებას ერთვოდა. მთის ძირში, სამკურნალო წყლების მოედანზე ორკესტრის ადგილი ფარნებით იყო განათებული. ერთი მოხუცი ინგლისელი გრძელ ჯოხზე მიბმული ბადით ფარნების შუქზე მოფრენილ ღამის პეპლებს იჭერდა. შენ მითხარი: „მომეცით ცხვირსახოცი ...“ მე ცრემლები შეგიმშრალე და ცხვირსახოცი უბეში შევინახე.

მე სრულიად სხვა ადამიანად ვიქეცი — ვფიქრობ, ამით ყველაფერი გამოვსახე — სრულიად სხვა ადამიანად. სახეც კი ბედნიერების შუქით გამისხივოსნდა. ჩემს ცვლილებას ვგრძნობდი იმ საღამოდან მოყოლებული, შენი ცრემლების შემდეგ აღარავითარი ეჭვი არ შეიძლება დამბადებოდა. მას

კიდევ რამდენი ბედნიერი საღამო მოჰყვა, როდესაც ჩემს მხარზე დაყრდნობილი, სიხარულით გაბრწყინებული ხელიხელ ჩავლებული მომყვებოდი. მე ბილიკზე ისე სწრაფად მივქროდი, რომ ძლივს მომდევდი და მეუბნებოდი: „უჰ, ნელა, თორემ სული მეხუთება“. მე მიამიტი საქმრო ვიყავი. შენ ისეთი გრძნობა გააღვიძე ჩემში, რაც მანამდე უცნობი იყო. ერთი წუთითაც არასოდეს მომსვლია ფიქრად, ბოროტად გამომეყენებინა შენი მშობლების ამგვარი ნდობა. რას წარმოვიდგენდი, თუ ამ ნდობის ქვეშ მშრალი ანგარიში იმალებოდა!

დიახ, მე სხვა ადამიანი გავხდი, იმ ზომამდე სხვაგვარი, რომ ერთხელ უცნაური რამ განვიცადე, — ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, კი შეიძლება ის ამბავი გაგანდო, თუმცა, ამ დღიურის წამკითხველს, ბრალი არა მაქვს, გასახარად გქონდეს საქმე.

ერთ დღეს, ლილიის ველზე რომ მივსეირნობდით, ეტლიდან გადმოვხტით და ფეხით განვაგრძეთ გზა. წყარო ჩუხჩუხით მოდიოდა. ხელში გარეული კამას ღერო მეჭირა და ვსრესდი. ქვეითკენ უკვე ბინდბუნდით იფარებოდა არემარე, მთის მწვერვალებზე კი სხივების შუქი ჯერ არ ჩამქრალიყო... უეცრად ისეთი გრძნობა დამეუფლა, არა, დამეუფლა კი არა, ფიზიკურად შევიგრძენი, რომ არსებობს მეორე, სხვა, ჭეშმარიტად რეალური ქვეყანა, ჩვენ კი მხოლოდ მის აჩრდილს ვხედავდით...

ეს შეგრძნება სულ წამიერი იყო და მთელი ჩემი მწუხარე ცხოვრების განმავლობაში ამგვარი რამ იშვიათად თუ განმეორებულა. მაგრამ მისი უცნაურობა ჩემს თვალში უფრო მატულობდა, აი, რატომ ვიცილებდი თავიდან ამ მოგონების შემდეგ, როცა რელიგიის ნიადაგზე ხანგრძლივი დავა გვქონდა ხოლმე.

თავს ვალდებულად ვთვლი ყველაფერი გითხრა. მაგრამ ახლა უკვე გვიანაა ამ საკითხებზე ლაპარაკი.

ჩვენი ქორწინების ამბავი მოგონებად არა ღირს. ერთ საღამოს თითქოსდა ჩემი სურვილის წინააღმდეგ ჩვენ დანიშნულებად გამოგვაცხადეს. ჩემი შემთხვევით წამოსროლილი სიტყვა სხვაგვარად გაიგე და მე შენთან შეკავშირებული აღმოვჩნდი ისე, რომ ხეირიანად არც კი ვიყავი ჩემს მდგომარეობაში გარკვეული. არა ღირს ამის მოგონება. მაგრამ იძულებული ვარ გავიხსენო ერთი არასასიამოვნო ამბავი, რისი გვერდის ავლაც არ შემიძლია. მაშინვე გამაფრთხილე, რამდენიმე პირობას წარმოგიდგენო: „კეთილი შეთანხმების“ მიზნით. შენ არ გინდოდა დედაჩემთან ერთად გეწარმოებინა ოჯახური მეურნეობა და ერთ ჭერქვეშ გეცხოვრა. შენს მშობლებს და შენც მტკიცედ გქონდათ გადაწყვეტილი თქვენი სიტყვა გაგეტარებინათ.

თუმცა მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ აშკარად მახსოვს დედაჩემთან საუბარი სასტუმროს სულშეხუთულ ოთახში: გაღებული ფანჯარა ეტნის ხეივანს გადასცქეროდა, მზის სხივებში გაბნეული მტვერი ოქროსფრად ირეოდა, შოლტის ტლაშუნი, ზანზალაკების ჟღრიალი და ტოროლას ჰანგები ერთად იჭრებოდა მიხურულ დარაბებში. დედაჩემს სიცხისაგან თავი სტკიოდა. ქვედატანსა და ბლუზაში ჩაცმული (მას არასოდეს არ სცმია ლამაზი საშინაო ხალათი, არც წამოსასხამი ჰქონია) დივანზე მიწოლილიყო. ვისარგებლე შემთხვევით, რომ ჩემს დაცოლშვილებაზე მელაპარაკებოდა— მთელ ქვედა სართულს შენ დაგითმობ, მე კი მეოთხე სართულზე ერთ ოთახს ავიღებო, — და ვუთხარი:

— მისმინე, დედა, იზა ფიქრობს, რომ უკეთესი იქნებო-

და... — შენს მოსაზრებებს ვუხსნიდი და თან მალულად ვუცქეროდი მის მობერებულ სახეს, თან უხერხულობისაგან თვალებს ძირს ვხრიდი. ის კი თავისი დამახინჯებული, სახსრებგამობერილი თითებით ბლუზის კალთის ნაოჭებს ისრესდა. საყვედური და ჩხუბი რომ დაეწყო, მაშინ რაიმეს მოვიმიზეზებდი და ჩემს სიავეს გადმოვანთხევდი. მაგრამ დედა სდუმდა. იგი არც წყენას იმჩნევდა, არც გაოცებას. ბოლოს ამოიღო ხმა, თან ცდილობდა ისეთი სიტყვები ეთქვა, რომ მე დავეჯერებინე, ადრევე ვიცოდი, ცალცალკე უნდა გვეცხოვრა და ამაში სრულიად არაფერია არაჩვეულებრივი.

— თითქმის მთელი წელი ორინში ვიცხოვრებ,—ასე მითხრა. — ჩვენს აგარაკებს შორის ის ყველაზე კარგი საცხოვრებელი ადგილია. თქვენ კი კალეზს დაგიტოვებთ. ორინში სამოთახიან პავილიონს ავაშენებ და სავსებით მეყოფა. ძვირი არ დამიჯდება. თუმცა არ მინდა ამაოდ ფულის გადაყრა, რადგან, შეიძლება გაისამდე ვერც მივაწიო. მაგრამ შემდეგში შეგიძლია გამოიყენო, სანადირო სახლად გადაიკეთე და შემოდგომობით, ოქტომბრის თვეში გარეულ მტრედებზე სანადიროდ ჩამოდი ხოლმე. თუმცა შენ არ გიყვარს ნადირობა, მაგრამ შესაძლოა შენმა ბავშვებმა შეიქციონ თავი...

რაც მეტ უმადურობას გამოვხატავდი დედაჩემის მიმართ, იმდენად უსაზღვრო იყო მისი სიყვარული ჩემდამი. მე ვაგდებდი თავის საბუდარიდან, ის კი მორჩილად. უხმოდ იცვლიდა ადგილს. იგი კმაყოფილი იყო ყურადღების იმ უმნიშვნელო ნამცეცებითაც, რასაც ოდესმე გადავუყრიდი ხოლმე და მზად იყო ყველაფერს შეგუებოდა. ამის შემდეგ ერთ საღამოს მკითხე:

— რა დაემართა დედათქვენს, ავად ხომ არ არის?

მეორე დღეს დედაჩემმა მოიკეთა და თავისი ჩვეული გამომეტყველება დაუბრუნდა. მამაშენი თავისი უფროსი ქალით და სიძითურთ ბორდოდან ჩამოვიდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავაგებინეთ ჩვენი დანიშვნის ამბავი. რა ზიზღით მათვალიერებდნენ! თითქოს მესმოდა ერთმანეთს როგორ ეუბნებოდნენ: „როგორ ფიქრობ, შეიძლება მაგისი „გამოჩენა?!“.. დედამისი მაინც პირდაპირ აუტანელია“... არასოდეს დამავიწყდება ის გაკვირვება, რაც შენმა დამ მარი-ლუიზამ გამოიწვია ჩემში, თქვენ მარინეტს რომ ეძახდით. შენზე ერთი წლით უფროსი იყო და უმცროსს კი ჰგავდა. ისეთი მაღალი იყო, მოღერებული კისერი ჰქონდა, ოქროსფერი მძიმე თმების გრაგნილი და ბავშვური თვალები. მოხუცი ბარონი ფილიპი, რომელსაც იგი მამაშენმა მიათხოვა, ჩემში ზიზღს იწვევდა. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ხშირად მიფიქრია, რა უბედური კაცი იყო-მეთქი. რაოდენ წამებას იტანდა ეს აბუეტი მოხუცი, რომ მის ახალგაზრდა ცოლს არ ეგრძნო მისი სიბერე. კორსეტი ისე მჭიდროდ ჰქონდა შემოჭერილი, რომ სული ეხუთებოდა. ჩამომჭკნარ ლოყებსა და მოფამფალებულ ნიკაპს მაღალი, განიერი, გახამებული საყელო უფარავდა. შეღებილი, მბზინავი ქილვაშებისა და ულვაშების წყალობით უფრო მკაფიოდ უჩანდა იისფერი, მოტეხილი სახის კანი. სანახევროდ არც კი ესმოდა რას ელაპარაკებოდნენ. მუდამ სარკის ძებნაში იყო; გახსოვს ჩვენი სიცილი, როდესაც კი იპოვიდა, ხარბად იყურებოდა შიგ და ასე მუდამ თავის თავის შემოწმებაში იყო. ხელოვნური კბილების გამო არ იღიმებოდა, ამიტომ მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ტუჩები მოკუმული ჰქონოდა. ისიც შევნიშნეთ, რაოდენ დიდი სიფრთხილით იხურავდა ცილინდრს, რომ მეტად უცნაურად დავარცხნილი თმის კულული, წვრილ და დამშრალ მდი-

ნარესავით რომ მიემართებოდა მელოტ თავზე, არ მოვარ-
დნოდა.

მამაშენი მისი ხნისა იყო, მაგრამ მიუხედავად ღიპისა, თეთრი წვერისა და მელოტი თავისა, ქალებს კიდევ მოსწონდათ და შეეძლო მათი მოხიბვლა რაიმე საქმიანი ურთიერთობის დროსაც. მხოლოდ დედაჩემის მიზიდვა ვერაფრით ვერ შეძლო. დედაჩემის ასეთი უხეში მოქცევა შეიძლება ჩემგან მიყენებული წყენის შედეგი იყო. საქორწინო ხელშეკრულების დადებისას იგი ყოველ წვრილმანს ჩხრეკდა და გედავებოდათ, თითქოს აქ საქმე ყიდვა-გაყიდვას, ან საჯარო შეთანხმებას ეხებოდა. მე თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს დედაჩემის მოქმედებით განაწყენებული ვიყავი, სინამდვილეში კი გულში მიხაროდა, რომ დედაჩემი ასე მედგრად იცავდა ჩემს ინტერესებს. და თუ დღეს ჩემი ქონება შენისაგან განცალკევებულია და თქვენ უფლება არა გაქვთ ჩემს ავლადიდებაზე, ამას მხოლოდ დედაჩემის მზრუნველობას უნდა ვუმადლოდე. ის ისე დაჟინებით მოითხოვდა ცოლ-ქმრის ქონების გათავთავებას, თითქოს მე ქალიშვილი ვყოფილიყავი, რომელიც უზნეო დარდიმანდზე თხოვდებოდა.

რადგან ჩემი საცოლის მშობლებმა ამ მოთხოვნაზე უარი არა თქვეს, დავრწმუნდი, რომ მაფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ შენს სიყვარულს.

დედაჩემს გაგონებაც არ უნდოდა, რომ შენი მზითვი რენტის სახით გადაეხედათ. ის მოითხოვდა, ნაღდი ანგარიშით ყოფილიყო გასწორებული. „თავიანთ სასარგებლოდ მაგალითისათვის ბატონი ფილიპო ჰყავთ, — ასე მეუბნებოდა დედაჩემი, — შეხეთ, მთლად უკაპეიკოდ წაიყვანა ჩვენი უფროსი ქალიშვილიო. ვითომ რატომაც არ უნდა წაეყვანა, ის ბებრუხუნა იმი-

თიც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ ისეთი მშვენიერი ყმაწვილი ქალი გააყოლეს. საბრალო გოგონა! ჩვენი საქმე კი სულ სხვაა. ალბათ ეგონათ, მათთან დამოყვრება ჭკუას დამიბნევდა. ჯერ კიდევ არ იციან, ვინა ვარ“...

ჩვენ კი თავი უცოდველი „მტრედებივით“ გვეჭირა. თითქოს ეს ვაჭრული ანგარიში სულაც არ გვაინტერესებდა. შენ გწამდა და იმედი გქონდა მამაშენის ფინანსური ნიჭის მოქნილობისა. მე კი დედაჩემს ვენდობოდი. შეიძლება მაშინ ჩვენ, ერთმაც და მეორემაც, ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რარიგ გვიყვარდა ფული...

მაგრამ არა, მე შენს მიმართ უსამართლო ვარ! შენ ფული მხოლოდ ბავშვების სასარგებლოდ გინდოდა. პირიდან ლუკმას გამოიღებდი და შვილებს მისცემდი. მათი გამდიდრების გულისათვის მეც მსხვერპლად გამიღებდი.

მე კი... ვაღიარებ, მე მიყვარს ფული. უნდა გამოგიტყდე, რომ მისი ხილვა მამშვიდებს და მაწყნარებს. მანამდე, სანამ მე ვიქნები ჩემი ქონების ბატონ-პატრონი, თქვენ უძლურნი ხართ რაიმე მოიმოქმედოთ ჩემს წინააღმდეგ. „ჩვენს წლოვანებაში ადამიანს ძლიერ ცოტა სჭირდება.“ ხშირად იცი ასე თქმა. რა შეცდომაა! მოხუცი მხოლოდ მანამდე უნდათ, სანამ ქონება აქვს, როგორც კი სიმდიდრე შემოელევა, უსარგებლო ნივთივით გაგისვრიან გარეთ. არჩევანი არა გაქვს: ან საბოლოო ბინად მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფარი აირჩიე, ან სიმდიდრე არ გაუშვა ხელიდან. არაერთგზის ყოფილა გლეხების ცხოვრებაში ასეთი მაგალითები, რომ მოხუცის ქონების შეჭმის შემდეგ, საბრალოსათვის შიმშილით ამოუხდიათ სული. ასეთსავე სისაძაგლეს კარგ, ბურჟუაზიულ ოჯახებშიც ჰქონია ადგილი, მხოლოდ ისინი უფრო თავაზიანად და რბილად მოქმედებენ,—

დიახ, მეშინია გაღარიბების. მეჩვენება, რომ ცოტა ოქრო მოვაგროვე. ის თქვენ გხიბლავთ, მე კი მმფარველობს.

საღამოს ლოცვის ჟამიც გადავიდა, მე კი ზარის ხმა არ გამიგია... თუმც არც დაურეკიათ, — დღეს ხომ წითელი პარასკევია. ამ საღამოს ჩვენი ოჯახის მამაკაცები — ვაჟიშვილი და სიძე ავტოთი მოვლენ. მე ჩავალ მათთან სასადილოდ. მინდა დავინახო ისინი, როცა ერთად იქნებიან შეყრილნი, რადგან, როცა ერთად არიან, მათი დამარცხება და დაძლევა უფრო ადვილია, ვიდრე თითოეულისა ცალ-ცალკე.

ურიგო არ იქნება, რომ ამ მონანიებისა და მარხულობის პარასკევ დღეს ყველას დასანახავად კატლეტი შევჭამო. ამით მათ კი არ გავაღიზიანებ, არამედ ასე მსურს ვაჩვენო, რომ ჩემი ნებისყოფა ოდნავადაც არ შესუსტებულა და არ ვაპირებ არავის არაფერი დავუთმო. ის პოზიცია, რაც ორმოცდახუთი წლის განმავლობაში მეკავა, საიდანაც ადგილი ვერ მომაცვლევინე, მაშინვე ფეხქვეშ გამომეცლება, თუნდ ერთხელ მაინც რომ დაგითმო. ჩემი ოჯახის ყველა წევრის წინაშე, როცა დიდმარხვის პარასკევ დღეს ყველანი ლობიოსა და ზეთზე მოხარშულ სადილებს შეჭამენ, მე ხორცის კატლეტს გიახლები იმის ნიშნად, რომ დაგიმტკიცოთ ჩემი უძლეველობა და ვერ ეღირსებით ჩემს გაძარცვას, ვიდრე ცოცხალი ვარ.

თავი მეოთხე

არ შევმცდარვარ. გუშინდელმა ჩემმა გამოჩენამ გეგმები ჩაგიშალათ. მხოლოდ ბავშვების მაგიდა იყო მხიარული, რადგან [illegible] პარასკევს სადილზე შოკოლადსა და კარაქიან პურს

ვაძლევთ ხოლმე. მე ერთიმეორისაგან ვერ ვარჩევ ამ წვრილ-ფეხობას. ჩემს შვილიშვილ იანინას უკვე შვილი ჰყავს, რომელ-მაც ახლახან აიდგა ფეხი. მე ყველას დავანახვე, რა შესანიშნავი მადის პატრონი ვიყავი. ჩემი ამგვარი ცოდვა ბავშვებთან იმით გაამართლე, ავადმყოფი და ხანდაზმულია, კატლეტი უნდა ჭამოსო.

ძლიერ ცუდად მეჩვენა გუბერის ოპტიმიზმი. დარწმუნებულია, რომ ფონდის ბირჟის საქმეები მალე გამოკეთდება. ასეთი იმედით ის ხალხია, ვისთვისაც ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ის კი მაინც ჩემი შვილია. ეს ორმოცი წლის მამაკაცი ჩემი შვილია. ვიცი, მაგრამ არ კი ვგრძნობ. შეუძლებელია, ამგვარ ჭეშმარიტებას პირისპირ უცქირო. ხომ შეიძლება საქმე ცუდად წაუვიდეს? ბანკირი, რომელიც თავის მეანაბრეებს ამგვარ დივიდენდებს აძლევს, ამით სარისკო თამაშს კისრულობს... ხომ შეიძლება, ერთ დღეს ჩვენი ოჯახის პატიოსნება საფრთხეში აღმოჩნდეს... ოჯახის პატიოსნება! არა, ამ კერპის გულისათვისაც მე არ გავიღებ მსხვერპლს. წინასწარ გადაწყვეტილი მაქვს, რა უბედურებაც არ უნდა დამეცეს, წარბს არ შევიხრი. მით უმეტეს, რომ კიდევ არსებობს მოხუცი ფონდოდეჟი, რომელიც ყოველთვის გაუწვდის ხელს, თუ მე უარს ვიტყვი.

რას მოვუშვი პირი, სისულელეებს ვჩმახავ! ეტყობა, არ მინდა გავიხსენო ის ღამე, როდესაც შენ უნებურად ჩვენი ბედნიერება დაანგრიე.

უცნაურია, შენ თითქოს არც კი გაგონდება ის ამბავი, იმ ზაფხულის ღამეს კი, ამ ოთახში, სადაც სიბნელე და სულის შემხუთველი სიცხე სუფევდა, შენმა გულახდილობამ ჩვენი ბედი გადაწყვიტა. შენს მიერ წარმოთქმული ყოველი [illegible]

ერთმანეთს უფრო მეტად გვაშორებდა. შენ კი ვერაფერს ამჩნევდი. ათასგვარი წვრილმანი და უმნიშვნელო ამბავი გახსოვს, ის უბედური შემთხვევა კი შენი მეხსიერებიდან სრულიად წაიშალა. შენ, რომელსაც ასე ღრმად გწამს იმქვეყნიური მარადიული ცხოვრება, იმ ღამეს ჩემი მარადისობის მრწამსი შებღალე და მოსპე. ჩვენმა პირველმა წრფელმა სიყვარულმა მე მგრძნობიარე გამხადა რელიგიისადმი და თაყვანს ვცემდი ღვთაებას, რომელშიც შენ ცხოვრობდი. მე ხომ მიყვარდი და მზად ვიყავი შემეყვარებინა ყოველივე, რითაც შენ სუნთქავდი. გული მიჩუყდებოდა, როდესაც ღამის პერანგიანს გხედავდი, სკოლის მოწაფესავით ხელებს რომ დაიკრეფდი და მუხლს მოიდრეკდი სალოცავად...

ჩვენ იმავე ოთახში ვცხოვრობდით, სადაც ახლა ამ სტრიქონებს ვწერ. ჩვენი საქორწინო მოგზაურობის შემდეგ რატომ დავბრუნდით კალეზში, დედაჩემთან? (მე არ მივეცი ნება კალეზი ჩვენთვის დაეთმო, რადგან საკუთარი ხელით შექმნა და ძალიანაც უყვარდა): მაგონდება, უფრო მოგვიანებით, როცა მინდოდა უფრო მეტად ავმხედრებულიყავი შენს წინააღმდეგ, ისეთ ამბებს ვიხსენებდი, რაც თავდაპირველად არც მახსოვდა, ან თავი მეჭირა ისე, თითქოს ვერა ვხედავდი. პირველად შენმა ოჯახმა ვითომ ვიღაც შორეული ბიძის' სიკვდილის გამო არ იზეიმა ჩვენი შეუღლება. გასაგებია, რცხვენოდათ ისეთი არასასურველი ქორწინების გამო. ბარონი ფილიპო ყველგან ყვებოდა, რომ მის პატარა ცოლის დას ბანიერ დე ლუშონში თავდავიწყებით შეუყვარდა ერთი ახალგაზრდა ვაჟი. თუმცა მშვენიერი გარეგნობისა და კარგი მომავლის მქონეა, ძლიერ მდიდარიც, მაგრამ მდაბიო წარმოშობისაა. „წარმოიდგინეთ, არავითარი ნათესაობა არა ჰყავს!" — ისე ლაპარაკობდა, თით-

ქოს ნაბიჭვარი ვყოფილიყავი, უკანონო. საბოლოოდ კი იმ აზრს გამოხატავდა, რომ ჩემთვის უკეთესიც იყო ასეთი მარტოხელობა, — მდაბიო ნათესავის ყოლას, არყოლა სჯობია, ადამიანს არ შეარცხვენენ მაინცაო. დედაჩემმა — საერთოდ დარბაისელმა მანდილოსანმა,—თავი განზე დაიჭირა. დაბოლოს, თუ დავუჯერებთ მის სიტყვებს, შენ განებივრებული გოგონა იყავი და საითაც მოგინდებოდა, მშობლებს იქით უზამდი თავს.

მე, შენს რჩეულს, მშვენიერი ქონება აღმომაჩნდა და ისეთი ოჯახიც კი შეეგუა ამ ქორწინებას, როგორიც ფონდოდეჟები იყვნენ. მათ ყველაფერ დანარჩენებზე თვალები დახუჭეს.

როდესაც ეს ჭორები გადმომცეს, ამით, რა თქმა უნდა, ახალი არაფერი გავიგე, იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ მიეეცი. უნდა გამოგიტყდე, ჩვენი ქორწინება, რომელიც თითქმის ფარულად მოხდა, მომეწონა კიდეც. განა შეიძლებოდა იმ მშიერთა ხროვაში, სადაც წინამძღვრად ვითვლებოდი, წესიერი მეჯვარე მეშოვა ვინმე? თავმოყვარეობა კი ნებას არ მომცემდა ძველი მტრებისათვის მიმემართა. ახლა ჩემი ბრწყინვალე ქორწინების წყალობით ადვილად შემეძლო მათთან დაახლოვება. ამ აღსარებაში ჩემს თავს ისეთ მუქ ფერებში ვხატავ, რომ უფლება მაქვს მაშინდელი ჩემი ხასიათის ერთ-ერთი კარგი თვისება აღვნიშნო: დამოუკიდებლობა და შეუდრეკელი ნებისყოფა. არასოდეს არავისთან ქედი არ მომიხრია, ჩემი აზრები და იდეები არასოდეს დამითმია. მე სინდისი მქენჯნიდა, რომ ჩვენი ქორწინების გამო რამდენადმე დათმობაზე წავედი. შენს მშობლებს დავპირდი, ხელს არ შეგიშლიდი შენი ეკლესიური წეს-ჩვეულების შესრულების დროს. სამაგიეროდ ფრანკმასონთა წრეში შესვლას ვერავინ

დამაკისრებდა. თუმცა თქვენ სხვა არავითარი მოთხოვნილება აღარ წამოგიყენებიათ ჩემთვის. იმ ხანებში რელიგია ქალების საქმედ ითვლებოდა. შენს წრეში წესად იყო, ქმრის მიერ ცოლის წირვაზე გაცილება. ლუშონში დაგიმტკიცეთ, რომ მე არ გავურბოდი ამ ადათს.

1895 წლის სექტემბერში, როდესაც ვენეციიდან დაბრუნდით, აქაოდა, სენონის აგარაკზე არ დავპატიჟოთო, შენმა მშობლებმა მოიმიზეზეს — ჩვენმა და ბარონ ფილიპოს ნაცნობ-მეგობრებმა იქ მოიყარეს თავი და აღარც ერთი ცარიელი ოთახი აღარ დარჩა თქვენთვისო. მაშინ გადავწყვიტეთ, დროებით დედაჩემთან დავსახლებულიყავით. ჩვენ სრულიადაც არ გვაწუხებდა იმის ფიქრი, რომ მის მიმართ ესოდენ უხეშობას და ეგოიზმს ვიჩენდით. ჩვენ მოწყალებით დავეთანხმეთ გვეცხოვრა მასთან ერთად მანამდე, სანამ მოვინდომებდით.

დედაჩემი ამ ამბით არ აღტაცებულა.

— სახლი თქვენს განკარგულებაშია, — გვითხრა მან, — ვინც გინდათ, ის მიიღეთ. მე ისე მოვიკუნტები, რომ ვერავინ დამინახავს, შემიძლია სულაც გავუჩინარდე. — შემდეგ კი დასძინა: — მთელი დღეები გარეთა ვარ გასული.

მართლაც, უმეტეს დროს ვენახებში, ღვინის სარდაფებსა და საქათმეებში ატარებდა; საქონელს ადევნებდა თვალყურს, მოსარეცხეს სამრეცხაოში მიაკითხავდა... სადილის შემდეგ ცოტა ხნით დასასვენებლად ავიდოდა თავის ოთახში. თუ სასტუმრო ოთახში შემოგვეყრებოდა, ყოველთვის მოკრძალებით მოიხდიდა ბოდიშს. ვიდრე ოთახში შემოვიდოდა, ჯერ დააკაკუნებდა. იძულებული გავხდი, გამეფრთხილებინა, ეს არ არის მიღებული-მეთქი. ისიც კი შემოგვთავაზა, მე თავად ვიკისრებ

ბნეობას და მზარეულის მოვალეობასო, მაგრამ შენ ამაზე უარი უთხარი, რადგან არ გინდოდა ლაგემცირებინა. საერთოდ, კეთილად ექცეოდი. შენი ასეთი ლმობიერების გამო მისი საბრალო, მოკრძალებული გული მადლიერების გრძნობით აღივსო. იმისი შიში, რომ საკუთარ შვილს დააშორებდი, ამაო აღმოჩნდა. მე მასთან ახლა უფრო ალერსიანი ვიყავი, ვიდრე ქორწინებამდე. მას აოცებდა ჩვენი გიჟური სიმხიარულე და კისკისა სიცილი. ნუთუ ეს ბედნიერი მეუღლე ჩემი ვაჟიშვილია, რომელიც წლების განმავლობაში მიუკარებელი და კარჩაკეტილი, ბაიყუშივით ცხოვრებას ეწეოდა? „მაშასადამე, მე ვერ შევძელი მასთან საერთო ენის გამოძებნა... სად მე და სად მისი სწავლა-განათლება. რაც მე უარყოფითი გავლენა მოვახდინე მასზე, ახლა მისი ცოლი ასწორებს ჩემს ცოდვებსო,“ — ფიქრობდა.

მაგონდება, რა აღტაცებული შემოგცქეროდა, როდესაც რომანსებს მღეროდი, ანდა როიალზე მენდელსონის „უსიტყვო რომანსს“ უკრავდი — ყოველთვის ერთსა და იგივე ადგილას რომ გეშლებოდა.

ზოგჯერ შენს სანახავად მეგობარი ქალიშვილები მოვიდოდნენ. შენ კი მათ აფრთხილებდი:

— ახლა ნახავთ ჩემს დედამთილს. ნამდვილი სოფლელი კეთილშობილი ქალია. ახლა ასეთები როდიღა შეგხვდებათ.

შენის აზრით, დედაჩემს თავისებური სტილი ჰქონდა. და დიდი ტაქტის ქალი იყო. მოახლეს ადგილობრივი დიალექტით ელაპარაკებოდა და შენც მოწყალედ შენიშნავდი „მდაბიოებთან“ შესანიშნავად უჭირავს თავიო. შენი თავაზიანობა იქამდეც კი მივიდა, რომ ყველას აჩვენებდი დაგეროტიპს, სადაც აღბეჭდილი იყო დედაჩემი თხუთმეტი წლის ასაკში, თავზე აბრეშუმის მოსახვევით. შენ ძველებური გლეხური ოჯახების სადიდე-

ბილი სიმღერაც კი ისწავლე: „კეთილშობილ აზნაურებზე უფრო კეთილშობილნი“. რა თავმდაბალი იყავი მაშინ! დედოსამ შენში უბრალოება და ადამიანობა გააღვიძა.

... ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც უნდა მოვყვე იმ საღამოს ამბავი. სულშემხუთავი სიცხე იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ღამურებისა გეშინოდა, დარაბები მაინც გახსნილი დავტოვეთ. თუმცა ვიცოდით, რომ ნიავი ცაცხვის ტოტებს კედელს ახეთქებდა, ისე გვეჩვენებოდა, თითქოს ოთახში ვიღაც სუნთქავდა. ხანდახან ქარი ისე ძლიერ ააშრიალებდა ფოთლებს, რომ ფაკისპირული თავსხმა გვეგონა. მთვარის შუქი სვეტებად ეცემოდა იატაკს და მკრთალად ჰფენდა სხივს სკამებზე მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელს. საღამო ჟამს ქოთქოთა მდელომ ჩერჩულიც კი შეწყვიტა და დადუმდა.

— მეძინება... დავიძინოთ! — მითხარი შენ.

მაგრამ დაქანცულებმა ვერც ძილში ვიპოვეთ სიმშვიდე, რადგან უფსკრულიდან ამომავალი ვიღაც რუდოლფის აჩრდილი ჩვენს ირგვლივ დაძრწოდა. როგორც კი ხელებს შემოგვევდი, შენს გულში მისი სახე გამოცოცხლდებოდა. ხოლო როცა შემოხვეულ ხელებს დავუშვებდი, ორივენი მის სიახლოვეს ვგრძნობდით. მე არ მსურდა ტანჯვა, მეშინოდა წამების. თავდაცვის ინსტინქტი გვაიძულებდა ჩვენი ბედნიერება დაგვეცვა. ვიცოდი, რომ ჩაციება, გამოკითხვა არ იყო საჭირო. დაე მისი სახელი ჩვენი ცხოვრების დასაწყისშივე წყლის ბუშტივით გაქრეს. დაე ეძინოს ამ საიდუმლოებას შლამში ჩაფლულს, მდორე წყლების ქვეშ, როგორც დამპალ ლეშს, რომელიც თავის ირგვლივ შხამავს ყოველივეს. მის სინანულზე გამოტანას მე არ შევეცდები, ამიტომ არ ვიღებდი

ხმას. მაგრამ შენ, უბედურო, დარდის გასაქარვებლად გინდოდა შენს გაცრუებულ ვნებაზე ლაპარაკი. საკმარისი იყო ჩემდა უნებურად დამცდენოდა კითხვა: „ბოლოს და ბოლოს ვინ იყო ეს რუდოლფი? რომ მაშინვე მიპასუხე:

— რა თქმა უნდა, დიდი ხანია უნდა მეთქვა შენთვის... დარწმუნებული იყავი, სერიოზული არაფერი ყოფილა... ნუ ღელავ...

სიბნელეში სწრაფად და დაბალი ხმით ალაპარაკდი. თავი აღარ გედო ჩემს მხარზე. ის უმნიშვნელო მანძილი, რაც ჩვენ საწოლზე გაწოლილ სხეულებს აცილებდა, თითქოს გადაულახავ ზღუდედ გადაიქცა.

თურმე რუდოლფი დედით ავსტრიელი ყოფილა, მამით კი — ფრანგი, ჩრდილოეთ დეპარტამენტის მდიდარი ფაბრიკანტი. შენ იგი ბებიასთან მოგზაურობის დროს ეკსში გაიცანი შარშანწინ, ჩვენს ლუშონში შეხვედრამდე. იგი კემბრიჯიდან ჩამოსულა. მისი გარეგნობა არ აგიწერია, მაგრამ ისეთი ლამაზი და მშვენიერი წარმოვიდგინე, რასაც მე მოკლებული ვიყავი. მთვარის შუქი ანათებდა ჩემს გლეხურ, დიდრონ ხელებს და მოკლედ ფრჩხილებდაჭრილ, კუთხოვან თითებს. შენი თქმით, დასაძრახისი არაფერი ჩაგიდენიათ, თუმცა იგი თურმე უფრო თავშეკავებულად იქცეოდა, ვიდრე მე. შენი მოგონება სიტყვასიტყვით არ დამამახსოვრდა. ანდა რაში მჭირდებოდა? განა საქმე ამაშია? დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, შენ ის არ გიყვარდა, მაშინ მეც დავმშვიდდებოდი და ყურადღებას არ მივაქცევდი იმ მეტად ხანმოკლე სასიყვარულო რომანს, რამაც უეცრად შებღალა უცოდველი გოგონა. მაგრამ მაშინვე ჩემს თავს შევეკითხე: „ჯერ ერთი წელიც არ გასულა იმ დიდი სიყვარულის შემდეგ, მაშ როგორ შეძლო ჩემი შეყვარება?“ ამან საშინელი თავზარი დამცა.

„მაშ ყოველივე სიყალბე ყოფილა. მომატყუა. ხსნა არსაიდან არის. როგორ დავიჯერე, რომ შეიძლებოდა ქალიშვილს შივყვარებოდი. ისინი ჩემისთანა მამაკაცებს არ იყვარებენ!“

გათენება მოტანებული იყო, ზეცაზე ვარსკვლავები ისევ ციმციმებდნენ. შაშვმაც გაიღვიძა. ნიავმა ააშრიალა ფოთლები. შეარხია ფარდები, მოფრინდა ჩვენთან და უძილობისაგან დაქანცული თვალები გაგვიგრილა. ყველაფერი ისევე იყო, როგორც ჩემი ბედნიერი ცხოვრების დროს. სულ ამ ათიოდე წუთის წინ მე ბედნიერი ვიყავი. ახლა კი ვამბობ: „ჩემი ბედნიერი ცხოვრების დროს-მეთქი“... მე გკითხე:

— მას არ სურდა შენი შერთვა?

მახსოვს, როგორ აგაღელვა ამ შეკითხვამ. ხმა შეგეცვალა, როცა შენს თავმოყვარეობას შეეხე. რა თქმა უნდა, შევცდი.— პირიქით იყო საქმე, თურმე საამაყოდაც კი ჰქონდა საქმე, რომ ცოლად ფონდოდეჟების გვარის წარმომადგენელს შეირთავდა, მაგრამ მისმა მშობლებმა შეიტყვეს, რომ ორი მოზარდი ძმა ჭლექით დაგეღუპა და, რადგან რუდოლფს თავადაც სუსტი ფილტვები ჰქონდა, მშობლებს ასეთი ქორწინების გაგონებაც არ უნდოდათ.

მე ძლიერ მშვიდად გაძლევდი შეკითხვებს, შენ კი ფიქრადაც არ მოგდიოდა, საკუთარი ხელითვე ანგრევდი პირად ბედნიერებას.

— ხედავ, ძვირფასო, ყოველივე ეს ჩემსა და შენს საბედნიეროდ მოხდა. — მითხარი შენ, — ხომ იცი, რა ამაყი დედამამა მყავს. ცოტა არ იყოს, სასაცილოებიც კი ხდებიან თავიანთი ასეთნაირი სიამპარტავნით. რაც მართალია, ჩვენს ბედნიერებას პირველი ქორწინების ჩაშლას უნდა ვუმადლოდეთ. როგორც იცი, ჩვენს წრეში დიდ ყურადღებას აქცევენ ადამი-

ანის ჯანმრთელობას, თუ საქმე ქორწინებას ეხება. დედაჩემს შეეშინდა, ეგონა, ჩემი სასიყვარულო თავგადასავლის მარცხი მთელმა ქალაქმა იცოდა. იმაზე ფიქრი, რომ აღარავინ მითხოვდა და შინაბერად დავრჩებოდი, მოსვენებას არ აძლევდა. რა საშინელ სიმწარეში გამატარებინა ის რამდენიმე თვე, თითქოს ჩემი დარდი არ მეყოფოდა... ბოლოს და ბოლოს მეცა და მამაჩემიც დაგვარწმუნა, რომ ჩემი გათხოვება შეუძლებელი იყო.

მე თავს ვიკავებდი, ხმას არ ვიღებდი, რომ არაფერი დაგემალა. შენ კი სულ ერთსა და იგივეს იმეორებდი, სწორედ ეს ყოფილა ჩვენი ბედი, ამან დაბადა ჩვენი სიყვარულიო.

— ერთის ნახვითვე შემიყვარდი. ლუშონში გამგზავრებამდე ლურდში შევიარეთ და დიდხანს ვილოცეთ გულმხურვალედ. როცა პირველად შეგხვდი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ღმერთს შეესმინა ჩვენი ვედრება...

ფიქრადაც არ მოგსვლია, როგორ აღმაშფოთა ამ სიტყვებმა. შეიძლება არავინ დაიჯეროს, რომ თქვენი მოწინააღმდეგენი ფარულად უფრო მაღლა აყენებენ რელიგიას, ვიდრე თქვენ, მორწმუნენი. სწორედ ამიტომ სწყინთ მათ, როცა სარწმუნოებას ამგვარი უმსგავსი საქმისთვის მიმართავთ ხოლმე. განა დასაშვებია, რომ ზეციერი მამა უბრალო მიწიერი კეთილდღეობის თხოვნისთვის შეაწუხოთ? მაგრამ მე ამასთან ახლა არაფერი მესაქმება. მთავარი ის არის, რომ შენი სიტყვებიდან აშკარად ჩანდა, შენი მშობლებიცა და შენც ხარბად ჩააფრინდით ვინც პირველი შემოგეფეთათ საქმროდ და გამომიჭირეთ.

მხოლოდ ახლა, ამ წუთში ვიგრძენი რაოდენ უთანასწორო იყო ჩვენი ქორწინება. მაგრამ შენთვის ის აუცილებელი იყო,

რადგან დედაშენი ისეთ მწუხარებას და აღშფოთებას შეეპ-
ყრო, რომ შენ და მამაშენი მისი შთაბეჭდილების ქვეშ მოე-
ქეცით... შენ მითხარი, ბარონი ფილიპო უარყოფით მემუქრე-
ბოდა თუ შენზე გავთხოვდებოდი. დიახ, დიახ ლუშონში ჩვენ
დავცინოდით იმ ბებერ ჩერჩეტს, ის კი თურმე ყოველ ღონეს
ხმარობდა, ჩვენი ნიშნობა ჩაეშალა.

— ჩემო ძვირფასო, ყოველი მისი ცდა უშედეგოდ დამ-
თავრდა, რადგან ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო.

შენ არაერთგზის გაიმეორე, რომ არაფერს ნანობდი. მე
ლაპარაკში ხელს არ გიშლიდი და სუნთქვაშეკრული გის-
მენდი. მარწმუნებდი, რუდოლფთან არ ვიქნებოდი ბედნი-
ერიო. იგი ძლიერ ლამაზი იყო, ის სიამოვნებდა, როცა სხვას
უყვარდა, თვითონ არავის სიყვარულს არ პასუხობდა. იოლად
წაგართმევდა სხვა ქალი. როდესაც მის სახელს წარმოთქვამ-
დი, მკვახე ხმა უნებურად გირბილდებოდა, გითრთოდა და
ღუღუნა გიხდებოდა, თითქოს დიდხანს დაგროვილმა ფა-
რულმა სიყვარულმა ახლა ნახა გზა და გულის სიღრმიდან
უეცრად ამოხეთქაო.

მასთან შენ არ იქნებოდი ბედნიერი, რადგან ლამაზ და
მშვენიერ ქალებში დიდი წარმატებით სარგებლობდა. ეს იმას
ნიშნავდა, რომ ჩემი შეუხედავი გარეგნობისა და გულჩათხ-
რობილი, მიუკარებელი ხასიათის გამო, ბედნიერი და მშვიდი
ცხოვრება გელოდა. შენ ამბობდი, რუდოლფს კემბრიჯში
მოსწავლე სხვა ახალგაზრდა დარდიმანდებივით აუტანელ
ჩვევები ჰქონდა ინგლისელებისგან გადაღებულიო. დაუჯერე-
ბელია, რომ ქმრად ისეთი კაცი აირჩიე, რომელმაც არ იცის
საკოსტუმე ნაჭრის ამორჩევა, ვერ გაისკვნის ჰალსტუხს, არ
მისდევს სპორტს, არაა შეჩვეული ბრწყინვალე საზოგადო-

ების ჩვევებს, არა აქვს მოხერხება თავიდან აიცდინოს სერიოზული ლაპარაკი, აღსარება და გულისნადების გამომ-ეღავნება, არ იცის დახვეწილი და მხიარული ცხოვრების გემო.

სწორედ იმ წელიწადს დედაშენმა უკვე კლიმაქსის ასაკს მიაღწია. საშინლად განერვიულებული და აღგზნებული იყო შენი ამბებით, რადგან თავის თავს შთააგონა, რომ ველარ გათხოვდებოდი. ამიტომ მე ვიყავი ის უბედური პირველი შემხვედრი, რომელიც მაშინვე მახეში გააბით. დედაშენმა ისე დაგტანჯა და გაგაწამა, რომ უკვე აღარ შეგეძლო თუნდაც რამდენიმე თვე გაჩერებულიყავი მასთან. სამაგიეროდ მე ფუ-ლიანი ვიყავი და თქვენი წრის თვალსაზრისით ჩვენი ქორ-წინება სავსებით გამართლებული იქნებოდა.

მე ვცდილობდი დაძაბული სუნთქვა შემეკავებინა. ეჭი-მავდი მუშტებს და სიმწრისაგან ტუჩებს ვიკვნეტდი. ახლა, როდესაც ჩემი საკუთარი თავისადმი სიძულვილი ისე მო-მივლის, რომ მეზარება ჩემივე სხეული და სული, მაგონდება 1885 წელი, როდესაც საბრალო ახალგაზრდა, ოცდასამი წლის ქმარი ორივე ხელს მკერდზე იდებდა და გამწა-რებული ცდილობდა გულში ჩაეხშო თავისი ნორჩი სიყ-ვარული.

მე მთლად ვკანკალებდი. შენ ეს შენიშნე, შეწყვიტე აღსარება და მკითხე:

— გცივა, ლუი?

გიპასუხე, ცოტა მაჟრჟოლებს, არაფერია, მალე გამივ-ლის-მეთქი.

— იქნებ ეჭვიანობ! ეს ხომ სისულელე იქნებოდა...

მე არ ვიცრუე, როცა დავიფიცე, ჩემში იოტისოდენა

ეჭვიანობაც არ არის-მეთქი. მაგრამ [illegible] ძლო გაგეგო, რომ ჩემს უბედურებას ეჭვიანობ[illegible] [illegible] კავშირი არა ჰქონდა?

შენ ვერ მიხვედრილიყავი, ეჭვიც კი არ აგიღია, [illegible] ღრმა ჭრილობა მომაყენე. თუმცა ჩემმა სიჩუმემ შეგაშიშ[illegible]. სიბნელეში ხელით მოძებნე ჩემი შუბლი, შემდეგ სახეზე მო-მეფერე. არა, ჩემი სახე არ იყო ცრემლით მონამული. შენმა ხელმა ალბათ ვერ იცნო ახლა გაქვავებული და კრიჭაშეკრუ-ლი ჩემი ჩვეულებრივი სახე. ისე შეშინდი, რომ გინდოდა სანთელი აგენთო, ამიტომ ჩემზე დაყრდნობილმა დიდხანს ეძებე ასანთი. სული მეხუთებოდა, როდესაც ვგრძნობდი შენი წყეული სხეულის შეხებას.

— რა დაგემართა? თქვი რაიმე, შენი სიჩუმე მაშინებს.

მე ვითომ გავიკვირვე შენი სიტყვები და დაგარწმუნე, რომ ტყუილად წუხდებოდი.

— ოჰ, შე სულელო, ჩემო ძვირფასო, როგორ შემაშინე! სანთელს ვაქრობ, დავიძინოთ!

მეტი აღარაფერი გითქვამს. ვუცქეროდი, როგორ თენ-დებოდა, როგორ იწყებოდა ჩემი ცხოვრების ახალი დილა. კრამიტით გადახურულ სახლის სახურავზე მერცხლები ჭიკ-ჭიკებდნენ. ვიღაც კაცი ხის ქოშების ბაკუნით ეზოში მიდი-ოდა. თუმცა ამის შემდეგ ორმოცდა ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც ნათლად მესმის რაც მაშინ შემომესმა: მამ-ლების ყივილი, სამრეკლოს ზარების რეკვა, ხიდზე მიმავალი სატვირთო მატარებლის გუგუნი. ახლაც მიღიზიანებს ყროს-ვას ბოლის სუნი, რაც მაშინ შევისუნთქე: ზღვის სანაპი-როზე, სადაც გამხმარ კვრინჩხასა და ბალახს სწვავდნენ, ნიავს

ფანჯარაში შეეოჰქონდა ბოლის სასიამოვნო სურნელება. მე უეცრად წაძოვიწიე.

— ეს, გახსოვს, იმ საღამოს, როდესაც ზემო ბანი-ერის სკამზე ვისხედით, შენ ტიროდი, იმას ხომ არ იგონებდი?

რადგანაც არაფერი მიპასუხე, მკლავში ჩაგავლე ხელი. პირუტყვივით დაიღმუვლე და გამომგლიჯე. შემდეგ გვერდი იცვალე. შენ გეძინა, გრძელი თმები ტალღებივით გეფინა. გარიჟრაჟის სიგრილით შეციებული მობუზულიყავი, როგორც ახალგაზრდა ცხოველებმა იციან და სხეულზე დასრესილი ზეწარი წაგეფარებინა. რიღასთვის გამეფრთხო შენი ბავ-შვური ძილი? ყოველიეე, რაც მინდოდა გამეგო, განა უკვე არ ვიცოდი?

მე უხმოდ ავდექი, ფეხშიშველი მივედი სარკიან კარა-დამდე, დიდხანს ვუყურე ჩემს გამოსახულებას, თითქოს შევიცვალე და ისევ პირვანდელი სახე მივიღე. ადამიანისა, რომელიც არავის არ უყვარს და ვისი დარდიც ქვეყანაზე არავის არა აქვს. დამენანა ჩემი ახალგაზრდობა. მოუპარსავ ლოყაზე, სადაც უკვე უხეში, მოწითალო ფერის წვერს თავი ამოეყო, ჩემი დიდი, გლეხური ხელი გადავისვი.

ჩუმად ჩავიცვი და ბაღში დავეშვი. დედაჩემი ვარდების ხეივანში იყო. იგი ყოველთვის მოახლეებზე ადრე დგებოდა, რომ ოთახებში ჰაერი გაეწმინდა. მან მითხრა:

— რაო, გასაგრილებლად გამოხვედი?

დამანახვა დაბლობი, რომელიც ნისლს დაეფარა და დაუ-მატა:

— დღეს პაპანაქება იქნება. რვა საათზე ყველა დარაბას დავკეტავ...

ჩვეულებრივზე უფრო ნაზად გადავეხვიე. მან დაბალი ხმით მითხრა:

— ჩემო ძვირფასო...

ჩემი გული (უთუოდ გიკვირს, რომ ჩემს გულზე ვლაპარაკობ) მწუხარებისაგან ლამის შუაზე გაპობილიყო. მწარედ სათქმელი სიტყვები პირზე მადგებოდა. მაგრამ თავს ვიკავებდი... საიდან და როგორ დავიწყო? გამიგებს დედა? მდუმარება ჩემთვის ის სასურველი ნავთსაყუდელია, სადაც თავს ვაფარებ ხოლმე.

მე ტერასისკენ დავეშვი. ვაზებზე მკრთალად მოჩანდა ხილის ხეების ნაზი გამოსახულებანი. გორაკები თითქოს მხრებით ეწეოდნენ ნისლს და შუა-შუა აპობდნენ. ცოცხალ არსებასავით აღიმართა ჯერ სამრეკლო, შემდეგ ეკლესია. შენ კი გეგონა, ასეთი რამეები არ მესმოდა. იმ წუთში ვიგრძენი, რომ ადამიანმა, რომელსაც ცხოვრება გაუცრუვდება, საჭიროა მოძებნოს მიზეზი ამ მარცხისა. ჩვენი ბედისწერის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი გულებია. იგი ზეგარდმოვლენილია ფარული სახით და ჩვენ უნდა გამოვიცნოთ. ზოგჯერ შემწევდა უნარი ჩავწვდომოდი ამ საიდუმლოებათა არსს. ამას კი შეეძლო ჩემი და შენი დაახლოვება. თუმცა იმ დილას ჩემმა მღელვარებამ მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა. ახლაც ნათლად მახსოვს შინ დაბრუნება. ჯერ რვა საათიც არ იყო და მზე სულის შემხუთველად აჭერდა. შენ ფანჯარასთან თავდახრილი იჯექი. ცალ ხელში ჩამოშლილი თმები გეკავა, მეორეთი ივარცხნიდი. მე ვერ მხედავდი. ცოტა ხანს შევჩერდი და სიძულვილით აღსავსემ დაგიწყე ცქერა. მას შემდეგ თუმცა მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ ახლაც ვგრძნობ იმ სიძულვილის მწარე გემოს.

ჩემს სამუშაო ოთახში გავიქეცი. გასაღებით დაკეტილი უჯრა გამოვხსენი. ამოვიღე დასრესილი ცხვირსახოცი, რომლითაც იმ საღამოს ზემო ბანიერში მე საცოდავმა სულელმა ცრემლები შეგწმინდე და შემდეგ მკერდში ჩავიკარი. ავიღე, გამოვაბი ქვას, როგორც ძაღლს, რომელიც მინდოდა დამეხრჩო და ტბორში გადავისროლე, ჩვენში „წუმპეს“ რომ უძახიან.

თავი მეხუთე

მას შემდეგ დაიწყო ახალი, უდიდესი სიჩუმის ერა, და აგერ, ორმოცი წელია გრძელდება. შინაგან ნგრევას გარეგნულად არაფერი დასტყობია, თითქოს ყველაფერი ისევე მიმდინარეობდა, როგორც ჩემი ბედნიერების დროს. ჩვენ ისევე განვაგრძობდით ხორციელ კავშირს, თუმცა ალერსის წუთებში რუდოლფის აჩრდილი აღარ გვეელინებოდა. შენც აღარ წარმოთქვამდი მის სახიფათო სახელს. იგი შენი მოწოდებით მოგვევლინა, ერთხანს იბორიალა ჩვენი სარეცელის ირგვლივ და თავისი საქმე შეასრულა. ცოლ-ქმრული ბედნიერება დაარღვია. ამის შემდეგ საჭირო იყო იდუმალი რღვევის შედეგად გამოწვეული ამბების ჩუმად თვალყურის დევნება.

შეიძლება უთუოდ გრძნობდი კიდევაც, რომ ეს ჩემთვის არ უნდა გეთქვა. მაგრამ რა იცოდი, თუ შენი აღსარება ასეთ ცუდ შედეგს გამოიღებდა! სამაგიეროდ ჭკვიანურად მომეჩვენა ჩვენი საუბრის დროს მისი სახელის ხმარებიდან ამოღება: არ ვიცი, შეამჩნიე თუ არა, რომ ღამღამობით კვლავინ-

დებურად აღარ ვჩურჩულებდით. დასრულდა ჩვენი დაუსთავრებელი მუსაიფი. ლაპარაკის დროს ახლა ყოველ სიტყვას წინასწარ მოფიქრებულად ვამბობდით. ორივენი დაძაბულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით.

ტანჯვა და მწუხარება შუაღამისას მაღვიძებდა. ვფიქრობდი: „ახლა მელიასავით ხაფანგში ვარ მომწყვდეული-მეთქი.“ გონების თვალით წარმოდგენილი მქონდა ის დიალოგი, რომელიც ჩვენს შორის გაიმართებოდა, როცა უხეშად ჩაგავლებდი ხელს და საწოლიდან გადმოგისვრიდი. შენ კი შეჰყვირებდი: „არა, არ მომიტყუებიხარ, გეფიცები, ნამდვილად შემიყვარდი!..“

დიახ, იმიტომ, რომ ჩემს იქით არჩევანი არა გქონდა. მერე, რა ადვილია დაარწმუნო შენი წყვილი, რომ გაგიყვანია, — საკმარისია მხოლოდ ყალბი მგრძნობიარობა გამოიჩინო, თუმცა ამას სრულიად არაფერი ფასი არა აქვს. მე სრულებითაც არ გახლავარ საზარელი. იმ ქალიშვილს, ვინც ჭეშმარიტად შემიყვარდება, ყველაფერს შევუსრულებდი, რასაც მოისურვებდა.

ზოგჯერ სიბნელეში მწუხარებისაგან ვკვნესოდი, მაგრამ შენ არ იღვიძებდი.

შენი პირველი ფეხმძიმობის გამო ყოველგვარი ახსნა-განმარტება ზედმეტი აღმოჩნდა. ჩვენი დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. შენი ფეხმძიმობა რთვლის დაწყებამდე შევიტყვე. მუცელი მოგეშალა და რამდენიმე კვირა ლოგინში იწექი. გაზაფხულზე ისევ დაორსულდი. ხელი უნდა შემეწყო, მეზრუნა. დაიწყო გაჭიანურებული წლები, — დაორსულდებოდი, მოიმშობიარებდი, იავადმყოფებდი. კარგი მიზეზი მქონდა შორს დამეჭირა თავი. ყველასგან მალულად დავიწყე

გარყვნილი ცხოვრება. მე, როგორც დამცველს, ხშირად მიხდებოდა სასამართლოში გამოსვლა. როგორც დედაჩემმა იცოდა თქმა: „საქმეები აქვსო“. სწორედ იმიტომ ჩემს სახელს ჩირქი არ უნდა მოსცხებოდა. ამგვარი სასიყვარულო თავგადასავლებისათვის განსაზღვრული დრო და საათები მქონდა გამოყოფილი. ეს ჩვეულებად მექცა. პროვინციის ქალაქში მცხოვრებ ადამიანს, რომელიც აღვირახსნილ, მსუბუქ ცხოვრებას ეწევა, მსგავსად გარეული ნადირისა, რომელსაც კვალდაკვალ მისდევენ, თავდაცვის ეშმაკური ინსტინქტი უმუშავდება. იზა, დარწმუნდი, სულაც არ ვაპირებ გული გაგიხეთქო. ნუ გეშინია, არ დაგიხატავ ჯოჯოხეთის იმ ბინძურ სურათებს, სადაც თითქმის ყოველ დღე ვისვრებოდი. ჯოჯოხეთისას, საიდანაც ოდესღაც ამომიყვანე და ისევ შენ შემაგდე.

გინდ ასე ფრთხილად არ მემოქმედა, შენ მაინც ვერაფერს დაინახავდი. გუბერის დაბადებისთანავე გამოამეღავნე ნამდვილი ბუნება. შენ იყავი დედა, მხოლოდ დედა და სხვა არაფერი. სულ აღარ გაგონდებოდი, ყურადღებას არ მაქცევდი, ვერც კი მამჩნევდი. სწორედ რომ ვთქვათ, „მზე და მთვარე ბავშვებზე ამოგდიოდა.“ მე შევასრულე ის, რასაც ჩემგან ელოდი. დედა გაგხადე.

ვიდრე ბავშვები უსუსური მატლები იყვნენ, ყურადღებას არ ვაქცევდი. ამიტომ ჩვენს შორის უთანხმოებას ადგილი არა ჰქონია. ერთმანეთს განსაზღვრულ საათებში ცოლ-ქმრული რიტუალისთვის ვხვდებოდით, ასეთ დროს ხომ მამაკაცი და ქალი სულიერად უსაზღვროდ შორს არიან ერთიმეორისაგან.

შენ ჩემი არსებობა მხოლოდ მაშინ შეამჩნიე, როდესაც

ბავშვებს შევეხე. მაშინვე შემიძულე, როდესაც მათზე ჩემი უფლება გამოვაცხადე. ახლა კი უნდა გამოგიტყდე, არავითარი მამობრივი გრძნობები არ მქონია მათ მიმართ. მე მშურდა ის ძლიერი სიყვარული, რაც შენში ბავშვებმა აღძრეს. დიახ, ვეძებდი მიზეზს, რომ ისინი შენთვის ჩამომეშორებინა და ამით დამესაჯე. მინდოდა ჩემი ღრმა მოსაზრებებით დამერწმუნებინე, რომ პირველადი მოვალეობის გრძნობაა. მე არა მსურდა ღვთისმოსავ, ფარისეველ დედაკაცს არასწორი აღზრდით ჩემი ბავშვების გონება დაემახინჯებინა. ასეთი იყო ის მოსაზრება, რასაც ვიცავდი. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა იყო.

დავასრულებ თუ არა ოდესმე ჩემს ამბავს? ეს შენთვის მქონდა გამიზნული, ახლა კი მგონია, არ გეყოფა ნებისყოფა და სურვილი ბოლომდე წაიკითხო. კაცმა რომ თქვას, ამას ჩემთვის ვწერ. მე ხომ მოხუცი ვექილი ვარ, და აი, წესრიგში მომყავს ჩემი უსიხარულოდ ჩავლილი ცხოვრების ფურცლები და წაგებული პროცესის საქმეები.

კვლავ რეკავენ ზარები... ხვალ აღდგომაა. მე დაგპირდი, რომ ამ წმინდა დღის პატივსაცემად დროს თქვენთან გავატარებ. „ბავშვები ჩივიან, ვერა ვხედავთო“ — მითხარი. ამ დილით ჩვენი ქალიშვილი ჟენევიევა ჩემს საწოლთან ატუზულიყო. გარეთ გახვედი და მე და ჩემი ქალიშვილი მარტო დაგვტოვე. რაღაც უნდოდა ეთხოვა. წეღან დერეფანში თქვენი ჩურჩული შემომესმა. „უმჯობესია, პირველმა შენ დაუწყო ლაპარაკიო“, — ეუბნებოდი ჟენევიევას. მივხვდი, საქმე ჟენევიევას სიძეს ეხებოდა, ყალთაბანდ ფილის. მე ფალიან ყოჩაღად მოვიქეცი, საკითხი ისე შევატრიალე, რომ თხოვნის საშუალება არ მივეცი. ჟენევიევა პირში ჩალაგამოვ-

ლებული გაბრუნდა უკან. ვიცი, რაც უნდა. ამასწინათ [illegible] ლაფერი შევიტყვე: როდესაც სასტუმრო ოთახის ფანჯრები ღიაა, საკმარისია ჩემი ოთახის ფანჯრიდან ოდნავ გადაიხ[illegible], ყველაფერს მოისმენ. მათ უნდათ ფილის დიდი თანხა ვალ[illegible]ხო, რომ წინასწარ შეიტანოს ბირჟაზე, რათა მეოთხ[illegible] ნაწილით ბირჟის მაკლერების თანამონაწილე გახდეს. თავ[illegible]სუფლად შეიძლება ფულის დაბანდება, რადგანაც საქმე სა[illegible]მედოა. მე ფრთხილად ვარ, ქარიშხალის მოახლოებ[illegible] ვგრძნობ. ისიც ვიყნოსე, რომ ბირჟაზე აქციების ფასი დაც[illegible]ცემოდა, რომ იცოდნენ გასულ თვეში რამდენი აქცია გაც[illegible]დე!..

ყველანი მწუხრის ლოცვაზე წავიდნენ. აღდგომის მიზეზი[illegible] მთელი სახლი და მინდვრები დაცარიელდა. მე, მოხუცი ფაუ[illegible]ტი, მარტო დავრჩი, მკაცრი და ულმობელი სიბერისაგან ყო[illegible]ველგვარ ამქვეყნიურ სიხარულს მოწყვეტილი.

მათ არ იციან, რა არის სიბერე. საუზმის დროს, როდესაც საუბარი ბირჟას და სავაჭრო საქმეებს ეხებოდა, ხარბად იჭერ[illegible]დნენ ყოველ ჩემს სიტყვას. განსაკუთრებით გუბერის საყ[illegible]რადღებოდ ვლაპარაკობდი. სანამ დროა, ჭკვიანურად უნდ[illegible] იმოქმედოს. გუბერი შეწუხებული მისმენდა. მას არ შეუძლია უსიამოვნება დამალოს. სწრაფად ათავებდა საჭმელს, ისე გულ[illegible]მოდგინედ რომ ულაგებდი თეფშზე. საბრალონი არიან დედ[illegible]ბი, როცა ხედავენ, რომ მათ შვილებს რაღაც დარდი აწუხებ[illegible]. დედები მათ აიძულებენ ჭამონ საჭმელი, თითქოს ამით ძალ-ღონე მოემატებათ და დაბრკოლებას ადვილად გადალახ[illegible]ვენ. გუბერი კი ისე უხეშად გელაპარაკებოდა, როგორც ოდეს[illegible]ღაც მე დედაჩემს.

ფილი კი, ჩემი შვილიშვილის ქმარი, პატივისცემით მისხამდა ჭიქაში ღვინოს. პატარა იანინასაც უნდოდა ჩემდამი მზრუნველობა გამოეჩინა.

— პაპა, გეთაყვა, ხომ იცით, რომ თუთუნი გვნებთ. თქვენთვის ერთი პაპიროსიც კი არ შეიძლება. დარწმუნებული ხართ, რომ ამ ყავას კოფეინი არა აქვს?

საბრალო გოგონა ძლიერ ცუდად თამაშობდა თავის როლს. მისი ხმა ამჟღავნებდა მისი ყოველი სიტყვის სიყალბეს. ახალგაზრდობაში შენც ისეთივე მოჩვენებითი და ხელოვნური იყავი. მაგრამ პირველი ფეხმძიმობისთანავე ბუნებრივი გახდი. იანინა სიკვდილამდე ქარაფშუტა დარჩება. მისი საქმეა ახალი ამბების შეტყობა, მოდების აყოლა, სხვისი აზრების გამეორება, რაც დახვეწილობის მწვერვალად ეჩვენება. ყველაფერზე სხვისი შეხედულების გამოთქმა, რამეთუ საკუთარი აზრი არ გააჩნია. ამ ქვეყანაზე მართლაც არაფერი გაეგება-რა. ვერ წარმომიდგენია, ყალთაბანდი, მაწანწალა ფილი როგორ ცხოვრობს ასეთ სულელ არსებასთან. უნდა ითქვას, რომ მასში ყველაფერი ყალბია, გარდა იმ ვნებიანი სიყვარულისა, რასაც იგი ლამაზი ფილისადმი განიცდის. სწორედ ამიტომ თამაშობს იანინა თავის როლს ცუდად, რადგან ფილის სიყვარულის გარდა, მისთვის არაფერი არ არსებობს.

საუზმის შემდეგ ჩვენ სახლის წინ გავედით დასაჯღომად. ჟენევიევამ შენკენ მოიხედა. შენ შეუმჩნეველად თავი გაიქნიე და ანიშნე, რომ აქ ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მაშინ ჟენევიევა წამოდგა და მკითხა:

— მამა, გინდა გავისეირნოთ?

ყველას როგორ გეშინიათ ჩემი! თუმც დავიფიცე, რაც არ უნდა მოხდეს, ადგილიდან არ დავიძრა-მეთქი, მაგრამ ჟენევი-

ევა შემეცოდა, წამოვდექი და ხელი მოვკიდე. ჩვენ ბდელოზე გავიარეთ. ვერანდიდან ყველა თვალს გვადევნებდა. ჟენევიევამ მაშინვე დაიწყო:

— მინდა ფილიზე მოგელაპარაკო...

იგი ერთიანად თრთოდა. საშინელია, როცა შვილებს მშობლისა ეშინიათ. განა შეიძლება, სამოცდარვა წლის ადამიანმა მოიხსნას სიმკაცრის გამომსახველი ნიღაბი, რასაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა? ამ წლოვანებაში ძნელია სახის გამომეტყველების შეცვლა. გული დამწუხრებულია, რომ არ ძალუძს თავისი გრძნობების სინათლეზე გამოტანა...

ჟენევიევა სხაპასხუპით მელაპარაკებოდა იმას, რაც წინასწარ განეზრახა სათქმელად, რა თქმა უნდა, საქმე ეხებოდა ბირჟაზე ფულის შეტანას. რამდენადაც მეტად ამტკიცებდა თავის მოსაზრებებს, იმდენად მეტად ვღიზიანდებოდი. მისი თქმით, ფილის უქნარობა მისი ოჯახის მომავალს საფრთხეს უქმნიდა. ფილი თანდათან წესიერ გზას უხვევსო. მე ვუპასუხე, ისეთი ყმაწვილი კაცისთვის, როგორიც ფილია, ფულის შეტანა ბირჟის მაკლერის თანამდებობისათვის მხოლოდ მისი სისაძაგლის დასამალავი ფარდა იქნებოდა. მაშინ ჟენევიევამ დაიწყო ფილის დაცვა. ფილი ხომ ყველას უყვარსო.

— შენ უფრო მკაცრად სჯი ფილის, ვიდრე იანინა, — მითხრა ჟენევიევამ.

მე ვუპასუხე, არც გასამართლებას ვაპირებ და არც დასჯას-მეთქი. იმ კაცის სასიყვარულო თავგადასავლები მე სრულიადაც არ მაინტერესებდა.

— განა მე მას ვაინტერესებ? მე რაღად უნდა შევწუხდე მისთვის?

— ის დიდ პატივს გცემს.

ასეთმა უსირცხვილო ტყუილმა ამომანთხევინა ის, რაც გულში მედო.

— ალბათ აღტაცებისგან მოსდის ისიც, რომ „ბებერ ნიანგს“ მეძახის. ნუ უარყოფ, ეს მრავალჯერ მსმენია ზურგს უკან. დიახ, იგი არ ცდება. ნიანგი ვარ და ნიანგად დავრჩები. რას მოელით „ბებერი ნიანგისაგან?“ მხოლოდ სიკვდილს. — შემდეგ წინდაუხედავად დავუმატე: — თვით ჩემმა სიკვდილმაც კი შეიძლება რაიმე საშინელება შეგამთხეიოთ (ძლიერ ვნანობ, რომ ეს ვთქვი, რადგან ამის შემდეგ უფრო ფრთხილად იქნებიან).

შეშინებული ჟენევიევა უარობდა, მეწინააღმდეგებოდა, ეგონა, დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი ფილის მიერ შერქმეულ მეტსახელს. მე ეს სახელი კი არ მწყინდა, არამედ ჩემი ახალგაზრდობა მიკლავდა გულს. რას წარმოიდგენდა, რომ ყველასგან მოძულებულს და იმედგაცრუებულ მოხუცს შურდა ამ ყალთაბანდის უდარდელი ახალგაზრდობა, ვინც მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობდა, მე ეს ნახევარი საუკუნის მანძილზე არც ერთხელ არა მღირსებია. მე სასტიკად მძულან და მეზიზღებიან ახალგაზრდები. ფილი კი სხვებზე უფრო მეტად მეჯავრება. სიმდიდრის სურნელებით მოხიბლული, იგი წუწკი კატასავით გადმოძვრა ფანჯრიდან და თავისი ხავერდოვანი თათებით ჩუმად შემოიპარა ჩემს სახლში. თუმც ჩემს შვილიშვილს არა ჰქონდა დიდი მზითვი, სამაგიეროდ ჰქონდა „იმედი“. ჩვენი შვილები, რათა მიაღწიონ მიზანს და ხელში ჩაიგდონ „იმედი“, მზად არიან ჩვენს გვამებზე გადაიარონ.

რადგან ჟენევიევა სლუკუნებდა და ცრემლებს იწმენდდა, მე შემპარავი ხმით ვუთხარი:

— ბოლოს და ბოლოს შენ გყავს ქმარი, რომელიც რომით ვაჭრობს. ხომ შეუძლია ალფრედს თავის სიძეს შეუქმნას პირობები. მე რატომ უნდა ვიყო თქვენი საქმისადმი დიდსულოვანი, ვიდრე თქვენ თვითონა ხართ?

ჟენევიევა ზიზღითა და სიძულვილით მოჰყვა ალფრედზე მსჯელობას. მისი თქმით, მისი ქმარი მეტად მშიშარა ადამიანია, ყოველ დღე ამცირებს სავაჭრო საქმეების ბრუნვას. მისი ფირმა ისეთი მნიშვნელოვანი იყო და ახლა იქ აღარაფერი საქმე არა აქვს ორ დირექტორს გასაკეთებელიო.

მე მივულოცე ჟენევიევას, რომ ასეთი თვისების ქმარი ჰყავს. როდესაც ქარიშხალი ახლოვდება, საჭიროა აფრების დაშვება. მომავალი მას ეკუთვნის, ვისაც ალფრედივით მიჰყავს თავისი საქმე. დღევანდელ პირობებში ფართო გაქანებით საქმეების წაყვანა არ არის მიზანშეწონილი. ჟენევიევას ეგონა, დავცინოდი, მაგრამ სინამდვილეში ასეთია ჩემი რწმენა. ამიტომ არის, რომ ფულს დაკეტილში ვინახავ და შემნახველ სალაროსაც კი არ ვენდობი.

ჩვენ სახლისკენ დავბრუნდით. ჟენევიევა სიტყვის თქმასაც კი ვერ ბედავდა. მე აღარ ვეყრდნობოდი მის მკლავს. ოჯახის წევრები ჩამწკრივებულიყავით და ისე გვიცქეროდით. ალბათ უკვე მიხვდით, რომ ჩვენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. როგორც ჩანდა, ჩვენმა დაბრუნებამ შეწყვიტა კამათი გუბერისა და ჟენევიევას ოჯახებს შორის. ოჰ, რა გააფთრებული შეტაკება მოგიხდებათ ჩემი სიმდიდრის განაწილებაში, თუ ოდესმე თქვენ გადმოგცემთ. მხოლოდ ფილი იდგა ფეხზე. ქარი უწეწავდა ყალყზე შემდგარ ქოჩორს. მას მოკლესახელოებიანი, საყელოგადახსნილი პერანგი ეცვა. მე მძულან ახლანდელი ვაჟები, რომელნიც ახოვან ქალიშვილებსა ჰგვანან. როცა

იანინას სულელურ კითხვაზე: „როგორ ისაუბრეთ?“ მე ალერსიანად მივუგე: „ჰო, ჩვენ ბებერ ნიანგზე ვისაუბრეთ“-მეთქი“, ფილის ბავშვურ ლოყებზე ალმურმა გადაჰკრა...

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, ფილი იმიტომ კი არა მძულს, რომ შეურაცხყოფა მომაყენა, არამედ იმიტომ, რომ მან არ იცის, რა არის სიბერე. ვერავინ წარმოიდგენს იმ წამებას, რასაც მე განვიცდი. ცხოვრებას ჩემთვის არც არაფერი უღირსებია და არც სიკვდილისგან ველი რასმეს. დაე, თუნდ ნუ იქნება იმქვეყნიური ცხოვრება, მისი არსებობის საიდუმლოებას არასოდეს ფარდა არ აეხდება. მაგრამ, იზა, შენ ხომ ის ტანჯვა არასოდეს განგიცდია, რაც მე განვიცადე. ჩვენი შვილები შენს სიკვდილს არ უცდიან. მათ თავისებურად უყვარხართ, გეთაყვანებიან. უყოყმანოდ გადმოვლენ შენს მხარეზე. მე კი მიყვარდნენ. ჟენევიევა, ეს ორმოცი წლის გასქელებული ქალი, რომელიც ეს იყო ცდილობდა ოთხი ათასი ფრანკი წაეგლიჯა თავის ყალთაბანდი სიძის გულისათვის, სულ პატარა მახსოვს, მუხლებზე რომ ვისვამდი ხოლმე. როგორც კი თვალს შეგვასწრებდი, რომ ვეფერებოდი, მაშინვე ეძახდი. რა მემართება! მე ვერასოდეს დავასრულებ ჩემს აღსარებას, თუ წარსულს აწმყოში ასე ავურევ. ზომიერად უნდა ვიქცეოდე!

თავი მეექვსე

არ გეგონოს, შენდამი სიძულვილი იმავე წელს აღმეძრა, როცა იმ საბედისწერო საღამოს ყველაფერში გამომიტყდი. ჩემი სიძულვილი თანდათანობით დაგროვდა, რაკი შევნიშნე,

რომ შენთვის სულ ერთი იყო ჩემი ყოფნა-არყოფნა. შენი მჩხავანა და ხარბი გოგო-ბიჭების მეტი ამქვეყნად შენთვის არავინ არსებობდა. არც შეგინიშნავს, რომ ოცდაათისაც არ ვიყავი, როდესაც აუარებელი საქმეები გამიჩნდა და, როგორც სამოქალაქო დაცვის ვექილმა, მალე მოვიხვეჭე სახელი ჩვენს ოლქში, რომელიც პარიზის შემდეგ ყველაზე ცნობილი იყო. ვილნავას საქმესდან დაკავშირებით (1893 წ.) ცნობილი გავხდი, როგორც ვექილი კრიმინალისტი (უნდა მოგახსენო, რომ ვექილი, დიდი ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, რომ ორივე ამ დარგს თავი გაართვას). მხოლოდ შენ არ იცოდი, სასამართლოს პროცესზე ჩემმა დაცვამ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ეს სწორედ ის წელი იყო, როდესაც ჩვენი ფარული უთანხმოება აშკარა ბრძოლაზე გადავიდა.

ვილნავას ცნობილმა საქმემ, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი საერთაშორისო აღიარება, აშკარად გამიღრმავა ის მწუხარება, რაც მუდამ ლოდივით მაწვა გულზე. ის პატარა იმედი, რომელიც ჩემს ცნობიერებაში სანთელივით ციმციმებდა, ჩაქრა, ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ შენთვის არ ვარსებობდი.

გახსოვს თუ არა ვილნავების ამბავი? ქორწინებიდან ოცი წლის შემდეგაც მათ ისე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, რომ ეს სიყვარული ანდაზად იქცა. ხალხი ამბობდა: „ვილნავებივით შეკავშირებულნიო!“ ისინი ქალაქგარეთ თავის მამულ ორნონში ცხოვრობდნენ, ერთადერთ თხუთმეტი წლის ვაჟიშვილთან ერთად. ვილნავები ერთობ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და მხოლოდ ურთიერთ ცქერით ნეტარებდნენ. „ასეთი სიყვარული მხოლოდ წიგნებშია აღწერილი!“ არაერთხელ უთქვამს აღტაცებით ეს გაცვეთილი ფრაზა დედაშენს

(მის შვილიშვილს, ჟენევიევას, ბებიამისისაგან თუ გამოჰყვა ამგვარი გამოთქმების ნიჭი).

დარწმუნებული ვარ, ვილნავების ტრაგედია აღარც გეხსომება... მე მინდა მოგაგონო, მაგრამ მეშინია, არ დამცინო. როგორც ერთხელ სადილზე სტუდენტობისდროინდელი გამოცდების გახსენებაზე იცინოდი ჩემზე... მაგრამ მეტი რა გზაა. ერთ დილას ლაქიას, რომელიც ქვედა სართულის ოთახებს ალაგებდა, ზედა სართულიდან რევოლვერის სროლის და საშინელი კივილის ხმა შემოესმა. მოსამსახურე მაშინათვე მაღლა ავიდა. ბატონების ოთახის კარი დაკეტილი დახვდა. ოთახიდან ჩუმი ლაპარაკის და ავეჯის გაცურ-გამოცურების ხმები ისმოდა. ვიღაც აჩქარებული ნაბიჯით აბაზანის ოთახისკენ გაიქცა. ლაქია განუწყვეტლად აწვებოდა კარს, ბოლოს გაიღო კიდეც. სისხლით დასვრილპერანგიანი ვილნავა ლოგინზე უგრძნობლად იწვა, გაწეწილი ქალბატონი ვილნავა ღამის პერანგის ამარა საწოლის გვერდით იდგა, ხელში რევოლვერი ეჭირა. მან უთხრა ლაქიას:

— მე დავჭერი ბ-ნი ვილნავა. სასწრაფოდ მოიყვანეთ ქირურგი და პოლიციის კომისარი. აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

ამ სიტყვების მეტი ვერაფერი ათქმევინეს: „მე დავჭერი ჩემი ქმარი". იგივე სიტყვები დაადასტურა ბატონმა დე ვილნავამაც, როდესაც მეტყველების უნარი დაუბრუნდა. დაზარალებულისაგან მეტი ვერაფერი გაიგეს. ცოლივით მანაც უარი თქვა დანარჩენ ჩვენებებზე.

ბრალდებულმა ვექილის აყვანა არ ისურვა. რაკი მეგობრები იყავით ოჯახურად, მე, როგორც თქვენი ოჯახის სიძეს, მთხოვეს სასამართლოს პროცესზე ქალბატონ ვილნავას დასაცავად გამოვსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღე

მივდიოდი ციხეში, იმ იმედით, იქნებ რაიმე ვათქმევინო-მეთქი, ბრალდებული ჯიუტად დუმდა. ამ შემთხვევის გამო ქალაქში ათასგვარი ჭორი დადიოდა. მე ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ქალბატონი ვილნავა დამნაშავე არ იყო. მან თავის თავზე აიღო დანაშაული და ქმარმაც, რომელსაც იგი ძლიერ უყვარდა, დაუდასტურა ცოლს ჩვენება. ადამიანებს, რომლებიც სიყვარულში უბედურნი არიან, ისე აქვთ ალღო განვითარებული, რომ ხელად გამოიცნობენ ხოლმე სხვების მხურვალე სიყვარულს. ამ ქალს ისე თავდავიწყებით უყვარდა ქმარი, რომ არ შეიძლებოდა მოსაკლავად გაემეტებინა. 'შეიძლება ქმარს მაშინ გადაეფარა, როდესაც რომელიმე გაძევებულმა თაყვანისმცემელმა რევოლვერი გაიშვირა მისკენ, მაგრამ თავდასხმის წინა დღით არავინ უცხო არ მისულა მათთან. სტუმრადაც ხშირად არავინ დაიარებოდა... თუმცა, არა ღირს ამ ძველი ამბის დაწვრილებით აღწერა.

იმ დილამდე, როდესაც სასამართლოში უნდა გამოვსულიყავი, გადაწყვეტილი მქონდა მხოლოდ სიტყვებით უარმეყო ქალბატონ ვილნავას ბოროტმოქმედება, რაშიც ბრალსა სდებდნენ. მხოლოდ უკანასკნელ წუთს გამინათა გონება გენიალურმა აზრმა, საიდუმლოების დამფარავი ფარდა ჩამოიხსნა. ყველაფერი მათმა ახალგაზრდა ვაჟმა იე ვილნავამ გახადა ნათელი. თუმცა არა მისმა ჩვენებამ, არამედ დედამისის მბრძანებლურმა და მუდარით სავსე თვალებმა, როგორითაც იგი უცქეროდა შვილს; სანამ შვილი მოწმის ადგილას იდგა, თვალი არ მოუცილებია, როგორც კი შვილი გაიყვანეს, დედამ თავისუფლად ამოისუნთქა და მისმა სახემ დამშვიდებული იერი მიიღო. სწორედ ამან წარმოშვა ჩემში ახალი აზრი, რამაც ფარდა ახადა საიდუმლოებას, რითაც დაფარული იყო ეს ბოროტმოქმედება.

სასამართლოს პროცესზე მათ ვაჟიშვილს წავუყენე ბრალდება. ავადმყოფი ჭაბუკი ვერ იტანდა, რომ დედას ძალიან უყვარდა მამამისი. ჩემს მიერ წარმოთქმული სიტყვა ლოგიკურად გამართული და მგზნებარებით აღსავსე იყო. ჩემი ეს გამოსვლა დღემდე ისეთი შარავანდედითაა მოსილი, რომ პროფესორმა ფ-მ მასში თავისი სისტემის საფუძველი აღმოაჩინა, რამაც ხელი შეუწყო ჭაბუკთა ფსიქოლოგიის და მათი ნევროზების ახალი მეთოდებით მკურნალობის განვითარებას.

ძვირფასო იზა! შენ ამას იმიტომ კი არ გაგონებ, რომ ორმოცი წლის შემდეგ გაგიღვიძო აღტაცება, რაც ჩემი წარმატების მომენტშიც კი არა გქონდა, როცა მსოფლიოს ყველა ჟურნალში ჩემი პორტრეტები იყო გამოსახული. მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო, შენი გულგრილობის წყალობით ჩემი ბრწყინვალე წარმატების ჟამს როგორ განვიცდიდი ობლობას და საშინელ სიმარტოვეს. მაშინ განუწყვეტლივ თვალწინ მედგა საპატიმროს კედლებში მომწყვდეული ქალი, რომელმაც თავი მსხვერპლად გაიღო, არა მხოლოდ დედური გრძნობის გამო. იმიტომაც, რომ საყვარელი ქმრისათვის ვაჟიშვილი და გვარის გამგრძელებელი შეენარჩუნებინა. „შენ დაიბრალე“, ემუდარებოდა ქმარი და სიყვარულმაც იმ ზომამდე მიიყვანა ქალი, რომ ყველა დააჯერა, თითქოს მან ჩაიდინა ბოროტმოქმედება იმ მამაკაცის მიმართ, ესოდენ თავდავიწყებით რომ უყვარდა. ეს უკარნახა ცოლ-ქმრულმა და არა დედურმა სიყვარულმა (შემდგომში ეს ფაქტი მოქმედებით დადასტურდა: ქალბატონმა ვილნავამ ათასგვარი რამ მოიმიზეზა და დასცილდა თავის შვილს. იგი მუდამ მოშორებით ცხოვრობდა თავისი შვილისგან). მეც მინდოდა ვილნავასავით ვყვარებოდი ვინმე ქალს. პროცესის დროს ხშირად შევხვედრივარ, ვილნავა არაფრით

არ იყო ჩემზე უკეთესი. მამაკაცი, რომელშიც იგრძნობოდა კეთილშობილება და გარეგნობითაც საკმაოდ ლამაზი იყო, საკმაოდ გონებაშეზღუდულად მეჩვენა. ამას ამტკიცებდა ჩემდამი მისი მტრული დამოკიდებულება სასამართლო პროცესის შემდეგ. საკმაოდ ნიჭიერი ვიყავი. მეც რომ გვერდით ისეთივე მოყვარული ქალი მყოლოდა, ერთიორად გავიზრდებოდი და მაღალ მწვერვალს მივაღწევდი. მარტოდ მყოფ ადამიანს ხომ თავის თავისადმი რწმენა ეკარგება. საჭიროა გვერდით გყავდეს ადამიანი, მეგობარი, რომელიც შენი ძლიერების მოწმე იქნება. ადამიანი, რომელიც შეაფასებს შენს მარცხსა და წარმატებას. ადამიანი, ვინც დიდების გვირგვინით შეგმოსავს მიღწევების შემთხვევაში. უწინ რომ იყო ხოლმე სკოლაში, საჩუქრების დარიგების დროს ქების სიგელს და მთელ დასტა წიგნებს რომ გადმომცემდნენ, იქ თავმოყრილ მშობლებში თვალებით ვეძებდი დედაჩემს, სასულე ორკესტრის მუსიკის გრიალში მანქანით გადახოტრილ თავზე იგი ფიქრით ოქროს გვირგვინს მადგამდა.

ვილნავას საქმის დროს დედაჩემი ძლიერ მოტყდა. მე ეს ერთბაშად ვერ შევნიშნე. მისი უძლურობის პირველი ნიშანი ის იყო, რომ შეიჩვია და შეიყვარა ერთი პატარა შავი ძაღლი. როდესაც კი მივუახლოვდებოდი, გაცოფებული იყეფებოდა. ყოველი მისვლისას დედაჩემის სალაპარაკო საგანი ეს ძაღლი იყო.

თუმცა დედაჩემის სიყვარული ვერასოდეს გასწევდა იმ სიყვარულის მაგიერობას, რომელსაც შეიძლებოდა გადავერჩინე და ჩემი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში სიკეთისაკენ მოვებრუნებინე. დედაჩემის მანკიერება, რაც ფულის ძლიერი სიყვარული იყო, მემკვიდრეობით მეც გადმომეცა. ეს სიყვარუ-

ლი სისხლ-ხორცში მქონდა გამჯდარი. დედაჩემი არავითარ შემთხვევაში არ დამთანხმდებოდა ვექილის პროფესია სხვა რამეში გამეცვალა, რადგან, როგორც ამბობდა: „ბევრ ფულს ვიგებდი“. მე ძლიერ მომწონდა ლიტერატურა. ჟურნალ-გაზეთებიდან ხშირად მომდიოდა მიწვევა მათთან სათანამშრომლოდ. მემარცხენეთა პარტიამ არჩევნებზე წინადადება მომცა, თქვენს კანდიდატურას პარლამენტში ლა-ბასტილის ოლქიდან წარადგენენო (ის, ვინც შემდეგ ჩემს მაგივრად დაასახელეს, ერთობ იოლად გავიდა), მაგრამ მე ჩავიხშე ყოველგვარი პატივმოყვარეობის გრძნობა, რომ ამას „ფულის მოგებაში“ ხელი არ შეეშალა.

ასეთივე სურვილი გამოძრავებდა შენც, რადგან არაერთხელ გიგრძნობინებია, რომ პროვინციას არ დასთმობდი. მაგრამ ქალი, ვისაც მე ვეყვარებოდი, ვისთვისაც ჩემი დიდება და სახელი საამაყო იქნებოდა, დარწმუნდებოდა, რომ ადამიანმა უნდა დათმოს მდაბიო მისწრაფებანი მაღალი, კეთილშობილური იდეალების გულისათვის. სულელნი არიან ის ჟურნალისტები, რომელნიც მოჩვენებით გულისწყრომას გამოხატავენ, როდესაც რომელიმე ვექილი დეპუტატის ან მინისტრის თანამდებობაზე მოხვდება და თავის თანამდებობით ისარგებლებს. ეკეთესი იქნებოდა ხოტბა შეესხათ იმ ადამიანთათვის, რომელთაც შესწევთ უნარი თავისი გრძნობები და გატაცებები ისე წარმართონ, რომ დიდებით მოსილ პოლიტიკურ ასპარეზს სასამართლოს შემოსავლიანი საქმე ამჯობინონ. შენს სიყვარულს შეეძლო ბიწიერებისაგან განვეკურნე. ბიწიერებისაგან, რაც ყველაფერზე მაღლა გამორჩენას აყენებს და ადამიანს აიძულებს უმნიშვნელო ჰონორარიც კი საბრალო მსხვერპლიანი ჩაიჭიროს ხელში. ადამიანი ზურგს აქცევს „დიდების“ აჩრ-

დილს“. აჩრდილი კი სინამდვილის ნაწილია და სინამდვილის გარეშე არ არსებობს. მედუქნესავით ჩემი ერთადერთი ნუგეში ფულის მოგება იყო!

ის, რაც დამრჩა, ტანჯვით გატარებული მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი ფულია! თქვენ კი მისი მითვისების ყინს შეუპყრიხართ. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ეს ფული თქვენზე გადმოვა. ჩემი აღსარების დასაწყისში უკვე გითხარი, არაერთხელ აღმეძრა სურვილი რაიმე მეღონა, რათა ფული თქვენ არ დაგრჩენოდათ. შემდეგ ისიც გაგაგებინე, რომ ხელი ავიღე ამგვარ შურისგებაზე. მაგრამ ამას რომ ვამბობდი, არ ვიცოდი, თუ ჩემს გულში სიძულვილი ზღვასავით იყო გადაშლილი. როდესაც ზღვათა ღელვა ჩემგან მიიქცევა, გული მიწყნარდება და მიყუჩდება. მაგრამ საკმარისია იგი უკანვე მოიქცეს, რომ ისევ სიძულვილის მღვრიე ტალღებით ვიფარები.

ამიერიდან, აღდგომის შემდეგ, როცა ფულის გამო გინდოდათ გაგეძარცვეთ და მთელი ოჯახი მყარაულობდით, ის სურათი გონებიდან არ მცილდება, როგორ დაეტაკებით ერთმანეთს ჩემი ქონების გასაყოფად. აქციებისა და მიწების გულისათვის ერთმანეთს ძაღლებივით დაღრღნით. მიწებს მიიღებთ, მაგრამ აქციები კი აღარა გაქვთ. სწორედ ის აქციები, ამ წერილის დასაწყისში რომ ვახსენე, წარსულ კვირას გავყიდე. კარგადაც მოვიქეცი, რადგან მას შემდეგ ბირჟაზე აქციების ღირებულება ყოველ დღე კლებულობს. მე ყოველთვის ვგრძნობ გემის დაღუპვას. ამიტომ გავრბივარ იქიდან. ის ნაღდი მილიონები, რომლებსაც ვფლობ, თქვენი კუთვნილი მაშინ გახდება, თუ [illegible] ლაქნები თანახმა. მაგრამ ხანდახან მზად ვარ კაპიკიც არ დაგიტოვოთ.

მესმის, როგორ ადიხართ კიბეებზე ყველანი და თან ჩურ-ჩულებთ. შემდეგ ჩერდებით. ოდნავადაც არ გერიდებათ, რომ შეიძლება თქვენმა ლაპარაკმა გამომაღვიძოს (გგონიათ მე დავ-ყრუვდი). კარების ჭრილიდან სანთლის შუქი შემოდის. ისმის ფილის ნაცნობი ფალცეტი (მას ისეთი ცვალებადი ხმა აქვს, როგორც ჭაბუკებს გარდამავალ ასაკში). უეცრად გაისმის ქა-ლების თავშეკავებული სიცილ-კისკისი. შენ მათ ტუქსავ: „მე თქვენ გარწმუნებთ, არა სძინავსო," — ეუბნები მათ, მოდიხარ ჩემს კარებთან და მისმენ. შემდეგ გასაღების ჭუჭრუტანიდან იცქირები. ლამპის შუქი ამხელს, .რომ არა მძინავს, ისევ შენს ხროვას უბრუნდები. ალბათ ჩურჩულით ეუბნები: „ჯერ არ სძინავს, თქვენ გისმენთ". ყველანი ფეხის წვერებზე მიდიან. ჭრიალებს კიბის საფეხურები. კარიც ჯერჯერობით იკე-ტება. აღდგომის ღამეს სახლში ჩვენი ოჯახის ცოლ-ქმართა წყვილებმა მოიყარა თავი. მე კი შემეძლო ვყოფილიყავი ჩემი საგვარეულოს ცოცხალი ხე, რომელზედაც ჩემი შთამომავ-ლების ნორჩი ტოტები იქნებოდნენ ამოსულნი. მეტწილ ბავ-შვებს მამები უყვართ, მაგრამ შენ ჩემი მტერი იყავი და ჩემი შვილები შენს მხარეზე გადმოვიდნენ.

დროა ჩვენს ორთაბრძოლის აღწერაზე გადავიდე. მაგრამ უკვე აღარ შემწევს ძალ-ღონე, წერა განვაგრძო. მიუხედავად იმისა, რომ გული ცუდად მაქვს, მძულს ლოგინში წოლა. ჩემს წლოვანებაში ძილი თითქოს სიკვდილის მოწვევაა და მე არ მინდა მიცვალებულს დავემგვანო. ვიდრე ფეხზე ვიდგები, ის ვერ გაბედავს მოახლოებას. ნუთუ სიკვდილისა მეშინია? მო-მაკვდავის სული ტანჯულ სხეულს ეყრება? არა. მაგრამ სიკვ-დილი ხომ არარაობაა, რომელიც უარყოფითი ნიშნით — მი-ნუსით აღინიშნება.

თავი მეშვიდე

ვიდრე ჩვენი სამივე ბავშვი პაწაწინები იყვნენ, ჩვენი მტრობა ფარული იყო. ოჯახში მძიმე მდგომარეობა გვქონდა. ჩემს მიმართ შენი გულგრილობა არ გაძლევდა ამ ატმოსფეროს განცდისა და შეგრძნების საშუალებას. თუმცა მე არასოდეს არ ვიყავი შინ. თერთმეტ საათზე მარტო ვსაუზმობდი, რომ შუადღისათვის სასამართლოში ვყოფილიყავი. ისე ვიყავი საქმეებში ჩაფლული, რომ იმ მცირე დროსაც, რომელიც მრჩებოდა, ოჯახს კი არ ვანდომებდი, არამედ... ალბათ მეხვდები, სად ვატარებდი. არ ვიცი, რატომ მიტაცებდა ის საზიზღარი გარყვნილება, რომელიც ჩვენს წინ გაშიშვლებული, მთელი თავისი მახინჯი თვისებებით აღმართულა და მოკლებულია ყოველგვარ წრფელ გრძნობებს, თვით ყალბ და მოჩვენებით სინაზესაც კი. თავისუფლად შემეძლო გამება ის სასიყვარულო რომანები, რასაც მაღალი საზოგადოება ხოტბას ასხამს. განა ჩემი ხნის ვექილთან სათხოვნელად არ მოსულან მომხიბლავი და მაცდური ქალები. უამრავი ქალი მომმართავდა როგორც საქმოსან ვექილს და ცდილობდნენ ჩემს მოჯადოებას, მამაკაცური გრძნობების გაღვიძებას. მაგრამ მე უკვე დაკარგული მქონდა რწმენა, რომ ოდესმე ლამაზმანები მომიწონებდნენ. ერთი შეხედვით გამოვიცნობდი ხოლმე ისეთ ქალებს, რომელთაც ჩემთან დაახლოება სურდათ და ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩემშიც საპასუხო გრძნობა გამოეწვიათ. ის ფიქრიც კი მაშინებდა, რომ ეს ქალები ამ კავშირიდან მხოლოდ გამორჩენას ელიან. მინდა გამოვტყდე ჩემს უბედურებაში. მტკიცედ მწამდა, რომ არც არავის ვუყვარდი და არც არავინ შემიყვარებდა. ამას ძუნწის ეჭვიანობაც მიემატა და შიშის თვალით ვუცქერდი

ქალებს, აბა, არ გამასულელონ და ფულები არ გამომცინცელონ-მეთქი. შენ განსაზღვრული თანხა დაგინიშნე. კარგად იცოდი, რომ ამ განსაზღვრული თანხის გარდა კაპიკს ზედმეტს ვერ ეღირსებოდი. თუმცა ეს თანხა საკმაოდ დიდი იყო და მეტსაც არასოდეს თხოულობდი. ამ მხრივ საშიშროება არ მელოდა. მაგრამ სხვა ქალები! მე იმ სულელთა რიცხვს ვეკუთვნოდი, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ ქალების ორი კატეგორია არსებობს: ერთნი მხოლოდ სიყვარულის მოტრფიალენი და მეორენი ფულის მოყვარული გაიძვერები. მეტწილ ქალებს, რომელნიც თავდაპირველად მხოლოდ სიყვარულით არიან გატაცებული,შემდგომში უკვე უნდებათ მოთხოვნილება მათზე ვინმე ზრუნავდეს, ეხმარებოდეს და ანებივრებდეს. აი, ახლა, როცა სამოცდა რვისა ვარ, სიმწრისაგან მინდა ვიყვირო, რადგან ნათლად მახსოვს, რომ ხშირად ნამდვილი სიყვარულისათვის ხელი მიკრავს, და ამას მაიძულებდა მხოლოდ სიძუნწე და არა სათნოება. ის რამდენიმე სასიყვარულო ქსელი, რომელიც გავაბი, მაშინათვე გამიწყდა. ამის მიზეზი ან ჩემი გაურკვევლობა იყო იმ სრულიად უწყინარ თხოვნაში, რითაც ქალი მომმართავდა, ან არადა თვითონ ვაზიზღებდი თავს იმნაირი მოქმედებით, რომელიც შენც გეჯავრებოდა: რესტორნის ოფიციანტებთან და მეეტლეებთან შეკამათება თუ ზედმეტის მიცემას მომთხოვდნენ. მერჩია წინასწარვე მცოდნოდა, რამდენი უნდა გადამეხადა. მიყვარს, როცა ყველაფერს თავის განსაზღვრული ნიხრი აქვს დადებული. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, რომ გარყვნილება იმიტომ უფრო მიზიდავდა, რომ წინასწარ განსაზღვრული ფასი ჰქონდა. ჩემისთანა მამაკაცში სუფთა სიყვარული და შიშველი ინსტინქტი ერთად ვერ მოთავსდებოდა. ასე მეგონა, წრფელი სიყვარული

გულს არასოდეს აღარ გამითბობდა. ამიტომ იყო, როდესაც ჩემს გულში ნამდვილი სიყვარული იწყებდა აღმოცენებას, ვცდილობდი მაშინვე ამომეგლიჯა. მე შევიქენი უდიდესი ხელოვანი საკუთარი გრძნობების გაქარწყლებისა, სწორედ იმ წუთში, როდესაც ნებისყოფა სიყვარულში გადამწყვეტ როლს თამაშობს, როდესაც ვდგავართ მიჯნაზე, საიდანაც ან მთლიანად უნდა გადავეშვათ ვნებათა ღელვის მორევში, ანდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და გამოვეცალოთ მას. მე ვკმაყოფილდებოდი უბრალო დამოკიდებულებით ისეთებთან, რომელთა ფასი წინასწარ დადგენილი იყო. მძაგს, როდესაც მატყუებენ, მაგრამ ის, რაც ჩემი ვალია, გადავიხდი. თქვენ აღიარებთ, რომ ძუნწი ვარ. მაგრამ მე სასტიკად მძულს ვალები და ყოველთვის ნაღდი ფულით ვასწორებ ანგარიშს. ჩემმა მომმარაგებლებმა ეს იციან და ძლიერ მემადლიერებიან. იმისი ფიქრიც კი, რომ ვისმეს თუნდაც მცირე თანხის მოვალე ვარ, ჩემთვის აუტანელია. სწორედ ასე მესმოდა „სიყვარულის“ არსი, რომ ის ღირს ფული, მხოლოდ ნაღდი ფული. რა საძაგლობაა. მაგრამ მგონი მეტად დაუნდობლად ვკიცხავ ჩემს თავს. მე მაინც მიყვარდა ერთი ქალი და მგონი მასაც ვუყვარდი. ეს იყო 1909 წელს, ჩემი ახალგაზრდობის დასასრულს. რატომ ავუარო გვერდი უხმოდ ამ სასიყვარულო რომანს? შენ ეს კარგად იცოდი და მაშინ გამახსენებდი ხოლმე, როდესაც გინდოდა რაიმე დაგეცანცლა ჩემთვის.

ის იყო ახალგაზრდა აღმზრდელი-მასწავლებელი, მე გადავარჩინე სასამართლოს სამსჯავროს (ბრალად ედებოდა ბავშვის მკვლელობა). პირველად იგი მადლიერების გრძნობით დამნებდა, მაგრამ შემდეგ... დიახ, დიახ, მე სწორედ იმ წელს შევიგრძენი სიყვარული... ჩემმა გაუმაძღარმა ეგოიზმმა კი ყოველი-

ვე დაღუპა. გარდა იმისა, რომ სრულიად უკაპიკოდ, თითქმის სიღატაკეში ვამყოფებდი, კიდევაც მოვითხოვდი, რომ არავის შეხვედროდა, მუდამ ჩემს განკარგულებაში ყოფილიყო და ისე მოქცეულიყო, როგორც ჩემი ქინი უბრძანებდა. ერთი სიტყვით, უნდა დავეტკბე, როდესაც თავისუფალი დრო მექნებოდა. ის ჩემი საკუთრება იყო, ჩემი ნივთი. ამგვარი მისწრაფება, რომ შენ გეკუთვნოდეს, იყენებდე და სარგებლობდე, ხალხსაც გადაედო. ჩემი ბუნება ახლოს იდგა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებასთან. მთელი ცხოვრეიის მანძილზე ძლივს ვიპოვე სწორედ ამგვარი მსხვერპლი, რომელიც ჩემს მოთხოვნილებებს პასუხობდა. ისეთი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მყავდა, რომ უჩემოდ ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლო.

უჰ, ეს რა მემართება!.. სულ დამავიწყდა ჩემი პირობა, რომ შენთან ამგვარ საგანზე არ უნდა მესაუბრა. მაგრამ მაინც მოკლედ გეტყვი: ვეღარ გამიძლო და პარიზში გადავიდა.

„შენ რომ მხოლოდ ჩვენ ვერ გვეთვისებოდე, კიდევ ჰო, — ხშირად მეუბნებოდი ხოლმე, — მაგრამ, როგორც ხედავ, ყველას ეშინია შენი, ლუი, ყველა გაგირბის!“

დიახ, მე ვხედავდი ყოველივე ამას. სასამართლო პალატაში ყოველთვის მერიდებოდნენ. ნაფიც მსაჯულთა საბჭოში კარგა ხანს არ მირჩევდნენ, ხოლო ნაფიც ვექილთა დასის ზემდეგად მე კი არა, კრეტინები გაჰყავდათ, მათ შემდეგ სირცხვილადაც კი მიმაჩნდა იმ ადგილას ჩემი კანდიდატურა ყოფილიყო დასახელებული. თუმცა რაში მესაჭიროებოდა ეს ადგილი? წარმომადგენლობა და მიღებები მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა. ჩიტი პტკვნად არა ღირდა. შენ კი პირიქით, ეს დიდება მხოლოდ შენი ბავშვების გამო გინდოდა. პირადად ჩემთვის

არასოდეს არაფერი გდომებია. მუდამ მეუბნებოდი: „გაკეთე შენი ბავშვების გულისათვის...“

ჩვენი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მამაშენს პირველი შეტევა მოუვიდა და სენონის კარ-მიდამო ჩვენთვის დაკეტილი აღმოჩნდა. შენ ძლიერ მალე შეეთვისე კალეზს და იქვე დაიბუდე. მე ზურგი შემაქციე, ჩემი სამშობლო მხარე კი შეიყვარე. ჩემს მიწაში ფესვები გაიდგი, ჩემს ფესვებს კი არ შეეხე. ბავშვები ამ სახლში და ბაღში ატარებდნენ არდადეგებს. ჩვენმა პატარა მარიმ აქ დალია სული. შენ ეს სიკვდილი თავზარს კი არ გცემს, არამედ ოთახი, სადაც ის იტანჯებოდა, წმიდათაწმიდად მიგაჩნია. შენ ამ ბუდეში დაჩეკე წიწილები, აქ უვლიდი მათ, როცა ავად ხდებოდნენ, და აქ ათევდი ღამეებს ძათ აკვანთან. გადიებსა და აღმზრდელ მასწავლებლებს დარიგებებს აძლევდი. აქ, ამ ვაშლის ხეებს შორის გაბმულ თოკზე შრებოდა პატარა მარის საყვარელი კაბები და სარეცხი. ამ დარბაზში აბატი არდუენი პიანინოსთან თავს უყრიდა ბავშვების გუნდს და „მამა რომ არ გაბრაზებულიყო“, არა, მარტო საღვთო საგალობელს, სხვადასხვა ჰიმნებსაც მღეროდნენ.

ზაფხულის საღამოობით მე სახლის წინ ვეწეოდი თამბაქოს, თან ვუსმენდი ბავშვების წკრიალა ხმებს, იულის არიას რომ მღეროდნენ: „ოჰ, ეს ტყეები, კლდეები და გამჭვირვალე ჩანჩქერები.“ ეს იყო ის მშვიდი ბედნიერება, იმ სპეტაკ ოცნებათა სამყარო, საიდანაც მე გარიყული ვიყავი და შესვლა აკრძალული მქონდა. სასიამოვნო სიყვარული მიძინებულ ტალღასავით მოგორავდა იმ კლდისკენ, სადაც მე ვიჯექი, მაგრამ გზაშივე იბნეოდა და ჩემამდე ვერ აღწევდა.

საკმარისი იყო სასტუმრო ოთახში შევსულიყავი, რომ ხმები მაშინათვე ჩუმდებოდნენ. როგორც კი გამოვჩნდებოდი, ყოველგვარი საუბარი წყდებოდა, ჟენევიევა მაშინათვე წიგნს აიღებდა და მიდიოდა. მხოლოდ მარის არ ეშინოდა ჩემი. დავუძახებდი და ისიც მორბოდა. ხელში ავიყვანდი, ისიც ალერსით მეკვროდა გულში. მესმოდა, ჩიტივით რომ უფანცქალებდა გული. როგორც კი ხელს გავუშვებდი, მაშინვე ბალისკენ მიფრინავდა...მარი!

ბავშვებმა მალე შენიშნეს, რომ მე ეკლესიაში არ დავიარებოდი და პარასკევობით კატლეტებს ვჭამდი. მათ თვალწინ ხშირად იმართებოდა დედ-მამის კინკლაობა, რაც ზოგჯერ სასტიკ ჭარიშხალში გადაიზრდებოდა ხოლმე, საიდანაც ხშირად დამარცხებული გამოვდიოდი. ამგვარი შეტაკების შემდეგ ფარული ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა: ასპარეზი იყო კალეზი, რადგან ქალაქში შინ არასოდეს ვიყავი. სასამართლო პალატიდან ჩემი შვებულება ბავშვების სკოლის არდადეგებს (აგვისტო-სექტემბერს) ემთხვეოდა და ორ თვეს ყველა კალეზში ვიყრიდით თავს.

მაგონდება ის დღე, როდესაც ერთმანეთს დავეტაკეთ! (საბაბი ჟენევიევას თანდასწრებით ჩემი გახუმრება იყო. გოგონა ამ დროს აბატ არდუენს სახარებიდან გაკვეთილს უყვებოდა). ამ ჩხუბში მე წამოვაყენე ჩემი უფლება ბავშვების გონების დაცვის სადარაჯოზე დგომისა. შენ კი ბავშვების სულზე ზრუნვის მოვალეობა უფრო წინ დააყენე. პირველად მაშინ დავმარცხდი, როდესაც დაგეთანხმე, რომ გუბერის აღზრდას იეზუიტ ბერებს მივანდობდით და გოგონებს მონასტერთან არსებულ პანსიონში გავამწესებდით. მხოლოდ იმიტომ დაგითმე, რომ ჩემი ფიქრით ფონდოდეკების ოჯახში

პატივცემული ტრადიციები იყო შემონახული. სული მიმდიოდა, ისე მინდოდა ამგვარი მარცხისათვის სამაგიერო მომეზღო. სწორედ იმ დღით დავინახე შენი სუსტი ადგილი და აღმოვაჩინე ის გასაღები, რითაც შემეძლო ამეღელვებინე, წონასწორობიდან გამომეყვანე: მინდოდა ყურადღება მოგექცია ჩემთვის, თუნდაც ეს სიძულვილით ყოფილიყო. ბოლოს აღმოვაჩინე კიდეც ჩვენი შეტაკების გამომწვევი მიზეზი. როგორც იქნა, გაიძულე ხელჩართულ ბრძოლაში ჩამეთრიე. ოდესღაც ჩემს მიერ ღმერთის უარყოფა ის ცარიელი ფორმა იყო, სადაც დამდნარი ლითონივით გროვდებოდა გამდიდრებული გლეხის შეურაცხმყოფელი გრძნობები, რასაც მაღალი ბურჟუაზიული ოჯახებიდან გამოსული ამხანაგებისაგან განვიცდიდი. ახლა კი ის ჭურჭელი სავსე იყო იმედგაცრუებული სიყვარულით და უსაზღვრო სიძულვილით.

ერთხელ საუზმის დროს კამათი გაჩაღდა. (მე შეგეკითხე, რა სიამოვნებას ჰგვრის უზენაესს გხედავდეს როგორა სჭამ მარხვის დღეს ძროხის ხორცს, კალმახს თუ ორაგულს-მეთქი). შენ მაგიდიდან წამოდექი. მახსოვს, რა თვალით მიცქეროდნენ ბავშვები. გამოგყევი. არ ტიროდი, ძლიერ მშვიდად ლაპარაკობდი. მაშინ მივხვდი, რომ არც ისე უყურადღებო ყოფილხარ ჩემი ცხოვრებისადმი, როგორც მეგონა. თურმე ხელთა გქონდა რამდენიმე წერილი, რაც ჩვენი განქორწინების საშუალებას გაძლევდა.

— მხოლოდ ბავშვების გულისათვის არ დაგშორდი. მაგრამ თუ შენი მოქმედება ჩემს ბავშვებს სულის დაღუპვას უქადის, ერთი წუთითაც არ დავუფიქრდები.

დიახ, შენ უყოყმანოდ მიგვატოვებდი მეცა და, წარმოიდგინე. ჩემს ფულებსაც. მზად ხარ ყოველგვარ დათმობაზე წახვიდე, ოღონდ შენს შვილებში ის, რაც რწმენის სახელითა აქვთ შთაგონებული, ყოველგვარი რელიგიური საფუძვლები, საეკლესიო ზნე-ჩვეულებები, ადათები, ფორმულები, ერთი სიტყვით, სისულელეები ხელშეუხებელი დარჩეს.

მაშინ ჯერ კიდევ ხელთ არა მქონდა ის შეურაცხმყოფელი წერილი, რომელიც მარის სიკვდილის შემდეგ გამომიგზავნე. შენ ჩემზე ძლიერი იყავი. ჩემი მდგომარეობა ამ გაყრის პროცესის გამო ერთობ შეირყეოდა. იმ დროს, განსაკუთრებით პროვინციაში, პატიოსან საზოგადოებას არ მოსწონდა ასეთი ამბები. ისედაც ხმები დადიოდა ჩემზე ფრანკმასონიაო. იდეები, მე რომ ვიზიარებდი, საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო და ამიტომ მერიდებოდნენ. თუ არა თქვენი ოჯახის სახელი, დიდ უსიამოვნებასაც შემამთხვევდა. რაც მთავარია, გაყრის შემთხვევაში უკანვე უნდა დამებრუნებინა სუეცის აქციები, შენ რომ მოგყვა მზითევში და მე კი ჩემად მიმაჩნდა. ის აზრი, რომ ამ აქციებზე უარი უნდა მეთქვა, თავზარსა მცემდა (აგრეთვე ხელიდან გამომეცლებოდა ის რენტაც, რასაც მამაშენი გვიხდიდა...).

დაგყევი და შეგპირდი, ყოველ მოთხოვნას დავეთანხმებიმეთქი. გულში კი გადავწყვიტე, მთელი თავისუფალი დრო ბავშვების ჩემსკენ გადმობირებისათვის შემეწირა. მე ეს 1896 წელს გადავწყვიტე. მეხსიერებაში მერევა მოგონება იმ მცხუნვარე ზაფხულისა, რომელსაც ისე უღიმღამოდ ვატარებდით. ის, რაც მინდა გაგახსენო, მოიცავს ხუთ წელიწადს (1896 — 1900 წლებს).

არ მეგონა, თუ ამ პატარების ჩემს მხარეზე გადმოყვანა ასეთი რთული საქმე იქნებოდა. იმედი მქონდა ჩემი მამობრივი სახელისა და ჩემი გონებაგამჭრიახობისა. რა დიდი ამბავია, — ვფიქრობდი, — ორი გოგონას და ერთი ათი წლის ბიჭუნას გადმობირება? იოლი საქმეა. ხუმრობა-თამაშით მივაღწევ ჩემს საწადელს. მახსოვს როგორი შეწუხებული და გაოცებულნი იყვნენ ბავშვები იმ დღით, როდესაც სასეირნოდ წასვლა შევთავაზე. შენ ეზოში იჯექი ვერცხლისფერი ვერხვის ქვეშ. მათ გაოცებით გადმოგხედეს.

— ჩემო ძვირფასებო, როდესაც მამა გიხმობთ, რაღა ჩემი ნებართვაა საჭირო.

ჩვენ გზას დავადექით. როგორ ველაპარაკო ბავშვებს? მე, — რომელიც შეჩვეული ვარ მოვიგერიო პროკურორი, ან ბრალდებულის დამცველს საკადრისი პასუხი გავცე, როდესაც ვინმეს მოსარჩლედ გამოვდივარ, გავუმკლავდე მტრულად განწყობილ დარბაზს, სესიაზე სასამართლოს თავმჯდომარესაც კი. ეშინია ხოლმე ჩემი. — ბავშვების წინაშე შევკრთი. ასევე მემართება უბრალო ხალხის და გლეხების წინაშეც, თუმცა თვითონ გლეხების წრიდანა ვარ გამოსული. ამ დროს ფეხები მეკვეთება და რაღაცას გაურკვეველს ვლუღლუღებ.

პატარებს ჩემთან საყვარლად ეჭირათ თავი, თუმცა უნდობლად მიცქეროდნენ. შენ მათი პატარა გულების ყოველი კუთხე-კუნჭული უკვე დაპყრობილი გქონდა. შეუძლებელი იყო იქ შენი თანხმობის გარეშე შევჭრილიყავი. მოვალეობის დაცვის გამო არ გინდოდა ბავშვების თვალში დამცირებული ვყოფილიყავი, მაგრამ ამავე დროს ეუბნებოდი, რომ საჭიროა ილოცონ „საბრალო მამისთვის.“ რაც არ უნდა გამეკეთებინა,

მათი წარმოდგენის სამყაროში მე განსაზღვრული ადგილი მეჭირა: მხოლოდ „საბრალო მამა“ ვიყავი, რომლისთვისაც მხურვალედ უნდა ელოცათ, რათა სული მისი ღვთისკენ მობრუნებულიყო. რელიგიის წინააღმდეგ ჩემი ყოველგვარი უკმეხი გამოსვლა ბავშვებში ცოდვილ მამაზე იმ მიამიტ წარმოდგენას აძლიერებდა, როგორიც ჩემზე ჰქონდათ. ისინი იმ საოცნებო ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სადაც ცხოვრების ძირითად ნიშანსვეტად საეკლესიო უქმეები ითვლებოდა და რაც ჩვენს სახლში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა ხოლმე. შენ მიაღწიე მათ უდიდეს მორჩილებას. როდესაც ეტყოდი, ყოველი მათგანი მზად იყო წასულიყო პირველი ზიარების მისაღებად. საღამოობით კალეზში ვერანდაზე მღეროდნენ და ასრულებდნენ არა მარტო ლულის არიას, არამედ სხვადასხვა საღვთო საგალობლებსაც. შორიდან ბუნდოვნად ვხედავდი თქვენს გამოსახულებებს, მაგრამ როდესაც მთვარე გამოანათებდა, მაშინ გარკვევით ვარჩევდი ზეცისკენ აპყრობილ სამ პატარა თავს. გალობას ბილიკზე დაფენილ ხრეშზე ჩემი ნაბიჯების ხმაური აწყვეტინებდა. ყოველ კვირას წირვაზე მიმავალთა ალიაქოთი მაღვიძებდა. შენ ყოველთვის შიშობდი, დასასრულსღა მივუსწრებთო. სახლის წინ ცხენები ფრუტუნებდნენ. ისმოდა როგორ ეძახდნენ დაგვიანებულ მზარეულს. რომელიღაც ბავშვს აუცილებლად ავიწყდებოდა თავისი ლოცვანი. ვიღაც ცივი ხმით გაჰკიოდა: „დღეს მერამდენე კვირაა აღდგომის შემდეგ?!..“

დაბრუნებისას ბავშვები მორბოდნენ ჩემთან მოსასალმებლად. მე კი ისევ ლოგინში ვიწექი. ალბათ პატარა მარიმ ჩემი სულის დასახსნელად რაც კი ლოცვა იცოდა, ყველა წარმოთქვა. ახლა იგი ყურადღებით ჩამცქეროდა იმ იმედით, რომ

ჩემში პატარა გაუმჯობესებას მაინც აღმოაჩენდა. მხოლოდ მარი არ მაღიზიანებდა. ორმა უფროსმა კი მორჩილად და ანგარიშმიუცემლად მიიღო შენი რწმენა. ასეთნაირი ბურჟუაზიული ინსტინქტური მისწრაფება კომფორტისკენ შემდეგში ყოველივე გმირული სათნოების და ქრისტიანობის უმაღლესი უგუნურობის წინააღმდეგ საფარად გამოადგათ. მარი მათი საწინააღმდეგო იყო, სასოებით ღრმა რწმენა ერთვოდა მის მგრძნობიარე გულს, რომელსაც ერთნაირად ებრალებოდა: მოსამსახურეები, მოჯარადრეები თუ ღარიბები.

მასზე ამბობდნენ: „მარის შეუძლია ყველაფერი გააჩუქოს, რაც კი აბადიაო. ხელში ფული ვერ გაუჩერდება. თუმც ეს კარგია, მაგრამ საჭიროა თვალყურის დევნებაო.“ ასეც ლაპარაკობდნენ: „ვერავინ გაუწევს წინააღმდეგობას, თვით მამამისიც კი...“ საღამოობით ის თვითონ მოდიოდა ჩემთან და მუხლებზე დამიჯდებოდა. ერთხელ მხარზე თავი დამადო და დაიძინა. მისი კულულები ლოყაზე მელამუნებოდა. მე ვიტანჯებოდი, რომ ასე უძრავად, გაშეშებული ვიჯექი და მოწევაც მინდოდა, მაგრამ არ გავნძრეულვარ. ცხრა საათზე, როდესაც გადიამ მოიკითხა, მე თვითონ წავიყვანე მარი თავის ოთახში. თქვენ განგაცვიფრათ ჩემმა საქციელმა, თითქოს გარეული ნადირი ვიყავი, იმ ლომებისა და ვეფხვების მსგავსი, კოლიზეის არენაზე ფეხებს რომ ულოკავდნენ ჭაბუკ მარტვილს. რამდენიმე დღის შემდეგ, 14 აგვისტოს მარიმ მითხრა (ხომ იცი, როგორ ლაპარაკობენ ბავშვები):

— მამა, პირობა მომეცი, რომ რასაც გეტყვი, შემისრულებ... არა, ჯერ მითხარი „პატიოსან სიტყვას გაძლევ-თქო“ და მერე გეტყვი...

და მომაგონა, რომ მეორე დღეს თორმეტ საათზე წირვის

დასაწყისს შენ მღეროდი ეკლესიაში და კარგი იქნება წამოხვიდე, დედას მოუსმინოო.

— ხომ დამპირდი! ხომ დამპირდი! — იმეორებდა მარი, თან მეხვეოდა. — შენ ხომ თქვი „პატიოსან სიტყვას გაძლევო!“

მან ჩემი კოცნა თანხმობად მიიღო. მთელ სახლში სმა გავარდა ჩემზე, წასვლას აპირებსო. მე ვგრძნობდი, რომ მითვალთვალებდნენ. ხვალ ბატონი წავა წირვაზე, ბატონი, რომელსაც თავის დღეში ეკლესიაში ფეხი არ შეუდგამს. საქმე მეტად მნიშვნელოვან მოვლენას ეხებოდა.

საღამოს აღელვებული მივუჯექი მაგიდას და კარგა ხანს ვერ შევძელი თავს მოვრეოდი. დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით გუბერი რაღაცას შეგეკითხა. მახსოვს. როგორ განვრისხდი, როდესაც შენი პასუხი მოვისმინე. მე მივატოვე მაგიდა და აღარც დავბრუნებულვარ. 15 აგვისტოს გათენებისას ავიღე ჩემი ჩემოდანი და ექვს საათზე მატარებელს ბორდოში გავყევი. საშინელ. დახუთულ დაცარიელებულ ქალაქში გავატარე დღე.

უცნაურია, რომ ამის შემდეგ ისევ კალეზში დავბრუნდი. რატომ ვატარებდი შვებულებას თქვენთან და არ მივდიოდი სამოგზაუროდ? ამისთვის შემეძლო რაიმე მომემიზეზებინა, მაგრამ, სიმართლე გითხრა, ზედმეტ ხარჯებს გავურბოდი. ვერც კი წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა სამოგზაუროდ წასვლა, ფულის დახარჯვა, თუ წინასწარ სამზარეულოში არ დავაპირქვავებდი ქვაბებს და არ გამოვკეტავდი სახლის კარებს. ვერასოდეს ვერ ვისიამოვნებდი სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალით, თუ მეცოდინებოდა, რომ ჩემს ოჯახში უჩემოდ საქმეები ისევ ძველებურად წავიდოდა. საბოლოოდ ისევ საერთო

საქმეს ვუბრუნდებოდი. იმ დროს, როცა ჩემი წილი კერძი კალეზში მზად იყო, რატომ უნდა მეჭამა სხვადასხვა ადგილებში? ასეთი იყო ჩემი ხელმომჭირნეობის სულისკვეთება, რაც დედაჩემმა მემკვიდრეობით გადმომცა და ვინც ჩემს კეთილმოწყალედ მიმაჩნდა.

შინ ისეთი გაბოროტებული დავბრუნდი, რომ თვით მარიაც კი ვერაფერს გახდა ჩემთან. მაშინ შენს წინააღმდეგ ახალი საშუალება გამოვნახე. ახლა პირდაპირ კი არ ვესხმოდი თავს შენს რწმენას, არამედ ვეძებდი პატარა მიზეზს, რათა შენთვის დამენახვებინა, რომ ისე არ იქცეოდი, როგორც ამას ქრისტიანული რწმენა გიკარნახებდა. თუმცა, კეთილი ქრისტიანი იყავი, მაგრამ, ჩემო საბრალო იზა, ყოველთვის საწინააღმდეგოს გიმტკიცებდი. იქნებ დაგავიწყდა, ან იქნებ არც არასოდეს იცოდი, რომ მოწყალება ქრისტიანული სიყვარულის პირველი ნიშანია. მცნება „მოწყალება“ შენ საქველმოქმედო იდეად მიგაჩნდა, რაც ქრისტიანებს ღარიბების დასახმარებლად აკისრიათ. შენ კეთილსინდისიერად ასრულებდი ამ მოვალეობას, რათა გეცხონებინა სული შენი. უნდა ვაღიარო, რომ ამ მხრივ ძლიერ შეიცვალე. ახლა სნეულთ უვლი და კიბოთი დაავადებულთათვის ზრუნავ. ეგ სულ სხვაა, მაგრამ როდესაც ერთ ღარიბს მოწყალებას აძლევდი, მეორეს, შენზე დამოკიდებულს, ყოველნაირად სწირავდი. როგორც დიასახლისი, არასოდეს მომხრე არ ყოფილხარ მოჯამაგირეებისათვის ბევრი მიგეცა და ცოტა ემუშავათ. ყოველ დილა ერთ უბედურ, მოხუც მემწვანილე დედაკაცს ურიკით მოჰქონდა ბოსტნეული. შენ დიდ მოწყალებას გაიღებდი ხელი რომ გამოეწოდა, მაგრამ, რაკი არ მათხოვრობდა და კარდაკარ დაატარებდა მწვანილს. პირად მოვალეობად მიგაჩნდა, იქამდე გევაჭრა.

ვიდრე კომბოსტოს ყოველ თავზე ფასს არ დააკლებინებდი, იმ ორიოდე გროშს, რასაც იგი ამ ვაჭრობით იგებდა.

მოსამსახურეების ან მოჯამაგირეების მოკრძალებული მოთხოვნა ჯამაგირის მომატებაზე შენში ისეთ რისხვას იწვევდა, რომ ისინი შემკრთალნი უკან იხევდნენ. შენ შეგწევდა უნარი, ის ხალხი დაგერწმუნებინა, არაფერი გჭირდებათო: დაბეჯითებით აღწერდი იმ ხელსაყრელ პირობებს და გამორჩენას, რაც მათ ჰქონდათ:

— უფასო ბინა გაქვთ, ერთი კასრი ღვინო, ნახევარი ღორი, რომელსაც ჩემივე კარტოფილით ზრდით, აგრეთვე ბოსტანი, სადაც ბოსტნეულს სთესავთ.

საბრალო მოჯამაგირეები! თურმე არ იცოდნენ, რა სიმდიდრის პატრონები იყვნენ. შენ ირწმუნებოდი, მოახლეს, რომელსაც თვეში ორმოც ფრანკს ვუხდი, შეუძლია მთლიანად შემნახველ სალაროში შეიტანოსო.

— მთელ ჩემს ძველ კაბებს, ქვედატანებს და ნახმარ ფეხსაცმელებს სულ იმას ვაძლევ. რაში სჭირდება ფული? ეხოლოდ იმიტომ, რომ სოფელში მოსაკითხები გაუგზავნოს...

მაგრამ, თუ მოახლე ავად გახდებოდა, გულმოდგინედ უვლიდი და არასოდეს გაჭირვებულს არ მიატოვებდი. რაც მართალია, პატივს გცემდნენ და უყვარდი კიდეც, რადგან მსახურებს სძულთ სუსტი პატრონები. ყოველგვარ საყოფაცხოვრებო საკითხებში ისე ერკვეოდი, როგორც შენი წრის და შენი დროის ადამიანს ესაჭიროებოდა. არასოდეს არ ეუბნებოდი მათ, რომ სახარება მსჯავრს დასდებდათ.

— მისმინე, — გეტყოდი ხოლმე. — ვგონებ ქრისტემ თქვა ასე...

შენ მაშინვე გაჩუმდებოდი განრისხებული, გაბრაზებული,

რომ ჩვენს ლაპარაკს ბავშვები უსმენდნენ და ყოველთვის ჩიხში ემწყვდეოდი.

— ხომ არ შეიძლება ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ... — ბუტბუტებდი დაბნეული. შენდა სამწუხაროდ მე ვზეიმობდი შენს უსუსურობაზე, როდესაც გიმტკიცებდი — წმინდანობის ძალა სწორედ იმაშია, რომ ზუსტად მიჰყვეს სახარების მცნებას-მეთქი. თუ უარს იტყოდი, რომ წმინდანი არ იყავი, მაშინ სახარებიდან მომყავდა მაგალითი: „იყავით სრულყოფილნი, ვითარცა თქვენი ზეციერი მამა არს სრულყოფილი.“

აღიარე, ჩემო საბრალო იზა, რომ თუ დღეს კიბოთი მომაკვდავ ადამიანებს უვლი, ამაში ნაწილობრივ მეც მიდევს წილი, რადგან მაღალმოწყალე იდეებს მე შთაგაგონებდი. წინათ ხომ შენი სიყვარული მხოლოდ ბავშვებს ეკუთვნოდა. მათზე ხარჯავდი შენს სასიკეთო გრძნობებს და მსხვერპლად ეწირებოდი. მათ დაჩრდილეს მთელი ქვეყანა შენი თვალთახედვიდან. მათ ჩამოგაშორეს არა მარტო ქმარს, არამედ ყველას. შენი ლოცვა ღმერთისადმი, მხოლოდ შენი ბავშვების ჯანმრთელობა და მათი მომავალი იყო. მაშინ კი მომეცა მიზეზი შენი აბუჩად აგდებისა. მე გკითხე:

— იქნებ ქრისტიანობისათვის სასურველი იყოს ბავშვები გასაჭირში აღმოჩნდნენ, სილატაკეში იყვნენ და ავადაც დახდნენ.

სიტყვა შემაწყვეტინე:

— მე შენთან საუბარი აღარ მსურს. თვითონაც არ გესმის, რას ლაპარაკობ...

ჩვენ გვყავდა ბავშვების მოძღვარი, ოცდასამი წლის სემინარიელი აბატი არდუენი. შენდა საუბედუროდ, ჩვენი კა-

მათის დროს, როდესაც ვგრძნობდი, რომ მართალი ვიყავი, მას მოწმედ მოვიწვევდი ხოლმე. ამით უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებდი, რადგან ვთხოვდი, ჩვენს კამათში ჩარევას. იგი ვერ მალავდა თავის აზრებს, როდესაც საუბარი რელიგიას და რწმენას ეხებოდა. დრეიფუსის საქმე რომ დაიწყო, მე უამრავი საბაბი მომეცა საბრალო არდუენი შენს წინააღმდეგ ამემხედრებინა.

— სად გაგონილა, ვიღაც საბრალო ებრაელის გულისათვის არმიას სახელი გაუტყდეს! — ჯავრობდი შენ.

ეს სიტყვა საკმარისი იყო ჩემთვის, რომ მოჩვენებითი გულუბრყვილობით იქამდე მელაპარაკა, ვიდრე აბატი არდუენი არ დავიყოლიე და საბოლოოდ არ დავითანხმე, ქრისტიანს უფლება არა აქვს, ბრალი დასდოს უდანაშაულოს, თუნდაც იცოდეს, ამით თავისი ქვეყანა უბედურობისაგან გადარჩებაო.

თუმცა მე არა ვცდილობდი შენთვის და ბავშვებისათვის მეჩვენებინა დრეიფუსის საქმის ჭეშმარიტი მხარე, რომელიც მხოლოდ კეთილგანწყობილ ჟურნალებში ჩახატული კარიკატურებიდან იცოდით. თავი შეურყვნელ სალ კლდედ მიგაჩნდათ. როდესაც კამათში გჯობნიდით, ეჭვი არ გეპარებოდათ, რომ ამას მხოლოდ ეშმაკური მოხერხების წყალობით ვაკეთებდი. ამიტომ არჩევდით ჩემთან ჩუმად ყოფილიყავით. როგორც კი გამოვჩნდებოდი, კამათი წყდებოდა. მაგრამ ზოგჯერ ბუჩქებში ვიმალებოდი და უკანდახევას ვერ ასწრებდით, რადგან მაშინვე ლაპარაკში ვერეოდი. თქვენც იძულებული ხდებოდით ჩემი გამოწვევა მიგეღოთ.

— ეს ვაჟი ნამდვილი წმინდანია, — ამბობდი აბატ არდუენზე. — იგი ჭეშმარიტი ბავშვია და არა სჯერა თუ ამ ქვეყანაზე ბოროტება არსებობს. ჩემი ქმარი ისე ათამაშებს, რო-

გორც კატა თაგვს. ამიტომ ითმენს მის აქ ყოფნას, მიუხედავად იმისა, რომ სამღვდელო პირები სძულს.

სიმართლე ითქვას, ჩემი ბავშვების აღმზრდელად სასულიერო პირის აყვანაზე იმიტომ დაგეთანხმე, რომ არც ერთი მოქალაქე არ დათანხმდებოდა ასორმოცდაათ ფრანკად მთელ ზაფხული ემეცადინებინა ბავშვები: პირველ ხანებში ამ მაღალ, შავგვრემან, ბეც ახალგაზრდას, რომელიც მორცხვობისაგან ძლივს ინძრეოდა, არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. ისევე, როგორც რაიმე უსულო საგანს. ის ამეცადინებდა ბავშვებს, დაჰყავდა სასეირნოდ, სჭამდა ცოტას და არაფერს ლაპარაკობდა. ლუკმის დამთავრებისთანავე თავის ოთახში ადიოდა. ზოგჯერ, როდესაც შინ არავინ იყო, პიანინოს მიუჯდებოდა. მე მუსიკის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ როგორც შენ ამბობდი, „მისი მოსმენა ადამიანს სიამოვნებას ჰგვრიდა.“

ალბათ გახსოვს ის ერთი შემთხვევა, რომელიც აბატ არდუენს შეხვდა ჩვენთან. ვერც კი წარმოიდგენ, მას შემდეგ ჩემსა და საბრალო არდუენს შორის საიდუმლოდ გაიბა ურთიერთ სიმპათიის გამომხატველი ძაფი. ერთხელ ბავშვებმა მანიშნეს, ჩვენსკენ ჩვენი სამრევლო მღვდელი მოდისო. ჩვეულებისამებრ მაშინვე ვენახში გავიქეცი. გუბერი დამადევნე. მღვდელს თურმე რაღაც სასწრაფო საქმე ჰქონდა შესატყობინებელი. ლანძღვა-გინებით დავბრუნდი უკან. ძლიერ მეშინოდა ამ პატარა ჩია კაცის. მან მითხრა, იმიტომ მოვედი. რომ სინდისმა შემაწუხაო. შემოგვთავაზა არდუენი, როგორც შესანიშნავი, კეთილსინდისიერი სემინარიელი, რომლის დიაკვნად კურთხევა, მხოლოდ მისი ჯანმრთელობის გამო გადა-

იდო. [illegible] [illegible] წინათ, სრულიად სასულიერო იერარქიის შეკრებულობაზე [illegible]ეტყო, ეს დაგვიანება თურმე მხოლოდ სადისციპლინო [illegible]ინისძიებად იყო მიჩნეული. აბატი არდუენი თუმც ძლიერ კეთილმორწმუნეა, მაგრამ გადარეულია მუსიკით. ერთ საღამოს ამხანაგს დიდ თეატრში წაეყვანა, სადაც სამოწყალო კონცერტი უნდა ჩატარებულიყო. იმ ღამეს სემინარიაში არ უძინია. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში იყო, იცნეს და დააბეზღეს. ეს დავიდარაბა უფრო იმ გარემოებამ გააღრმავა, რომ პროგრამაში შედიოდა ტაისის არიის შემსრულებელი ქალბატონი ჟორჟეტა ლებრენი; როდესაც იგი, შიშველი ფერია, ბერძნულ ტუნიკაში გამოწყობილი გამოჩნდა, რასაც მკერდზე მხოლოდ ვერცხლის ქამარი აკავებდა, (მხრებზე არავითარი შესაკრავი არა ჰქონდა გადაჭირებული). დარბაზში გაისმა შეშინებული უი-ს ძახილი. „გაერთიანებული“ საზოგადოების წევრებისათვის განკუთვნილ ლოჟაში ვიღაც მოხუცმა ბატონმა შეურაცხყოფილი ხმით დაიყვირა:

— ეს უკვე მეტისმეტია... ეს სად მოვხვდით!

აი, რა სანახაობას უყურეს აბატმა არდუენმა და მისმა ამხანაგებმა. ერთი დამნაშავე მაშინვე გარიცხეს სემინარიიდან. არდუენს კი, როგორც დიდი წარმატების მქონეს, დანაშაული აპატიეს. მაგრამ მისმა უფროსებმა სამღვდელო ხარისხის მინიჭება ორი წლით გადადეს. მე და შენ ერთად განვაცხადეთ, აბატი არდუენი ჩვენში დიდ ნდობას იმსახურებსო. მაგრამ მას შემდეგ მღვდელი დიდ გულგრილობას იჩენდა აბატი არდუენის მიმართ და ამბობდა: „იმ საცოდავმა აბატმა მომატყუაო.“ შენ ალბათ გახსოვს ეს ინციდენტი, მაგრამ არ იცი, რა მოხდა შემდეგ. იმ საღამოს, როდესაც ტერასაზე პაპიროსს

ვეწეოდი, მთვარის შუქით გასხივოსნებული, დამნაშავის ჩამხ-
დარი სილუეტი დავინახე. იგი ჩემსკენ მოდიოდა: უხერხულად
გამიჩერდა გვერდით და ბოდიში მომიხადა, რომ ვიდრე ჩემს
სახლში შემოვიდოდა, არ მომიყვა იმ უღირსი საქციელის შე-
სახებ, რაც ჩაიდინა. მე დავარწმუნე, თქვენი მოქმედება ჩემში
სიმპათიებს იწვევდა-მეთქი. მან უდიდესი სიმტკიცით უარჰყო
ჩემი აზრი და თავის საწინააღმდეგო, საბრალმდებლო სიტყვა-
წარმოთქვა. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ დიდია ჩემი დანაშა-
ულიო, მითხრა, გავტეხე ფიცი მორჩილებისა, ვუღალატე
ჩემს მოვალეობას და შეურაცხყოფა მივაყენე ზნეობას. შე-
ვარცხვინე სემინარია. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე
ვეღარც გამოვასწორებ ამ შეცდომასო...

ახლაც თვალწინ მიდგას მისი მაღალი, წელში მოხრილი
სხეული, რომლის ჩრდილიც მთვარის შუქზე ტერასის მოა-
ჯირს ორად გაეწყვიტა.

თუმცა სასულიერო პირთა წინააღმდეგი ვიყავი, ამჯერად
მცირედი თვალთმაქცობის ნატამალიც არ ემჩნეოდა მის ჭეშ-
მარიტ სირცხვილს და მწუხარებას. იგი ბოდიშს იხდიდა, რომ
დამალა თავისი დანაშაული მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ორ
თვეს, არდადეგებზე არ უნდოდა დედის ხარჯზე ყოფილიყო.
დედამისი, ღარიბი ქვრივი, ლიბურნედან ოჯახებში მოსარეცხ-
ხედ დადიოდა. რადგან ვუპასუხე, სულაც არ იყავით მოვალე
ჩემთვის ის ამბავი გაგეგებინებინათ, რაც მხოლოდ სემინარი-
ის დისციპლინის დარღვევას ეხებოდა-მეთქი, ხელი მომკიდა
და ისეთი რამ მითხრა, რაც ჩემს დღეში არ გამეგო და რამაც
მეტად განმაცვიფრა:

— თქვენ მეტისმეტად კეთილი ბრძანდებით.

შენთვის ნაცნობია ჩემი სიცილი, ის სიცილი, ჩვენი შეულ-

ლების დასაწყისიდანვე შენს ნერვებზე რომ მოქმედებდა. საციელი, რომელიც არავის აიყოლებდა და ჩემი ახალგაზრდობის დროს ირგვლივ ყოველივე სიმხიარულეს ახშობდა. იმ საღამოს გაშტერებული სემინარიელის წინ სიცილისაგან ვთრთოდი. ბოლოს, როგორც იყო, დავმშვიდდი და ვუთხარი.

— თქვენ არ იცით, ბატონო აბატო, რაოდენ უაზრო იყო თქვენი ნათქვამი! ჰკითხეთ მათ, ვინც მიცნობს, თუ კეთილი ვარ. ჰკითხეთ ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს თანამოძმეებს. ჩემი არსებობის დედააზრი — სიბოროტეა.

დაბნეულმა მიპასუხა, ჭეშმარიტი ბოროტები თავიანთ სიბოროტეზე არასოდეს ლაპარაკობენო. და ჩემი პროფესიისთვის რომ ,ბილი გაეკრა, ქრისტეს სიტყვები მოიყვანა: „საპყრობილეში ვიყავი და თქვენ მინახულეთ მე.“

— მე მასში გამორჩენას ვხედავ, ბატონო აბატო. მხოლოდ პროფესიული ინტერესი მამოძრავებს. ჯერ კიდევ წინათ ზედამხედველობას საგანგებოდ ვაძლევდი ფულს, რომ გამოძიებაში მყოფ პატიმრებისათვის ჩემი გვარი ჩაეჩურჩულებინათ. ახლა ხომ ყველაფერს მიხვდით!.

აღარ მახსენდება მისი პასუხი. ჩვენ ცაცხვის ხეივნის ქვეშ მივდიოდით. როგორ გაგიკვირდება, როდესაც გეტყვი, რომ ერთგვარ სიამოვნებასაც კი მგვრიდა მღვდლის სამოსელში ჩაცმული მამაკაცის გვერდით ყოფნა, ეს ნამდვილად ასე იყო.

ხანდახან მზის ამოსვლისას ვდგებოდი და ბაღში ჩავდიოდი, რომ განთიადისას სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა. ვხედავდი აბატს, იგი ადრე წირვაზე მიდიოდა. მიდიოდა სწრაფი ნაბიჯებით, ჩემგან ახლოს, მაგრამ ისე იყო ჩაფიქრებული, ვერ მამჩნევდა. ეს ის დრო იყო, როდესაც მოსვენებას არ გაძლევდი

ჩემი დაცინვით და ეცდილობდი დამერწმუნებინე, შენი პრინციპების საწინააღმდეგოდ იქცევი-მეთქი. მაგრამ სინდისი მაინც მქენჯნიდა. ყოველთვის, როცა რაიმე დანაშაულში წაგასწრებდი და გისაყვედურებდი, მორწმუნეებს ქრისტიანული არაფერი არ შერჩენიათ-მეთქი, მაინც მწამდა, რომ ჩემს ჭერქვეშ ცხოვრობდა ადამიანი, ვისი ცხოვრებაც ყველასთვის შეუმჩნევლად ქრისტიანული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

თავი მერვე

თუმცა იყო ერთი ისეთი შემთხვევა, რომ შენი მოქმედება არ შემიძლია საზიზღრად არ ჩავთვალო: 1896 თუ 1897 წელს, შენ ალბათ ზუსტად გეხსომება თარიღი, გარდაიცვალა ჩვენი სიძე ბარონი ფილიპო. ერთ დილას შენმა დამ მარინეტმა გაიღვიძა და გამოელაპარაკა ქმარს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მან გააღო დარაბები და დაინახა, რომ მოხუცს თვალები გადაკარკლოდა და ქვედა ყბა ჩამოვარდნოდა. იგი ჯერ ვერც კი მიხვდა, თუ რამდენიმე საათი გვამის გვერდით ეძინა.

მე მგონია, ვერც ერთი თქვენთაგანი ვერ მიხვდება ამ უბედური მოხუცის ანდერძის უსინდისობას. მან თავის ცოლს უზარმაზარი სიმდიდრე იმ პირობით დაუტოვა, რომ მეორედ აღარ გათხოვილიყო. წინაალმდეგ შემთხვევაში, ქონების მეტი ნაწილი მის ძმისშვილებს გადაეცემოდა.

— ახლა მისდამი მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ. — იმეორებდა დედაშენი შენს დაზე, — საბედნიეროდ, ჩვენ ისეთი ოჯახი გვაქვს, რომ ,ერთმანეთს გვერდში ვუდგევართ. საბრალო ბავშვი მარტო არ უნდა დავტოვოთ.

იმ დროს მარინეტი ოცდაათი წლისა იქნებოდა. მაგრამ გარეგნობით ახალგაზრდა ქალიშვილს ჰგავდა. მშობლებს დათანხმდა მოხუცზე გათხოვილიყო და მოთმინებით ეწეოდა ამ უღელს. თქვენ გეგონათ ისევე მორჩილად შეასრულებდა ქვრივის მოვალეობასაც. არაფრად მიგაჩნდათ ის მძლავრი განმათავისუფლებელი ბიძგი, რამაც მარინეტი წყვდიადიდან მზის სინათლეზე ამოიყვანა.

არა, იზა, მე არ ვისარგებლებ ჩემი მდგომარეობით და არაფერ საწყენს არ გეტყვი. ბუნებრივი იყო იმის სურვილი, რომ ბარონის მილიონები ფონდოდეჟების ოჯახში დარჩენილიყო, ამით ხომ შენი ბავშვებიც ისარგებლებდნენ! თქვენის აზრით, მარინეტს არ უნდა დაეკარგა ის სიმდიდრე, რაც ათი წლის მანძილზე თავისი ბებერი ქმრის მონური მორჩილების წყალობით მოიპოვა. თქვენი კეთილი რჩევა იყო, მეორედ აღარ გათხოვილიყო. იზა, დაგავიწყდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ შენც ახალგაზრდა მეუღლე იყავი? მაგრამ ცოლ-ქმრულ სიყვარულს ხომ ხაზი გადაუსვი. მხოლოდ დედა დარჩი და, შენის აზრით, სხვაგვარი სიყვარული არ არსებობდა არც შენთვის, არც სხვისთვის. თქვენი ოჯახის წევრებიდან არავინ იყო წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული. თქვენ არ შეგეძლოთ თქვენი თავი წარმოგედგინათ არამცთუ უსინდისო, არამედ წესიერი ადამიანის ადგილასაც კი.

გადაწყვიტეთ, მარინეტს დაქვრივების შემდეგ პირველი ზაფხული კალეზში გაეტარებინა. იგი სიხარულით დათანხმდა იმიტომ კი არა, რომ მეგობრულად იყო შენთან, არა, მას უყვარდა ჩვენი ბავშვები, განსაკუთრებით პატარა მარი. მე მას ნაკლებ ვიცნობდი. თავდაპირველად მისმა სინარნარემ გამაკვირვა. თუმცა შენზე ერთი წლით იყო უფროსი, მაგრამ ბევრად პა-

ტარა ჩანდა. ბავშვების დაბადების შემდეგ შენ გასუქდი და სხეულის ფორმაც შეგეცვალა. ის კი თითქოს უბიწო გადმოსულიყო თავისი მოხუცი ქმრის სარეცელიდან. სახე ბავშვური ჰქონდა. მაშინდელი მოდის თანახმად თმა მაღლა ავარცხნილი და ოქროსფერი, ფაფუკი თმების კულულები კეფაზე უხვად ეყარა (ახლა დავიწყებულია ეს მშვენიერი მოდა: კეფაზე დაყრილი ფუშფუშა კულულები). მეტად მრგვალი თვალები ისეთ შესახედაობას აძლევდნენ, თითქოს ყოველთვის გაკვირვებული იყო. მე ხუმრობით შემოვხვევდი ხოლმე ხელს „კრაზანის ბუდისმაგვარ“ ტანზე. თეძოები და სხეული მეტად განიერი უჩანდა, ახლანდელი თვალსაზრისით ეს სიმახინჯეა, მაგრამ მაშინ ყველა ქალი ხელოვნურად გამოყვანილ ყვავილსა ჰგავდა.

გაოცებული ვიყავი მარინეტის მხიარული განწყობილებით. იგი ძლიერ ართობდა ბავშვებს, ეთამაშებოდა დამალობანას და სამალავად სახლის სხვენსაც კი იყენებდა. საღამოთი მართავდა ცოცხალ სურათებს. „მარინეტი, ცოტა არ იყოს, თავქარიანი გვყავს, — იტყოდი ხოლმე. — არ იცის, რომ თავის მდგომარეობის შესაფერისად უნდა იქცეოდეს.“

მარინეტთან დიდ დათმობაზე წავიდნენ. ნება მისცეს ჩვეულებრივ დღეებში თეთრი კაბა ეტარებინა. შენ დაუშვებლად თვლიდი იგი კვირა დღის წირვაზე ყოფილიყო შავი სამგლოვიარო მანდილისა და შავ ნაჭერმოკერებულ მოსასხამის გარეშე. პაპანაქება სიცხეც კი არ მიგაჩნდა გასამართლებელ საბუთად. ქმრის დროს მარინეტის ერთადერთი გასართობი ცხენით ჯირითი იყო. უკანასკნელ დღემდე ბარონი ფილიპო შესანიშნავ ცხენოსნად და ცხენების ასპარეზობის შეუდარებელ მცოდნედ ითვლებოდა. ყოველ დილა ცხენით დადიოდა

სასეირნოდ. მარინეტმა კალეზში ჩამოაყვანინა თავისი ცხენი. რადგან გამყოლი არავინ ჰყავდა, მარტო დადიოდა სასეირნოდ, რაც შენს უკმაყოფილებას უფრო აორკეცებდა: სამი თვის ქვრივი არ უნდა ეწეოდეს სპორტს, მარტოდმარტო ცხენით ხეტიალი ხომ მეტისმეტია.

„გეტყვი, რას ფიქრობენ მასზე ჩვენს ოჯახში". მეუბნებოდი, არც იმას უმალავდი, იგივეს ელაპარაკებოდი, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა. ბოლოს და ბოლოს მობეზრდა ამდენი წინააღმდეგობა და მთხოვა მე გავყოლოდი სასეირნოდ. თანაც შემპირდა შენთვის მშვიდ ცხენს ვიშოვნიო (რა თქმა უნდა, ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო).

ყოველთვის, ბუზების მიზეზით გათენებისას გავდიოდით. ისიც ვიცოდით, რომ აღმართზე ორი კილომეტრი ნელი ნაბიჯით უნდა გვევლო, რათა ნაძვის ტყემდე მიგვეღწია. ცხენები სახლის წინ გვიცდიდნენ. მარინეტი გიჟმაჟურად უყოფდა ენას შენი ოთახის დარაბებმიხურულ ფანჯარას და ამაზონკაზე დილის ნამით დაცვარულ ვარდს იბნევდა. „თუმცა კი ყვავილი არ შეშვენის ქვრივს" ხუმრობდა იგი. რაკრაკა ხმით რეკდა დილის წირვის ზარი. აბატი არდუენი მოკრძალებით მოგვესალმებოდა და ვენახებზე ჩამოწოლილ ნისლში გაუჩინარდებოდა.

საუბრით მივიწევდით ტყისკენ. მე ვამჩნევდი, რომ ჩემი ცოლისდის წინაშე ერთგვარი პრესტიჟით ვსარგებლობდი, ეს ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ იმ მეამბოხე აზრების გამო, რასაც ჩემს ოჯახში ვქადაგებდი. იზა, შენი იდეები ძლიერ წააგავდა მისი განსვენებული ქმრის იდეებს. ქალის წარმოდგენაში რელიგიას და ყოველგვარ იდეებს ვიღაც პიროვნება ანსახიერებს; ეს ყოვე-

ლივე ხორცს ისხამს და საყვარელი ან საძულველი ადამიანის სახით ევლინებათ.

ჩემზე იყო დამოკიდებული, რომ ჩემი პრესტიჟი უფრო ამეწია ამ პატარა მეამბოხის თვალში. მაგრამ დახეთ უბედურებას! ვიდრე თქვენზე იყო გაბრაზებული, ადვილად ვიგებდი მის აღშფოთებას, მაგრამ ვერ გამეგო, რად სძულდა ქმრისაგან დატოვებული მილიონები, რომელთაც ხელახლა გათხოვების შემთხვევაში დაკარგავდა? შემეძლო თავი კეთილშობილად მომეჩვენებინა და ყველაფერი მის სასარგებლოდ მელაპარაკა, მაგრამ ვერ წარმომედგინა თვალთმაქცურად დავთანხმებოდი მემკვიდრეობის არაფრად ჩაგდებაში და მის უარყოფაში. გამოვტყდე ყველაფერში? ის აზრი, რომ მარინეტის სიკვდილის შემთხვევაში შეიძლებოდა ჩვენ გავმხდარიყავით მემკვიდრეები, მოსვენებას არ მაძლევდა (ბავშვებზე კი არა, ჩემზე ვფიქრობდი).

წინასწარ გაკვეთილივით გავიზეპირებდი ხოლმე მარინეტთან სათქმელ სიტყვას, მაგრამ ის ჩემს სურვილზე ძლიერი იყო.

„შვიდი მილიონი! განა შეიძლება ამის უარყოფა! მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა ისეთი ადამიანი, ვინც ღირსი იქნებოდა ამ ქონების ნაწილიც კი გაეღო მსხვერპლად“. მაგრამ ის ბედნიერებას უფრო მაღლა აყენებდა. მე კი ვარწმუნებდი, ადამიანი ასეთი მსხვერპლის გაღების შემთხვევაში არ შეიძლება ბედნიერი იყოს-მეთქი.

— ასე, ხომ! — წამოიყვირა. — თითქოს ჩვენები გძულთ, მაგრამ მათივე ჯიშისა ყოფილხართ!

გაიქროლებდა ჭენებით და მეც შორიახლოს მივყვებოდი. ამით განაჩენი გამომიტანა და ყველაფერი დაიღუპა. რა არ

დამაკარგვინა ფულების ბრმა სიყვარულმა. მე შემეძლო მარინეტი მყოლოდა, როგორც პატარა და, შეიძლება მეგობარიც... თქვენ კი გინდათ ფული მოგცეთ, რასაც ყოველივე ვამსხვერპლე? არა, არავითარ შემთხვევაში! ჩემი ფული ისე ძვირად მიღირს, რომ სანამ სული არ ამომივა, სანტიმსაც ვერ ეღირსებით.

თქვენ მაინც დაუღალავად აგრძელებთ იერიშებს. მე ვეკითხები ჩემს თავს, კვირას რად მოვიდა ჩემთან ოლიმპია, გუბერის მეუღლე. თქვენ გამოგზავნეთ თუ თავისი სურვილით მინახულა. რა საბრალო არსებაა ეს ოლიმპია (გაუგებარია, რატომ მონათლა ფილიმ ოლიმპიად? ჩვენ დაგვავიწყდა კიდეც მისი ნამდვილი სახელი). მე მჯერა, რომ ჩემთან მოსვლაზე არაფერს გეტყოდათ. თქვენ ნათესავად არ აღიარეთ და არც ოჯახის წევრად სთვლით. ეს არსება გულგრილია ყოველივე იმის მიმართ, რაც პირდაპირ არ ეხება და აგრეთვე, რაც მისი ვიწრო ცნობიერების გარეშე არსებობს. არაფრად აგდებს „ხალხის“ ჩემზე ნალაპარაკევს და ვერ ამჩნევს, რომ მე მათი მტერი ვარ. რა თქმა უნდა, ჩემდამი ასეთი განწყობა მის კეთილ გულს არ მიეწერება. იგი არასოდეს სხვებზე არ ფიქრობს, მას არ შეუძლია ვინმეს სიძულვილიც კი.

„ჩემთან ყოველთვის ალერსიანია“. — გეწინააღმდეგებათ ოლიმპია, როდესაც ჩემს სახელს მასთან ცუდად ახსენებთ. იგი ვერა გრძნობს ჩემს გესლიანობას. ზოგჯერ, როდესაც თავს ესხმით, თქვენს გასაჯავრებლად ვიცავ, და ასე ჰგონია მომწონს.

მისი დაბნეული ლაპარაკიდან შევიტყვე, რომ გუბერმა დროზე მოასწრო უკან დახევა, მაგრამ მდგომარეობიდან გა-

მოსასვლელად დააგირავა არა მარტო თავისი პირადი ქონება, არამედ ცოლის მზითევიც.

— მეუბნება, აუცილებლად უკანვე დავიბრუნებ ფულსო... მხოლოდ ახლა მჭირდებაო... რა ქვია იმას... ავანსი... მემკვიდრეობის ანგარიშზე.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და ისე მოვაჩვენე, თითქოს არ მესმოდა, რას მთხოვდა. მამა აბრამის ბატკანივით როგორ მიამიტ სახეს მივიღებ ხოლმე ასეთ შემთხვევებში!

საბრალო ოლიმპია, რომ იცოდე, რა შევწირე ფულს მსხვერპლად, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი! მაშინ ოცდათხუთმეტი წელი მისრულდებოდა. დილით, მწვანე შაბიამნით შეღებილ ვაზებს შორის, გზაზე, სადაც უკვე სიცხის ბუღი ტრიალებდა, შენი და და მე ცხენებზე ამხედრებულნი ნელი ნაბიჯით ვბრუნდებოდით. ამ ახალგაზრდა, დაცინვის მოყვარულ ქალს ათასგვარად ვარწმუნებდი მილიონების დაკარგვა უაზრობა იქნებოდა-მეთქი. მათი დაკარგვის შიში გონებიდან არ მცილდებოდა. როგორც კი ჩემს სიტყვას დავამთავრებდი, იგი მასხარად მიგდებდა და დამცინოდა. თავის დაცვას რომ ვცდილობდი, უფრო მეტად ვიბნეოდი ჩემს მოსაზრებაში.

— მარინეტ, ამას თქვენს სასარგებლოდ გელაპარაკებით... ნუთუ ისეთი ადამიანი გგონივართ, ვინც მხოლოდ თავის ბავშვების მომავალზე ფიქრობს? იზა, რა თქმა უნდა, არ ისურვებს ეს სიმდიდრე ხელიდან წაუვიდეს. მაგრამ მე...

ის იცინოდა და სხვათა შორის ამბობდა:

— მართლაც საშინელი ადამიანი ყოფილხართ...

ვარწმუნებდი, მხოლოდ თქვენი ბედნიერება მამოძრავებს-

მეთქი. ის ზიზღით იქნევდა თავს. მარინეტი არ ამბობდა, რომ სინამდვილეში შვილები უფრო აინტერესებდა, დედობა, ვიდრე გათხოვება.

მიუხედავად პაპანაქებისა, საუზმის შემდეგ ეტოვებდი ჩაბნელებულ, გრილ სახლს, სადაც ჩემი ოჯახის წევრები ტყავის დივანზე ან ჩალის სკამებზე გადაწოლილნი სთვლემდნენ, ვაღებდი მინიან კარებზე მიფარებულ დარაბას და გარეთ გავდიოდი, იქ ცის ლაჟვარდისთვის მზეს ცეცხლი წაეკიდებინა. საჭირო არ იყო, უკან მომეხედა, რადგან ვიცოდი, ქალი, ვისაც ვძულდი, მომდევდა; ხრეშით მოფენილ ბილიკზე გაისმოდა მისი ნაბიჯების ხმა. ვაი-ვაგლახით მოიკვლევდა, უსწორმასწორო მიწაზე მაღალი ქუსლები ეღრიცებოდა; მივიდოდით ტერასამდე, რომელიც ხრამს გადაჰყურებდა და მოაჯირს დავეყრდნობოდით. გართობის მიზნით შიშველ ხელს გავარვარებულ ქვას დაადებდა და ამოწმებდა თავის თავს, რამდენ ხანს შეეძლო მისი გაძლება.

ჩვენს ფერხთით მზისგან გახურებული, გადაშლილი ვაკე ისევე ჩაფლულიყო ღრმა სიჩუმეში, როგორც ღამიანად, მთვარის შუქი რომ ანათებდა ხოლმე. ჰორიზონტზე კლდოვანი ბორცვები უზარმაზარ შავ თაღს ქმნიდნენ, რომელსაც თითქოს ლითონის ზეცა აწვებოდა ზედ. ოთხ საათამდე არც ერთი სულიერი არ გამოვა გარეთ. ბუზების გუნდი ერთ ადგილას გაუნძრევლად ლივლივებდა იმ კვამლის გრეხილივით, რომელსაც ნიავიც კი არ არხევს.

მე ვიცოდი, ქალს, გვერდით რომ მედგა, არ შეეძლო ჩემი შეყვარება — მას ჩემში ყოველივე სძულდა. მაგრამ ამ მდუმარებით აღსავსე, მიყრუებულ ადგილებში ორივე ერთი ჰაერით ვსუნთქავდით. ეს ახალგაზრდა ქალი ძლიერ იტანჯე-

ბოდა თავისი ოჯახის წევრების მკაცრი მეთვალყურეობის გამო, და ეძებდა ჩემს თანაგრძნობას ისევე შეუგნებლად, როგორც ჰელიოტროპის ყვავილი, მზისკენ რომ შეატრიალებს ხოლმე თავს. მაგრამ ოდნავ გადაკრულ სიტყვაზედაც კი, ვიცი, დაცინვით მიპასუხებდა. მჯეროდა, ზიზღით მოიცილებდა ჩემს მოკრძალებით გაწვდილ ხელს. ასე ვიდექით ერთმანეთის გვერდით ამ უზარმაზარი ტაფობის თავში, სადაც მზეზე, მწვანე ფოთლებს შორის, ყურძნის მტევნები გულმკერდს მათრობელა წვენით ივსებდნენ მომავალი რთვლის შესახვედრად.

იზა, ნეტავ რას ფიქრობდი ჩვენს დილის სეირნობებსა და საუბრებზე იმ დროს, როცა ქვეყანას ეძინა? თუმცა ვიცი შენი აზრი, ერთ დღეს მოვისმინე. დიახ, დარბაზის დაკეტილი დარაბებიდან შემომესმა დედაშენს ესაუბრებოდი, კალეზში სტუმრად რომ ჩამოვიდა (ალბათ იმიტომ, რომ მარინეტზე მეთვალყურეობა უფრო გაეძლიერებინა).

— იდეების თვალსაზრისით ცუდ გავლენას ახდენს მარინეტზე. მაგრამ დანარჩენი საშიში არ არის. იგი მხოლოდ ართობს, მეტი არაფერი...

— მაშ გაართოს, ახლა ეს მთავარია... — გიპასუხა დედაშენმა.

თქვენ გიხაროდათ, რომ მე მარინეტს ვართობდი.

„მაგრამ მარინეტს შემოდგომაზე ქალაქში დაბრუნებისას სხვა რამე უნდა გამოვუნახოთ.“. რამდენადაც არ უნდა გძულებოდე, იზა, ახლა ამ სიტყვების გამო, მე თვითონ ვიგრძენი შენდამი ზიზღი. ისეთი წარმოდგენა გქონდა, თითქოს ამ შემ-

თხვევაში საშიშროება არ მოგელოდა. ქალებს შალე ავიწყდებათ რაც თავს გადახდებათ ხოლმე.

რა თქმა უნდა, როდესაც საუზმის შემდეგ ორივენი, მე და მარინეტი ხრამის გვერდით ვიდექით, ნამდვილად არაფერი საძრახისი არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ირგვლივ რანაირი სიცარიელეც არ უნდა ყოფილიყო, ჩვენ ორივე თავს ისე ვგრძნობდით, როგორც სცენაზე მყოფნი მაყურებლის წინაშე. თუ აღმოჩნდებოდა ისეთი გლეხი, ვინც შუადღის ძილს მიატოვებდა, დაინახავდა ცაცხვის ხესავით უძრავად მდგარ მამაკაცსა და ქალს გავარვარებულ ველს რომ მისჩერებოდნენ და ისე ახლოს იდგნენ ერთიმეორესთან, საკმარისი იყო ოდნავი განძრევაც და ერთმანეთს შეეხებოდნენ.

არა ნაკლებ უმანკოებით იყო აღსავსე ჩვენი საღამოს სეირნობაც. მახსენდება აგვისტოს საღამო. იმ დღით სადილზე დიდი მსჯელობა იყო გამართული დრეიფუსის საქმის ირგვლივ. მარინეტი ჩემს ბანაკს ეკუთვნოდა და საქმის განხილვას მოითხოვდა. ის ახლა მე მჯობდა აბატი არდუენის კამათში ჩარევის ხელოვნებაში და აიძულებდა გადასულიყო რომელიმეს მხარეზე. შენ აღტაცებული ლაპარაკობდი დრუმონის სტატიაზე, მარინეტმა უეცრად, როგორც პატარა გოგონამ „ღვთისმეტყველების“ გაკვეთილზე, ისე იკითხა:

— ბატონო აბატო, ქრისტიანებს ნება დართული აქვთ, ებრაელები სძულდეთ?

ჩვენდა სასიხარულოდ იმ საღამოს აბატმა არდუენმა არ დაიწყო გაურკვეველი დასაბუთებანი და სიტყვა ბანზე არ აუგდია. მან ილაპარაკა იმ დიდ ხალხზე, ვინც არჩეულნი იყვნენ... მაცხოვრის მოღვაწეობის და საქმეების ბრწყინვალე

მოწმეებად. წინასწარმეტყველებაზე მათი ჭეშმარიტ სარწმუნოებისკენ მოქცევის შესახებ, რაც „ყამთა დასასრულის" მაუწყებელი იქნება. გუბერი წინააღმდეგ წავიდა და განაცხადა: მაცხოვრის მწვალებლები სიძულვილის ღირსნი არიანო. მაშინ არდუენმა უპასუხა, თითოეულ ჩვენგანს უფლება აქვს ქრისტეს მხოლოდ ერთი ჯალათი სძულდესო. „გძულდეს თავი თვისი და არა სხვანი".

შენ გუნებაწამხდარმა წარმოთქვი, ამ შემთხვევაში ისღა დაგვრჩენია, საფრანგეთი უცხოელების ბატონობის ქვეშ გადავიდესო. აბატის საბედნიეროდ მოგაგონდა ჟანა დ, არკი და თქვენ მაშინვე შერიგდით. ვერანდაზე რომელიღაც ბავშვმა შეჰკივლა:

— ოჰ, რა ლამაზად ანათებს მთვარე!

მე ავდექი და ხრამისკენ გავემართე; ვიცოდი, მარინეტი გამომყვებოდა. მართლაც შემომესმა მისი აქოშინებული ხმა.

— დამიცადეთ! — მან მხრებზე ბოა წამოისხა.

აღმოსავლეთიდან სავსე მთვარე ამოდიოდა. ახალგაზრდა ქალი შესცქეროდა რცხილის გრძელ ჩრდილებს, რომელნიც ირიბად ეცემოდნენ ბალახებს. გლეხის დარაბებმოხურულ სახლებს მთვარის შუქი ანათებდა. ისმოდა ძაღლების ყეფა. მან მკითხა, რატომ იდგნენ ხეები ასე უძრავად. იქნებ მთვარემ მოაჯადოვაო. ამისთანა ღამეები მხოლოდ იმიტომ არის შექმნილი, რომ მარტოხელა ადამიანები აწამონ.

— ცარიელი დეკორაციაა! — დასძინა შემდეგ გაბრაზებულმა. — ახლა რამდენი შეყვარებული მიისწრაფის ერთმანეთისაკენ, ლოყა ლოყაზე და მხარი მხარზე მიყრდნობილნი. მთვარეც ხომ მათი თანამოზიარეა!

მე ვხედავდი, როგორ უთრთოდა წამწამებზე ცრემლები,

ჩვენს ირგვლივ ყოველივე უძრავმა მდუმარებამ შთანთქა, მხოლოდ მისი სუნთქვა ისმოდა, თითქოს სულის მოთქმა უჭირდა. რაღა ხარ ახლა შენ, მარინეტ, 1900 წელს მიცვალებულო? რა რჩება იმ სხეულისგან, რომელიც ოცდაათი წელიწადი საფლავში განისვენებს. მე მახსენდება იმ საღამოს შენი თმების სურნელება. იმიტომ, რომ ვირწმუნო მკვდრეთით ხორციელის აღდგომა, საჭიროა დავამარცხო ხორციელი სურვილები. ისჯებიან ისინი, ვინც ხორციელი სურვილი ბოროტად გამოიყენა: ასეთები არა მარტო ვერ დაიჯერებენ მკვდრეთით აღდგომას, არამედ ვერც წარმოიდგენენ ამას.

ხელი მოვკიდე, თითქოს პატარა, ნაწყენი გოგონას დამშვიდება მსურდა; მან კი ბავშვივით დამადო თავი. ისე მივიღე ეს საჩუქარი, როგორც მიწა ატმის ხიდან ჩამოვარდნილ ატამს იღებს. მეტი წილი ადამიანებისა ერთმანეთს არჩევანით კი არ უკავშირდებიან, არამედ შემთხვევით, ორი, ურთიერთ ახლოს მდგარი ხესავით, რომლებიც ერთმანეთში ტოტებს გადახლართავენ მხოლოდ იმიტომ, რომ გაიზარდნენ.

იზა, მაშინ სისაძაგლე ჩავიდინე, რადგან გავიფიქრე, შური მეძია შენზე: გამომეყენებინა მარინეტი შენს დასატანჯად. თუმცა წუთიერად, მაგრამ მაინც შემიპყრო ამ აზრმა და განვიზრახე ამის ჩადენა. ჩვენ არეული ნაბიჯებით გავემართეთ ბროწეულის და ჟასმინის ჭალისკენ, სადაც მთვარის შუქი ვერ შეჭრილიყო. მაგრამ ბედისწერის კარნახით ვაზების ხეივანთა შორის უეცრად ნაბიჯის ხმა შემომესმა. ამ ხეივნით აბატი არდუენი წირვაზე მიდიოდა ხოლმე. ახლაც ნამდვილად ის იყო... მოშაგონდა სიტყვა, რაც ერთ საღამოს მითხრა: „თქვენ ძლიერ კეთილი ხართ...“ მას რომ შესძლებოდა ჩემს გულში ჩახედვა

და გაგება, რა ხდებოდა იქ! სირცხვილმა ამიტანა. იქნებ სწორედ ამან გადამარჩინა კიდეც! მარინეტი სინათლეზე გამოვიყვანე და სკამზე დავსვი. თვალები ჩემი ცხვირსახოცით შევუმშრალე. ისეთივე საალერსო სიტყვები ვუთხარი, როგორსაც ჩემს ქალიშვილ მარის ვეუბნებოდი, როცა სირბილის დროს ცაცხვის ხეივნის ქვეშ წაიქცეოდა, წამოვაყენებდი და მოვეფერებოდი ხოლმე. ისე მოვაჩვენე თავი, თითქოს ვერაფერი შევნიშნე, ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი ბუნდოვანი მღელვარება და ცრემლები.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

მეორე დილას ცხენით სასეირნოდ აღარ წავიდა. მე ბორდოში გავემგზავრე. (მიუხედავად სასამართლოს პალატის არდადეგებისა, კვირაში ორჯერ მაინც მივდიოდი ქალაქში, რათა არ შემეწყვიტა ჩემი იურიდიული კონსულტაციები.)

როდესაც კალეზში ვბრუნდებოდი და მატარებელში ვჯდებოდი, ლიანდაგზე სამხრეთის ექსპრესი იდგა. ჩემდა გასაოცრად ვაგონის სარკიანი მინების უკან, სადაც ბ ი ა რ ი ც ი ეწერა, მარინეტი დავინახე, სამგლოვიარო პირბადე არ ეკეთა, ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. მომაგონდა, რომ ერთი მისი ამხანაგი დიდი ხანია სთხოვდა მასთან სენ-ჟან დე-ლუცში ჩასულიყო. მარინეტი ილუსტრირებულ ჟურნალს ათვალიერებდა და ვერ შენიშნა, რომ ხელს ვუქნევდი. საღამოს, როცა ეს ამბავი გითხარი, არაფრად ჩააგდე, რადგან ხანმოკლე დაცილებად ჩათვალე. ასე თქვი: მარინეტმა შენი წასვლის ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგისგან დეპეშა მიიღო. თითქოს გაგიკვირდა კიდეც,

ჩრომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. იქნებ ეჭვიც გეპარებოდა, რომ ჩვენ საიდუმლოდ უნდა შევხვედრილიყავით ერთმანეთს ბორდოში, თუმცა ამის დარდი არა გქონდა, რადგან ჩვენი მარი სიცხიანი იწვა ლოგინში. რამდენიმე დღე კუპის აშლილობით იტანჯებოდა. ყველაზე მეტად ეს გაწუხებდა. სიმართლე უნდა ითქვას, როდესაც რომელიმე ბავშვი ავად გიხდებოდა შენთვის მასზე ზრუნვის მეტი, სხვა არაფერი არსებობდა ამქვეყნად.

არ შემიძლია დიდხანს შევჩერდე იმ საშინელებაზე, რაც შემდეგ მოხდა. თუმცა მას აქეთ ოცდაათი წელიწადი გავიდა, მაგრამ თავს ძალა უნდა დავატანო, რომ გავიხსენო ის ამბავი. ვიცი, ამაში ბრალს მე მდებ. შენ გამიბედე და პირდაპირ მითხარი, რომ მე არ მინდოდა პროფესორის გამოძახება. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ გამოგვეძახა პროფესორი არნოზანი, დაადგენდა, ბავშვს ტიპიური მუცლის ტიფის ნიშნები აქვს და არა გრიპიო, როგორც ვფიქრობდით, მაგრამ კარგად გაიხსენე, მხოლოდ ერთხელ მითხარი:

— იქნებ არნოზანი გამოვიძახოთ?

მე გიპასუხე:

— ექიმი ობრუ ირწმუნება, სოფელში ოცი ასეთი სახის გრიპით დაავადებული ადამიანი მყავსო.

აღარ ჩამციებიხარ. შენ ამბობ მეორე დღეს კიდევ გეხვეწე, არნოზანისთვის დეპეშა გაგვეგზავნაო. ეს ასე არ იყო, თორემ ნამდვილად მემახსოვრებოდა. ის კი ჭეშმარიტებაა — დღეების და ღამეების განმავლობაში იმდენი ვიფიქრე, რომ ჩემს მეხსიერებაში მოგონებანი დაიხლართნენ, წაიშალნენ და ვეღარაფერს ვიგონებ. დავუშვათ, მე ძუნწი ვარ, მაგრამ არც

იმ ზომამდე, რომ როცა საქმე მარის ჯანმრთელობას ეხებოდა, ფულისთვის ხელი მომეჭირა. მით უმეტეს, რომ პროფესორი არნოზანი მზად არის ღვთისა და ხალხის სიყვარულით ადამიანებს უფასოდ უმკურნალოს. მე თუ ის არ გამოვიძახე, მხოლოდ იმიტომ, დარწმუნებული ვიყავით, მარის ჩვეულებრივი გრიპი ჰქონდა, და „ნაწლავებზე გაურთულდა". ობრუ კი, ბავშვი რომ არ დასუსტებულიყო, აიძულებდა ბევრი ეჭამა. მან მოკლა მარი და არა მე. არა, ჩვენს შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. დაჟინებით არ მოგითხოვია არნოზანის მოყვანა. სტყუი, მე არა ვარ მარის სიკვდილში დამნაშავე. ეს ჩემს მიმართ არაადამიანური ბრალდების წაყენებაა. შენ კი გჯერა და ყოველთვისაც გჯეროდა.

რა ულმობელი ზაფხული იყო! წუხილითა და შფოთით აღსავსე ზაფხული, გულისგამაწვრილებელი კუტკალიები... ვერსად ყინული ვერ ვიშოვეთ იმ პაპანაქებაში. უთვალავჯერ ვუწმენდდი პაწია სახიდან ოფლს, რაც ბუზებს იზიდავდა. არნოზანი ძლიერ გვიან გამოვიძახეთ. მკურნალობა და რეჟიმი მაშინ შეუცვალეს, როდესაც ბავშვის შველა აღარ შეიძლებოდა. ალბათ მარის აბოდებდა, როდესაც იმეორებდა:

— მამას გულისათვის, მამას გულისათვის!

გახსოვს მისი სულის აღმაშფოთებელი კივილი?

„მტკივა, მტკივა! ღმერთო ჩემო, მე ხომ ჯერ პატარა ვარ!— უცებ დაუმატა: — არა, ჯერ კიდევ შემიძლია ატანა!"

აბატი არდუენი ლურდის „წმინდა წყალს" ასმევდა. თავდახრილები ვიდექით მისი გალეული სხეულის წინაშე, ჩვენი ხელები ერთმანეთს ეხებოდა. როცა ყველაფერი გათავდა, შენ უგრძნობელი მიწოდე.

გინდა გაიგო, რა ხდებოდა მაშინ ჩემს გულში? უცნაურია, რომ შენ, მორწმუნე ქალი ვერ სცილდებოდი მკვდარი შვილის ფეხამს. გეხვეწებოდნენ გეჭამა, რომ ღონე არ გამოგლეოდა, ოთახიდან ძალით გაჰყავდით. იჯექი საწოლის თავთან, ხელს ეფესვამდი მის გაყინულ შუბლსა და ლოყებს, თითქოს სიცხეს ეუსინჯავდი. მის ჯერ კიდევ ცოცხალ თმებს ტუჩებით ეხებოდი. ზოგჯერ დაემხობოდი მუხლებზე არა სალოცავად, არამედ, რომ დაჰკონებოდი პაწია გაშეშებულ, გაყინულ ხელებს.

აბატი არდუენი გაყენებდა და გეუბნებოდა, საჭიროა მივბაძოთ ბავშვებს, რათა ზეციური მამის სამფლობელოში შესელის უფლება გვქონდესო. „ის გხედავთ, გიცდით თქვენ". თავს აქნევდი, მაგრამ ეს სიტყვები შენამდე არ დადიოდა, შენი რწმენა არაფერს გშველოდა. მხოლოდ წინ დასვენებულ მკვდარ ბავშვზე ფიქრობდი, შენს საკუთარ სისხლსა და ხორცზე, რომელმაც უკვე დაიწყო გახრწნა და რომელსაც მალე მიწას მიაყრიდნენ. მაშინ, როცა მე, ურწმუნო ადამიანმა მარის ნეშტის შეხედვაზე მთელი ის საშინელება წარმოვიდგინე, რასაც სიტყვა „გვამი" ნიშნავდა. მე ვგრძნობდი დაკარგვის სისასტიკეს, რომ აღარასოდეს მოვიდოდა, არ დაბრუნდებოდა. მარი აღარ იყო. სამუდამოდ გაგვცილდა. „თქვენ ეძებთ მარის? ის აქ აღარ არის!"

შემდეგში მაბრალებდი, ბავშვი მალე დაივიწყეო. შენ არ იცი, რა ჩამწყდა, როდესაც გამოსამშვიდობებლად მივედი და კუბოში უკანასკნელად ვაკოცე. მაგრამ ეს ხომ ის მარი აღარ იყო! გძულდი, რადგან სასაფლაოზე არ დაგყვებოდი, სადაც შენ თითქმის ყოველ დღე დადიოდი. — „არასოდეს არ მიდიო ექ, — ჯავრობდი, — მგონი მხოლოდ მარი იყო ერთადერთი, რომელიც ცოტათი მაინც უყვარდა. რა უგულო კაცია!"

მარინეტი დასაფლავებაზე ჩამოვიდა და სამი დღის შემდეგ ისევ წავიდა. მწუხარებამ ისე დაგაბრმავა, ვერც კი ხედავდი იმ საშიშროებას, რომელიც გემუქრებოდა. მისი წასვლის შემდეგ თითქოს თავისუფლად ამოისუნთქე. ორი თვის შემდეგ გავიგეთ, ბიაროში გაცნობილ ვიღაც ჟურნალისტზე გათხოვილიყო. ამ შეცდომის გამოსწორება უკვე აღარ შეიძლებოდა. შენ ულმობელი იყავი მის მიმართ. მარინეტის წინააღმდეგ დავროვილმა სიძულვილმა თითქოს უეცრად იფეთქა. დანახვაც კი არ გინდოდა იმ ვიგინდარასი, თუმცა სრულიად ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, ბევრ სხვასავით; მისი დანაშაული მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენს ბავშვებს დააკარგვინა მდიდარი მემკვიდრეობა, რითაც მასაც არ უსარგებლია. ფილიპოს ქონების მეტი ნაწილი მის ძმისწულებს გადაეცა.

შენ ხომ არა გაქვს მსჯელობის უნარი, არც არასოდეს განიცდი სინდისის ქენჯნას. ჯერ არ შემხვედრია შენისთანა აშკარად უსამართლო ადამიანი. ვინ იცის, აღსარებაზე რამდენ უმნიშვნელო ცოდვებს ინანიებ; იმას კი არა გრძნობ, რომ მთელი შენი ცხოვრება ქრისტეს მცნების დარღვევების შემთხვევებითაა აღსავსე. შენთვის ძლიერ ადვილია თავი მოუყარო ყალბ დასაბუთებას, რომ ადამიანი, ვინც გძულს, გაანადგურო. აი, თუნდაც შენი დის ქმარი, რომელსაც არ იცნობდი და არც არაფერი იცოდი მის შესახებ, ასე გაიძახოდი:

— მარინეტი ბიაროში ვიღაც გაიძვერას და ოტელებში ნათრევი კაცის მსხვერპლი შეიქნა...

საბრალო მარინეტი, როცა მშობიარობას გადაჰყვა (ოჰ, არ მინდა ისევე მკაცრად დაგდო ბრალი, როგორც მე მარის სიკვდილში მადანაშაულებდი), არათუ შეწუხდი მისი სიკვდილით, ეს სათქმელადაც ცოტაა, თითქოს ზეიმობდი კიდეც:

„ვიცოდი, ასე დამთავრდებოდა. თვითონ გაწირა თავი დასაღუპავადო“. თავად კი თავს დამნაშავედ არაფერში თვლიდი. შეასრულე შენი მოვალეობა. საბრალო მარინეტს ეგონა, მახლობლების ოჯახის კარი მისთვის მუდამ ღია იქნებოდა. ეგონა, საკმარისია ვაგრძნობინო და გულმხურვალედ მიმიღებენო. შეგიძლია თამამად თქვა, რომ მარინეტის „თანამონაწილე არ იყავი“. თურმე შენთვის ძლიერ ძნელი იყო ასეთი სიმტკიცის შენარჩუნება. მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ უნდა აიძულო გული გაჩუმდეს.

არა, არ გკიცხავ. მზად ვარ ვაღიარო, რომ მარინეტის ვაჟისთვის, პატარა ლუკისთვის სიკეთეს არ იშურებდი. სანამ დედაშენი ცოცხალი იყო, არ აკლებდა ზრუნვას. მისი სიკვდილის შემდეგ, ზაფხულის არდადეგებზე შენ ჩამოგყავდა ჩვენთან. ზამთარში წელიწადში ერთხელ ბიონის მიდამოებში მდებარე პანსიონში მიდიოდი სანახავად. შენი თქმით: „მოვალეობას იხდიდი, რადგან მამა ყურადღებას არ აქცევდა.“

შენთვის არასოდეს მითქვამს, რომ ლუკის მამა 1914 წელს სექტემბერში ბორდოში გავიცანი. ბანკში მინდოდა სეიფი მეშოვა, მაგრამ პარიზიდან გამოქცეულებს მთლიანად დაეტაცებინათ. ბოლოს ლიონის კრედიტის დირექციამ შემატყობინა, ერთი ჩვენი კლიენტი ბრუნდება პარიზში და შეიძლება მან დაგითმოთ თავისი სეიფიო. როდესაც გვარი მითხრეს, მივხვდი, საქმე ლუკის მამას ეხებოდა. სულაც არ იყო ისეთი საშინელება, როგორც შენ წარმოგედგინა. ოცდათვრამეტი წლისა იქნებოდა, გამხდარი, გატანჯული სახის გამომეტყველება და დაბნეული გამოხედვა ჰქონდა. ეშინოდა, არმიაში არ გამიწვიონო. ამაოდ ვცდილობდი ამ კაცში მსგავსება აღმომეჩინა იმ ახალგაზრდა კაცთან, რომელიც ამ თოთხმეტი წლის წინ

მარინეტის დაკრძალვაზე ვნახე და საქმიანი საუბარი მქონდა. ახლა ერთობ გულწრფელად მელაპარაკა. ერთ უღირს ქალთან ცხოვრობდა და არ უნდოდა მის შვილს ლუკს რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა მასთან. სწორედ ბავშვისდა საკეთილდღეოდ დაუტოვა ბებია ფონდოდეკს. ჩემო საბრალო იზა, შენ და ჩვენმა ბავშვებმა რომ იცოდეთ, რა შევთავაზე ამ დღით ლუკის მამას! ახლა შემიძლია გითხრა. მე მინდოდა სეიფი მის სახელზე ყოფილიყო, თავად კი მინდობილობა მქონოდა. მაშინ მთელი ჩემი ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები, იმ დოკუმენტთან ერთად, რომ ეს ყველაფერი ეკუთვნის ლუკს, იქ იქნებოდა გადანახული, სანამ ცოცხალი ვიქნებოდი, მამას უფლება არ ეძლეოდა მისი გახსნისა. ჩემი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მასზე გადავიდოდა. თქვენ ამას ვერაფრით ვერ მიხვდებოდით...

მაშასადამე, ჩემს ქონებას და ჩემს თავს იმ კაცს ვუგდებდი ხელში... მაშინ თქვენ ძლიერ მძულდით! მერედა რა! მან უარი მითხრა ასეთ ხელშეკრულებაზე. ვერ გაბედა! სინდისმა ნება არ მისცა!

რამ მაიძულა ასეთი სიგიჟე ჩამედინა? იმ დროს ჩვენი შვილები ოცდა ათ წელიწადს უახლოვდებოდნენ. ვაჟი ცოლიანი და ქალიშვილი გათხოვილი იყო. ისინი საბოლოოდ შენს მხარეზე აღმოჩნდნენ. როდესაც რაიმე შემთხვევა ხდებოდა, ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. თქვენ ფარულად მოქმედებდით; მტრად გადამექეცით. ღმერთმა იცის, რომ მათთან, განსაკუთრებით ჟენევიევასთან, ვერ შველდებოდი. უსაყვედურებდი, ყოველთვის მარტო მტოვებ, არაფერში რჩევას არ მეკითხებიო. ბაგრამ ჩემს წინააღმდეგ შეერთებული ძალებით ილაშქრებდით. ეს ყველაფერი ხდებოდა მალულად, საზეიმო შემთხვევის გარ-

და, როგორიც იყო გუბერის ცოლის თხოვა და ჟენევიევას გათხოვება. მაშინ ჩვენთან საშინელ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ხოლმე ადგილი. რა თქმა უნდა, ნაღდი ფულის მოცემა არ მოვინდომე და ყოველწლიური რენტის მიცემით დავკმაყოფილდი. ჩემი სიძისა და რძლის მშობლებს არ გავაგებინე რა ქონების პატრონი ვიყავი, სად მქონდა შენახული. მე მტკიცედ მეჭირა თავი. მათზე ძლიერი ვიყავი და გავიმარჯვე, რადგან თქვენ წინააღმდეგ სიძულვილი მეხმარებოდა, სიძულვილიცა და სიყვარულიც. დიახ, სიყვარული პატარა ლუკისა. ჩემი მძახლები ყველაფერს უხმოდ დათანხმდნენ, რადგან გრძნობდნენ, ქოთანში დიდი თანხა მქონდა დამალული, მაგრამ ჩემი სიჩუმე ყოველთვის გაშინებდათ. თქვენ ეძებდით გასაღებს, რომ ჩემი საიდუმლოება გაგეხსნათ. ხან ჟენევიევა დამიწყებდა დიპლომატიურ ალერსს! საბრალო, დონდლო არსება! შორიდანვე მესმოდა მისი ხის ქოშების ბაკაბუკი. ხშირად მითქვამს: „ჩემი სიკვდილის შემდეგ დამლოცავთ!“ ამას მხოლოდ ხუმრობით ვამბობდი, მინდოდა შენახა, როგორ გაუბრწყინდებოდა თვალები სიხარბისა და სიამოვნებისაგან. როცა ჟენევიევა გადმოგცემდათ ჩემს მომხიბლავ სიტყვებს, წარმომიდგენია, რა აურზაური და სიხარული ატყდებოდა ოჯახში. მე კი ამ ხნის განმავლობაში ისეთ საშუალებას ვეძებდი, რომ თქვენთვის დამეტოვებინა ის, რის დამალვაც არ შეიძლებოდა. მხოლოდ პატარა ლუკზე ვფიქრობდი. ისიც კი მოვისაზრე, მიწა დამეგირავებინა.

მიუხედავად ამისა, ერთხელ მაინც სისუსტე გამოვიჩინე და თქვენი პირმოთნეობა სინამდვილედ მივიღე. ეს იმ წელს იყო, როცა მარი გარდაიცვალა. მე ავად გავხდი. ისეთივე სიმპტომები აღმომაჩნდა, რამაც ჩვენი პატარა გოგონა წაიყვანა. მძაგს მკურნალობა, მეზარება ექიმი და წამალი. ისე ჩამაცივდი, რომ

ბოლოს და ბოლოს ლოგინში ჩამაწვინე და არნოზანი გამოიძახე.

გულმოდგინედ მივლიდი და ჩემი მდგომარეობაც გაწუხებდა. ზოგჯერ, როდესაც მეკითხებოდი როგორ ვგრძნობდი თავს, ასე მეჩვენებოდა, თითქოს შენს ხმაში მწუხარება იხატებოდა; პატარა ბავშვივით მისინჯავდი შუბლს, ჩემს ოთახში დააგებინე ლოგინი. როდესაც ღამით სიცხისგან ვბორგავდი, დგებოდი და წყალს მასმევდი. „მგონი მიფრთხილდება, ვინ იფიქრებდა ამას? ნუთუ მხოლოდ იმიტომ მევლება თავს, რომ „ბევრ ფულს ვშოულობ?“ მაგრამ არა, ფულები შენთვის არ გინდა. იქნებ ის გაშინებდა, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩვენი ბავშვების მდგომარეობა გაუარესდებოდა? ჩემის აზრით, ეს უფრო ჰგავდა სინამდვილეს. მაგრამ ვერც ახლა გამოვიცანი.

როდესაც არნოზანმა გამსინჯა, ვერანდაზე გაჰყევი, გავიგონე შენი ხმამაღალი ლაპარაკი, როგორც აღელვების დროს გჩვევია:

— ექიმო, გთხოვთ, ყველას უთხრათ, რომ მარი მუცლის ტიფით დაიღუპა. ისეთი ხმები დადის, თითქოს მარიც, ჩემი ორი უბედური ძმასავით ჭლექით გარდაიცვალა. ბოროტი ხალხი მოსვენებას არ გვაძლევს. შიშისაგან ვკანკალებ, ჩემი ქმრის ავადმყოფობამ ცუდი გავლენა არ იქონიოს ჟენევიევასა და გუბერის მომავალ ბედზე. თუ ჩემს მეუღლეს მძიმე ავადმყოფობა სჭირს, ისევ დაიწყება ჭორები. ეს რამდენიმე დღეა, ჭკუაზე აღარა ვარ. დაჟინებით ვფიქრობ ჩემს საბრალო შვილებზე. ხომ იცით, ექიმო, რომ ცოლის შერთვამდე ცალი ფილტვი დაავადებული ჰქონდა. ეს ამბავი ყველამ იცოდა. ჭორიკანებს ძლიერ აინტერესებთ სხვისი საქმეების გაჩხრეკვა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩემი ქმარი ეპიდემიური სნეულებისაგან მოკვდე-

ბა, არავინ დაიჯერებს, ისევე როგორც არა სჯერათ, რომ მარის ტიფმა მოუღო ბოლო. ჩემს პატარებს ძვირად დაუჯდებათ ასეთი რამ. ძლიერ ვჯავრობდი, რომ ლოგინში არ წვებოდა და მკურნალობაზე უარს ამბობდა, თითქოს ეს ყოველივე მარტო მას ეხებოდეს. სხვაზე არასოდეს არ ფიქრობს, თავის შვილებზეც კი, ექიმო, თქვენი მსგავსი ადამიანი ვერასოდეს ვერ დაიჯერებს, რომ ჩემი ქმრისნაირი ადამიანებიც არსებობენ. აბატი არდუენივით ვერ წარმოგიდგენიათ, თუ ამ ქვეყანაზე შეიძლება ბოროტებაც იყოს.

ავადმყოფის სარეცელზე მწოლიარე მარტო დარჩენილი სიცილს ავეტანე, როდესაც დაბრუნდი, მკითხე, რა გაცინებსო. იგივე სიტყვებით გიპასუხე, რაც ესოდენ მიღებულია ჩვენს ურთიერთობაში: „ისე, არაფერი“, „რა გაცინებს“? „არაფერი“. „რაზე ფიქრობ?“ — „არაფერზე“.

თავი მეათე

მე ისევ ვაგრძელებ წერას იმ მძიმე შეტევის შემდეგ, რამაც მთელი თვე თქვენს განკარგულებაში მამყოფა. საკმარისია ავადმყოფობამ დამაგდოს, ჩემი ოჯახის წევრები მაშინვე ჩემს საწოლთან იყრით თავს და გაფაციცებული მადევნებთ თვალყურს.

წინა კვირას კომპანიის გასაწევად ჩემთან ფილი მობრძანდა. ცხელოდა. მის თავაზიან ლაპარაკს მოკლედ ვპასუხობდი. გონება მერეოდა... და ჩამთვლიმა... ვერ განვსაზღვრავ რამდენ ხანს მეძინა. ფილის ხმამ გამომაღვიძა. ბინდბუნდში შევნიშნე, დაძაბული მომჩერებოდა. ამ ახალგაზრდა მგელს თვალები უე-

ლავდა. ხელზე, საათის ზევით ოქროს ჯაჭვს ატარებდა. გაღეღილი პერანგიდან გამხდარი, ბავშვური მკერდი მოუჩანდა. ისევ ჩამეძინა. ფილის ფეხსაცმელის ჭრიალმა ხელახლა გამომაღვიძა; ოდნავ გავახილე თვალები და მის საქციელს დავაკვირდი. ჩემი პიჯაკის იმ შიგნითა ჯიბეს დაუწყო სინჯვა, სადაც საფულე მედო. მიუხედავად საშინელი გულის ფრიალისა, თავი ვაიძულე უძრავად ვწოლილიყავი. ნუთუ იგრძნო რამე? რატომღაც მიატოვა პიჯაკი და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა.

თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ის იყო გავიღვიძე და ვკითხე: დიდხანს მეძინა თუ არა.

— არა, პაპა, სულ რამდენიმე წუთი.

მარტოხელა მოხუცებულის შიშმა შემიპყრო, როდესაც მას ახალგაზრდა უთვალთვალებს. ნუთუ გადავირიე? ასე მგონია, შეუძლია მომკლას კიდეც. გუბერმა ერთხელ ხომ თქვა, ფილ ყველაფერზე ხელს მოაწერსო.

იზა, ხედავ რა უბედური ვიყავი. როდესაც ამ სტრიქონებს წაიკითხავ და ჩემს მიმართ სიბრალულით განიმსჭვალები, უკვე გვიან იქნება. მაგრამ ისიც მსიამოვნებს, რომ ოდესმე შემიბრალებ. მე არა მწამს მარადიული ჯოჯოხეთი. სამაგიეროდ კარგად ვიცი რას ნიშნავს აქ, დედამიწაზე იყო წყეული, ცოდვილი, შეჩვენებული, იყო ისეთი ადამიანი, ვისთვისაც ყოველი გზა, საითაც არ უნდა წავიდეს, ყალბია, უნიათო ადამიანი, რომელსაც ესმის ცხოვრების არსი მხოლოდ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო გაგებით და არა მისი მნიშვნელობის ღრმა მცნებით.

იზა, ვიტანჯები. სამხრეთის მცხუნვარე ქარი უბერავს. სულ მეხუთება, მწყურია, მაგრამ ვერ დამილევია, რადგან პირსაბანში მდგარი დუბელა წყლის მეტი არაფერია. ხედავ, ადა-

მიანს მილიონები აქვს დაგროვილი და ერთი ჭიქა ცივი წყალი კი ენატრება!

თუ ვიტან საშინელ ფილისთან შეხვედრას, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა ლუკს მაგონებს, შენს დისწულს, რომელიც ახლა ოცდაათ წელს იქნებოდა გადაცილებული. მე არ უარვყოფ შენს კეთილმოწყალებას, მაგრამ კარგად ვხედავდი, რომ ის ბავშვი არ გიყვარდა, რადგან თქვენი შთამომავლობის არავითარი თვისება არ დაჰყოლია, თუმცა მარინეტის შვილი იყო. არ გიყვარდა ეს შავთვალა, დაბალ, ფართოშუბლა ბიჭუნა, რომელსაც გუბერის თქმით საფეთქლებთან ესპანელივით ჰქონდა ჩამოზრდილი „ქილვაშები". ბაიონის პანსიონში მიბარებული ლუკი ცუდად სწავლობდა. მაგრამ შენ ამბობდი, „ეს ჩემი საქმე არ არის, ისიც საკმარისია, რომ არდადეგების დროს ჩამოდის და ჩემი საზრუნავი ხდება ხოლმეო".

მას არ აინტერესებდა წიგნები. ჩვენს მხარეში, სადაც გარეული ნადირი ერთიანად გაწყვეტილი იყო, ის თითქმის ყოველ დღე ნანადირევით ბრუნდებოდა შინ. კურდღელი ჩვენს მინდვრებზე წელიწადში ერთი-ორი თუ შეგხვდება. იმასაც ლუკი იჭერდა და სახლში მოჰქონდა. მე ახლაც თვალწინ მიდგას სისხლიანი კურდღლით ხელში ვაზთა გრძელ ხეივნებს შორის მხიარულად მიმავალი. გათენებისას, როდესაც მიდიოდა, ვაღებდი ფანჯარას და ჩამოწოლილი ნისლიდან მესმოდა მისი წკრიალა ხმა.

— მივალ, მდინარეზე ანკესებს მივხედავ.

ის ყოველთვის პირდაპირ მიცქეროდა სახეში მშვიდად, არ ეშინოდა ჩემი. არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია მსგავსი რამ.

თუ რამდენიმე დღით სადმე წავიდოდი და შემდეგ მოუ-

ლოდნელად დავბრუნდებოდი შინ, სიგარის სუნით და იატაკიდან აღებული ხალიჩებით ვხვდებოდი, რომ ქეიფი შეეწყვიტათ (საკმარისი იყო სახლიდან წავსულიყავი, რომ მიუხედავად ჩემს მიერ მკაცრად აკრძალვისა, ჟენევიევა და გუბერი ეპატიჟებოდნენ მეგობრებს და ნადიმს მართავდნენ. „ხომ საჭიროა მეგობრებთან ურთიერთობის განმტკიცება.“ ასე ამბობდი). ასეთ შემთხვევაში დასაწყნარებლად ლუკს მომიგზავნიდით. მას ეცინებოდა, რომ მე შიშს ვგვრიდი ყველას.

— იცი რა, როდესაც სასტუმროში შევედი, ისინი ცეკვავდნენ, ტრიალებდნენ. მე დავიძახე: „აგერ, ძია! ბილიკზე მოდის!“ ერთი შეგეხედა, ვინ საით გარბოდა, არაფერი გაეგებოდათ. დეიდა იზამ და ჟენევიევამ ბუტერბროდები უკანვე ბუფეტში გააქანეს. უჰ, რა არეულობა იყო!

ეს ბიჭი ერთადერთი არსება იყო მთელ ქვეყანაზე, ვისაც საფრთხობელად არ მივაჩნდი. ხანდახან მდინარეზე ჩავყვებოდი, სადაც ის თევზაობდა. ამ მუდამ მოძრავსა და დაუდეგარ ბიჭუნას შეეძლო მთელი საათობით ტირიფივით გაშეშებული მჯდარიყო მდინარის პირას. მკლავებს ტირიფის ტოტებივით ისევე ჩუმად და ნელა ამოძრავებდა. ჟენევიევა სამართლიანად ასაბუთებდა, ეს ბიჭი ესთეტიკურ თვისებებს მოკლებულიაო. მართლაც, არასოდეს არ წავიდოდა ტერასაზე მთვარით გაშუქებული არემარის დასანახად. მას ბუნება არ იზიდავდა, აღტაცებაში არ მოჰყავდა, რომ თვით იყო ბუნებაში ჩაქსოვილი და იმ ბუნების ნაწილაკს წარმოადგენდა. სხვა დანარჩენ წყაროთა შორის იგი მჩქეფარე წყარო იყო.

ხშირად მიფიქრია, რა უბედური ცხოვრება ჰქონდა. დედა მოუკვდა, მამამისის ხსენება ჩვენს სახლში აკრძალული იყო.

საბრალო, მიტოვებული ბავშვი პატარაობიდანვე პანსიონში იზრდებოდა. ჩემთვის საკმარისი იყო ამგვარი მდგომარეობის ხილვა, და ეული ხალხის მიმართ გული ბოღმითა და სიძულვილით მევსებოდა. მასში კი ჭარბად სჩქეფდა სიმხიარულე და სიხალისე. ბიჭი ყველას უყვარდა, მათ შორის მეც. უცნაურია, რომ მე კი ყველას ვძულდი. ლუკი მეცა და სხვასაც ყველას ერთნაირად ულიმოდა.

ამ არსებაში ყოველი ბუნებრივი და გულუბრყვილო ჩანდა. რაც უფრო იზრდებოდა, მით მეტად განცვიფრებდა მისი სიწმინდე, სიფაქიზე, ის გულგრილობა, რასაც მაცდუნებელი ბოროტების მიმართ იჩენდა. სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენი ბავშვები კარგები იყვნენ. როგორც შენ ამბობდი, გუბერი მისაბაძი ახალგაზრდა იყო. ამ მხრივ უნდა ვაღიარო, რომ შენმა აღზრდამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. ლუკს რომ დასცლოდა დავაუკაცება, იქნებოდა თუ არა წესიერი ყოფაქცევისა? მასში ეს სისპეტაკე არ იყო ხელოვნური, შეგნების პრინციპებზე აგებული. ეს იყო გამჭვირვალე, მორაკრაკე წყარო, რომლის ფსკერზე თითოეული კენჭიც დაითვლებოდა. უმანკო სახე ისე უბრწყინავდა, როგორც ბალახზე დილის ცვარი აციმციმდება ხოლმე. მის თვისებებზე იმიტომ ვჩერდები, რომ ამან ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. შენი მაღალფარდოვანი პრინციპები, გადაკრული სიტყვები, ზიზღის გამომხატველი მიმიკა, მოკუმული ტუჩები, ვერ დამანახვებდნენ ბიწიერების ჭეშმარიტი გაგების არსს. ის იმ ბიჭის წყალობით შევიცანი, რასაც კარგა მოგვიანებით მივხვდი. შენის აზრით, ხალხს დაბადებიდანვე პირველყოფილი ცოდვა თან დაყვება, მაგრამ ვერა ადამიანი ვერ აღმოაჩენდა ამ მანკიერებას ლუკში. ის შემქმნელის ხელიდან სრულყოფილი, მშვენიერი და უხინჯო გამოვიდა.

სამაგიეროდ მასთან შედარებისას აშკარად ვგრძნობდი ჩემს სიმახინჯეს.

შემიძლია იმის თქმა, რომ შვილივით მიყვარდა? არა. უფრო იმიტომ მიყვარდა, რომ მე არა მგავდა. კარგად ვიცი გუბერეს და ჟენევიევამ რა დაიმკვიდრეს ჩემგან: სიხარბე, სწრაფვა მატერიალური კეთილდღეობისაკენ, რაც მათ ცხოვრებაში მთავარ მცნებას წარმოადგენს. აგრეთვე სხვებზე ქედმაღლურად ბატონობა (ჟენევიევა უმოწყალოდ იგდებს აბუჩად თავის ქმარს და ჩემსავით ამაყია). ლუკი კი არაფერში არა მგავდა.

მთელი წლის მანძილზე უმეტესწილად სრულიადაც არ ვფიქრობდი მასზე. მამას დღესასწაულების დროს ახალ წელსა და აღდგომას თავისთან მიჰყავდა. ზაფხულის არდადეგებს ჩვენთან ატარებდა და ჩვენს მხარეს თბილ ქვეყნებში მიმფრინავ ფრინველებთან ერთად ტოვებდა.

იყო თუ არა ღვთისმოსავი? შენ მასზე ამბობდი:

— ისეთ პატარა ნადირზეც კი, როგორიც ლუკია, იეზუიტმა ბერებმა გავლენა იქონიეს. კვირა დღის წირვას ყოველთვის ესწრება. თუმცა აჩქარებით და გულაყრილი ლოცულობს, მაგრამ ყოველი ადამიანი აკეთებს იმას, რაც შეუძლია. მეტ ვერც მოსთხოვ.

იგი ამ საგანზე მე არასოდეს მელაპარაკებოდა. არც არაფერს ახსენებდა ამის შესახებ, საუბრობდა მოკლედ და კონკრეტულად. ზოგჯერ, როდესაც ჯიბიდან დანას, ტიკტიკას ან სალამურს ამოიღებდა, რომ ტოროლები მოეზიდა, ბალახებზე შავი კრიალოსანიც დაუვარდებოდა და მაშინვე აიღებდა ხოლმე. კვირა დღეებში თავი მშვიდად ეჭირა. აღარ ჩანდა

ისეთი მხიარული და მოძრავი, თითქოს ზურგზე მძიმე ტვირთი ეკიდა.

ყველა იმ კვანძებს შორის, რაც ლუკთან მაკავშირებდა, ერთი ძლიერ საყურადღებოა, ეს გაგაკვირვებს: კვირა დღეებში, როდესაც წყნარად იქცეოდა, ამ პატარა ნუკრში მე თითქოს ჩვენი გოგონას ძმას ვხედავდი, რომელსაც უკვე თორმეტი წელია სამუდამოდ ეძინა, თუმცა საბრალო მარი და ლუკი ხასიათით დიდად განსხვავდებოდნენ. მარი ისეთი შეებრალებელი იყო, რომ ჭიანჭველებსაც არიდებდა ფეხს. მისი გასართობი იყო ხეების ფუღუროში ხავსის გაფენა და ზედ პატარა ღვთისმშობლის ქანდაკების დადგმა, გახსოვს? მარინეტის ვაჟიშვილში, ამ «ნადირში», როგორც შენ ლუკს უწოდებდი, ცოცხლდებოდა ჩვენი მარის სახე: უფრო სწორად, ის კამკამა ჩანჩქერი, რომელიც მისი სულიდან გამოდიოდა, და რომელიც მიწის ქვეშ გაუჩინარდა. მე მას, მოჩუხჩუხეს ჩემს ფეხებთან ხელახლა ვხედავდი.

ომი რომ დაიწყო, იმ წელიწადს ლუკი თხუთმეტი წლის სრულდებოდა. გუბერი სათადარიგო ნაწილში გაიწვიეს. ამხედრო საექიმო კომისიას იგი ფილოსოფიურად განწყობილი შეხვდა. მისი ვიწრო გულ-მკერდი, რაც წლების მანძილზე სადარდებლად და სამწუხაროდ გქონდა ქცეული, ახლა შენი იმედების დასაყრდენი აღმოჩნდა. ერთფეროვანი საკანცელარიო საქმეებისა და პატარა უსიამოვნებათა გამო თუ გუბერი თავისი სურვილით ჯარში წასვლას იფიქრებდა და კიდეც იწყებდა ამაზე ზრუნვას (თუმცა უშედეგოდ.), შენ იმ ზომამდე მიდიოდი, რომ საიდუმლო, რასაც აქამდე ასე სასოებით უფრთხილდებოდი, უკვე სააშკარაოზე გამოგქონდა და ამ-

ბობდი: „ისეთი შთამომავლობის პატრონი, როგორიც გუ-ბერია...“

საბრალო იზა, ნუ გეშინია, არ ვაპირებ შენს აუგად ხსენებას. შენ სრულიად არ გაინტერესებდა და არ ზრუნავდი ჩემზე, განსაკუთრებით იმ წელიწადს. ვერც კი ხედავდი ომიანობის წლებში ჩემში რაოდენ იზრდებოდა სევდა-მწუხარება. ლუკის მამა ჯარში გაიწვიეს და რომელიღაც სამინისტროში გაგზავნეს. ახლა ეს პატარა ბიჭი ჩვენთან ატარებდა არა მარტო არდადეგებს, არამედ აღდგომას და ახალ წელსაც. მას ეშინოდა, ომი არ შეწყვეტილიყო მანამდე, ვიდრე თვრამეტ წელს მიაღწევდა. უწინ ლუკი არასოდეს წიგნს ხელში არ აიღებდა, ახლა კი გატაცებული იყო სპეციალური შრომებით, სწავლობდა რუკებს. ფიზიკურად ვარჯიშობდა, თექვსმეტი წლისა უკვე ჩამოყალიბებული, მკაცრი მამაკაცი იყო. დაჭრილებსა და მკვდრებზე საუბარი არასოდეს არ აკრთობდა. საშინელი მოთხრობები სანგრებში ცხოვრებაზე, რომელთაც მე ვაძლევდი წასაკითხად, თავისებურ წარმოდგენებს უქმნიდნენ ომზე, როგორც მრისხანე, მაგრამ მშვენიერ სპორტზე, რისი თამაშის უფლებაც არაა ნებადართული. უნდა ეჩქარა; ოჰ, როგორ ეშინოდა არ დაგვიანებოდა. მაგრამ ჯიბეში უკვე ედო სულელი მამის ნებართვა. რამდენადაც ახლოვდებოდა საბედისწერო 1918 წლის იანვარი, როდესაც ლუკი თვრამეტისა უნდა გამხდარიყო, კანკალით ვუთვალთვალებდი მოხუცი კლემენსოს კარიერას, მსგავსად პატიმრების მშობლებისა, რომელნიც ოდესღაც რობესპიერის დაცემას უცდიდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ტირანი უფრო ადრე დაემხობოდა, ვინემ მათი შვილები სასამართლოს წინაშე წარსდგებოდნენ.

როდესაც ლუკი სუეის ბანაკში წვრთნას გადიოდა, შენ შალის ნაქსოვ ტანსაცმელს და ტკბილეულს უგზავნიდი. მაგრამ, ჩემო საბრალო იზა, ზოგჯერ ისეთ რაიმეს იტყოდი, რომ მზად ვიყავი გამენადგურებინე. „საბრალო ბალღი, სამწუხაროა თუ მოკლავენ... ყოველ შემთხვევაში, ობლები არ დარჩება...“ თუმცა ეს სიტყვები არაფერს ცუდს არ გამოხატავდა.

ერთ დღეს შევიტყე, რომ ლუკის გამგზავრებამდე ოთის შეწყვეტის არავითარი იმედი არ იყო. როდესაც შმენ-დედამთან ფრონტი გაარღვიეს, იგი ჩვენთან გამოსამშვიდობებლად თხუთმეტი დღით ადრე მოვიდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. როგორ დამეწვა გული! მოვიკრებ მხნეობას და მოვიგონებ ერთ საშინელ შემთხვევას, რის გამოც ზოგჯერ ღამით კვნესით მეღვიძება. იმ დღით სამუშაო ოთახში გავედი ტყავის ქამრის მოსაძებნად, იგი მეუნაგირეს შეკვეთით გავაკეთებინე. სკამზე ავძვერი და შეველაადე წიგნების კარადაზე წამოდგმული დემოსთენის თაბაშირის თავი ჩამომეღო. ძვრაც ვერ ვუყავი. იგი სავსე იყო ლუიდორებით, რომლებსაც მობილიზაციის დასაწყისშივე ამ ყულაბაში ვაგროვებდი. ჩავყავი ხელი ოქროში, რაც მთელ ქვეყანას მერჩია, ამოვიღე რამდენიმე მუჭა და ქამარში ჩავყარე. სკამიდან გადმოსვლისას კისერზე შემოვიხვიე ეს ტყავის გველი ამდენი ლუიდორი რომ ჩაყლაპა და ტყვიასავით დამძიმდა.

გაუბედავად გავუწოდე ლუკს ქამარი. ის ჯერ ვერ მიხვდა რას ვთავაზობდი.

— რად მინდა ეგ, ძია?

— გამოგადგება, როცა სადმე დასახლებულ ნაწილში დად-

ბებით, ან თუ ტყვედ მოხვდები. სხვაგანაც ბევრგან გამოიყენებ... ოქროს ხომ ყველგანა აქვს ფასი!

— ოჰ! — წამოიყვირა სიცილით, — ისედაც ბევრი ხარჯხურა მიმაქვს. ნუთუ ფიქრობ, რომ ამ ქამარსაც მოვიკიდებ? იძულებული გავხდები პირველი იერიშისთანავე საპირფარეშოში დავტოვო...

— ჩემო კარგო, ომის დასაწყისში ყველას თან მიჰქონდა ოქრო, თუ რა თქმა უნდა, ებადა ეს განძი.

— იმიტომ, რომ არ იცოდნენ, რა ელოდათ ფრონტზე.

ის შუა ოთახში იდგა. ოქროთი დატენილი ქამარი კი დივანზე მიაგდო. ეს ბიჭი მკვრივი, ძლიერი, პატარა და ნაზი მოჩანდა მის სხეულთან შედარებით დიდი ზომის ჯარისკაცის ფორმაში. განიერი საყელოდან წვრილი, ბავშვური კისერი მოუჩანდა. გადაპარსული თმების გამო საკუთარი სახის იერი დაჰკარგვოდა. ბიჭი მოამზადეს, სასიკვდილოდ „გამოაწყვეს". სხვებისგან აღარაფრით გამოირჩეოდა. დაკარგა სახელი, უკვე გაქრა... ყმაწვილმა დაბნეულად შეხედა ქამარს. შემდეგ ზიზღითა და დაცინვის გამომეტყველებით აღსავსე მზერა მე მომაპყრო. გამომშვიდობებისას მაინც გადამკოცნა. სადარბაზო გასასვლელამდე გავაცილე. მობრუნდა და მოვაძახა:

— ეგ ყველაფერი საფრანგეთის ბანკს ჩააბარე.

თვალებში მოწოლილი ცრემლების გამო ვეღარაფერს ვხედავდი. გავიგონე როგორ გაეხუმრე:

— ამის იმედი ნუ გექნება. თავის დღეში ასეთ სიმამაცეს ვერ ჩაიდენს.

კარი მიიხურა. მე უძრავად ვიდექი ვესტიბიულში. შეკ მითხარი:

— გამოტყდი, ხომ იცოდი, არ აიღებდა ოქროს, მოგეხასიათა და ხელგაშლილობა გინდოდა გამოგეჩინა, არა?

მომაგონდა, რომ ქამარი დივანზე იდო. ვინ იცის... მსახური დაინტერესდეს, აიღოს და გასინჯოს... ჭრელი ხალხია!..

სწრაფად ავირბინე და ქამარი მხრებზე გადავიგდე, რომ საწოლ ოთახში ოქრო ისევ დემოსთენის თავში დამებრუნებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა დედაჩემი. თითქოს ვერც კი შევნიშნე ეს. წლების მანძილზე დაკარგული ჰქონდა აზროვნება და ჩვენთან აღარ ცხოვრობდა. დედა მოხუცი და დავრდომილი სნეული ჩემს წარმოდგენაში წაიშალა. მე ახლა ვიგონებ ისე, როგორიც ჩემს ბავშვობისას და სიყრმისას მახსოვდა. მე, რომელსაც ასე მძულდა სასაფლაოები, დედაჩემის საფლავი რამდენჯერმე ვინახულე, ყვავილები აღარ მიმაქვს მას შემდეგ, რაც შევნიშნე, რომ იპარავენ. ღარიბები მდიდრების სასაფლაოზე მიტანილი ყვავილების ხარჯზე მდიდრდებიან. საჭიროა საფლავს ღობე შემოვავლოთ. მაგრამ ძვირი ჯდება აი, ლუკს არა აქვს სასაფლაო. ის გაქრა, „უგზოუკვლოდ დაიკარგა". საფულეში ვიწახავ იმ ერთადერთ ღია ბარათს, რის გამოგზავნაც მოასწრო: „ყველაფერი რიგზეა, ამანათი მივიღე. გკოცნით ბევრს". სწორედ ასე სწერია: „გკოცნით ბევრს". საბოლოოდ მაინც შითხრა ალერსიანი სიტყვა ჩემმა საბრალო ბიჭმა.

თავი მეთერთმეტე

ღამით სულის ხუთვამ გამომაღვიძა. წამოდგომა მომიხდა. როგორც იყო, ჩემს სავარძლამდე მივჩანჩალდი. ქარის გაა-

თრებულ ზუზუნში გადავიკითხე ჩემი უკანასკნელი ჩანაწერები. საოცარია ადამიანის რაოდენ სულმდაბალ ბუნებას აშუქებს ეს ხელნაწერი. ვიდრე წერას შევუდგებოდი, ფანჯრის დირეს დავეყრდენი. ქარი ჩადგა. მშვიდად ეძინა კალეზს კაშკაშა ვარსკვლავების ქვეშ. ღამის სამ საათზე ისევ უეცრად ამოვარდა ქარიშხალი და ზეციდან მძიმე, გაყინული წვიმის წვეთები წამოვიდა. სახურავზე წვეთები ისე აბრახუნებდნენ, რომ შეშინებულს მომეჩვენა, თითქოს სეტყვა მოდიოდა. მეგონა, გული გამიჩერდებოდა. სულ ცოტა ხანია რაც ვაზი „ყვავილებიდან“ გამოვიდა. ფერდობებზე შეფენილი ვაზები სავსეა ახლად გამონასკვული, მომავალი მოსავლის ნაყოფით. ისინი პატარა ბატკნებს მიაგავან, მონადირემ ღამის წყვდიადში მიბმული რომ დატოვა ნადირთ მისატყუებლად. ჩემი განწირული ვენახის თავზე ღრუბლები ტრიალებდნენ და რახრახებდნენ.

თუმცა რაში მესაჭიროება მოსავალი? ახლა ამქვეყნად აღარაფრის მოკრეფა აღარ შემიძლია. ისღა დამრჩენია, ჩემი თავი უკეთ შევიცნო. მისმინე, იზა, ჩემი სიკვდილის შემდეგ სხვა ქაღალდებს შორის ნახავ ფურცელს, სადაც უკანასკნელი სურვილი მექნება დაწერილი. ის ჩვენი მარის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ შევადგინე. როდესაც ავად გავხდი და შენ ბავშვების გამო გაწუხებდა ჩემი ამბავი. ამ ანდერძში იპოვი ჩემი რწმენის სიმბოლოს, სადაც დაახლოებით ასეთი აზრია გამოთქმული:

„თუ ჩემი სიკვდილის უკანასკნელ წუთებში დავეთანხმები მღვდლის ზიარების მიღებას, წინასწარ საღად მოაზროვნე ვაცხადებ პროტესტს მათ წანააღმდეგ, ვინც ბოროტად გამოიყენებს მომაკვდავი ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ დაჩლუნგებას.“

უნდა გამოგიტყდე, რომ ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, როცა ვცდილობდი ჩამეხშო ზიზღი საკუთარი თავისადმი, ვუკვირდებოდი შიდა სამყაროს და ნათლად ვხედავდი, რომ როგორც არასდროს, ისე მიზიდავდა ქრისტეს მოძღვრება. აღარ უარვყოფ, ჩემში არსებობს მისწრაფება ღმერთისადმი. თუ იმ ზომამდე შევიცვლები, რომ განვერიდები ჩემი თავისადმი სიძულვილს, მაშინ იოლი იქნებოდა ბრძოლა ამ მისწრაფების წინააღმდეგ. ამ აზრს მე თავიდან მოვიცილებდი, უბრალოდ, სისუსტედ ჩავთვლიდი. მაგრამ როცა მაგონდება, რა ბაიყუში ადამიანი ვარ, რა სისასტიკეს მოუცავს ჩემი გული, როგორ შეუძლია მას აღავსოს ყველანი სიძულვილით და თავის ირგვლივ სიცარიელე შექმნას, ეს ყოველივე შიშსა მგვრის და მხოლოდ ერთი იმედიღა მრჩება...

აი, რას ვფიქრობ, იზა: თქვენთვის, მორწმუნეთათვის კი არ გამოცხადდა ღმერთი დედამიწაზე. არამედ ჩვენისთანა ცოდვილებისათვის. შენ მე არ მიცნობდი და ვერც წარმოიდგენდი რა იმალებოდა ჩემში. როცა ამ ფურცლებს წაიკითხავ, იქნებ არ მოგეჩვენო ისეთი საშინელი! მიუხედავად ამისა, დაინახავ, რომ შენს ქმარს მიმალული ჰქონდა კეთილი გრძნობები, რასაც ჩემში აღვიძებდა მარის ალერსი და ყმაწვილი ლუკი, კვირა დღეს წირვიდან დაბრუნებული სახლის წინ სკამზე რომ ჩამოჯდებოდა და მდელოს გასცქეროდა. გეთაყვა, ნუ იფიქრებ, ჩემს თავზე დიდი წარმოდგენისა ვიყო. მე კარგად ვიცნობ ჩემს გულს, ჩემი გული ასპიტთა ხლართია, ისინი სულს უხუთავენ, სწამლავენ თავისი შხამით და იგი ძლივსღა მოძრაობს ამ მოფუფუნე ქვემძრომების ქვეშ. ისინი ისე არიან გადახლართულნი, რომ შეუძლებელია გამოხსნა. იგი ბასრი მახვილის დარტყმით უნდა გადაიჭრას. „მე თქვენ მოგიტანეთ მახვილი და არა მშვიდობა“.

შეიძლება ხვალ უარვყო ის, რაც აქ გაგანდე, ისევე როგორც ამ ღამეს უარვყავ ოცდაათი წლის წინ დაწერილი ჩემი უკანასკნელი სურვილი. მე ხომ მძულდა ის, რასაც შენ აღსარების დროს ინანიებდი და დღემდე მძულან ისინიც, ვინც ქრისტეს სახელით მოქმედებენ. განა არაა მართალი, რომ მრავალნი აქარწყლებენ იმედს, ამახინჯებენ ვინმეს სახეს, ვინმეს ნათელ გარეგნობას: „მაგრამ ვინ მოგცა მათი გასამართლების უფლება". იზა, ვინ იცის, იქნებ ჩემს სისაძაგლეში, რაღაც უფრო ახლო დგას იმ სიმბოლოსთან, ვიდრე რასაც შენისთანა კეთილმოწყალენი თაყვანსა სცემენ? ჩემი კითხვა აბდაუბდად და სიბილწედ გეჩვენება, განა? როგორ დაგიმტკიცო სიმართლე? რატომ არ მელაპარაკები? რატომ არასდროს ხმას არა მცემდი? შეიძლება არსებობს ისეთი სიტყვა, რაც გაალხვობს ჩემს გაყინულ გულს? იმ ღამეს ჩემი ფიქრი მხოლოდ ერთზე იყო შეჩერებული. იქნებ არაა დაგვიანებული, რომ ხელახლა დავიწყოთ ჩვენი ცხოვრება! იქნებ უკეთესი ყოფილიყო სიკვდილამდე გადმომეცა ჩემი ფურცლები? თუ შეგეხვეწებოდი და დაგაფიცებდი შენს ღმერთს, რომ ბოლომდე წაგეკითხა ჩემი ხელნაწერი? შეიძლება მოგიცადო სანამ დაასრულებ კითხვას? იქნებ შემოხვიდე ჩემს ოთახში ცრემლებით დანამული სახით და უეცრად გაშალო ხელები ჩემს მოსახვევად. იქნებ უკეთესი იყო პატიება მეთხოვა, შემდეგ კი ერთმანეთის წინაშე მუხლებზე დავმხობილიყავით.

ქარიშხალი თითქოს ჩადგა. ციმციმებენ რიჟრაჟის ვარსკვლავები. მომეჩვენა, რომ ისევ წვიმა დაიწყო, მაგრამ ეს ფოთლებიდან ჩამოცვენილი წვეთების ხმაურია. ლოგინზე რომ გადავწვე, ნუთუ ისევ სული შემეხუთება? უკვე არ ძალმიძს

განვაგრძო წერა. ხშირად ვდებ კალამს და სკამის ხმელ ზურგს ვაყრდნობ თავს.

რაღაც გველური სისინი და წივილი ისმის, შემდეგ საშინელი გრუხუნი გავიგონე და დაკლაკნილმა ელვამ ზეცა გააპო. ჩამოვარდა ცუდის მომასწავებელი სიჩუმე, ფერდობიდან ზარბაზნების სკდომის ხმა გაისმა—მეევნახეები სეტყვის ღრუბლების გასაფანტად, ან მათ წვიმად გადასაქცევად ისვროდნენ. ბარზაკისა და სოტერნის მხარეს ყოველთვის შიშით კანკალებენ ჩვენი მხრისთვის საზარალო სეტყვის მოლოდინში. ღამის წუვდიადში სკდება ყუმბარები. იმ იმედით, რომ სეტყვა უკუ იქცევა, სენ ვენსენის სამრეკლოზე მთელი სიძლიერით რეკავენ ზარებს, ისეთი ადამიანის მსგავსად, შიშის გასაფანტავად რომ მღერის.

უეცრად სახლის სახურავის კრამიტებზე კაკაკუკი ატყდა. გეგონებოდათ, კენჭებს ისვრიანო. სეტყვაა. წინათ საჩქაროდ ვისკუპებდი ფანჯრისკენ. გავიგონე საწოლი ოთახის დარაბები ხმაურით როგორ გაიღო. შენ ეზოში სწრაფად მიმავალ კაცს გადასძახე:

— ძლიერი სეტყვაა?

მან გიპასუხა:

— საკმაოდ ძლიერი გახლავთ, კიდევ კარგი, წვიმაშია არეული.

დერეფანში პაწიას შიშველი ფეხის ტყაპუნი გაისმა. როგორც ჩანს, რომელიღაც ბავშვს შეშინებია. მე ჩვეულებისამებრ ანგარიში დავიწყე: „ასი ათასი ფრანკის ზარალია“, მაგრამ არ გავნძრეულვარ. უწინ კი ვერაფერი დამაკავებდა. მაშინვე გავიქცეოდი, როგორც ერთხელ, ამგვარ ავდრიან ღამეში შუა

ვენახებში მიპოვეს ოთახის ფოსტლებიანი, ხელში ჩამქრალი სანთლით. თავზე სეტყვა მარტყაჟდა. მაშინ ღრმა გლეხურმა გრძნობამ წამიყვანა. მინდოდა გავწოლილიყავ მიწაზე და ჩემი სხეულით დამეფარა ვაზები სეტყვისაგან. მაგრამ ამ საღამოს ჩემთვის სრულიად უცხო იყო ის, რაც ჩემს საკუთრებას წარმოადგენდა, ამ სიტყვების ღრმა გაგებით. დაბოლოს მომეხსნა თოკები. არ ვიცი, ვინ და რა ძალამ დაწყვიტა ისინი, იზა... ვე ჩემს გზას ავცდი. რა ძალა მიმაქანებს? ბრმა ძალა? სიყვარული? შეიძლება სიყვარულიც იყოს.

მეოცე ნაწილი

თავი მეთოთხმეტე

პარიზი. ბრეას ქუჩა.

რამ გაფიქრებინა ამ რვეულის ჩემოდანში ჩადება? რა ვუყო ახლა ამ ჩემს გაჟიანურებულ აღსარებას? ჩემსა და ჩემს ოჯახს შორის ყველაფერი დამთავრდა. ის, ვისაც ამ ჩანაწერებში გული და სული გადავუშალე, ჩემთვის აღარ უნდა არსებობდეს. მაშ რაღა საჭიროა მუშაობა გავაგრძელო? უეჭველად, ჩემდა უნებურად ამაში მწუხარების შემსუბუქებას ვპოვებდი, საკუთარი თავის ხსნას. რა უცნაურად მეჩვენება სეტყვის მოსვლის ღამეს დაწერილი სტრიქონები!..

სულით ავადმყოფობის საზღვარზე ხომ არ ვიმყოფებოდი მაშინ? არა, არა, რა საჭიროა სულით ავადმყოფობის ხსენება.

ამ სიტყვის ხმარებაც კი უადგილოა თორემ შეიძლება ჩემს წინააღმდეგ გამოიყენონ, თუ ეს ფურცლები ხელში ჩაუვარდებათ. ახლა ჩემი ნაწერები პირადად აღარავის მიმართავს. როგორც კი ცუდად გაეხდები, უნდა გავანადგურო. იქნებ სულაც ჩემს უცნობ ვაჟიშვილს გადავცე, ვის მოსაძებნადაც პარიზში ვარ ჩამოსული.

როგორ მინდოდა იზასთვის მეთქვა ბავშვის არსებობის საიდუმლოება, როცა ჩემს 1909 წლის რომანის შესახებ გადაკვრით ვწერდი. კინაღამ გამოვუტყდი, რომ ჩემი საყვარელი ფეხმძიმედ იყო, როცა პარიზში წავიდა. იფიქრა, იქ შევაფარებ თავსო.

დიდსულოვან პიროვნებად მიმაჩნდა საკუთარი ოავი, რადგან ომის დაწყებამდე დედას და ბავშვს წელიწადში ექვსი ათას ფრანკს ვუგზავნიდი. ფიქრად არასოდეს მომსვლია ეს თანხა გამედიდებინა. მაშასადამე, მე თავად ვყოფილვარ დამნაშავე, რომ დედაცა და შვილიც, ორივენი აქ მოვძებნე, სიღარიბისაგან დამცირებულნი, შავ სამუშაოს იყვნენ მიჯაჭვულნი. იმ მიზეზით, რომ ისინი ამ კვარტალში ცხოვრობდნენ, შეც ბრეას ქუჩაზე, ერთ ოჯახში ვიქირავე პატარა, იაფფასიანი ოთახი. ერთ კედელთან კარადა იდგა, მეორესთან საწოლი, მათ შორის ძლივს მოთავსდა მაგიდა, რაზედაც ვწერ. მერე რა ხმაურია ქუჩაში! ჩემს დროს მონპარნასის ქუჩა წყარი იყო. ახლა კი მეჩვენება, თითქოს გიჟებით დაუსახლებიათ, რომლებიც არასოდეს არ იძინებენ. ჩემი საყვარელი ოჯახიც კი არ ხმაურობდა ასე, როდესაც მათ სახლის წინ თავი მოიყარეს, იმ ღამეს, როცა საკუთარი თვალებით დავინახე, საკუთარი ყურებით გავიგონე... თუმცა, რა საჭიროა ამის გახსენება!.. მხოლოდ იმიტომ, რომ მცირე ხნით მაინც

აღვბეჭდო ეს მწარე მოგონება ჩემს ნაწერებში და შვებით ამოვისუნთქო... კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გავანადგურო ჩემი ხელნაწერები? ჩემს ვაჟიშვილს, ჩემს მემკვიდრეს უფლება აქვს ყველაფერი იცოდეს თავის მამის შესახებ. ამ აღსარებით ცოტათი მაინც გამოვისყიდი დანაშაულს, რომ დღიდან მისი დაბადებისა უცხოსავით ჩემგან მოშორებით მყავდა.

ეჰ! საკმარისი იყო ორჯერ შეეხვედროდი, და გარკვეული წარმოდგენა შემექმნა. ის ისეთი ადამიანია, რომ არასოდეს დაინტერესდება ჩემი წერილებით. რისი გაგების უნარი აქვს ნოქარს, მდაბიოს, გამოთაყვანებულ კაცუნას, ვისაც სიცოცხლეში მხოლოდ ერთი სიამოვნება სწამს — მთელი დღეები დოღის ცხენივით აჭენოს.

მატარებელში ბორდოდან პარიზამდე იმაზე ვფიქრობდი, როგორი საყვედურებით მომმართავდა. ამიტომ წინასწარვე მოვემზადე დასაცავად. აი, რა გავლენას ახდენს ჩვენზე შაბლონური რომანები და თეატრალური პიესები. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემს უკანონო შვილს კეთილშობილი და მტუხარებით გაჟღენთილი სული ექნებოდა. იგი წარმომედგინა ლუკივით მკაცრი კეთილშობილებით მოსილი, ხან ფილიპეთ მშვენიერი. ყველაფერი ვიფიქრე იმის გარდა, რომ შეიძლებოდა მე მგვანებოდა. ნუთუ არსებობენ ისეთი მამები, რომელთაც სიამოვნებას ჰგვრის, როცა ეუბნებიან: „თქვენი შვილი თქვენ გგავთ.“ ჩემი თავისადმი სიძულვილის საზომი ის საშინელება იყო, როდესაც ჩემს წინ ჩემი ორეული აღიმართა ვინ იცის, ჩემი შვილობილი ლუკი იქნებ ისე ძლიერ იმიტომ მიყვარდა, რომ არა მგავდა. თუმცა რობერი ერთი რამით ვანსხვავდება ჩემგან: იგი იმდენად უნიჭოა, რომ სრულიად

ოლი გამოცდების ჩაბარებაც კი არ შეუძლია. ზედიზედ რამდენჯერმე ჩაჭრის შემდეგ ხელიც აიღო სწავლაზე. დედა წელებზე ფეხს იდგამდა, რომ განათლება მიეღო და შეიძულა შვილი. დღე ერთია და ათასჯერ წამოაძახებს მის უნიათობას. იგი თავჩაღუნული უსმენს, მხოლოდ ის ადარდებს, რომ ამაოდ დაიხარჯა ამდენი ფული. ამ თვისებით ნამდვილად ჩემი შვილია. მაგრამ მე რომ საარაკო სიმდიდრის დატოვებას ვუპირებ, ვერ წარმოუდგენია, მისი საბრალო გონება ამდენს ვერ სწვდება. ამგვარი სიმდიდრე ვერც კი განუსაზღვრია და არც სჯერა მოულოდნელი სასწაული. სიმართლე რომ ვთქვა, დედა-შვილს ეშინია: „ეს ხომ უკანონობაა... ამის გამო შეუძლიათ დაგვაპატიმრონო...“

ეს შეღებილი ქერათმიანი მსუქანი, ფერმკრთალი ქალი, ოდესღაც ჩემი საყვარლის კარიკატურაღა დარჩენილიყო. ვერა და ვერ მოეცილებინა ჩემთვის ჯერ კიდევ ლამაზი, დიდრონი თვალები. „ქუჩაში რომ შემხვედროდით, ვერ გიცნობდითო, „ — მითხრა. განა მე კი ვიცნობდი? იქის შიში მქონდა, გულში ჩემი ჯავრი უდევს და სამაგიეროს გადამიხდის-მეთქი. ყველაფერს ველოდი, მაგრამ ასეთი უხალისო და გულგრილი თუ აღმოჩნდებოდა, ამას კი არა. გამოფიტულიყო, დაჩლუნგებულიყო საბეჭდ მანქანაზე ყოველ დღე რვა საათის კაკუნისაგან. ახლაც ეშინია „სამარცხვინო ისტორიების.“ ავადმყოფური შიში დასჩემებია სასამართლოს წინაშე, რომელთანაც ოდესღაც შეჯახება ჰქონდა. მე მშვენივრად ავუხსენი ჩემი მოქმედების გეგმა: რობერი რომელიმე ბანკში თავის სახელზე აიღებს სეიფს; მე იქ გადავიტან ჩემს სიმდიდრეს. იგი მომცემს მინდობილობას გახსნის უფლებაზე და პირობას დადებს ჩემს სიკვდილამდე სეიფს არ მიეკაროს.

რა თქმა უნდა, მოვითხოვ, რობერმა დაწეროს განცხადება, სადაც აღნიშნული იქნება, რომ სეიფში არსებული სიმდიდრე ჩემი კუთვნილებაა. ყოველად შეუძლებელია, სრულიად უცნობ ადამიანს ხელში ჩაუვარდე. დედა-შვილი მეწინააღმდეგება: ამ საბუთს ხომ იპოვნიან თქვენი სიკვდილის შემდეგო. რა იდიოტები არიან, ვერ მენდობიან! შეეცადე ჩამეგონებინა, შეგიძლიათ თვალდახუჭული ენდოთ სოფლის ისეთ რწმუნებულს, როგორიც ბურიუა-მეთქი. დიდად დავალებული მყავს და ორმოცი წლის განმავლობაში მასთან საქმეებს ვაწარმოებ. შენახულიც კი აქვს კონვერტი, რომელზეც დავწერე: „დაიწვას ჩემი სიკვდილის დღეს". დარწმუნებული ვარ, ბურიუ დასწვავს კონვერტსაც და იმასაც, რაც შიგ დევს. იმ კონვერტშივე ჩავდე რობერის განცხადება. მჯერა, ბურიუ დასწვავს ამ დაბეჭდილ კონვერტს, მით უმეტეს, რომ შიგ ისეთი საბუთებია, რომლის განადგურებაც ბურიუსათვის ხელსაყრელია.

მაგრამ რობერსა და დედამისს ეშინიათ, ვაითუ ჩემი სიკვდილის შემდეგ ბურიუმ არაფერი დაწვას, და მათ შანტაჟი მოუწყოს. ეს მეც ვიფიქრე. ამიტომ გადავწყვიტე, მათთვის ისეთი საბუთები გადამეცა, რომლის ძალითაც შეძლებენ ზემოთ მოხსენებული ბურიუ პასუხისგებაში მისცენ, თუ იგი ასეთ გაიძვერობას ჩაიდენს. რობერის განცხადებას ბურიუ მათ თვალწინ დასწვავს და მხოლოდ მაშინღა დაუბრუნებენ ისინი იმ ქაღალდებს, რითაც დედა-შვილი ბურიუს წინააღმდეგ უნდა შევაიარაღო. მეტი რა უნდათ?

ამ შტერ ქალს და მის სულელ შვილს არაფერი ესმით. მაინც თავისას გაიძახიან. მე მილიონები მოვუტანე და იმის ნაცვლად, რომ ჩემს წინაშე მუხლებზე დაემხონ, როგორც

მეგონა, მსჯელობენ, მეკამათებიან. იქნებ მართლაც ეს ამბავი რამდენადმე სახიფათოა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. მაინც არაფრით არ უნდათ ხელი მოაწერონ ქაღალდს: „საშემოსავლო გადასახადისთვის როგორღა შევიტანოთ განცხადება, ამაზე დიდი უსიამოვნება მოგველისო...“

რამდენად უნდა მძულდნენ ჩემი ოჯახის წევრები, რომ ამ ორ სულელს ცხვირწინ კარი არ მოვუკეტე და არ გავყარე. ორივეს ეშინია ჩემი კანონიერი შვილებისა: „შეიძლება აშკარა გახადონ ჩვენი ამბავი და სამართალში მიგვცენო...“

რობერი და დედამისი ფიქრობენ კიდეც, რომ ჩემმა ოჯახმა გააფრთხილა პოლიცია და ალბათ კიდევ გითვალთვალებენო. ამიტომ ჩემთან შესახვედრად მხოლოდ ღამით არიან თანახმანი, ქალაქგარეთ. როგორ შეიძლება ჩემისთანა სნეულმა კაცმა მთელი ღამეები უძილოდ გაატაროს და მთელი დღე ტაქსებით იაროს. არა მგონია, ჩემი ოჯახის წევრებს რაიმე საეჭვო შეენიშნოთ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა მარტო ვმოგზაურობ. აბა, საიდან ეცოდინებათ, რომ ამას წინათ ღამით კალეზში უჩინმაჩინივით ვესწრებოდი მათ სამხედრო თათბირს. ერთი სიტყვით, მათ ჯერ სუნი არ აუღიათ ჩემი პარიზში ყოფნის შესახებ. ამჯერად ვერაფერი შემიშლის ხელს, ჩემს მიზანს მივაღწიო. იმ დღიდან კი, როდესაც რობერი დათანხმდება ჩემს მიერ შეთავაზებულ ხრიკებს, მშვიდად დავიძინებ. იგი იმდენად მშიშარაა, რომ გაუფრთხილებელ ნაბიჯს არავითარ შემთხვევაში არ გადადგამს.

დღეს საღამოს, ცამეტ ივლისს, ორკესტრი ღია ცის ქვეშ უკრავს. ბრეას ქუჩის კუთხეში წყვილები ტრიალებენ. ოჰ,

მშვიდო, საყვარელო კალეზო! მაგონდება ჩემი გამგზავრების წინა ღამე! მიუხედავად ექიმის აკრძალვისა, მაინც მივიღე ვერონალის აბი და ღრმა ძილით დავიძინე. უეცრად შევკრთი და გამომეღვიძა. საათს დავხედე. ღამის პირველი იყო. მე შემაკრთო ხმების გუგუნმა, ძილში რომ შემომესმა. ფანჯარა ღია დამრჩენოდა; არავინ იყო ეზოში, არც სასტუმროში. აბაზანის ოთახისკენ გავემართე, რომლის ფანჯარაც ჩრდილოეთით, სადარბაზო შესასვლელისკენ გადის. ჩემი ოჯახის წევრები ამ შუა ღამისას იქ შეყრილიყვნენ. ლაღად გრძნობდნენ თავს, რადგან აქეთ მხარეს მხოლოდ საბანაო ოთახების ფანჯრები და დერეფნები იმყოფება.

ღამე იყო წყნარი და თბილი. როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მესმოდა იზას ხიხინა სუნთქვა, ასანთის გაკვრის ხმა; ოდნავი სიოც კი არ არხევდა ჩაშავებული თელის ხეების ფოთლებს. მე ვერ ვბედავდი ფანჯრიდან გადახედვას, მაგრამ თითოეულ ჩემს მტერს ვცნობდი ხმაზე და სიცილით. ისინი არ კამათობდნენ, არც ჩხუბობდნენ. იზამ თუ ჟენევი

შემთხვევაში ხსნის ამ კარადას, როდესაც უნდა დასაზღვევი პოლისი განაახლოს, თან გადასახადი შეამოწმოს.

— დედაჩემო, იქნებ იმ გადასახადი ფურცლის მიხედვით შეეძლოთ, გავიგოთ შემოსავლის თანხა, რასაც გვიმალავს.

— ქაღალდები მხოლოდ უძრავი ქონების ანგარიშს ეხება.

— ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ეს მოქმედება დიდმნიშვნელოვანია? ჩანს, წინასწარ მიუღია გამაფრთხილებელი ზომები.

ფილიმ მთქნარებით ჩაიდუდუნა:

— არა, ერთი უყურეთ, პირწავარდნილი ნიანგია! რა უიღბლო ვარ, რომ ასეთ ნიანგს შევეყარე!

— თუ გინდათ ჩემი აზრი გაიგოთ, — წარმოთქვა ჟენევიევამ, — ლიონის ბანკის სეიფშიც ვერაფერს აღმოაჩენთ. შენ რა გინდოდა, იანინა?

— დედა, ბოლოს და ბოლოს ხომ ამბობენ, რომ შენ ცოტათი უყვარდი. როდესაც პატარები იყავით, არასოდეს არ გათამამებდათ? არა? არა, არა გქონიათ უნარი თქვენს მხარეზე გადაგეყვანათ? უბრალოდ, მოუხერხებელი და უხეშნი ყოფილხართ. საჭირო იყო ალერსითა და მოფერებით დაგეყოლიებინათ. ფილი რომ არ ეჯავრებოდეს, მე მივაღწევდი ჩემსას.

გუბერმა მკვახედ გააწყვეტინა:

— ვგონებ, შენი ქმრის თავხედობა ჩვენ ძვირად დაგვიჯდება...

გაისმა ფილის სიცილი. მე უფრო წინ გადავიხედე. სანთლების ალმა ერთი წამით გაანათა გულხელდაკრეფილი ფილი, მისი მრგვალი ნიკაპი და სქელი ტუჩები.

— გეყოფათ! უჩემოდაც სძულდით!

— არა, უწინ ნაკლებ სიძულვილს იჩენდა.

— მოიგონეთ რას ყვებოდა ბებია, — დაიწყო ფილიმ. — როგორ იქცეოდა, როცა პატარა ქალიშვილი დაეღუპაო, ისეთი გამომეტყველება ჰქონია, თითქოს არაფრად მიაჩნდა მისი სიკვდილი. სასაფლაოზეც კი არასოდეს მიუდგამს ფეხი...

— არა, თქვენ მეტისმეტი მოგდით, ფილი. თუ ვინმე ჰყვარებია ამქვეყნად, ეს მხოლოდ მარი იყო.

იზას მთრთოლვარე და სუსტი ხმით შეპასუხებამ მიშველა, თორემ თავს ვეღარ შევიკავებდი.

მე დაბალ სკამზე დავჯექი და თავი ფანჯრის დირეს მივაყრდენი. ჟენევიევამ თქვა:

— მარი რომ ცოცხალი იყოს, ეს არ მოხდებოდა. მაშინ ყველაფერს მარის დაუტოვებდა, ეცდებოდა მისი გულის მოგებას...

— კარგი ერთი, და! მასაც ისევე შეიძულებდა, როგორც სხვებს. ის ხომ საზარელი ვინმეა. ადამიანური გრძნობები როდი გააჩნია...

იზამ კვლავ წინააღმდეგობა გაუწია:

— ფილი, გთხოვთ, ჩემს შვილებთან ასე ნუ იხსენიებთ ჩემს ქმარს. თქვენ მას პატივით უნდა ექცეოდეთ!

— პატივით ვექცეოდე, პატივით? — და ფილიმ მგონი ჩაიბუტბუტა: — იქნებ ფიქრობთ, რომ საამოა ასეთ ოჯახში შესვლა!

სიდედრმა ცივად მიუგო:

— არავინ არ გაძალებდათ.

— მაშ ის რა იყო, რომ ათას რამეს მპირდებოდით. იმედებით მავსებდით „დიდი იმედები გვაქვს, დიდი იმედებიო...“

ახლა კიდევ იანინა ქვითინებს. რაო? რა ვთქვი ისეთი? — და სინანულით ჩაილაპარაკა: — კარგით, რა გააწყალეთ გული.

შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ იანინას სლუკ-სლუკი და ცხვირის მოხოცვა ისმოდა. ვიღაცის ხმამ (ვერ გავარჩიე, ვინ იყო) წაილუღლუღა: „რამდენი ვარსკვლავია!"

სენ-ვენსენის ზარმა ორი დაჰკრა.

— შვილებო, ძილის დროა.

გუბერმა თქვა, არ შეიძლება დავიშალოთ, ვიდრე რაიმე ღონისძიებას არ გამოვნახავთო. დიდი ხანია მოქმედების დრო დადგაო. ფილიმაც კვერი დაუკრა. გუბერმა გამოთქვა რწმენა. დიდხანს ვეღარ გასძლებსო. მაშინ უკვე ვეღარაფერს გავ-ხდებითო. მოხუცმა ალბათ ყველა ზომები უკვე იხმარა...

— ჩემო საბრალო შვილებო, ბოლოს და ბოლოს თქვით, რას მოელით ჩემგან? მე უკვე ყველაფერი ვცადე. მეტის გაკეთება აღარ შემიძლია...

— დიახაც შეგიძლია. — უპასუხა გუბერმა, — ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

მან რაღაც წასჩურჩულა, მაგრამ რა, ვერაფერი გავიგონე.

მაშ იმას, რაც მაინტერესებდა, ვერ გავიგებ?

ბოლოს იზამაც ამოიღო ხმა, მისი ლაპარაკის მიხედვით აშკარა გახდა, რომ აღშფოთებული და ნაწყენი იყო.

— არა, არა, მე ეგ არ მომწონს.

— დედაჩემო, ახლა იმას მნიშვნელობა არა აქვს, შენ მოგწონს თუ არა. მთავარია, ჩვენი ქონება გადაარჩინო. ეს არის და ეს!

კვლავ ატყდა გაურკვეველი ჩურჩული, რაც ისევ იზას შეძახილმა შეწყვიტა:

— ეს მეტისმეტი სიმკაცრეა, ჩემო შვილებო!

— ხომ არ შეიძლება, ბებია, შემდგომშიაც მისი თანამონაწილე დარჩეთ. სწორედ თქვენი თანხმობით წაგვართმევს მემკვიდრეობას. თქვენი სიჩუმე თანხმობას ნიშნავს.

— იანინა, ჩემო გოგონა, როგორ ბედავ...

საბრალო იზა. რამდენი ღამე უთევია თეთრად ამ მღნავალა ბავშვის სასთუმალთან. მშობლებს მშვიდი ძილი უნდოდათ, გადიები კი ვერ უძლებდნენ, ამიტომ ბებიამ თავის ოთახში გადმოიყვანა. იანინა ისეთი მშრალი და უტიფარი ტონით ელაპარაკებოდა, რომ მოთმინება მეკარგებოდა.

— რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს ამის თქმა, ბებია, მაგრამ ეს ჩემი მოვალეობაა.

მოვალეობა! მან ეს სახელი შეარქვა თავის ხორციელ მოთხოვნილებას, შიშს, აქაოდა ამ უქნარამ, ამ წუთში შტერივით რომ იცინოდა, არ მიმატოვოსო...

ჟენევიევამ მხარი მისცა თავის ქალს. სუსტი ნებისყოფის გამო შეიძლება მის თანამოზიარედ ჩაითვალოსო. იზამ ამოიოხრა:

— ბავშვებო, იქნებ უკეთესი იყოს მივწეროთ?

— აჰ, არავითარი წერილები არ გამაგონოთ! — აღშფოთდა გუბერი. — სწორედ წერილები ღუპავს ხალხს. ომედი მაქვს, დედა; შენ არასოდეს მიგიწერია?

იზა გამოტყდა, რომ ორჯერ სამჯერ მომწერა.

— იმ წერილებში ხომ არ ემუქრებოდი, ან ლანძღავდი?

იზა ყოყმანობდა, ეთქვა სიმართლე. მე კი გუნებაში მეცინებოდა...

დიახ, მან მომწერა წერილები, რომელთაც დიდი სიფრთხილით ვინახავ. ორი წერილი სასტიკი შეურაცხყოფითაა სავსე. მესამე თითქმის ალერსიანია, — ერთი სიტყვით, გეგო-

ნებათ პროცესს წააგებდა, თუ ჩვენი საყვარელი შვილების უგუნურ რჩევას აჰყვებოდა — სასამართლოზე გადაეცა საქმე და განქორწინება მოეთხოვა. ახლა ყველა აქოთქოთდა ძაღლებივით. როცა ერთი აღრინდება მთელი ხროვა ხომ ბანს მისცემს ხოლმე!

— ბებია, ისეთი ხომ არაფერი მიგიწერიათ, რაიც ჩვენთვის საშიში იქნება?

— არა, მგონი ასეთი არაფერი უნდა იყოს... მხოლოდ ერთხელ ბურიუმ სენ-ვენსენის რწმუნებულმა, ჩემმა ქმარმა რაღაცატომ თავის ხელქვეითად რომ გაიხადა, — იმ გაიძვერამ და ფარისეველმა შესაბრალისი ხმით მითხრა: „ქალბატონო, ძლიერ გაუფრთხილებლად მოიქეცით, რომ მისწერეთო...“

— ისეთი რა მისწერე? იმედი მაქვს, შეურაცხყოფას არ მიაყენებდი.

— ერთი წერილი, რომელიც მარის სიკვდილის შემდეგ დავწერე, ძლიერ მკაცრია. მეორე კი ათას ცხრაას ცხრა წელს გავუგზავნე. მაშინ გაცილებით სერიოზული რომანი ჰქონდა ვიდრე სხვა დროს. ჰოდა, ამის შესახებ ვწერდი.

გუბერმა ჩაიბურტყუნა:

— ეს მნიშვნელოვანია, მეტად მნიშვნელოვანი...

იზამ, აქაოდა შვილი დავამშვიდოო, თქვა, მალე საქმეები მოვაგვარე და მომდევნო წერილში თავი დამნაშავედ ვცანიო.

გუბერმა ჩაიბურტყუნა:

— გადასარევი ამბავია. მთელი გროვა სისულელეებია თავმოყრილი!..

— ახლა შეუძლია აღარ ეშინოდეს განქორწინების პროცესის...

— საბოლოოდ რით ამტკიცებთ მის ბოროტ განზრახვას თქვენს წინააღმდეგ?

— მისმინე, დედა! ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ ხედავდეს, რა გაურკვეველი საიდუმლოებითაა მოცული მოხუცის ფინანსიური საქმიანობა. მისი გადაკრული ლაპარაკი? თუნდაც ის სიტყვები, ბუერიუს რომ წამოსცდა მოწმეების თანდასწრებით: „უნდა ნახოთ, როგორ დაგეღრიჯებათ სახეები, მოხუცის სიკვდილის შემდეგო“.

ახლა ისე გაცხარებული კამათობდნენ, თითქოს მათი მოხუცი დედა იქ არა ყოფილიყო. ქალი სავარძლიდან კვნესით წამოდგა. „ჩემისთანა ქარებით დაავადებულისათვის ღამე გარეთ ჯდომა საზიანოაო,“—თქვა, მაგრამ შვილებს ხმა არ გაუციათ.

მერე გავიგონე როგორ დაუდევრად მიახალეს „ღამე მშვიდობისა“, ისე, რომ ლაპარაკი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ. ეტყობა, თვითონვე დაუარა ყველას სათითაოდ და აკოცა, რადგან შვილებმა ოდნავადაც არ შეიწუხეს თავი თავად დამშვიდობებოდნენ. სიფრთხილის გამო მაშინათვე ლოგინში ჩავწექი. კიბეებზე მისი მძიმე ნაბიჯები გაისმა. კარებს მოადგა, შემომესმა მისი ხმამაღალი სუნთქვა. იზამ სანთელი თაროზე დადგა, კარი გააღო, საწოლს მოუახლოვდა, ჩემსკენ დაიხარა, რომ შეევმოწმებინე მეძინა თუ არა. რა დიდხანს მომჩერებოდა! მეშინოდა არ გამეცა თავი. იზა აჩქარებული სუნთქავდა. ბოლოს გატრიალდა და კარი გაიხურა. როცა მისი საწოლი ოთახის კარის რაზის ჩხაკუნი გავიგონე, ისევ აბაზანის ოთახს მივაშურე და ჩემი ადგილი დავიკავე.

ბავშვები ისევ იქ იყვნენ. ახლა სმადაბლა ლაპარაკობდნენ. მათი ნათქვამიდან ბევრი ვერ გავიგონე.

— სულ სხვა წრეს ეკუთვნოდა,—ამბობდა იანინა, ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფილი, ძვირფასო, გახველებს, მოიხურე პალტო.

— კაცმა რომ თქვას, თავისი ცოლი ისე არა სძულებია, როგორც ჩვენ. არა, პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავია. მსგავს ამბავს რომანშიც ვერ ამოიკითხავთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს უფლება დედა განვსაჯოთ, მაგრამ, მგონია, მაინც მეტისმეტად ლმობიერია მის მიმართ...

— იმას რა, (ეს ფილის ხმა იყო) — ყოველთვის შეუძლია თავისი მზითვი დაიბრუნოს. პაპა ფონდოდეკმა სუეცის არხის აქციები გაატანა... ათას რვაას ოთხმოცდა ოთხი წლიდან მათი ფასი სადამდე მიაღწევდა!..

— სუეცის აქციები? რახანია გაიყიდა...

მაშინვე ვიცანი ჟენევიევას ქმრის, ალფრედის მერყევი და გაუბედავი ხმა. საბრალო ალფრედი, აქამდე კრინტი არ დაეძრა. ახლაც, როგორც ყოველთვის, ჟენევიევამ მყივანა, მკვახე ხმით სიტყვა გააწყვეტინა.

— გაგიჟდი? როგორ თუ გაიყიდა?

ალფრედი მოუყვა მაისის თვეში სიდედრთან სწორედ მაშინ შევედი, როდესაც მისი გაყიდვის აქტს აწერდა ხელს, და ასე მითხრა: „მე მგონია, ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტია მათ გასაყიდად. ფასი ამაზე მაღლა აღარ აიწევს, ამიერიდან სულ უფრო დაეცემაო“.

— მერედა, რატომ აქამდე არაფერი გვითხარი! — დაიკივლა ჟენევიევამ. — რა გამოშტერებული ხარ! მაშ მამამ გააყიდ-

ვინა სუეცის აქციები, ღმერთო ჩემო, მერედა რა აქციები! შეს კი ისე მშვიდად ლაპარაკობ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— მე მეგონა, დედაშენმა ყველაფერი გითხრათ. და რადგანაც საქორწინო ხელშეკრულების თანახმად ქმარს უფლება არა აქვს ცოლის მზითევზე...

— როგორ ფიქრობთ, ვინ ჩაიჯიბავდა მოგებას? ხედავთ, ჩემს მშვენიერ ქმარს ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია! ღმერთო ჩემო! რა ასატანია მთელი სიცოცხლე ამისთანა ადამიანთან ცხოვრება...

ლაპარაკში იანინა ჩაერია და სთხოვა ხმადაბლა ისაუბრეთ, თორემ პატარა გოგონას გამოეღვიძებაო. რამდენიმე წუთს ისე ჩუმად ლაპარაკობდნენ, რომ ვერაფერი გავიგე. შემდეგ გუბერმა კვლავ აღიმაღლა ხმა.

— მე სულ იმ გეგმაზე ვფიქრობ, დღეს რომ წამოაყენეთ. ამ მხრივ დედაჩემის იმედი ნუ გექნებათ, ხელს არ მოგვიმართავს... ჩვენს ამ გადაწყვეტილებას ნელ-ნელა უნდა შეეჩვიოთ...

— მე მგონია, გაყრაზე მეტად დედა ამას არჩევს. სასამართლოთი გაყრას ხომ საბოლოოდ ეკლესიით განქორწინებაც მოჰყვება. ეს კი სინდისის საკითხს შეეხება... რა თქმა უნდა, ფილის წინადადება ერთი შეხედვით უმსგავსოდ მოეჩვენება ადამიანს... თუმცა, რა არის ამაში განსაკუთრებული? ჩვენ ხომ არ ვიქნებით მოსამართლენი. საბოლოოდ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენი ამოცანაა, საკითხი აღვძრათ. ჩვენ სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიჭრება, თუ შესაფერისი კომპეტენტური დაწესებულებები ამას საჭიროდ ჩასთვლიან.

— მე კი გიმეორებთ, ეს მხოლოდ წყლის ნაყვა იქნებამეთქი. — განაცხადა ოლიმპიამ.

ეტყობოდა გუბერის მეუღლე მოთმინებიდან გამოიყვანეს, რომ ასე აღიმაღლა ხმა. დაიწყო მტკიცება, რომ მე ზომიერი, დადებითი და საღად მოაზროვნე ადამიანი ვიყავი.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე პირადად ხშირად ვეთანხმები, — დასძინა მან, — მშვენივრადაც შევუწყობდი ხასიათს და ყველაფერს გავაკეთებდი, რაც მინდა, თქვენ რომ არ აფუჭებდეთ ჩემს დაწყებულ საქმეს.

ვერ გავიგონე, რა უპასუხა ფილიმ, უთუოდ რაღაც თავხედურს წაიხუმრებდა, რადგან ყველამ გაიცინა. საკმარისი იყო ოლიმპიას პირი გაეღო, რომ ყველას ისევ სიცილი უვარდებოდა. ლაპარაკი ჩემამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა.

— ხუთი წელია სასამართლოში აღარ გამოსულა. აღარ შეუძლია.

— იმიტომ, რომ გული აწუხებს?

— კი. ახლა გული აწუხებს, მაგრამ როდესაც სასამართლო პალატა დატოვა, მაშინ სერიოზული არაფერი სჭირვებია. თუ გინდა სიმართლე იცოდე, უსიამოვნო შეჯახება ჰქონდა თავის კოლეგებთან. ეს ყოველივე ხდებოდა საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით. ამის შესახებ უკვე სათანადო ცნობებიც შევაგროვე...

ამაოდ ვძაბავდი სმენას და გულისყურს, ვერაფერი გავარჩიე: ეტყობა, ფილიმ და გუბერმა სკამები ახლოს მიიდგეს, ჯერ გაუგებარი ბუტბუტი შემომესმა, შემდეგ ოლიმპიას გულმოსული შეძახილი:

— თუ შეიძლება, გაჩერდი! ერთადერთი განათლებული

ადამიანი ეგ არის, რომელთანაც შემიძლია წაკითხული წიგნის შესახებ ვიმსჯელო. გავუზიარო ჩემი აზრები. თქვენ კი გინდათ...

ფილის პასუხიდან მხოლოდ გავიგე სიტყვა: „ჭკუიდან გადასული“. მაგრამ მდუმარე გუბერის სიძემ კი ყრუდ წარმოთქვა:

— გთხოვთ, ზრდილობიანად ელაპარაკოთ ჩემს სიდედრს.

ფილიმ უპასუხა ვიხუმრეო. განა ორივენი ამ საქმის მსხვერპლნი არ გახდნენ? გუბერის სიძემ მთრთოლვარე ხმით აღიარა, ჩემს თავს მსხვერპლად არა ვთვლი და ცოლიც სიყვარულით შევირთეო. მაშინ ყველამ ერთხმად დაიღრიალა: „მეც!“ „მეც!“ „მეც სიყვარულით შევირთე!“

ჟენევიევამ დაცინვით უთხრა ქმარს:

— შენც? თურმე, როცა მირთავდი, მამაჩემის სიმდიდრის შესახებ არაფერი გცოდნია? მაგრამ აბა გაიხსენე სიტყვები, ჩვენი ნიშნობის ღამეს რომ წამჩურჩულე: „მამას არაფრის თქმა არ უნდა. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ამას? ჩვენ ვიცით, რომ იგი დიდძალი ქონების პატრონიაო.“

ატყდა სიცილ-ხარხარი, ალიაქოთი. გუბერმა კვლავ ხმა აღიმაღლა: რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი მარტო ლაპარაკობდა. მისი სიტყვებიდან უკანასკნელი ფრაზა გავიგონე:

— ეს საკითხი, უპირველეს ყოვლისა, სიმართლესა და მორალს ეხება. ჩვენ ვიცავთ ოჯახის წმინდათა წმინდა, მამაპაპისეულ ქონებას და მემკვიდრეობის უფლებებს.

გათენებისას გამეფებულ სიჩუმეში მათი ლაპარაკი უფრო გარკვევით მესმოდა:

— თვალყურის დევნება რომ დავუწყოთ? როგორც დავრწმუნდი, დიდი კავშირი აქვს პოლიციასთან და გააფრთხილებენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შემომესმა:

— ყველასათვის ცნობილია მისი უკმეხობა და ხარბი ხასიათი. უნდა ითქვას, რომ ორ-სამ პროცესზე თავი სათანადოდ არ ეჭირა. ხოლო რაც შეეხება მის ჯანსაღ გონებას და ზომიერებას...

— ყოველ შემთხვევაში, ვერავინ უარყოფს, რომ საშინლად და არაადამიანურად გვექცევა, არაადამიანურად!

— ჩემო კარგო იანინა, მერედა გგონია ეს საკმარისია დიაგნოზის დასასმელად? — უთხრა ალფრედმა ქალიშვილს.

მე მივხვდი, ახლა კი ყველაფერს მივხვდი! ის სასტიკი ქარიშხალი, რომელიც ჩემში ბობოქრობდა, ჩადგა და უსაზღვრო სიმშვიდემ მომიცვა. აღმეძრა რწმენა, რომ თვითონ ისინი არიან საშინელებანი, მე კი მათი მსხვერპლი! მიხაროდა, რომ იზა მათთან არ იყო. ვიდრე იქ იმყოფებოდა, ცოტად თუ ბევრად მაინც მიცავდა. მის წინაშე შვილები ვერ ბედავდნენ თავიანთი შავბნელი ზრახვების წამოყენებას, რაიც ახლა მესმოდა და რისაც სრულიადაც არ მეშინია. საბრალო ჩერჩეტებო! ნუთუ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ ჩემისთანა ადამიანს მეურვე მიუჩინოთ, ან სულით ავადმყოფთა სახლში ჩაკეტოთ? ერთი სცადეთ და თითი გაანძრიეთ, ვიდრე თვალს დაახამხამებთ, გუბერს გამოუვალ, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავაგდებ. წარმოდგენაც არა აქვს, რომ მისი ბედი ჩემს ხელშია. რაც შეეხება ფილის, შენახული მაქვს მისთვის საშიში პირადი საქმეები პოლიციის ჩვენებებიდან. არასოდეს ფიქრად არ მომ-

სვლია ამით მესარგებლა. თუმცა არც ახლა ვისარგებლებ. მაგრამ საკმარისი იქნება მხოლოდ ჩემი ეშვები დავანახვო.

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე პირველად ვიგრძენი, რომ ჩემზე ცუდები სხვებიც ყოფილან. მე არა მაქვს შურისძიების სურვილი. ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარი შურისძიება ვერაფერი მომიგონია გარდა იმისა, რომ მათ ხელიდან გამოვაცალო ის მემკვიდრეობა, რომლის ცდაშიც ჩამოხვნენ და სიმწრის ოფლი სდით.

— ვარსკვლავი მოსწყდა! — იყვირა ფილიმ. — მე კი ვერ მოვასწარი რაიმე მენატრა.

— შენ ვერაფერს ასწრებ. — უთხრა იანინამ.

ქმარმა კი თავისი ჩვეულებრივი ბავშვური სიხარულით თქვა:

— როდესაც დაინახავ, რომ ცას ვარსკვლავი მოსწყდა, მაშინვე დაიყვირე: „მილიონი!“

— ფილი, რა სულელი ხარ!

ყველანი წამოდგნენ. მიწაზე მოფენილ ხრეშზე გადადგმული ბაღის სკამების ჭრიალი ისმოდა. აჩხაკუნდა შემოსასვლელი კარის რაზა. დერეფანში იანინა ხითხითებდა. სათითაოდ იკეტებოდა საწოლი ოთახების კარები. გადავწყვიტე, ჩემი განზრახვა სისრულეში მომეყვანა. აი, უკვე ორი თვეა, შეტევა აღარ მომსვლია. ვერაფერი დამაკავებს, პარიზში წავალ. ჩვეულებრივ, ყოველთვის გაუფრთხილებლად მივემგზავრები ხოლმე, მაგრამ არ მინდა ახლა ჩემი წასვლა გაპარვას გავდეს. დილამდე არ დამეძინა. ძველ გეგმაზე ვფიქრობდი, — ამოვიღე არქივიდან და გულმოდგინედ დავამუშავე.

შუადღისას წამოვდექი. არავითარი დაღლა არ მიგრძვნია. ბურიუ ტელეფონით გამოვიძახე. საუზმის შემდეგ გამომეცხადა. ცაცხვის ხეივნის ქვეშ თითქმის მთელი საათი ვსეირნობდით. იზა, იანინა და ჟენევიევა შორიდან გვითვალთვალებდნენ. აშკარა მღელვარებას ვამჩნევდი და ვსიამოვნებდი. სამწუხაროა, რომ კაცები ბორდოში არიან. ჩია ტანის რწმუნებულზე იმ აზრს იზიარებენ, რომ „ჩემი გულისათვის ბურიუ მზადაა ცეცხლში ჩადგეს". საბრალო კაცი კი ჩემი მორჩილია და მონასავით მყავს ხელ-ფეხ შებორკილი. უნდა გენახათ იმ დილას საცოდავი, როგორ მემუდარებოდა, მისი საწინააღმდეგო იარაღი არ გადამეცა ჩემს შესაძლო მემკვიდრისათვის. „რა გაშინებთ? — ვამშვიდებდი. — მაშინვე უკან დაგიბრუნებთ, როდესაც მის განცხადებას დასწვავთ..."

წასვლისას ბურიუმ ქალებს მდაბლად დაუკრა თავი. მათ ოდნავ თავის ქნევით უპასუხეს. შემდეგ რის უბედურობით შემოაჯდა ველოსიპედს და წავიდა. მე ქალებთან მივედი და გამოვუცხადე, საღამოს პარიზში მივდივარ-მეთქი. იზა მარწმუნებდა, შენი ჯანმრთელობის პატრონისათვის მარტო წასვლა საშიშიაო.

— რას ვიზამ, საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. თუმცა ვერც კი ამჩნევთ, მე მაინც თქვენზე ვფიქრობ.

შეწუხებულები შემომცქეროდნენ. ჩემმა დამცინავმა კილომ გამცა. იანინამ დედას შეხედა და შემომბედა:

— ბებიას, ან ძია გუბერს შეეძლოთ თქვენს მაგივრად წასულიყვნენ.

— კარგად მოგიფიქრებია, ჩემო გოგონა... მშვენიერი აზ-

რია, მაგრამ მე შეჩვეული ვარ, ყველაფერი თვითონ ვაკეთო. ვიცი, ეს ცუდია, მაგრამ ვერავის ვენდობი.

— არც შვილებს? ოჰ, პაპა!

მან სიტყვა „პაპა“ ისე ნაზად გააგრძელა, რომ სიბრაზემ ამიტანა. როგორ არის თავის თავში დაჯერებული! ვერ უყურებთ, წარმოუდგენელი მომჯადოებელი ქმნილება! მერე რა მკივანა ხმა აქვს. კარგად ვარჩევდი წინა საღამოს სხვა საყვარელ ნათესავებს შორის... და ისეთი ხარხარი ამიტყდა, რომ ჩემი გულისათვის საბედისწერო იყო. მოვაყოლე სულშემხუთავი ხველება. ეტყობა, აშკარად შევაშინე ჩემიანები. არასოდეს დამავიწყდება იზას საბრალო, ტანჯული სახე. ვინ იცის, მაშინვე ჰქონდა შეტევები. როგორც კი გავშორდი, უდაოა იანინა ბებიას ჩააცივდებოდა: „ბებია, არ გავუშვათ, ნუ მისცემთ წასვლის ნებას...“ მაგრამ ჩემს ცოლს აღარ შესწევდა ძალა, წინააღმდეგობა გაეწია, ქანცმილეული ძლივს სუნთქავდა, ვაი-ვაგლახით მოძრაობდა. მახსოვს, ამასწინათ როგორ უთხრა ჟენევიევას: „რა კარგი იქნება დავიძინო და არასოდეა აღარ გავიღვიძოო...“ ახლა ისიც შემებრალა, როგორც ოდესღაც დედაჩემი მებრალებოდა. შვილები კი ამ ძველ, გაცვეთილ, წყობილებიდან გამოსულ იარაღს ხმარობდნენ ჩემს წინააღმდეგ. უეჭველია, თავისებურად უყვარდათ დედა, აიძულებდნენ მოეყვანათ ექიმი, მიეღო წამალი და დაეცვა დიეტა! როცა მისმა ქალმა და შვილიშვილმა წაბრძანება ინებეს, იგი ჩემთან მოვიდა.

— მისმინე, — მითხრა აჩქარებით, — ფული მჭირდება.

— დღეს ათია, პირველში ხომ მთელი თვის ფული მოგეცი.

— კი მაგრამ, იანინას ცოტა ხელი გავუმართე, ძალიან

უჭირთ... კალეზში ყოველთვის ვახერხებ ეკონომიას. ამ ფულს დაგიბრუნებ, როდესაც აგვისტოს თვისას მომცემ.

მე ვუპასუხე, ეს ხარჯები სრულებითაც არ მეხება, და არც ვალდებული ვარ უქნარა ფილი ვაცხოვრო-მეთქი.

— საფუნთუშეში და საბაყლოში დამედო ვალი. აი, ნახე ანგარიში.

ჩანთიდან ანგარიში ამოიღო. სიბრალული აღმეძრა. შევთავაზე ჩეკი ხელისმოწერით. „ყოველ შემთხვევაში, მეცოდინება, რომ ფული სხვა რამეზე არ დაიხარჯება-მეთქი.“ იგი დამთანხმდა. ამოვიღე ჩეკების წიგნაკი, მაშინღა შევამჩნიე, რომ იანინა და დედამისი ვარდნარში დასეირნობდნენ და თან ჩვენ გვითვალთვალებდნენ.

— დარწმუნებული ვარ, ჰგონიათ, ჩვენ სხვა რამეზე ვლაპარაკობთ. — ვუთხარი მე.

იზა შეკრთა და ხმადაბლა მკითხა:

— აბა რაზე უნდა გველაპარაკა?

იმ წუთში ვიგრძენი როგორ შემეკუმშა გული. მე ორივე ხელი გულთან მივიტანე. ეს მოძრაობა მისთვის კარგად იყო ცნობილი. მაშინვე მომიახლოვდა.

— ცუდადა ხარ?

ცოტა ხანს მისთვის ხელი მქონდა ჩავლებული. ცაცხვის ხეივნის ქვეშ ერთმანეთთან ახლოს მდგარ ცოლ-ქმარს ისეთი ჰეხედულება გვქონდა, თითქოს მთელი ცხოვრება ტკბილ სიყვარულში განგველია. მე წავჩურჩულე:

— არაფერია, გაივლის..

იქნებ იფიქრა, ხელსაყრელი დროა ახლა სალაპარაკოდო. მაგრამ ძალ-ღონე აღარ შესწევდა. შევნიშნე, მძიმედ სუნთქავდა. ისეთი ავადმყოფი, როგორიც მე ვიყავი, უფრო ვამაგრებ-

დი ჩემს თავს. ის ავადმყოფობას დაეჯაბნა და საკუთარ თავზე არა ზრუნავდა, მხოლოდ შვილებზე ფიქრობდა. ცდილობდა ვამოეძებნა სიტყვები და მალ-მალე თავის ქალიშვილსა და შვილიშვილს გახედავდა, თითქოს ამით თავისი გამხნევება უნდოდა. ჩემდამი მოპყრობილ თვალებში დაქანცულობა ამოვიკითხე. სინანული და, ცოტა არ იყოს, სირცხვილიც. ალბათ იმ სიტყვების გამო, რაც იმ საღამოს შვილებმა უთხრეს, შეურაცხყოფილი დარჩა.

— ძლიერ ვწუხვარ, რომ მარტო მიემგზავრები.

მე ვუპასუხე, თუ რაიმე შემემთხვა, არ ღირს ჩემი აქ ჩამოსვენება-მეთქი. რაკი დამაფიცა ასეთი საშინელი რამე აღარ მეხსენებინა, დავუმატე:

— ეს ამაოდ ფულის გადაყრა იქნება, იზა, სამარის მიწა ყველგან ერთნაირია.

— მეც ამ აზრისა ვარ, — ამოიოხრა მან. — სადაც უნდათ, დე მეც იქ დამასაფლაონ. წინათ სულ იმას გავიძახოდი: „მარის გვერდით მიმიწვინეთ-მეთქი...“ მაგრამ რაღა აზრი აქვს ახლა ამას?

მე კვლავ დავრწმუნდი, რომ პატარა მარი მისთვის მხოლოდ საფლავის მტვერსღა წარმოადგენდა. ვერ გავბედე მეთქვა, რომ მრავალი წლების მანძილზე ჩემს ბავშვს ცოცხალივით შევიგრძნობდი. თითქოს მესმოდა მისი სუნთქვა, ხან კი მოულოდნელი ნიავივით ჩაუქროლებდა ჩემს პირქუშ ცხოვრებას.

ამაოდ გვითვალთვალებდნენ იანინა და ჟენევიევა. იზა ძლიერ დაქანცული ჩანდა. შესაძლოა მან ნათლად დაინახა იმ მიზნის არარაობა, რისი გულისთვისაც წლების მანძილზე მებრძოდა? ჟენევიევა და გუბერი თავისი შვილების კარნახით

ჩემს წინააღმდეგ ამხედრებდნენ მოხუც იზა ფონდოდეჟს, იმ-ას, ვინც ოდესღაც ჩემი საპატარძლო იყო და ვისთან ერთა-დაც ბანიარის ღამეების სურნელებას ვიყნოსავდი.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთს ვეომებო-დით. და აი, ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს ორივე მოწი-ნააღმდეგემ იგრძნო, რომ მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი ბრძოლისა, მათ აკავშირებთ ერთად გატარებული ცხოვრება და სიბერე. თითქოს ერთმანეთის სიძულვილში ორივენი ერ-თსა და იმავე ადგილას მოვედით. იმ კონცხის იქით, სადაც სიკვდილს ვუცდიდით, არაფერი იყო, განსაკუთრებით ჩემთვის. მას კი რჩებოდა ღმერთი, თავისი ღმერთი. ყოველივე, რასაც იგი ჩემსავით ხარბად ებღაუჭებოდა, უეცრად მოსცილდა. გულისთქმა რომელიც კედელივით ამართულიყო მასა და უსა-სრულობას შორის, გაქრა. ხედავს მას თუ არა? ხომ აღარაფე-რი აშორებს? მაგრამ არა, არ ხედავს. ახლა თავის შვილების პატივმოყვარე მოთხოვნილებები და სურვილები ეღობება. მათ მოთხოვნილებებს მძიმე ტვირთივით ატარებდა საკუთარი ზურგით. თავისი შვილების სიამოვნების გულისათვის, ხში-რად იძულებული იყო გულქვაობა გამოეჩინა. ზრუნვა ფულ-ზე, ბავშვების ჯანმრთელობაზე, მათი ანგარიშიანობა, პატივ-მოყვარეობა და შური — ყველაფერი მის წინ იყო გადაშლი-ლი და მოწაფესავით ხელახლა უნდა დაეწყო, რომელსაც მას-წავლებელმა დავალება გადაუხაზა და წაუწერა: „გადაკეთ-დეს.“

მან ისევ ხეივნისკენ გაიხედა, სადაც ჟენევიევა და იანინა ბაღის მაკრატლებით ხელში ვითომ ხმელ ტოტებს აკვეცავ-დნენ ვარდის ბუჩქებს. სკამზე ვიჯექი, ვიდრე გულისფრიალი გადამივლიდა და ჩემს ცოლს ვუცქეროდი, მკაცრი დატუქსვის

მოლოდინში პატარა ბავშვივით თავჩაქინდრული რომ მიდიოდა. მცხუნვარე მზე ავდრის მოახლოვების ნიშანი იყო. იზა ისე მძიმედ მიაბიჯებდა, ეტყობოდა, სიარული ძლიერ უჭირდა. მე თითქოს მესმოდა მისი კვნესა: „ოჰ, ჩემი საცოდავი მუხლები!“ მოხუც ცოლ-ქმარს იმდენად არა სძულთ ერთმანეთი, როგორც ეჩვენებათ.

იზა მიუახლოვდა ქალს და შვილიშვილს. როგორც ეტყობოდა, მათ საყვედურები დაუწყეს. უეცრად ისევ ჩემსკენ წამოვიდა, მთლად გაწითლებული და აქოშინებული. გვერდით მომიჯდა და საბრალოდ თქვა:

— წვიმიან ამინდში მუდამ ცუდად ვხდები, ვიქანცები და ნერვებიც მეძაბება!.. ამ ბოლო დღეებში მაინც ვერა ვარ კარგად. ყური მიგდე, ლუი. ზოგიერთი რამ ძლიერ მაწუხებს... სუეცის აქციები... ჩემი მზითვი, მე და შენ გავყიდეთ. რაში მოიხმარე ის ფული? მაშინ ხომ რაღაც სხვა ქაღალდებზე მომაწერინე ხელი...

ავუხსენი, რომ ამ აქციებმა დიდი მოგება მოგვიტანა, რადგან მათი ღირებულების დაცემის წინადღით გავყიდე. შემდეგ ისიც ვუთხარი, კერძოდ, როგორი პროცენტიანი ქაღალდები შევიძინე იმ ფულით.

— შენმა მზითვმა ნამატი შეგვძინა, იზა. ფრანკის დაცემის შემთხვევაშიც კი ისეთი დიდი თანხაა, რომ გაოცდები. ვესტმინსტერ-ბანკში ყველაფერი შენს სახელზეა შეტანილი. თავნიც და მოგებაც. არხეინად იყავი, შენს შვილებს ეს სრულიადაც არ ეხება. რაც მე მოვინაგრე, იმ ფულის ბატონ-პატრონი მე ვარ. მაგრამ რაც შენ მოიტანე, შენი საკუთრებაა. წადი, დაამშვიდე შენი ანგარების მოძულე ანგელოსები. აგერ როგორ იცქირებიან.

მან უეცრად ხელი მტაცა.

— რატომ გეჯავრებიან ისინი, ლუი? რატომ გძულს მთელი შენი ოჯახი?

— თქვენ გძულვართ და არა მე. სწორედ რომ ვთქვა, ჩემს შვილებს ვძულვარ. შენ კი მხოლოდ მაშინ მამჩნევ, როდესაც გაბრაზებული ვარ, ან ჩემი გეშინია.

— ბარემ ესეც დაუმატე: „ან როცა მე შენ გტანჯავ". განა ცოტა მაწამე?

— გაჩუმდი ერთი! ბავშვების მეტს არასოდეს არავის ხედავდი.

— მე მთელი არსებით შევიყვარე ისინი. მათ მეტი რა დამრჩენოდა, — მან ხმადაბლა დაუმატა: — პირველ წელსვე მიმატოვე, მღალატობდი... შენც ხომ იცი...

— იზა, ხომ არ აპირებ დამარწმუნო, რომ ჩემი ოინები გწყინდა. მხოლოდ ისაა, შენს თავმოყვარეობას ლახავდა ჩემი ეს საქციელი. ახალგაზრდა ქალებს ჩვილი გული აქვთ.

მან მწარედ გაიცინა.

— თითქოს გულწრფელად ლაპარაკობ. წარმოიდგინე, ვერც კი ამჩნევდი...

შევკრთი. გულში იმედმა გამიღვიძა. ამის ლაპარაკი უხერხულიც კია. ეს ამბავი ხომ წარსულს ეხებოდა, უკვე ჩამქრალ გრძნობებს. მაინც იმედი მომეცა, რომ ორმოცი წლის წინ ჩემდა შეუმჩნევლად თურმე ვუყვარდი. არა, არა, არაფრით არ დავიჯერებ.

— შენ არასოდეს არ წამოგცდენია არც ერთი სიტყვა, არასოდეს მოგიჩივლია... ბავშვები სავსებით გაკმაყოფილებდნენ.

მან სახეზე ხელები მიიფარა. ახლაღა შევნიშნე მკლავებზე გამობერილი სისხლის ძარღვები და ჩაშავებული ლაქები:

— ჩემი შვილები! რა სათქმელია! მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ოთახებში გადავედით, არასოდეს ჩემთან არ ვაწვენდი, მაშინაც კი, როდესაც ავად იყვნენ. სულ გიცდიდი, მეგონა მოხვიდოდი...

თვალებიდან გადმოსული ცრემლები ნაკადულივით დასდიოდა დაბერებულ მკლავებზე... აი, რას დაემგვანა იზა. მხოლოდ მე თუ ვიცნობდი ამ დაძაბუნებულ, დამახინჯებულ მოხუც დედაბერში ოდესღაც ახალგაზრდა ქალიშვილს, ვინც „თავი თეთრ ფერს შესწირა," ლიის ველზე მოსეირნე ჩემს მეგობარს.

— სირცხვილია და სასაცილო ჩემს წლოვანებაში ამის გახსენება... რაც მთავარია, სასაცილოა. მაპატიე, ლუი.

უხმოდ გავცქეროდი ვენახს. ამ წუთში ეჭვმა შემიპყრო. განა შესაძლოა, ადამიანმა თითქოს ნახევარი საუკუნე შენთან იცხოვროს და მხოლოდ ცალმხრივ ხედავდე? ნუთუ მის მოქმედებასა და სიტყვებში მხოლოდ ისეთებს ვარჩევთ, რაც ხელს უწყობს მის წინააღმდეგ ჩვენს გაბოროტებას და გულღვარძლიანობას. ჩვენი საბედისწერო მისწრაფება ჩვენს შემეცნებაშია. ადამიანს, რომელსაც ჩვენი სიძულვილის გამართლების მიზნით განგებ ვხატავთ კარიკატურული შტრიხებით, მოვაცილოთ მახინჯი თვისებები და მივცეთ შერბილებული, ადამიანური იერი. იქნებ იზამ შენიშნა, რომ აღელვებული ვიყავი. მაშინვე ისარგებლა თავისი მდგომარეობით:

— ხომ აღარ წახვალ ამ საღამოს?

მის თვალებში ის ნაპერწკალი შევნიშნე, როდესაც ეგონა

ხოლმე, რომ „მჯობდა“. ვითომ გაკვირვებულმა ვუპასუხე, არავითარი აზრი არ ექნება მგზავრობის გადადებას-მეთქი. ჩვენ ერთად გავემართეთ შინისკენ. ჩემი ავადმყოფი გულის გამო აღმართით კი არ წავედით, არამედ სახლს ირგვლივ შემოვლებულ ცაცხვის ხეივანს დავყევით. რატომღაც თავს უხერხულად ვგრძნობდი, არ ვიცოდი, რა მექნა. მართლაც რომ არ წავიდე! იქნებ ავიღო და ეს რვეული იზას გადავცე?.. რა მოხდება, რომ...

იგი მხარზე დამეყრდნო. რამდენი ხანია, ასე აღარ გაუკეთებია. ხეივანმა სახლის წინ ჩრდილოეთის მხრიდან მიგვიყვანა. იზამ თქვა:

— კაზო არასოდეს არ იღებს ბაღის სკამებს.

დაბნეულმა მიმოვიხედე. ჩამწკრივებული ცარიელი სავარძლები მჭიდროდ ელაგა. როგორც ჩანდა, მათთვის, ვინც აქ ისხდნენ, საჭირო იყო ერთმანეთთან ასე ახლოს ჯდომა, რომ კარგად ეჩურჩულათ. მიწა ქუსლებით გადაეთხარათ. აქა-იქ ფილის პაპიროსის ნამწვავები ეყარა. მტერი წუხელის აქ ყოფილა დაბანაკებული. ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ბჭობა ჰქონიათ. მამაჩემის დარგული ხეების ქვეშ ისინი იმაზე ლაპარაკობდნენ, როგორ მოეჩინათ მეურვე, ან ჩავეკეტეთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ერთ საღამოს ჩემი თავის დასამცირებლად ჩემი გული ასპიტების ხლართს შევადარე. არა, არა — ასპიტების ხლართი ჩემში არაა დაბუდებული ისინი გამოძვრნენ ჩემიდან და სახლის წინ მათ საზიზღარ წრეში გორგალივით გაეხლართნენ ერთიმეორეს. მიწას ჯერ ისევ ატყვია მათი კვალი.

„იზა, შენს ფულს მიიღებ. — ვფიქრობდი. — იმ თავნსაც თავის ნამატით, რაც ჩემის მეოხებით მოიგო. მაგრამ ჩემგან

მეტს ნურაფერს ელი. ისეთ საშუალებას გამოვძებნი, რომ ეს კარ-მიდამოც გამოგაცალოთ. კალეზს გავყიდი. გავყიდი ტყეს. იმას, რაც ჩემი ოჯახიდან მერგო ჩემს უცნობ ვაჟიშვილს, იმ ყმაწვილს გადავცემ, ვისაც ხვალ შევხვდები. ვინც არ უნდა იყოს, თქვენ მაინც არ გიცნობთ, თქვენს შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩემგან მოშორებით იზრდებოდა და არ შეიძლება ჩემდამი სიძულვილით იყოს გამსჭვალული. თუ აქვს სიძულვილი, მის ცნობიერებაში წარმოსახული ისეთი განყენებული არსების მიმართ იქნება ის გრძნობა, რაც არავითარ კავშირში არ შეიძლება იყოს ჩემთან.

განრისხებულმა იზას ხელი მხრებიდან მოვიცილე, აღარაფრად ჩავაგდე ჩემი ავადმყოფი გული და სასწრაფოდ ავირბინე სადარბაზოს კიბის საფეხურები.

„ლუი!“ — მომაძახა იზამ. მე არ მივიხედე.

თავი ოთოთხმეტი

ძილი არ მეკარებოდა. ავდექი, ჩავიცვი და ქუჩაში გავედი. ვიდრე მონპარნასის ბულვარზე მივდიოდი, მოცეკვავე წყვილთა შორის მომიხდა გავლა. ისეთი გატაცებული რესპუბლიკელები, როგორც ოდესღაც მე ვიყავი, გაურბოდნენ თოთხმეტი ივლისის დღეს მოწყობილ სადღესასწაულო სეირნობას. არც ერთ წესიერ ადამიანს ფიქრად არ მოუვიდოდა მონაწილეობა მიეღო ქუჩაში გამართულ გასართობებში. იმ საღამოს კი, ბრეას ქუჩაზეც და საცეკვაო მოედანზეც, როგორც შევნიშნე, არ იყვნენ ნაძირალები. არც მაწანწალა შემინიშნავს ვინმე. ცეკ-

ეავდნენ აშოლტილი, თავშიშველი ბიჭები. ზოგიერთებს პერანგის საყელო გადაეხსნა, ზოგს მოკლესახელოებიანი ხალათი ეცვა. მოცეკვავე ქალებს შორის მეძავები ნაკლებად ჩანდნენ. ახალგაზრდები ტაქსს ბორბლებში ჩაფრენოდნენ. მათ ცეკვას რომ უშლიდა, მაგრამ ერთობ თავაზიანად იქცეოდნენ, კეთილგონივრულად. ერთი ახალგაზრდა შემთხვევით დამეჯახა და იყვირა:

— პატივცემულ მოხუცს გზა მიეცით! — მე სიცილით სახეგაბადრულ ახალგაზრდებს შორის გავიარე. „რაო, არ გეძინებათ, პაპა?“—შემომძახა გრუზათმიანმა ახალგაზრდა შავგვრემანმა. ალბათ ლუკიც ასევე იცინებდა და იცეკვებდა ქუჩაში. მე კი, რომელმაც არ ვიცოდი, რა იყო ასეთი უდარდელი სიმხიარულე და გართობა, უთუოდ საბრალო ბიჭი მასწავლიდა. მერე როგორ გავათამამებდი, ყოველგვარი საჩუქრებით ავავსებდი. ჯიბეებს ფულით გამოვუტენიდი. მაგრამ აბა, სად არის! მიწამ პირი ამოუვსო. აი, რა ფიქრები მიტრიალებდა თავში კაფეს ხალხით სავსე ტერასაზე მჯდარს და თან ვგრძნობდი სუფთა ჰაერზე როგორ მეკუმშებოდა გული.

უეცრად ქვაფენილზე მოსრიალე ხალხის ბრბოში ჩემი ორეული დავინახე. ეს იყო რობერი. ვიღაც შეუხედავი გარეგნობის ამხანაგს მოჰყვებოდა. რობერსაც ჩემსავით გრძელი ფეხები და მოკლე წელი აქვს. მხრებში თავის ჩარგვაც ჩემსავით იცის. მძულს მას რომ ვუყურებ. ჩემს ყოველ ფიზიკურ ნაკლს მასში მკაფიოდ ვხედავ. მე, მაგალითად, სახე გრძელი მაქვს, იმას კი პირდაპირ ცხენს მიუგავს, მხრები ისე აქვს აწურული, კუზიანი გეგონებათ. ხმაც კუზიან ადამიანს მიუგავს. დავუძახე. ამხანაგი მიატოვა, მოვიდა ჩემთან და შემკრთალმა ირგვლივ მიმოიხედა.

— მხოლოდ აქ არა! —წაისისინა. — კამპან-პრემიერის ქუჩაზე მოდით, ქვაფენილის ხელმარჯვენა მხარეს დაგელოდებით.

მე მივუგე, აქ, ასეთ არეულობაში უფრო ვერავინ შეგვნიშნავს-მეთქი. როდესაც ამ სიტყვებით თითქოს დამშვიდდა, გამოეემშვიდობა ამხანაგს და ჩემს მაგიდას მოუჯდა. ხელში სპორტული ჟურნალი ეჭირა. უხერხული სიჩუმე რომ დამერღვია, ცხენებზე დავუწყე ლაპარაკი. მოხუცმა ფონდოდეემა ოდესღაც ამ დარგში საკმაოდ განმანათლა. ვუთხარი რობერს, ჩემი სიმამრი, ჯირითის დროს ამა თუ იმ ცხენს მოფიქრებულად არჩევდა, მარტო ჯიშს კი არ უყურებდა, იმასაც კი უწევდა ანგარიშს, როგორ ნიადაგზე იყო შეჩვეული სირბილს-მეთქი. რობერმა შემაწყვეტინა:

— ჩვენთან, მაღაზიაში ყოველთვის შეიძლება გაიგოს კაცმა მოგების შანსების შესახებ. (თავის წარუმატებლობის შემდეგ იგი პტი-შანის ქუჩაზე დერმასის მაღაზიაში მოეწყო.)

თურმე მხოლოდ მოგება აინტერესებდა. ცხენები სულაც არ უყვარდა.

— მე სულ სხვა რამ მიტაცებს, — დასძინა და თვალები გაუბრწყინდა. — ველოსიპედი!

— სულ მალე კი ახალი გატაცება გაგიჩნდებათ. ავტომობილს იყიდით!

— ნუთუ მართლა! — ცერი თითი დაინერწყვა და პაპიროსის ქაღალდში თამბაქო გადაახვია. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მე ვკითხე საქმეებს ხომ არაფერი აფერხებს თქვენს მაღაზიაში-მეთქი. მან მიპასუხა, ბევრი თანამშრომელი დაითხოვეს, მაგრამ პირადად მე არაფერი მაქვს საშიშიო. მისი აზროვნება ვიწრო პირადი ინტერესების ფარგლებს არ სცილდებოდა. მაშასადამე, ამ ყეყეჩს უნდა დაეფრქვას ამოდენა მილიონები!

იქნებ უმჯობესი ყოფილიყო ჩემი ეს მილიონები კეთილი საქმისათვის მომეხმარებინა. სათითაოდ ყველას ხელში ჩავუდო... მაგრამ არა, აუცილებლად მიაღწევენ ჩემიანები იმდენს, რომ მეურვეს მომიჩენენ... ანდერძი რომ დავტოვო? მაგრამ რაკი მემკვიდრეები არსებობენ, შეუძლებელია მათი კუთვნილი წილი შევამცირო. ოჰ, ლუკ, ნეტავი ცოცხალი იყო! მართალია, არ მიიღებდა ამას, მაგრამ მე მაინც მოვნახავდი გამდიდრების საშუალებას. — ვერც კი მიხვდებოდა, თუ ეს ჩემგან იქნებოდა... მაგალითად, ქალს, რომელიც მას ეყვარებოდა, მზითვში გავატანდი...

— მისმინეთ, ბატონო. — წარმოთქვა რობერმა, თან ძეხვივით დაბერილ წითელ თითებს ლოყაზე იცაცუნებდა. — ერთი გარემოება მაფიქრებს. ვთქვათ, რწმუნებული ბურიუ მანამდე მოკვდა, ვიდრე ჩემს განცხადებას დავწვავთ...

— მერე რა, ბურიუს მისი ვაჟიშვილი შესცვლის. ის იარაღი, რითაც ბურიუს წინააღმდეგ აღგჭურვავთ საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ მისი ვაჟიშვილის წინააღმდეგაც გამოიყენოთ.

რობერი კვლავ ჩუმად იყო და ლოყაზე ხელს ისვამდა. მე აღარ მქონდა საუბრის გაგრძელების სურვილი. გულის არეში მწვავე ტკივილმა ერთიანად მიიპყრო ჩემი ყურადღება.

— ბატონო, დავუშვათ, ბურიუმ დაწვა ჩემი განცხადება. მე დავუბრუნებ ქაღალდს, რის საფუძველზედაც თავის დაპირებას შეასრულებს, მაგრამ შემდეგ ვინ დაუშლის წავიდეს თქვენს მემკვიდრეებთან და განუცხადოს: „მე ვიცი, სადაცაა თქვენი სიმდიდრე. თუ გინდათ, მოგყიდით საიდუმლოებას. ამაში ამდენი და ამდენი მომეცით, ხოლო თუ გაიმარჯვებთ და განძს დაიბრუნებთ, დამატებით კიდევ ამდენი და ამდენი გადა-

მიხადეთო". ხომ შეუძლია სთხოვოს, ჩემს სახელს ნურც კი გამოაჩენთო... მაშინ უკვე აღარაფრის შიში აღარ ექნება. დაიწყება გამოძიება. ისინი შეამოწმებენ, რომ მართლაც თქვენი შვილი ვარ, იმასაც დაინახავენ, რომ მე და დედაჩემი თქვენი სიკვდილის შემდეგ უფრო მდიდრულად ვცხოვრობთ, ვიდრე მანამდე ვცხოვრობდით... მაშინ ორიდან ერთი უნდა ავირჩიო: ან საგადასახადო სამმართველოში ზუსტი განცხადება მივცე შემოსავლიანობის შესახებ, ან არადა, როგორმე მოვახერხო გადამალვა...

იგი მკაფიოდ და ნათლად ლაპარაკობდა. ძილბურანში მყოფი მისი გონება თითქოს გამოფხიზლდა. აზროვნების მოტორმა ნელ-ნელა დაუწყო მუშაობა და აღარც ჩერდებოდა.

თურმე ნუ იტყვით, თვისება, რაც ამ ნოქარს ძლიერ ჰქონდა განვითარებული, გლეხური ინსტინქტი იყო: წინდახედულობა, უნდობლობა, შიში რისკის წინაშე, რომ ბედის ანაბარად არც ერთი შემთხვევა არ დარჩენოდა. უდავოა, ერჩია ასი ათასი ფრანკი ჩემი ხელიდან მიეღო ნაღდი ფული, ვიდრე ეს უზარმაზარი სიმდიდრე მალულად ჰქონოდა.

მე ვუცდიდი, როდის მომეშვებოდა ტკივილი, ბრჭყალებივით რომ მიჭერდა გულზე.

— თქვენს ნათქვამში არის ჭეშმარიტება, მართალი ბრძანდებით. რას ვიზამ, თუ გინდათ, დოკუმენტს ხელს ნუ მოაწერთ, სავსებით გენდობით. თუმცა, როცა არ უნდა მოვინდომო, ყოველთვის შემიძლია უმტკივნეულოდ დავადასტურო, რომ ეს ფული მე მეკუთვნის. მაგრამ ამას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ მე მოვკვდები.

ფიქრადაც არ მოსვლია რაიმე სანუგეშო ეთქვა ჩემი სიტყ-

ვების საწინააღმდეგოდ. დასამშვიდებლად ერთი გაცვეთილი ფრაზაც კი არ გაიმეტა რასაც მეტყოდა ყველა, ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილას. წარბიც არ შეუხრია. იმიტომ კი არა, რომ მის ტოლ სხვა ახალგაზრდებზე უფრო უხეში იყო, უბრალოდ, ცუდად იყო აღზრდილი.

— რაკი ასეა, — თქვა მან და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დასძინა: — შეიძლება, მაგრამ საჭირო იქნება თქვენს სიცოცხლეშივე დრო და დრო მივაკითხო ხოლმე სეიფს, რომ ბანკში ჩემი სახე დაიმახსოვრონ. მე თქვენი ფულის გულისათვის დავიწყებ იქ სიარულს.

— იცოდეთ — დავუმატე, — მრავალი სეიფი მაქვს საზღვარგარეთაც... ამაში რომ დარწმუნდეთ, თუ საჭიროდ მიიჩნევთ...

— პარიზი მივატოვო? აჰ, არა!

ავუხსენი, შეგიძლია პარიზში იცხოვრო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საზღვარგარეთ წახვიდე-მეთქი. მაშინ კი მკითხა, რაში გამოიხატება თქვენი ქონება, — პროცენტიანი ქაღალდები გაქვთ, თუ ნაღდი ფულიო და დასძინა:

— ურიგო არ იქნებოდა მაინც თუ თქვენი წერილი მექნებოდა. მაგალითად ასეთი: რომ ჯერ კიდევ სავსებით საღად მოაზროვნე საკუთარი სურვილით მიტოვებთ თქვენს ქონებას... იქნებ დამჭირდეს. ვინ იცის, — ხომ შეიძლება სუნი იკრან თქვენებმა, საიდუმლოება გახსნან და ბრალი დამდონ ქურდობაში... ესეც არ იყოს, უფრო მშვიდად მექნება გული.

იგი ისევ გაჩუმდა. იყიდა არაქისი და ისე ხარბად შეუდგა ჭამას, თითქოს მშიერი ყოფილიყოს. უცებ იკითხა:

— საინტერესოა, მაინც ასეთი რა დაგიშავეს ი მ ა თ?

— რაკი გთავაზობენ, აიღეთ, — ვუპასუხე ცივად, — და ნურავითარ შეკითხვებს ნუ მაძლევთ.

მოდუნებული ლოყები ოდნავ გაუწითლდა. ნაძალადევმა დაძაბულმა ღიმილმა ტუჩები გაუპო. გააელვა თეთრი კბილები, რაც მისი უშნო სახის ერთადერთ სილამაზეს წარმოადგენდა. ალბათ ასე იღიმება, როდესაც მაღაზიის პატრონი შერიშვნას აძლევს.

ახლა უკვე გაჩუმებული იჯდა და დიდი გულისყურით ფცქვნიდა არაქისს. ეტობოდა, დიდად არ იყო დაინტერესებული. როგორც ჩანს, მრავალი არასასიამოვნო სურათი ეშლებოდა თვალწინ. აი საფიქრალი! ბოლოს და ბოლოს შეეხვდი ერთადერთ ისეთ არსებას, ვინც ამ კომბინაციაში ხიფათის მეტს ვერაფერს ხედავდა, რაც სინამდვილეში არაფერ საშიროებას არ წარმოადგენდა. უცებ მინდოდა ლამაზი დაპირებებით შემეგულიანებინა.

— მეგობრობთ ვინმე ქალიშვილთან? — ვკითხე უეცრად. — შეგიძლიათ შეირთოთ და ორივენი მდიდარი ბურჟუებივით იცხოვრებთ.

მან რაღაც გაურკვეველი ჟესტი გააკეთა და თავი ნაღვლიანად გააქნია.

მე ვაქეზებდი:

— თუმცა ამიერიდან შეგიძლიათ შეირთოთ ის, ვინც მოგესურვებათ. ისიც კი, თუ ვინმე არსებობს ისეთი, რომ მიუწვდომლად გეჩვენებათ...

ყურები ცქვიტა. პირველად დავინახე მის თვალებში როგორ იელვა ახალგაზრდულმა ნაპერწკალმა.

— ნუთუ შემეძლება მადმუაზელ ბრუჟერი შევირთო?

— მადმუაზელ ბრუჟერი ვინ არის?

— ეჰ, ვიხუმრე. ის ხომ მთავარი გამყიდველია დრემას მაღაზიაში. რომ იცოდეთ, რა დიდებული ქალია! ამაყია, ზედაც

არ მიყურებს, თითქოს არც ვარსებობდე... რა ქალია! რა ქალი!...

დავარწმუნე, საკმარისია ამ ქონების მხოლოდ მეოცედი ნაწილიც კი, და პარიზის რომელი „პირველი“ გამყიდველიც არ უნდა იყოს, შეგიძლია შეირთო-მეთქი.

— მადმუაზელ ბურჟერი! — გაიმეორა მან, შემდეგ მხრები აიჩეჩა და დასძინა: — არა, რასა ბრძანებთ!

გულისტკივილი არ მინელდებოდა. ოფიციანტი თითით მოვიხმე. რობერმა უცებ გასაოცარი გულუხვობა გამოიჩინა.

— არა, როგორ გეკადრებათ, მე თვითონ გადავიხდი!

ფული სიამოვნებით ისევ ჯიბეში ჩავიდე. ორივენი წამოვდექით. მუსიკოსები ინსტრუმენტებს უკვე ბუდეებში ალაგებდნენ. ელნათურების გირლიანდები ჩაქრა. ახლა რობერს აღარ ეშინოდა, რომ ჩემთან დაინახავდნენ.

— გაგაცილებთ. — შემომთავაზა.

ვული ისევ მტკიოდა; რობერს ვთხოვე ნელი ნაბიჯით ევლო. ვუთხარი, აღტაცებული ვარ, რომ არა ჩქარობ ჩვენი გეგმების განხორციელებას-მეთქი.

— მაგრამ, თუ ამაღამ მოვკვდები, დიდი სიმდიდრე დაგეკარგებათ. — შევნიშნე.

ოდნავ აიჩეჩა მხრები. სახეზე სრული გულგრილობა ეხატებოდა. ვგონებ ამ ყმაწვილ კაცს ცხოვრება ავუფორიაქე. სიმაღლით თითქმის ჩემი სწორი იქნებოდა. ოდესმე გამოუმუშავდებოდა კი ბატონკაცური თვისებები? მეტად საბრალო გარეგნობისა იყო ეს ნოქარი, ჩემი შვილი და მემკვიდრე. ვცადე, უფრო გულთბილად გვესაუბრა. ამიტომ დავუწყე დარწმუნება სინდისი მქენჯნის, რომ დედაშენის ანაბარად დაგტოვე-მეთქი. ტყობოდა გაუკვირდა. მისი აზრით, „ძალიან წესიერად“

ვიქცეოდი, რადგან საარსებო ფულს რეგულარულად ვუგზავნიდი. „ბევრი ამას არ გააკეთებდაო," და სასტიკი სიტყვებით დაამთავრა. „თქვენ პირველი ხომ არ იყავით ძისთვის!"

როგორც ეტყობა, შეუბრალებლად სჯიდა თავის დედას. ჩემი ბინის კარებთან რომ მივედით, უცებ თქვა:

— იქნებ უმჯობესი ყოფილიყო სიფრთხილის გულისათვის ჩემი ხელობა გამომეცვალა? ისეთ საქმეს მოვეკიდები, რომ ბირჟაზე ყოფნა მიხდებოდეს... მაშინ ვერავინ მომედავება საიდანა მაქვს სიმდიდრე...

— გაფრთხილებთ. ეს არ ჩაიდინოთ. — ვუთხარი. — დაიწყებთ თამაშს და მაშინვე ყველაფერს დაკარგავთ.

ჩაფიქრებულმა ფილაქანს დახედა.

— მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის გულისათვის ვიფიქრე ეს. იქნებ ინსპექტორმა დაიწყოს გამოძიება.

— რატომ არ გესმით, რომ სეიფში შენახული ნაღდი ფული ისეთი სიმდიდრეა, რომლის გახსნის უფლება მთელ ქვეყანაზე თქვენს მეტს არავისა აქვს.

— რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც...

გაწამებულმა კარი ცხვირწინ მივუკეტე.

თავი მეთხუტმეტე

კალეზი

სარკმელს, საიდანაც ძილბურანში მყოფ გორაკებს გავცქერი, ბუზი ეხეთქება. ქარი კვნესით ერეკება ღრუბლებს, მათი აჩრდილები ველზე დაფარფატებენ. ირგვლივ გამეფებული სამარისებური სიჩუმე ჭექა-ქუხილის დასაწყისის ნი-

შანია... „ვენახებს შეეშინდათ“. თქვა ჩვენმა მარიმ ოცდაათი წლის წინ, ამგვარი ზაფხულის ნაღვლიან დღეს. ხელახლა გადავშალე რვეული. აი, როგორი ნაწერი მაქვს ახლა. თვალებთან მიმაქვს რვეული და ვათვალიერებ საჩქაროდ დაწერილ ასოებს, სტრიქონების ქვეშ ფრჩხილით ხაზგასმულ ადგილებს. აუცილებლად ბოლომდე ჩავიყვან ამ ამბავს. მინდა, ყველაფერი ვთქვა. ახლა უკვე ვიცი, ვისაც მივაკუთვნებ ჩემს აღსარებას. მაგრამ საჭიროა ზოგიერთი ადგილები ამოვიღო, რადგან მკითხველს ნებისყოფა არ ეყოფა მის წასაკითხად. თავადვე არ ძალმიძს ზოგიერთი გვერდი დამშვიდებით წავიკითხო. ხშირად ვჩერდები და სახეზე ხელს ვიფარებ. აი, კაცი, აი, ამდაგვარი ადამიანი ადამიანთა შორის, ეს მე ვარ. შეიძლება გეზიზღებით, მაგრამ მაინც — მე ვარსებობ.

ცამეტსა და თოთხმეტ ივლისს შორის ღამით, როდესაც რობერს დავშორდი, ძლივს მივაღწიე ჩემს ოთახამდე. რის ვაი-ვაგლახით გავიხადე და ლოგინში ჩავწექი. გულზე თითქოს მძიმე ლოდი მეწვა და მახრჩობდა. მიუხედავად ასეთი შეტევისა, სამწუხაროდ, არ მოვკვდი. სარკმელი ღია იყო. მეხუთე სართულზე რომ ვყოფილიყავი... პირველი სართულიდან რომ გადავვარდე, მაინც არ მოვკვდები. ამ მოსაზრებამ დამაკავა. ძლივს გავიწოდე ხელი იმ აბის ასაღებად, რაც შვებას მაძლევს ხოლმე.

გათენებისას, როგორც იყო, გაიგეს ჩემი ზარის ხმა. ექიმმა ნემსი გამიკეთა. სული მოვითქვი. სრული უმოძრაობა მირჩიეს. მწარე ტკივილების დროს პატარა ბავშვივით მორჩილნი ვხდებით. ამიტომ გაუნძრევლად ვიწექი. უმსგავსი ოთახი მეკავა, აყროლებული, შმორის სუნი იდგა, საძაგელი ავეჯი. თოთხმეტი ივლისის ღრიანცელსა და გუგუნსაც აღარაფრად ვაგდებ-

დი. ტკივილი მიმიყუჩდა, მე კი მეტს არაფერს ვნატრობდი. რობერი მხოლოდ ერთ საღამოს მოვიდა, მეტი აღარ გამოჩენილა. დედამისი კი სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ, ყოველთვის მაკითხავდა და ორი საათი რჩებოდა. იგი მემსახურებოდა, მიკეთებდა საქმეს, მოჰქონდა მოკითხვამდე გამოგზავნილი წერილები (ჩემი ოჯახიდან არც ერთი წერილი არ იყო). მე არ ვჩიოდი, ძალან მშვიდად მეჭირა თავი და ყველა გამოწერილ წამლებს ვსვამდი. როდესაც ჩვენს გეგმაზე დავუწყე საუბარი, სიტყვა ბანზე ამიგდო. — არაფერი საჩქარო არ არისო. ამოვიოხრე. „ზოგი ამასაც ჰკითხე!“ და გულზე ხელი დავიდე.

— დედაჩემს თქვენზე ძლიერი შეტევები ჰქონდა, მაგრამ ოთხმოც წლამდე იცოცხლა.

ერთ დილას კარგად გავხდი. დიდი ხანია, ასე აღარ ვყოფილვარ. ძლიერ ვიშიმშილე, რადგან კერძები, რაც ამ სახლში ჩემთვის მოჰქონდათ, მდარე და უვარგისი იყო. აზრად მომივიდა სასაუზმოდ პატარა რესტორანში წავსულიყავი სენ-ჟერმენის ბულვართან. მომწონდა იქაური საჭმელები. თანაც უფრო ნაკლებ გვფცქვნიდნენ პარიზის სხვა რესტორნებთან შედარებით, სადაც ჩვეულებრივ დავდიოდი და მაგიდასთან მჯდარს შიში მიტანდა, ბევრს გადამახდევინებენ-მეთქი.

ტაქსმა რენის ქუჩის კუთხემდე მიმიყვანა. თავი რომ შემემოწმებინა, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ყველაფერი კარგად მიდიოდა. შუა დღე მოტანებული იყო. გადავწყვიტე, კაფე „დე მაგოში“ შევსულიყავი და ერთი ჭიქა ვიში დამელია. დარბაზში რბილ დივანზე მოვიკალათე და ბულვარს დაბნეულად დავუწყე ცქერა.

უეცრად, თითქოს გულში რაღაცამ წამკრა. კაფეს ტერასაზე, რომელსაც ჩემგან მხოლოდ შუშის კედელი ჰყოფდა, და-

ვინახე ნაცნობი, ვიწრო მხრები, თავზე შეთხელებული ქოჩორი, კეფასთან გათეთრებული თმები და სწორედ ჩამოთლილი ყურები... გუბერი იქ იმყოფებოდა, თავისი ბეცი თვალებით კითხულობდა ჟურნალს და ცხვირი თითქმის ზედ ჰქონდა დაბჯენილი. როგორც ჩანდა, ვერ დამინახა შემოსვლისას. ავადმყოფი გული, ესოდენ ძლიერ რომ მიცემდა, თანდათან დამიმშვიდდა. სასტიკმა სიხარულმა შემიპყრო. მე ვუთვალთვალებდი, მან კი არ იცოდა ჩემი იქ ყოფნა.

საოცარია! ასე მეგონა, გუბერი მხოლოდ სხვა, დიდი ბულვარების კაფეების ტერასებზე შეიძლებოდა ყოფილიყო. რა საქმე ჰქონდა ამ კვარტალში? რა თქმა უნდა, გარკვეული მიზნით იქნებოდა მოსული. გადავწყვიტე მომეცადა. ვიშის ფული წინასწარ გადავიხადე, რომ საჭიროების შემთხვევაში მაშინვე წამოვმდგარიყავი. იგი წარამარა საათს დასცქეროდა, ეტყობოდა, ვიღაცას ელოდა. დარწმუნებული ვიყავი, მიეხვედი, ვინ იქნებოდა ისიც, ვინც ახლა მაგიდებს შორის გასრიალდებოდა და გუბერთან მივიდოდა. იმედი გამიცრუვდა, როდესაც ტაქსიდან ჟენევიევას ქმარი გადმოვიდა. ჟენევიევას ქმარს ჭილის ქუდი გვერდზე მოეგდო. ცოლისაგან მოშორებით ეს ორმოცი წლის დაბალი, მსუქანი კაცი თითქოს სრულიად შეცვლილიყო. ძლიერ ღია ფერის კოსტიუმი და ბაცი ყვითელი ფეხსაცმელი ეცვა. ჩემი სიძის პროვინციული პეწენიკობა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა გუბერის სადა, ელეგანტურ ჩაცმულობას, რომელიც იზას სიტყვებით, „ნამდვილ ფონდოდეჟივით იცვამდა“.

ალფრედმა ქუდი მოიხადა და ლაპლაპა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. შემდეგ მორთმეული ერთი ჭიქა ანისელი გადაჰკრა სულმოუთქმელად. უკვე ფეხზე წამომდგარი მისი ცო-

ლისძმა საათს დასცქეროდა. მათ ასადევნებლად მოვემზადე. უეჭველად ტაქსში ჩასხდებოდნენ. ვეცდები, მეც ტაქსი ვიქირაო და უკან გავყვე. ძნელი საქმე იქნება, მაგრამ ისიც კარგია, რომ ისინი დავინახე. ახლა მხოლოდ ისღა რჩება, გავიგო, რისთვის ჩამოსულან პარიზში. მოვიცადე, ვიდრე ქვაფენილზე გავიდოდნენ. მანქანა არ უქირავებიათ, ფეხით დაჰყვნენ მოედანს. საუბრით მიდიოდნენ სენ-ჟერმენ-დე-პრესკენ. ჰოი, საოცრებავ! ჰოი, სიხარულო! ორივენი ეკლესიაში შევიდნენ!

ეჭვი შემეპარა, პოლიციელს, რომელიც დაინახავდა, რომ ქურდი ხაფანგში გაება, განეცადა ის სიამოვნება, რასაც ახლა მე განვიცდიდი. მღელვარებისაგან სულიც კი შემეხუთა. ცოტა ხანს შევჩერდი. შეიძლებოდა მობრუნებულიყვნენ. თუ ჩემი შვილი ბეცი იყო, სამაგიეროდ სიძეს კარგად უჭრიდა თვალი. თავს ძალა დავატანე, რომ ცოტა ხანს ქვაფენილზე გავჩერებულიყავი, შემდეგ მეც ეკლესიაში შევედი.

•

შუადღე გადასული იყო. ფრთხილად მივაბიჯებდი ეკლესიის თითქმის დაცარიელებულ ეკვდერში. მალე დავრწმუნდი, ისინი, ვისაც ვეძებდი იქ არ იყვნენ. ეჭვი შემეპარა ვაითუ დამინახეს და ჩემი გზის ასაბნევად გვერდითი კარებიდან გაიპარნენ-მეთქი. უკანვე მივბრუნდი და გადავწყვიტე ეკვდერის მარჯვენა მხრიდან შემოვლა, თან ეკლესიის უზარმაზარ სვეტებს ვეფარებოდი. უეცრად ყველაზე ჩაბნელებულ ადგილას, შეღრმავებულ ნიშაში შევნიშნე სკამზე ისხდნენ, შუაში მორჩილად მხრებში ამოხრილი მესამე პირი ჩაესვათ, რომლის გამოჩენამ სრულიადაც არ გამაკვირვა, რადგან ამ რამდენიმე წუთის წინ ვფიქრობდი, ეს საბრალო მატლი რობერი ჩემს კანონიერ შვილთან მიცოცდებოდა. ვგრძნობდი ამ ღა-

ლატს, მაგრამ დაქანცულობისა და მოდუნებულობის გამო არ მინდოდა მეფიქრა, რომ ამ არარაობას, ამ მონას იოტისოდენა სიმხნევეც კი არ გააჩნდა; დედამისს კი ვერ დაუვიწყებია წარსული, როცა მართლმსაჯულების შიში იგემა. რა თქმა უნდა, ის ურჩევდა თავის შვილს ჩემს ოჯახს დაკავშირებოდა, და ეს საიდუმლო, რაც შეიძლება, ძვირად გაეყიდა.

მივჩერებოდი ორ მსხვილ ბურჟუას შუა ჩამჯდარ სულელი რობერის გრძელ კისერს. ერთი მათგანი — ალფრედი კეთილ კაცად წოდებული (მხოლოდ თავის უშუალო გამორჩენაზე ფიქრობს, საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავს, ეს კი მისთვის სახეიროა), მეორე ჩემი ძვირფასი ვაჟი — შორსმჭვრეტელობით შემკული, ბასრი ეშვებით შეიარაღებული გუბერი. ხალხში უხეში და ბრძანების მოყვარულია (ეს თვისება ჩემგან დაჰყვა). რობერი მასთან სრულიად უმწეო აღმოჩნდება. სვეტს ამოფარებული ვადევნებდი თვალყურს, როგორც ხანდახან უცქერიან ობობასა და ბუზს, და წინასწარვე გადაწყვეტილი აქვთ, რომ ორივე გასრისონ. რობერი უფრო დაბლა სწევდა თავს. ალბათ მან პირველად განაცხადა „შუაზე გავიყოთ.“ ეგონა, ძალა მის მხარეზე იყო. მაგრამ ისე დაიჭირა თავი, მაშინვე შეატყვეს, რა სულელთანაც ჰქონდათ საქმე. პირობებს თვითონ ვეღარ შესთავაზებდა. მხოლოდ მე, ამ უხილავი ბრძოლის მოწმემ ვიცოდი რაოდენ უსარგებლო და უნაყოფო იყო ეს ბრძოლა. თავი ყოვლისშემძლე ღმერთი მეგონა და მზად ვიყავი ხელის მძლავრი მოსმით გამენადგურებინა ეს უსუსური ჭია-ღუები, ფეხქვეშ გამეთელა ამ ასპიტთა ბუდე.

გუნებაში მეცინებოდა. ათი წუთიც არ გასულა და რობერი კრინტსაც ვეღარა სძრავდა. გუბერი ბევრს ლაპარაკობდა,

აშკარად განკარგულებებს იძლეოდა; რობერი კი თანხმობის ნიშნად მორჩილად უქნევდა თავს და ისე მოიხარა, ზურგი მთლად მრგვლად ამოებერა. ალფრედი ჭილის სკამზე გართხმულიყო, თითქოს სავარძელში იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო, თავი გადაეწია. კარგად ვხედავდი მის შავ-ყვითელ, მსუქან, გაბრწყინებულ სახეზე მოზრდილ შავ წვერს.

ბოლოს წამოდგნენ. შეუმჩნევლად ავედევნე. ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ. ორ ჟანდარმს შუა ბორკილდადებულ დამნაშავესავით თავჩაქინდრული მიყვებოდა რობერი. უკან შემოწყობილ დიდრონ, წითელ ხელებში ძველი, ნაცრისფერი თექის ქუდი ეჭირა. მეგონა, ახლა აღარაფერი გამაოცებდა, მაგრამ შევცდი. როდესაც ალფრედი და რობერი კარებში გადიოდნენ გუბერმა აიაზმის საპკურებელში ჩაყო ხელი, საკურთხევლისაკენ მიბრუნდა და პირჯვარი გადაიწერა.

აღარაფერი მაჩქარებდა. შემეძლო სრულიად დამშვიდებული ვყოფილიყავი. რა საჭირო იყო მათ გავყოლოდი? უკვე ვიცოდი, რომ ამ საღამოს ან ხვალ დილას მოვიდოდა რობერი და დამაჩქარებდა განვახორციელოთ თქვენი ზრახვებიო. როგორ შევხვდე? მოსაფიქრებელი დრო ჯერ კიდევ მაქვს. რადგან დაქანცულობა ვიგრძენი, სკამზე ჩამოვჯექი. ამ წუთში ყველაფერზე მეტად გუბერის ღვთისმოსაობა მაღელვებდა. ვიღაც უბრალოდ ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალიშვილმა გვერდით ქუდების ყუთი დაიდო და ჩემს წინ დაიჩოქა. კარგად ვხედავდი მის პროფილსა და ოდნავ დახრილ კისერს. მისი თვალები იმავე პატარა, შორეულ კარებს მისჩერებოდნენ, სადაც ამ წუთში გუბერმა გულმოდგინედ გადაიწერა პირჯვარი და ამით თავის ოჯახის წინაშე ვალი მოიხადა. გაუნ-

ძრევლად მდგარი ქალიშვილი თითქოს ოდნავ იღიმებოდა. ეკლესიაში ორი სემინარისტი შემოვიდა. ერთი მათგანი მაღალი და გამხდარი აბატ არდუენს მაგონებდა. მეორე პატარა ტანისა იყო, ბავშვური სახე ჰქონდა. მათ ერთმანეთის გვერდით დაიჩოქეს და გაუნძრევლად გაჩერდნენ. მივაჩერდი იმავე წერტილს, რასაც ისინი უყურებდნენ. მინდოდა დამენახა ნეტავი რა იყო იქ. „საერთოდ, — გავიფიქრე, — მდუმარებისა, სიგრილისა, საკმელის სურნელებისა და ნესტიანი ქვების გარდა არაფერია."

ახალგაზრდა ქალმა კვლავ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ახლა თვალები დაეხუჭა. კუბოში მწოლიარე მარის დახუჭული თვალები მომაგონდა. ვგრძნობდი, რომ აქვე, ჩემს გვერდით და ამავე დროს ჩემგან უსასრულოდ შორს არსებობს სიკეთის ქვეყანა. იზა ხშირად მეტყოდა ხოლმე: „მხოლოდ ცუდს ხედავ, ბოროტებას... ყველგან და ყველას სახით ბოროტება გეხატება..."

იგი მართალი იყო, მაგრამ არც შეიძლებოდა სიმართლედ გეღიარებინა.

თავი მეთექვსმეტე

ვსაუზმობდი; თავს ლაღად, თითქმის მხიარულად ვგრძნობდი. დიდი ხანია ასეთი შინაგანი ნეტარება აღარ განმიცდია. თითქოს რობერის ღალატმა კი არ ჩაშალა ჩემი დაწყობილი გეგმები, არამედ უფრო ხელი შეუწყო. ჩემი ხნის ადამიანი, რომლის სიცოცხლეც დიდი ხანია ბეწვზე ჰკიდია, არ უნდა ეძებდეს თავისი ხასიათის ცვლილებების მიზეზს: ისინი ორ-

განიულნი არიან. მითი პრომეთეზე სიმბოლიურად გამოხატავს იმ აზრს, რომ კაცობრიობის ჭმუნვა-სევდა ავადმყოფი ღვიძლის მიერაა გამოწვეული. მაგრამ ვის ეყოფა გამბედაობა ასეთი უბრალო ჭეშმარიტება აღიაროს. მე არა მტანჯავდა ტკივილები. გემრიელად შევექცეოდი ცვრიან ნაჭრებს. კმაყოფილი ვიყავი, რომ პირველი თავი საჭმელი იმდენად ბევრი იყო, მეორე თავი შემეძლო აღარ მეჭამა. გადავწყვიტე, დესერტად ყველი დამეყოლებინა. ნოყიერიც იქნებოდა და იაფიც.

როგორ მოვიქცე რობერთან? — ვფიქრობდი. — სხვა გზა უნდა ავირჩიო. მაგრამ ახლა დაღლილი ვარ და ღონე არ შემწევს ყურადღება ამ საკითხებზე შევაჩერო. ან რა საჭიროა გონება ამგვარ გეგმებზე ფიქრით გადავიტვირთო? უკეთესი იქნება ჩემს შთაგონებას მივენდო. ვერ გამებედა წარმომედგინა ის სიამოვნება, რასაც იმ საცოდავ თაგვ რობერთან ჩემი კატის როლის გათამაშება მომანიჭებდა.

მას ფიქრადაც არ მოუვა, თუ მისი გამცემლობა დავინახე. შეიძლება ითქვას, რომ მკაცრი ვარ? დიახ, შეიძლება. სხვაზე ნაკლებად არა, ვიდრე ბავშვები, ან ქალები არიან. ისეთივე მკაცრი ვარ, როგორც ყველა — (მე გამახსენდა ახალგაზრდა მკერავი გოგონა სენ-ჟერმენ-დე-პრეს ეკლესიაში რომ ვნახე). როგორც ის, ვინც არაფრად აგდებს უცოდველ კრავს.

დავიქირავე ტაქსი, დავბრუნდი ბრეას ქუჩაზე და ლოგინში ჩავწექი. სტუდენტები, ამ სახლის ძირითადი მცხოვრებნი, არდადეგებზე ყველა თავის სახლში წავიდა. მეტისმეტად ჭშვიდად და წყნარად ვისვენებდი. თუმცა ეს მინიან კარებზე ჭუჭყიან ფარდაჩამოფარებული ოთახი ყოველგვარ მყუდროებას მოკლებული იყო. ჰაინრიხ II-ის დროინდელი სტილის

საწოლიდან აცვენილი ჩუქურთმები მზრუნველობით ჩაელაგებინათ ბუხარზე მდგარ ბრინჯაოს კალათაში. შპალიერებს ქონიანი ლაქები ესვა. ღია ფანჯრისდა მიუხედავად ჰაერში ღამის ტუმბურიდან გამოსული მძიმე სუნი ტრიალებს, თუმცა წითელი მარმარილოთია მოპირკეთებული. მაგიდას მდოვეისფერი ხალიჩა-სუფრა აფარია. საინტერესო მოწყობილობაა — სიმახინჯისა და მდაბიო ადამიანთა გემოვნების ნიმუში.

„კაბის შრიალმა გამომაღვიძა. რობერის დედა ჩემს სასთუმალთან იდგა და, უპირველეს ყოვლისა, მისი ღიმილი დავინახე. გამცემლობის შესახებ სულაც რომ არაფერი მცოდნოდა, ამ დედაკაცის პირმოთნე გამომეტყველება ამას მაინც მაფიქრებინებდა. მეტისმეტი ლაციცი ხომ ღალატის უტყუარი ნიშანია. მეც ვუღიმოდი და ვარწმუნებდი, თავს უკეთ ვგრძნობ-მეთქი. ოცი წლის წინ მას ასეთი სქელი ცხვირი არა ჰქონდა. დიდ პირს მშვენიერი კბილები უმკობდა. ახლა კი, პირს რომ აღებს და იცინის, ჩასმული კბილები მოუჩანს. ეტყობა, სწრაფად მოდიოდა და მძაფრი სუნი, რასაც თავად ავრცელებდა, წითელი მარმარილოს ტუმბურიდან გამოსულ სუნს ებრძოდა. ვთხოვე ფანჯარა სულ მოეღო. თხოვნა შემასრულა, შემდეგ მოვიდა ჩემთან და კიდევ მაჩუქა ღიმილი. ბოლოს მაუწყა, რაკი კარგად ყოფილხართ, რობერი თქვენს განკარგულებაში იქნება, რომ „საქმეები“ მოაგვაროთო. ხვალ, შაბათს თორმეტი საათიდან განთავისუფლდება. მე მოვაგონე, შაბათობით შუადღის შემდეგ ბანკები აღარ მუშაობენ-მეთქი. მან მიპასუხა — მაშინ, რობერი ორშაბათს დილიდანვე დაეთხოვება, რა თქმა უნდა, უარს არ ეტყვიან, თუმცა ახლა შეუძლია ანგარიში აღარ გაუწიოს პატრონებსო.

ძალიან გაუკვირდა, როდესაც ვუთხარი: — ჯერჯერობით რობერი ნუ მიატოვებს სამსახურს, რამდენიმე კვირა კიდევ მოიცადოს-მეთქი. გამომშვიდობებისას გამაფრთხილა, ხვალ შვილს თან მოვყვებიო. მე ვთხოვე, რობერი მარტო მოსულიყო. ავუხსენი, რომ მასთან საუბარი და უფრო ახლოს გაცნობა მინდოდა... საბრალო ტუტრუცანამ ვერ დაფარა თავისი მღელვარება. აშკარად ეშინოდა, შვილს თავი არ გაეცა. ეტყობოდა, მან დაარწმუნა რობერი, ჩემს შვილებს დაკავშირებოდა. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ იმ დონდლოს, მხდალ, ყველაფრისა რომ ეშინია. წარმოდგენილი მაქვს, რა საგონებელში ჩააგდებდა ამგვარი ზრახვები.

მეორე დღეს არამზადა მოვიდა თუ არა, ერთი შეხედვისთანავე შევნიშნე, რომ მის მდგომარეობას ჩემი მოლოდინისათვის გადაეჭარბებინა. ჩაწითლებული ქუთუთოები უძილობის ნიშანი იყო. თვალებში ვერ მიყურებდა, პირს მარიდებდა. დავსვი და ვუთხარი, რომ მისი ამგვარი ავადმყოფური შესახედაობით ძლიერ შეწუხებული ვიყავი. ერთი სიტყვით, ერთობ სინაზე და ალერსიანობა გამოვიჩინე მის მიმართ. ვექილის მჭევრმეტყველებით დავუწყე ბედნიერების აღწერა, რაც მომავალში ელოდა. სენ-ჟერმენში შენს სახელზე ვიყიდი ათი ჰექტარი ფართობის პარკს და სახლს. მთელ ბინას ძველებური ავეჯით მოვაწყობინებ. პარკში თევზებისთვის ტბა იქნება, ეზოში ოთხი მანქანის გასაჩერებელი გარაჟი.

ათასნაირ მომჯადოებელ რამეებს ვიგონებდი და მხატვრულად ვუწერდი. როდესაც მანქანაზე დავუწყე ლაპარაკი და ყველაზე საუკეთესო მარკის ამერიკული მანქანა შევთავაზე, შევნიშნე, სასტიკად შეწუხდა. როგორც ეტყობოდა, და-

პირებული უნდა ყოფილიყო, რომ ჩემს სიცოცხლეში კაპიკს არ მიიღებდა ჩემგან.

— აღარაფერი შეგაწუხებთ,—დავუმატე—ნასყიდობის ქაღალდს ხელს თქვენ მოაწერთ. ორშაბათს ფასიან ქაღალდებს გადმოგცემთ, რის მეოხებითაც უზრუნველყოფილი იქნებით ასიათასი ფრანკი წლიური შემოსავლით. ამდაგვარად, შეგიძლიათ დამშვიდებით იცხოვროთ უკეთესის მოლოდინში. ჩემი ქონების ყველაზე დიდი ნაწილი ამსტერდამში მაქვს. მომავალ კვირას ორივენი იქ წავალთ და საჭირო თადარიგს შევუდგებით. რა დაგემართათ, რობერ?

— არა ბატონო, არა, ვიდრე ცოცხალი ხართ... არაფრის ამღები არა ვარ. მე ეს მაწუხებს... არ მინდა გაგფცქვნათ. გთხოვთ, ნუ მაიძულებთ, ცუდად მოქმედებს ჩემზე.

მარცხენა ხელით კარადას მიყრდნობოდა. მარჯვენა ხელის თითებზე ფრჩხილებს იღრღნიდა. დაჟინებით მივაჩერდი, ამ გამოხედვისა სასამართლოში არა მარტო ჩემს მოწინააღმდეგე ვექილებს ეშინოდათ, არამედ მათი დაცვის ქვეშ მყოფ, პასუხისგებაში მიცემულ პიროვნებებსაც ასე ვუცქერდი ხოლმე, ვიდრე ჟანდარმის ხელებზე გულშეწუხებული არ დაეცემოდა.

სინამდვილეში რობერის მადლობელი ვიყავი. ახლა თავს თავისუფლად ვგრძნობდი. განა საშინელება არ იქნებოდა, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ამ მხდალი მატლის გვერდით გამეტარებინა! გადავწყვიტე, ისე გადამეგდო, ვნება არ მიმეყენებინა. მაგრამ მინდოდა ცოტა ხანს კიდევ მეცინა მასზე.

— ერთობ კეთილი გრძნობების პატრონი ყოფილხარო, რობერ! კარგია, რომ გინდათ ჩემს სიკვდილს მოუცადოთ, მაგრამ ვერ მივიღებ ასეთ მსხვერპლს. ორშაბათს მიიღებთ, რა-

საც შეგპირდით, ხოლო კვირის ბოლოს ჩემი ქონების უდიდეს ნაწილს თქვენს სახელზე გადმოვიტან (უარის ნიშნად ხელი გაიქნია). ეს რას ნიშნავს? ან მიიღეთ, ან არადა, ყველაფერს ჯვარი დავუსვათ. — ცივად დავძინე.

ვერ ბედავდა თვალებში შემოხედვას და მთხოვა, მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე მიმეცა. უსდოდა, დრო მოეგო, მიეწერა ბორდოში მითითების მისაღებად. საცოდავი ტუტუცი!

— პირდაპირ მაოცებთ, რობერ! გეუბნებით, მართლა მაოცებთ!.. ერთობ უცნაურად იქცევით.

მინდოდა ჩემი გამოხედვა შემერბილებინა, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ჩემი მზერა ჩემს ხასიათზე უფრო მკაცრია. რობერმა ძლივს გასაგონად წაილუღლუღა:

— რატომ მიცქერით ასე?

— რატომ გიცქერით ასე? — ვკითხე და უნებურად ლაპარაკი გამოვაჯავრე. — მერედა რატომ ვერ უძლებ ჩემს ამ გამოხედვას?

ისინი, ვინც ყველას უყვარს, რაღაც ანგარიშმიუცემლად, ინსტინქტურად ისეთ სიტყვებს ლაპარაკობენ, რითაც ყველას გულს ინადირებენ. მე კი იმდენად მივეჩვიე მხოლოდ სიძულვილი და შიში გამოვიწვიო, რომ ჩემი თვალებიც, წარბებიც და სიცილიც ზოგჯერ ჩემი სურვილის წინააღმდეგაც კი მორჩილად გამოხატავენ ჩემს მრისხანე ხასიათს. ახლაც მინდოდა უფრო რბილი გამოხედვა მქონოდა, რომ ის უბედური ყმაწვილი ისე არ გაწამებულიყო. ჩემი ყოველი გაცინება საშინელების მომასწავებლად ეჩვენებოდა. როგორც უეცრად ესვრიან ხოლმე ნადირს, ისე უეცრად ვკითხე:

— რამდენი შემოგაძლიეს?

მინდოდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ „ამ შენობით" მიმარ-

თვაში გამოხატული იყო უფრო მეტი ზიზღი, ვიდრე ლმობიერი დაცინვა.

მან შიშითა და მოწიწებით წაიბუტბუტა: — „ვინ?"

— ვინ და, იმ ორმა ბატონმა: სქელმა და გამხდარმა... — დიახ, სქელმა და გამხდარმა.

ახლა უკვე მინდოდა ეს თამაში მალე დამემთავრებინა. ამ სცენის გაჭიანურება შემეზარა ისევე, როგორც ადამიანს შეეზარება ყურბელა, ვიდრე ფეხით გასრესავს.

— დამშვიდდით, — ვუთხარი ბოლოს. — მიპატიებია.

— ჩემი ბრალი არ არის. მე არ მინდოდა... ეს..

ტუჩებზე ხელი მივაფარე. ჩემთვის აუტანელი იყო მომეხმინა, ყველაფერს როგორ დააბრალებდა თავის დედას.

— ჩუ... ნურავის დაასახელებთ... მითხარით, რამდენი შემოგთავაზეს, მილიონი? ხუთასი ათასი? ნაკლები? შეუძლებელია! სამასი ათასი? ორასი?

ძლიერ საბრალო შეხედულება ჰქონდა. მხოლოდ თავს აქნევდა.

— არა. შემპირდნენ რენტით გადამიხადონ. — ძლივს გასაგონად თქვა მან. — სწორედ რენტამ მოგვხიბლა, ჩვენთვის ეს უფრო საიმედოა. წელიწადში თორმეტი ათასი ფრანკი.

— დღეიდან?

— არა მემკვიდრეობის მიღების შემდეგ. ისინი ხომ ვერ გამოიცნობდნენ, რომ თქვენ ახლავე გინდათ ქონების ჩემს სახელზე დამტკიცება. გვიანღაა... შეეძლოთ პასუხისგებაში მიეცათ ჩემი თავი... თუ გავბედავდი და დავუმალავდი... ოჰ, რა ტუტუცი ვარ! აკი დავისაჯე კიდეც...

ჩემს საწოლზე ჩამომჯდარი ტიროდა. იმ წუთში მეტად

მახინჯი ჩანდა. სისხლით გაბერილი ვეებერთელა ცალი ხელი უღონოდ ეკიდა ძირს.

— მე ხომ მაინც თქვენი შვილი ვარ, — ქვითქვითებდა საცოდავი, — ნუ მიმატოვებთ.

ტლანქი მოძრაობით სცადა კისერზე მომხვეოდა. მე მსუბუქად მოვიცილე თავიდან. შემდეგ ფანჯარასთან მივედი დ. ზურგშექცეულმა დავუწყე ლაპარაკი:

— პირველი აგვისტოდან ყოველთვიურად ათას ხუთას ფრანკს მიიღებთ. დაუყოვნებლივ გავცემ განკარგულებას, ეს რენტა მთელი სიცოცხლის მანძილზე გეძლეოდეთ. თუ რაიმე შემთხვევა მოხდა, ეს რენტა დედათქვენს გადაერიცხება. ჩემმა ოჯახმა, რა თქმა უნდა, არაფერი არ უნდა იცოდეს იმის შესახებ, რომ შევიტყვე სენ-ჟერმენ-დე-პრეს ეკლესიაში მომხდარი შეთქმულების შესახებ. (იგი შეკრთა ამ სიტყვების გაგონებაზე.) ზედმეტად მიმაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ საკმარისია ოდნავ რაიმე დაგცდეთ და ყველაფერი დაგეკარგებათ. თუ გინდათ დანაშაული გაპატიოთ, გამაგებინეთ ის ხრიკები, რასაც ისინი ჩემს წინააღმდეგ განიზრახავენ.

ახლა მან იცოდა, რომ ვერაფერს გამომაპარებდნენ. ისიც შეიგნო, ღალატი რაოდენ ძვირად დაუჯდებოდა. მე მივახვედრე, ამიერიდან არც მისი და არც დედამისის ნახვა აღარ მსურდა. წერილები კი შეგიძლიათ იმავე საფოსტო განყოფილების მისამართით გამომიგზავნოთ ხოლმე მოკითხვამდე.

— როდის მიდიან პარიზიდან თქვენი თანამონაწილენი?

მან დამარწმუნა, გუშინ საღამოსვე წავიდნენო. შევაწყვეტინე ჭარბად წარმოთქმული სიტყვები მადლიერების გრძნობებზე და მთელი რიგი დაპირებების შესახებ. უდაოდ შეძრწუნებული იყო. რაღაც ფანტასტურმა ღვთაებამ, რომლის ზრა-

ხვებიც მიუწვდომელია, ღვთაებამ, ვინც მან გასცა, იგი აღამაღლა, შემდეგ უფსკრულში ჩააგდო და მერე უკანვე ამოიყვანა. გული ეყინებოდა... მან თვალები დახუჭა, ყველაფერს მორჩილად დაჰყვა... წელში ორად მოხრილმა, ყურებჩამოყრილმა ძაღლივით წაიღო ჩემი ნასროლი ძვალი. უცებ გონს მოვიდა და იკითხა, ვისი საშუალებით მიიღებდა დაპირებულ რენტას.

— მიიღებთ რენტას. — ცივად ვუთხარი. — მე ყოველთვის ჩემი სიტყვის პატრონი ვარ. დანარჩენი თქვენ არ გეხებათ.

ცალი ხელი კარის სახელურზე ედო, ისე მითხრა:

— უკეთესი იქნებოდა, რაიმე დარბაისელი საზოგადოების საშუალებით... მაგალითად, როგორიცაა დამზღვევი პოლისი, ან მუდმივი რენტა... რაიმე ამგვარი... ასე უფრო დამშვიდებული ვიქნები და აღარ ვინერვიულებ...

გავაღე კარი, რომელიც უკვე ნახევრად მოეღო, ხელი ვკარი და დერეფანში გავაგდე.

თავი მეჩვიდმეტე

ბუხარს მივეყრდენი და ანგარიშმიუცემლად დავუწყე პატარა კალათაში ჩაწყობილ ხის პრიალა ნაჭრებს თვალიერება.

მრავალი წლის განმავლობაში ვოცნებობდი ჩემს ამ უცნობ ვაჟიშვილზე. მთელი ჩემი უბადრუკი ცხოვრების მანძილზე მისი არსებობის შეგრძნება ყოველთვის მათბობდა. მაშ სადღაც მყავს ჩემი ნაშიერი, და ვიპოვი, თუ მოვინდომებ. შეიძლება ჩემი ცხოვრების ნუგეშიც კი შეიქნეს. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობს. მაგრამ ეს უფრო მაახლოვებს მასთან. საამო იყო იმის ფიქრი, რომ იგი არაფერში არ ემგვანება ჩემს

კანონიერ შვილს. გონების თვალით წარმოდგენილი მყავდა უბრალო, სადა და სიყვარულის გრძნობებით აღსავსე პიროვნებად, როგორნიც ხშირად გვხვდებიან ხალხში. საერთოდ, იგი ჩემი უკანასკნელი იმედი იყო. ვიცოდი, თუ არ გამიმართლებდა იმედს, ისღა დამრჩენოდა, ორად მოკრუნჩხულს პირი კედლისკენ მექნა. მეგონა, ორმოცი წლის განმავლობაში შევეჩვიე სიძულვილს, მე ვძულდი და მეც მძულდნენ. თუმცა სხვების მსგავსად მეც გულში ველაციცებოდი ტკბილ იმედებს, და რამდენადაც შემეძლო, ვიტყუებდი თავს, სანამ საშუალება მქონდა ვისწრაფვოდი დამეოკებინა სულიერი შიმშილი. ახლა ყველაფერი გათავდა.

რადგან შვილებს ჩემს მიმართ ბოროტება ეწადათ, ყველანაირად ვცდილობდი მათთვის ჩემი მემკვიდრეობა არ დამეტოვებინა. საუბედუროდ, ახლა ვეღარ ვისიამოვნებ იმ სამარცხვინო გეგმებით და მრავალნაირი ხრიკებით, რასაც მათ წინააღმდეგ ვიმუშავებდი. რობერმა მათ სწორი გზა დაანახვა. ისინი ბოლოს იმ სეიფებსაც მიაღწევენ, რომლებიც ჩემს სახელზე არაა გაფორმებული. სხვა რამე მოვიგონო! ოჰ, ნეტავ კიდევ ვიცოცხლო, რომ ეს ფული როგორმე დავაბნიო! მოვკვდებოდი და მათ არაფერს დავუტოვებდი, ისე გავუხდიდი საქმეს, ჩემი დასაფლავების საშუალებაც არა ჰქონოდათ. მე ხომ მთელი სიცოცხლე კაპიკს კაპიკზე ვადებდი, ზედ დავკანკალებდი, ვყაირათობდი, ვინახავდი და ამით ვტკბებოდი: ახლა ჩემს ასაკში რაღა დროისაა ფულის ხარჯვის სწავლა? სხვაც არა იყოს რა, შვილები დამიწყებენ თვალყურის დევნებას. ასეთი „უგუნური“ ფლანგვა მხოლოდ საშიშ იარაღად იქცევა, რასაც ისინი ჩემსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ...

აფსუს, რომ ვერ მომიხერხებია და ვერც ვერასოდეს მოვა-

ხერხებ ჩემი ქონების განიავებას! ნეტავი შეიძლებოდეს ამ ოქროების, ბანკის ბილეთების და პროცენტიანი ქაღალდების გულში ჩახუტება და საფლავში ჩატანა, რათა ჩემთან ერთად ისინიც დაიღუპნენ და მტვრად იქცნენ. სხვა არა იყოს რა, იმას მაინც დავამტკიცებ, რომ ტყუიან წმინდა მქადაგებლები, რომლებიც ამტკიცებენ, ამქვეყნიური სიამენი თან არ მიყვებათო. იქნებ უმჯობესია ხელგაშლილ კეთილმოწყალედ გადავიქცე? მაგრამ „კეთილი საქმეები" უძირო ქვესკნელს ჰგავს, რომელიც ყველაფერს ნთქავს. იქნებ საქველმოქმედო საზოგადოების კანტორებს, ანდა ღარიბების ქომაგ-მონაზვნებს შევწირო ისე, რომ მე არ გამოვჩნდე. განა არ შეიძლება დავვიწყო მტრები და სხვა ხალხზე გადავიტანო ჩემი ფიქრები? სწორედ ამაშია სიბერის საშინელება, რომ იგი საბოლოო შეჯამებაა ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, სადაც უძლურნი ვართ შევცვალოთ ერთი ციფრიც კი. ჩემმა სამოცდა რვა წელმა დამაბერა ახლობლების სიძულვილში და ასე სიძულვილშივე ამომივ. სულიც. როგორიც ვიყავი, ისეთივე დავრჩები. როგორ კი მინდა გარდავიქმნე. ოჰ, ღმერთო, ღმერთო, რომ არსებობდე!

საღამო ჟამს ლოგინის გასასწორებლად მოახლე შემოვიდა და დარაბები არ მიხურა. მე სიბნელეში დავწექი. ქუჩის ხმაური და ფარნების შუქი არ მიშლიდა თვლემას. წარამარა უეცრად ვიღვიძებდი, როგორც მატარებლის სადგურში შეჩერების დროს იცის ხოლმე, და ისევ ძილი მიპყრობდა. თუმცა თავს ცუდად აღარა ვგრძნობდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ისღა დამრჩენოდა, მოთმინებით ვწოლილიყავი, სანამ ჩემს ძილბურანს სამუდამო ძილი არ შესცვლიდა.

კიდეკ გასაცემი მქონდა განკარგულება რობერის დანაპირები რენტის შესახებ. ფოსტაშიც უნდა შემეარა და წამომეღო წერილები მოკითხვამდე, — ახლა ამის მომტანი აღარავინ მყავდა. სამი დღეა, ჩემი კორესპონდენცია არ გადამეთვალიერებინა. ო, რაოდენ დიდ სიხარულს და იმედებს მანიჭებს ის უცნობი წერილი, რომელსაც აქვს ცხოველმყოფელი უნარი ადამიანის სულს ყოველივე გადაატანინოს. ადამიანში იმედები ჭანგას ფესვებივით ღრმად არიან გადგმულნი და შეუძლებელია მისი ამოგდება.

მეორე დღეს, როდესაც შუადღისას წამოვდექი, იმ ფიქრმა, წერილებს მივიღებდი-მეთქი, ძალა მომმატა და ფოსტაში წავედი. წვიმდა. ქოლგა არა მქონდა, ამიტომ კედელ-კედელ მივდიოდი. ალბათ ისეთი უცნაური გამომეტყველება მქონდა, რომ გამვლელები ბრუნდებოდნენ და ცნობისმოყვარეობით მიცქეროდნენ. დიდი სურვილი დამებადა დამეყვირა მათთვის: „რა ნახეთ ჩემში უცნაური? გიჟი ხომ არა ბგონივართ? გეთაყვა, ნუ იტყვით ამას, თორემ ჩემი შვილები მაშინვე ისარგებლებენ. მე ისეთივე ვარ, როგორც სხვები. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩემს შვილებს ვიულვარ და იძულებული ვარ თავი დავიცვა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გიჟი ვარ! ზოგჯერ ის წამლები აღმაგზნებს, რასაც იძულებით გულის ანგინის შეტევის შემთხვევაში ვიღებ ხოლმე. ჰოდა, ჩემს თავთან ვსაუბრობ იმიტომ, რომ მუდამ მარტო ვარ. ადამიანს კი სურვილი აქვს ვინმეს ესაუბროს. მაშ მარტოხელა ადამიანის მოქმედება და ლაპარაკი უცნაური რად არის?“

ფოსტაში რაც გადმომცეს, დაბეჭდილი ცნობები და სამი ტელეგრამა იყო. ალბათ ტელეგრამებით ბირჟაზე რომელიმე

ჩემს განკარგულებას მატყობინებდნენ, რაც მაკლერმა ვერ მოახერხა. გადავწყვიტე, რომელიმე ფუნდუკში შევსულიყავი და იქ გამეხსნა.

გრძელ მაგიდებზე ბეღურებივით ჩამწკრივებულიყვნენ კირით დასვრილი კალატოზები. უხმოდ, ზანტად ღეჭავდნენ თავიანთ ღარიბულ საჭმელს და თან თითო ლიტრა ღვინოსაც სვამდნენ. დილიდანვე წვიმაში აკეთებდნენ საქმეს. ორის ნახევრიდან ისევ გააგრძელებდნენ მუშაობას. ივლისის ბოლო იყო. სადგურებში უამრავი ხალხი ირეოდა... ნეტავ თუ მიხვდებიან კალატოზები, რომ მე ასე ვიტანჯები? მე, მოხუცმა ვექილმა არ უნდა ვიცოდე, რომ აუცილებლად მიხვდებიან? როდესაც პირველ პროცესზე გამოვედი — ასეთი საქმის გარჩევა მომიხდა: შვილები ერთმანეთს ედავებოდნენ, რომ მამა არ ერჩინათ. ყოველ სამ თვეში ერთხელ ერთი შვილიდან მეორესთან გადადიოდა, სადაც წყევლა-კრულვით იღებდნენ. შვილები ლოცულობდნენ, ნეტავი სიკვდილმა როგორმე მოგვაცილოსო. მამაც ისე იყო შებეზრებული, რომ სიკვდილში მხოლოდ ხსნას ხედავდა. უამრავ ფერმებში ვყოფილვარ ასეთი საშინელი ტრაგედიის მოწმე! მოხუცი მამა დიდხანს ჯიუტობს და ხელიდან არ უშვებს თავის ქონებას. შემდეგ შვილების მლიქვნელური ალერსით მოჯადოებული ყველაფერს აძლევს. შვილები კი აუტანელი შრომითა და შიმშილით ამოხდიან ხოლმე სულს. დიახ, ალბათ ასეთი ამბები კარგად იცის აგერ იმ გამხდარმა, კუნთებადქცეულმა კალატოზმა, ჩემგან ორი ნაბიჯის მოშორებით უკბილო ღრძილებით რომ ლოღნის პურს.

ახლა არავის გაუკვირდება ფუნდუკში კარგად ჩაცმული მოხუცი რომ დაინახონ. ვიჯექი, ვწიწკნიდი კურდღლის მოთეთ-

რო ხორცს და ფანჯრის მინაზე შხეფებად დაფრქვეულ წვიმის წვეთებს ვუცქეროდი. თან ვცდილობდი წამეკითხა მეფუნდუკის გვარი, ვიტრინის გარეთ რომ იყო გაკრული. ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღებისას ისევ მიღებული კორესპონდენცია მომედო ხელში. სათვალე გავიკეთე, ხელში მოხვედრილი დეპეშა გადავშალე: „დედას ვასაფლავებთ ხვალ, ოცდასამ ივლისს, პანაშვიდი ცხრა საათზე სენ-ლუის ეკლესიაში". ეს დეპეშა იმავე დღით იყო გამოგზავნილი. ორი დანარჩენი კი გუშინწინ, მხოლოდ ორი საათის შუალედით. ერთით მატყობინებდნენ: „დაბრუნდი, დედა სიკვდილის პირასაა", მეორით: „დედა გარდაიცვალა". სამივეს გუბერი აწერდა ხელს.

მოვუმუშნე დეპეშები და საუზმე გავნაგრძე. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებდა: მეყოფოდა თუ არა ძალა, ამ საღამოსვე მატარებელში ჩავმჯდარიყავი. ამას ვფიქრობდი რამდენიმე წუთის განმავლობაში. უეცრად სხვა აზრი მომივიდა. გაოცებული ვიყავი, რომ იზას სიკვდილს შევესწარი. დავრდომილი, სნეული მე ველოდი სიკვდილს. პირველი რომ მე უნდა წავსულიყავი, ამაში ეჭვი არც მე მეპარებოდა, არც სხვა ვინმეს. ჩემს გეგმებსა, ეშმაკურ შეთქმულებაში მხედველობაში ახლო მომავლის ის დღეები მქონდა, რაც ჩემი სიკვდილის შემდეგ დაიწყებოდა. არც მე, არც ჩემი ოჯახის სხვა წევრებს ეჭვი არავის ეპარებოდა. ყოველთვის თვალწინ მედგა ჩემი ცოლის გამოსახულება შავ, სამგლოვიარო მოსასხამით, ფეხებში რომ მოედებოდა, როცა აჩქარებული ნაბიჯით სეიფის გასახსნელად გასწევდა. სამყაროს უეცარი გადატრიალება ისე არ შემაძრწუნებდა, როგორც მისმა სიკვდილმა დამცა თავზარი. მიუხედავად ამისა, ჩემში უკვე ამოძრავდა საქმიანი ადამიანი. დავიწყე შექმნილი მდგომარეობის აწონ-დაწონა, როგორ წარმე-

მართა საქმე ჩემი მტრების წინააღმდეგ. აი, როგორი ფიქრები მეხვეოდა გარს, როცა მატარებელი დაიძრა. ჩემმა გონებამ დაიწყო მოქმედება. პირველად ჩემს სიცოცხლეში წარმოვიდგინე იზა სასიკვდილო სარეცელზე, და ისიც დამიდგა თვალწინ, რა მოხდებოდა გუშინ და გუშინწინ. მაგონდებოდა იზას საწოლი ოთახის ყოველი წვრილმანი კალეზში. (არ ვიცოდი თუ ბორდოში გარდაიცვალა.) „აი, უკვე კუბოში ჩაასვენეს...“ წავიჩურჩულე და უსინდისო სიხარულის გრძნობა განვიცადე, რადგან არც კი ვიცოდი, როგორ დამეჭირა თავი. როგორ გამომეხატა ჩემი განცდები, როცა ჩამაცივდებოდნენ და მტრულად დამიწყებდნენ ცქერას ჩემი შვილები? ახლა კი საკითხი გადაჭრილია. მისვლისთანავე ლოგინში ჩავწვები და ეს გამოასწორებს ყოველგვარ სიძნელეს. ასეთ მდგომარეობაში ჩემი დასაფლავებაზე დასწრება ყოვლად შეუძლებელია. ახლაც კი ძლივძლიობით მივხანხალებ საპირფარეშომდე. ეს სისუსტე უკვე აღარ მაშინებს, რადგან იზა გარდაიცვალა, მე ასე მალე აღარ მოვკვდები. ჯერი ამცდა... მაგრამ ვაგონში მაინც მეშინოდა შეტევა არ მომსვლოდა, რადგან კუპეში მარტო ვიყავი. რა თქმა უნდა, სადგურზე დამხვდებიან (აკი ვუდეპეშე!) უთუოდ გუბერი მოვა.

არა, გუბერი არ დამხვედრია. როგორი შვება ვიგრძენი, როდესაც ალფრედის მსუქანი, უძილობისაგან შეცვლილი სახე გამოჩნდა. ჩემმა გამომეტყველებამ აშკარად შეაკრთო. იძულებული გავხდი დავყრდნობოდი ალფრედს და მისი დახმარებით ჩავმჯდარიყავი ავტომობილში. წვიმა სცრიდა, ამიტომ ბორდოს ქუჩები ჩამოქუფრული, მოქურუშებული ჩანდა. ასე გავუარეთ სასაფლაოებსა და კაზარმებს. მე არაფერი მიკითხია

ალფრედისათვის. ყველაფერს თვითონ ყვებოდა დაწვრილებით. სახელდობრ: იზა ქალაქის ბაღის რომელ ადგილას დაეცა უგრძნობლად. სწორედ ორანჟერეასთან ახლოს, სადაც პალმების ბუჩქებია. იქიდან მეზობელ აფთიაქში წაიყვანეს, შემდეგ კი სახლში, რადგან გაუჭირდათ ამხელა სიმძიმის ქალის აყვანა მეორე სართულზე, თავის საწოლ ოთახში. გაუკეთეს ფუნქცია, გამოუშვეს სისხლი... მიუხედავად იმისა, რომ ტვინში სისხლი ჩაექცა, მთელი ღამე გონზე ყოფილა. თურმე მე მიხმობდა, მიხმობდა დაჟინებით. შემდეგ სწორედ იმ დროს დაუკარგავს ცნობიერება, როდესაც მირონსაცხებად მღვდელი მოსულა. „მაგრამ წინა დღით ზიარებულა...“ სადარბაზო კართან უკვე შავი ქსოვილი ჩამოეფარებინათ. ალფრედს უნდოდა იქვე მივეტოვებინე, თვითონ კი წასულიყო, რომ დასაფლავების ცერემონიისათვის ტანსაცმელი გამოეცვალა. მაგრამ ძალაუნებურად იძულებული გახდა მანქანიდან გადმოსვლასა და კიბეებზე ასვლაში მომხმარებოდა. მე ვეღარ ვიცანი შესასვლელი. კედლებს შავი ძაძები ეფარა. შუაში ყვავილების მთელი გორა იდგა, ირგვლივ კი უამრავი სანთლები ლაპლაპებდა. თვალები დავხუჭე. მომეჩვენა, თითქოს სადღაც სხვა ქვეყანაში ვიმყოფებოდი, რომელიც სიზმარს წააგავდა. ორი მოლოზანი გაუნძრევლად იდგა. ალბათ სხვა რამეებთან ერთად ისინიც დამკრძალავ პროცესიათა ბიუროდან იყვნენ გამოგზავნილნი. აქედან, სადაც გამოფენილი იყო ძაძები, ყვავილები და მოციმციმე სანთლები, ყოველდღიური ცხოვრებისაკენ, მეორე სართულისაკენ მიემართებოდა გაცვეთილ ფარდაგდაფენილი კიბე. იგი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების მაუწყებელი იყო. იქიდან ჩამოვიდა გუბერი. სადად და გემოვნებით ეცვა. ხელი გამომიწოდა, დამელაპარაკა. მომე-

ჩვენა, თითქოს მისი ხმა საიდანღაც შორიდან მოდიოდა. მე ახლოლოდ ტუჩებს ვანძრევდი, ხმა აღარა მქონდა. მისი სახე მომიახლოვდა და ვეებერთელად იქცა. მეტი აღარაფერი მახსოვს. შემდეგ მარწმუნებდნენ, შენი გულისწასვლა სამ წუთზე მეტი არ გაგრძელებულაო. გონს ერთ პატარა ოთახში მოვედი. ეს ოთახი ჩემი ვექილად მუშაობის დროს ხალხის მისაღებად მქონდა. სასუნებელი მარილისაგან ცხვირი მიბეჟოდა. შემომესმა ჟენევიევას ხმა: „გონება უბრუნდება!..“ როცა თვალები გავახილე, დავინახე ყველანი ჩემსკენ დახრილიყვნენ. სახეები შესცელოდათ. ზოგს წითლად უვარვარებდა, ზოგსაც დამანჭულ პირისახეზე მომწვანო ფერი დასდებოდა. მსუქანი იანინა დედამისისსელა ჩანდა. ტირილისაგან ყველაზე მეტად გუბერს შესცვლოდა და დაუშნოვებოდა სახე. ისეთივე საბრალო გამომეტყველება ჰქონდა, როგორც ბავშვობაში, როდესაც ატირებულ ვაჟიშვილს იზა მუხლებზე დაისვამდა და ეტყოდა: „რა პატარა ბიჭუკელა მყავს და თურმე დიდი დარდი კი ჰქონია!..“ მხოლოდ გამოწყობილ ლამაზ ფილის ჰქონდა მოწყენილი და გულგრილი გამომეტყველება, მას ფრაკი ეცვა, რითაც, ალბათ პარიზისა და ბერლინის ყველა ფუნდუკებში დაეთრეოდა. უთუოდ ასეთივე იქნებოდა, როდესაც საქეიფოდ მიდიოდა, ანდა ნადიმიდან მთვრალი და მოთენთილი ბრუნდებოდა (ჰალსტუხის გასკვნაც კი ვერ მოესწრო). ფილის უკან ვიღაც ქალები ირეოდნენ, სამგლოვიარო მანდილები მოესხათ; ვერ გავარჩიე, ვინ იყვნენ: ალბათ ოლიმპია იქნებოდა თავისი ქალიშვილებიანად. ბინდბუნდში ვიღაცის გახამებული თეთრი გულისპირი მოჩანდა.

ჟენევიევამ ტუჩებთან ჭიქა მომიტანა. რამდენიმე ყლუპი შევსვი. მერე ვუთხარი, თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი. ჟენევი-

ევამ ალერსიანად მკითხა ლოგინში დაწოლას ხომ არ ისურვებო. მე წარმოვთქვი ის, რაც მაშინვე აზრად მომივიდა.

— აკი ვერ გამოვეთხოვე; მინდა საფლავამდე მივაცილო...

მსახიობივით, რომელიც ისინჯავს ხმას, რომ უფრო სასურველი გამოხატულება მისცეს, გავიმეორე: „აკი ვერ გამოვეთხოვე...“ უეცრად ამ სიტყვებმა, მხოლოდ ზრდილობის გულისათვის რომ წარმოვთქვი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს როლი შეეფერებოდა ცოლის დასაფლავების წესს, მთელი თავისა სიძლიერით გამიღვიძა ის გრძნობა, რასაც სინამდვილეში გამოხატავდნენ. მხოლოდ ახლა ვიგრძენი ის, რაც აქამდე არ მოდიოდა ჩემს აზროვნებამდე: ვერასოდეს ვეღარ ვნახავ ჩემს ცოლს. ჩვენს შორის აღარ გაიმართება ახსნა-განმარტება. ვეღარ წაიკითხავს ჩემი აღსარების ფურცლებს. კალეზში ყველაფერი სამუდამოდ ისევე დარჩება, როგორც ჩვენი უკანასკნელი საუბრის დროს იყო. ახლა დრო აღარ არის ჩვენი ცხოვრების გარდაქმნაზე ვიფიქროთ. იგი ისე მოკვდა, ვერც კი გაიგო, რომ მე მარტო დესპოტი და ჯალათი კი არ ვიყავი, არამედ ჩემში ცხოვრობდა სხვა ადამიანიც. უკანასკნელ წუთებში რომ მიმესწრო, ერთმანეთისათვის გინდაც ხმა არ გაგვეცა, იგი დაინახავდა ცრემლებს, ახლა ღაპაღუპით რომ მდის თვალებიდან. მაშინ დამშვიდებული წავიდოდა და თან წაიღებდა ჩემს სინანულს და მწუხარებას. ახლა კი მხოლოდ ჩემი შვილები შესცქეროდნენ ამ სანახაობას განცვიფრებულნი და გაშტერებულნი. ეტყობა, თავის დღეში არ ვენახე ატირებული. მოხუცის მრისხანე და ბოროტი, მედუზის სახე, რომლის შემოხედვასაც ვერავინ უძლებდა, უეცრად ადამიანურად გადაიქცა.

გავიგონე, ვიღაცამ თქვა (მგონი იანინა იყო):

— ოჰ, ნეტავი არ წასულიყავით... რად წახვედით?

რად წავედი? განა ვერ მოვასწრებდი დაბრუნებას? მოვასწრებდი, ჩემთვის ტელეგრამა მოკითხვამდე კი არა, ბრეას ქუჩაზე რომ გამოეგზავნათ. გუბერმა დაუფიქრებლად დაუმატა:

— წახვედით და მისამართიც კი არ დაგვიტოვეთ... ჩვენ ხომ ვერ გამოვიცნობდით...

ფიქრები, რაიც აქამდე საეჭვოდ მიმაჩნდა, ახლა აშკარად დადასტურდა. მე ორივე ხელით დავეყრდენი სავარძლის სახელურს, ავიწიე და გუბერს სახეში მივახალე:

— სტყუი!

მან წაიბუტბუტა:

— მამა, გადირიე?

მე გავიმეორე:

— დიახ, თქვენ ყველანი მატყუარები ხართ, თქვენ იცოდით ჩემი მისამართი. აბა თვალებში შემომხედე და გაბედე თქმა, რომ არ იცოდი.

გუბერმა გაუბედავად მიპასუხა:

— საიდან უნდა გვცოდნოდა.

— მაშ შენ არ შეხვედრიხარ მას, ვინც ჩემთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა? აბა გაბედე და უარყავ! გაბედე!

ყველანი გაქვავებულები მიცქეროდნენ. ტყუილში გამოჭერილი გუბერი ბავშვივით აქნევდა თავს.

— უნდა მოგახსენოთ, რომ ერთობ ცოტა მიეცით გამცემლობაში. ჩემო შვილებო, თქვენ არა ხართ გულუხვნი. თორმეტი ათასი ფრანკი რენტა იმ უბედურ ყმაწვილს, ვინც ამდენი სიმდიდრე დაგიბრუნათ, ეს პირდაპირ მუქთია!

გადავიხარხარე და ხველა ამიტყდა. ჩემს შვილებს ხმის

ამოღება ვერ გაებედათ. მხოლოდ ფილიმ გამოსცრა კბილებში: „რა ბინძური ამბავია!“

მე ისევ განვაგრძე მათი მხილება. გუბერი ხელით მანიშნებდა, მემუდარებოდა გავჩუმებულიყავი. მე მხოლოდ ხმას დავუწიე:

— თქვენი გულისათვის უკანასკნელად ვეღარ გამოვემშვიდობე იზას. შესანიშნავად იცოდით ყოველი ჩემი ნაბიჯი, მაგრამ მემალებოდით. ბრეას ქუჩაზე რომ გამოგეგზავნათ დეპეშა, მაშინვე მივხვდებოდი ღალატს, არა! მაგრამ ამას ვერავინ გაგაკეთებინებდათ, თვით მომაკვდავი დედის თხოვნა-მუდარაც კი. უეჭველად დიდად შეწუხებული იქნებოდით, მაგრამ არ გინდოდათ იმ კვანძის ხელიდან გაშვება...

კიდევ მრავალი მწარედ სათქმელი საქმეები გადავუშალე. გუბერმა შეღაღადა:

— გააჩუმე ჟენევიევა, გააჩუმე. — ბუტბუტებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — ხალხი გაიგონებს.

ჟენევიევამ ხელები შემომხვია და სავარძელში ჩამსვა:

— ახლა მაგის დრო არ არის, მამა! ამაზე მაშინ ვილაპარაკებთ, როცა ღონეს მოვიკრებთ. დედას ხსოვნას გაფიცებ, რომელიც ჯერ კიდევ აქ ასვენია.

გაფითრებულმა გუბერმა თითი ტუჩებთან მიიტანა. შემოვიდა დამკრძალავი ცერემონიის მომწესრიგებელი ქაღალდით ხელში, ზედ ეწერა იმ ადამიანთა სია, ვინც ბალდახინს უნდა გაჰყოლოდა. მე ავდექი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. მინდოდა, მარტო წავსულიყავი. ჩემმა ოჯახის წევრებმა პატივისცემით დამითმეს გზა. ბარბაცით მივდიოდი. ძლივს მივაღწიე იმ ოთახს, სადაც კუბო იდგა და მუხლებზე დავემხე. გუბერი, ჟენევიევა მოცვივდნენ და აქეთ-იქიდან მომკიდეს

ხელი. მორჩილად გავყევი. კიბეზე ასვლა ძლიერ გამიჭირდა. ერთი მოლოზანი დათანხმდა დაკრძალვის დამთავრებამდე ჩემს გვერდით დარჩენილიყო. წასვლის წინ გუბერმა, თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყოს, მკითხა, კარგად მოვიქეცი თუ არა, რომ პატივცემულ გამცილებელთა სიაში ვექილთა დასის ზემდეგი შევიყვანეო. ფანჯრისკენ ვიბრუნე პირი, რომელსაც წვიმა დოლივით უბრახუნებდა და არაფერი ვუპასუხე.

უკვე ისმოდა ფეხების ხმაური. ალბათ მთელი ქალაქი აქ არის. ვისთან გინდათ, რომ ფონდოდექების მხრივ დაკავშირებული არ ვიყოთ. ჩემი მხრიდან კი... სასამართლო, ადვოკატები, ბანკი, მთელი საქმოსანი სამყარო... იმგვარ ნეტარებას განვიცდიდი, როდესაც ადამიანი სასამართლოს წინაშე გაიმართლებს თავს და დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას. ჩემი შვილები სიცრუეში ვამხილე და ვერ გამიბედეს უარყოფა. ვიდრე ცერემონია მიმდინარეობდა, მთელი სახლი გუგუნებდა. რაღაც უცნაური მეჯლისი გეგონებოდათ მუსიკის გარეშე. ვაიძულებდი ჩემს თავს, მხოლოდ ჩემი შვილების დანაშაულზე მეფიქრა, რადგან მხოლოდ მათი მიზეზით ვერ გამოვემშვიდობე იზას. ამაოდ ვურტყამდი წკეპლას ჩემს ძველ სიძულვილს, ღონეგამოლეულ ჯაგლაგ ცხენივით, რომელსაც გაწევის თავი აღარა აქვს; სიძულვილმა დაკარგა თავისი ძალა. შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ ფიზიკურად დავისვენე, ან იქნებ იმ სასიამოვნო ფიქრის გამოც, რომ უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნოდა, არ ვიცი, რა მიზეზით, გული მომილბა.

უკვე აღარ მესმოდა მღვდლების ლუღლუღი, ფსალმუნს რომ კითხულობდნენ. ჩაჩუმდა მწუხარე გალობა და ჩოჩქოლიც თანდათან მიწყდა. ჩვენს დიდ სახლში ისეთი სიჩუმე გამეფდა, როგორც კალეზში იდგა ხოლმე. იზამ დააცარიელა იგი მთელი

მაცხოვრებლებისაგან. მან თან გაიყოლა ყველა, პატარა თუ დიდი, მთელი მოსამსახურეები. სახლში დავრჩით მე და მოლოზანი, იგი ჩემს სასთუმალთან მჯდარი კრიალოსანს მარცვლიდა, თან იმ ლოცვას განაგრძობდა, რაც მიცვალებულის კუბოსთან დაიწყო.

ამ სიჩუმემ კვლავ განმაცდევინა მწუხარება სამუდამოდ დაცილებისა. იზა აღარასოდეს დაბრუნდება. იმ ფიქრმა, რომ ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა, ერთმანეთს ვეღარაფერს ვეტყვით, მტკივნეულად შემიკუმშა გული. საწოლში წამომჯდარი ბალიშებს ვეყრდნობოდი, რომ მსუბუქად მესუნთქა. ვათვალიერებდი ლუდოვიკო XIII სტილზე მოწყობილ ოთახს. მე და იზამ ერთად ავარჩიეთ ჩვენი ნიშნობის დღეს. ეს ნივთები დიდხანს ელაგა იზას საწოლ ოთახში, ვიდრე მემკვიდრეობით დარჩენილ დედისეულ ავეჯს მიიღებდა. აი, ეს სარეცელი მოწმე იყო ცოლ-ქმარს შორის უხმოდ განცდილი წყენისა და შეურაცხყოფისა.

სასაფლაოდან დაბრუნებული გუბერი და ჟენევიევა ჩემთან შემოვიდნენ. სხვები დერეფანში დარჩნენ. მივხვდი, მათთვის წარმოუდგენელი იყო ჩემი ცრემლების დანახვა. ჩემს სასთუმალთან იდგნენ. ძმას უცნაურად ეცვა. დილა იყო და საღამოს ფრაკში გამოწყობილიყო. ძაძებიანი და კი კოშკს მიაგავდა, მხოლოდ ცხვირსახოცი უქათქათებდა თეთრად. გადაწეული შავი პირბადიდან მრგვალი, გაწითლებული სახე მოუჩანდა. მწუხარებამ ყველას სახე შეგვიცვალა და ერთმანეთი ვეღარ გვეცნო. მკითხეს, როგორ გრძნობ თავსო. ჟენევიევამ თქვა:

— თითქმის მთელმა ხალხმა სასაფლაომდე მიაცილა. ყველას უყვარდა.

მე ვკითხე, რა მდგომარეობა იყო იმ წინა დღეებში, სანამ იზას შეტევა მოუვიდოდა.

— ჩიოდა, შეუძლოდ ვარო... შეიძლება რაიმე წინათგრძნობაც ჰქონდა, რადგან ბორდოში დაბრუნების წინა დღით თავის ოთახში იჯდა და მთელი გროვა წერილები დაწვა. ვიფიქრეთ, საკვამლე მილს ცეცხლი ხომ არ წაეკიდაო.

უეცრად მნიშვნელოვანმა აზრმა გამიელვა თავში და შევაჩერე:

— ჟენევიევა, როგორ ფიქრობ, შეიძლება ჩემი წასვლა ყოფილიყო მიზეზი?

მან კმაყოფილების გრძნობით მიპასუხა:

— რა თქმა უნდა, დედას ეს დიდად ეწყინა.

— არაფერი გითქვამთ? არ შეატყობინეთ რასაც მიაგენით?

ჟენევიევამ კითხვის გამომხატველი სახით შეხედა ძმას: შეიძლება თუ არა გავაგებინო მამას, რომ მივხვდი, რასაც მეკითხებიო? ეტყობა ისეთი უცნაური გამომეტყველება მქონდა, რომ ორივეს შეეშინდა. ვიდრე ჟენევიევა მეშველებოდა, რომ დავმჯდარიყავი, გუბერი მიყვებოდა: დედა, შენი წასვლიდან ათი დღის შემდეგ ავად გახდა და გადავწყვიტეთ, არ გაგვეგებინებინა ეს სამწუხარო განხეთქილებაო. მართალს ამბობდა? შემდეგ აკანკალებული ხმით დასძინა:

— ვთქვათ, ცდუნებას დავეძლიეთ, და გვეთქვა, ამაში პირველი დამნაშავე იქნებოდა...

იგი მიტრიალდა და დავინახე, რომ ქვითინისაგან მხრები უცახცახებდა. ვიღაცამ კარი შემოაღო და იკითხა როდისღა დასხდებით მაგიდასთანო. მომესმა ფილის ხმა: „ისეთი რა მოხდა, მე რა დამნაშავე ვარ, გული მელევა“. ჟენევიევამ ტირი-

ლით მკითხა, რას შეჭამ, რა გამოგიგზავნოო. გუბერმა კი მი-
თხრა, სადილის შემდეგ მოვალ და თუ შეგწევს ძალ-ღონე,
რომ მომისმინო, ჯობია ერთხელ და სამუდამოდ ერთმანეთს
ყველაფერი ავუხსნათო. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

ისინი რომ წავიდნენ, მოლოზანი წამოდგომაში მომეხმარა.
მივიღე აბაზანა, ჩავიცვი და ცოტა ბულიონიც შევხვრიპე. არ
მსურდა, ჩემისთანა ავადმყოფ მოხუცს, ვისაც მოწინააღმდეგე
მხოლოდ სიბრალულით ზოგავს და მფარველობს, ბრძოლა
ეწარმოებინა.

ჩემი შვილები რომ დაბრუნდნენ, ის მოხუცი არ დაუხვდათ,
რომელიც მათში სიბრალულს იწვევდა. მივიღე ტკივილების
შესამსუბუქებელი წამლები და წელში გამართული ვიჯექი.
თავს ყოველთვის გაცილებით მხნედ ვგრძნობ, როცა ლოგინ-
ში არა ვგორაობ.

გუბერს სერთუკი გადაეცვა. ჟენევიევა კი დედისეულ
ძველ ხალათში გახვეულიყო. „შავი არაფერი მაქვს, რომ
მოვიხუროო“... ორივენი პირდაპირ დამისხდნენ. ჯერ, ზრდი-
ლობის გულისათვის რამდენიმე სიტყვა თქვეს. შემდეგ კი
გუბერმა გადაწყვიტა ვითარებაში გავერკვიე:

— დიდხანს ვიფიქრე.... — დაიწყო გუბერმა.

დიდი გულმოდგინებით მოემზადებინა თავისი სიტყვა. ისე
მომმართავდა, თითქოს აქციონერების კრებაზე ვყოფილი-
ყავით. სწონიდა თითოეულ ფრაზას და მოხერხებულად
უვლიდა გვერდს იმას, რასაც შეეძლო ჩხუბი და უსიამოვნე-
ბა გამოეწვია.

— მომაკვდავი დედის სასთუმალთან მჯდარი, ბევრს
ვფიქრობდი შემემოწმებინა ჩემი სინდისი, რათა შემეცვალა
შეხედულება ჩვენი განხეთქილების მიმართ, დამეყენებინა

საკუთარი თავი შენს ადგილას. შენში ვხედავდი მხოლოდ და მხოლოდ ისეთ მამას, რომელიც დაჟინებით მიისწრაფვის, თავის შვილებს მემკვიდრეობა წაართვას. ამიტომ იყო, რომ ჩვენს მოქმედებას კანონიერად ვთვლიდით, ყოველ შემთხვევაში, სამართლიანად მაინც.

— უპირატესობა მაინც შენ გარგუნეთ, ამ უმოწყალო ბრძოლასა და იმ...

რადგან მან შესაფერისი სიტყვის ძებნა დაიწყო, მე წყნარად ვუკარნახე:

— ...საზიზღარ შეთქმულებაში.

გუბერი გაწითლდა, ჟენევიევა აენთო:

— რატომ „საზიზღარი"? შენ გაცილებით ძლიერი ხარ ჩვენზე.

— გეყოფათ! მძიმე ავადმყოფი მოხუცი მთელ ხროვა ახალგაზრდა მგლების წინააღმდეგ...

— ჩვენს ოჯახში მძიმე ავადმყოფი მოხუცი დიდი უპირატესობით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი ოთახიდან არ გამოდის, ჩასაფრებული ჰყავს ყველას. უთვალთვალებს ოჯახის ყოველ წევრს. ეცნობა მათ თვისებებს, და ყოველივე ამას თავის სასარგებლოდ იყენებს. თავისუფალ დროს სასტიკ გეგმებს იმუშავებს. იმ დროს, როდესაც სხვებმა არაფერი იციან მასზე, თვითონ ყველაფერი იცის მათ შესახებ. მშვენივრად იცის ის ადგილები, საიდანაც ხელსაყრელია სხვისი ლაპარკის მოსმენა (რადგან მე ვერ შევიკავე ღიმილი, მათაც გაეღიმათ). თავის ოჯახში ადამიანები ძლიერ გაუფრთხილებელნი არიან. კამათის დროს უწევენ ხმას და თავისდა შეუმჩნევლად ყვირილს იწყებენ. ჩვენ მეტად მინდობილნი ვიყავით ჩვენი ძველი სახლის სქელ კედლებს,

ის კი დაგვავიწყდა, რომ იატაკის ფიცრები თხელი იყო და ფანჯრები ღია...

მისმა გადაკრულმა სიტყვებმა ერთგვარად შეანელა დაძაბული გარემო. თუმცა მაშინათვე სერიოზული ტონით განაგრძო:

— გეთანხმები, რომ შეგეძლო ჩვენი თავი დამნაშავედ ჩაგვთვალა. კიდევ შემიძლია გავიმეორო, ეს შემთხვევა მხოლოდ კანონიერი თავდაცვის მიზნით მოხდა. მაგრამ აღარ მინდა კვლავ გავაღვივო ცეცხლი. არა მსურს ვარკვიო ის დამნაშავე, ვინც ეს სამწუხარო განხეთქილება გამოიწვია. თანახმა ვარ დამნაშავე დავიცვა კიდეც. მაგრამ საჭიროა, გაიგო...

იგი წამოდგა, სათვალის მინები გაწმინდა. თვალებს სწრაფად ახამხამებდა. სახე გამხდარი და ლოყები ჩაცვენილი ჰქონდა.

— უნდა გესმოდეს, რომ მე ვიბრძოდი ჩვენი ოჯახის ღირსებისა და ჩვენი შვილების მომავლის დასაცავად. შენ ვერ წარმოიდგენ ჩვენს მდგომარეობას. შენ გასული საუკუნის ადამიანი ხარ და ისეთ ზღაპრულ დროს ცხოვრობდი, როდესაც კეთილგონიერ ფინანსისტს შეეძლო თავისი ფული უშიშრად დაებანდებინა. მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ ყოველთვის კარგად ერკვეოდი შექმნილ მდგომარეობაში. მაგალითად, ყველაზე ადრე შენ შენიშნე ქარიშხლის მოახლოება და დროზე გაანაღდე პროცენტიანი ქაღალდები. ეს იმიტომ, რომ საწარმოო საქმესთან კავშირში არ იყავი. უფრო სწორად — საქმის გარეშე იყავი. შეგეძლო გულგრილად გემსჯელა მდგომარეობაზე, რადგან საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თავად იყავი და ჩემსავით არ გიჯირევდა საქმე... ელდა სრულიად მოულოდნელი იყო. უცაბედად საქმეებს თავი ვერავინ გაა-

რთვა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ხის ტოტები თითქოს ერთბაშად ატკაცუნდნენ მოსამტვრევად, ვერაფერს მოებღაუჭებოდი, ვერაფრით აინაზღაურებდი დანაკარგს... •

რა სევდიანად იმეორებდა გუბერი: „ვერაფერს“... „ვერაფრით“... ნეტავ სადამდე შეტოპა ვალებში? იქნებ ტალღები ჩაძირვასაც უქადიან? თავად კი ეხეთქება ნაპირებს, ცდილობს გამოცუროს. გუბერი უეცრად გონს მოეგო, იგრძნო, მეტისმეტად გულახდილი იყო. მისი საუბარი ახლა საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას შეეხო. ომისშემდგომ მძლავრი მანქანებით მოწყობა, ჭარბი წარმოება, სამომხმარებლო საქონლის კრიზისი... ჩემთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა, რას ლაპარაკობდა იგი. საგულისხმო იყო ის, რომ მწუხარებით სავსე მელაპარაკებოდა. სწორედ ამ წუთიდან შევნიშნე, რომ სიძულვილი გამიქრა, შურისგების სურვილიც აღარ მქონდა. შეიძლება, დიდიხნის გამქრალიც იყო... ხელოვნურად ვაღვივებდი ჩემს ღვარძლს და ვიღიზიანებდი ჭრილობებს. რატომ უნდა უარვყოთ ის, რაც აშკარა, თვალნათლივი ამბავია? გრძნობები გუბერის მიმართ ძლიერ არეული მქონდა, დახლართული, მაგრამ სხვა დანარჩენ განცდას მაინც ცნობისმოყვარეობა სჭარბობდა. საკმარისი იყო ერთი სიტყვა და ეს უბედური მწუხარებისა და მკაცრი ტანჯვისაგან განთავისუფლდებოდა. — რა უცნაურად მეჩვენებოდა ახალა ყოველივე! გონების თვალით ვხედავდი ჩემს სიმდიდრეს, ცოტა ხნის წინ ჩემი სიცოცხლის დედაარსად რომ მიმაჩნდა სიმდიდრე, რომელსაც ვცდილობდი გამეჩუქებინა, დამეკარგა, თავს კი არ ვაძლევდი უფლებას, სურვილის მიხედვით მომეხმარებინა. ახლა მის მიმართ არავითარ სიყვარულს აღარ ვგრძნობდი. უფრო მეტიც — არ მაინტერესებდა, თითქოს მე არ მეხებოდა.

გუბერი უხმოდ მითვალთვალებდა სათვალიდან. „რა ხრიკებს იგონებს მამა? საიდან მოგვივლენს რისხვას?“ ტუჩები მწუხარებით დაემანჭა. უკან გადაიზნიქა და ბავშვივით, დატუქსვისა რომ ეშინია, ხელი მაღლა ასწია. შემდეგ მოკრძალებით წამოიწყო:

— მხოლოდ ერთსა გთხოვ: მომეხმარე ჩემი მდგომარეობის გამოსწორებაში. იმის გარდა, რაც დედაჩემისგან მერგება, კიდევ დამჭირდება (ერთხანს ყოყმანობდა რიცხვი ეთქვა), მხოლოდ ერთი მილიონი. ხოლო რაკი ერთხელ გზიდან დაბრკოლებას ჩამოვიცილებ, ჩემი საქმე შემდეგაც კარგად წავა. თუმცა, შენც კარგად გესმის, დანარჩენი თვითონ გადაწყვიტე. მე მოვალე ვარ შენს სურვილს დავემორჩილო.

მან ნერწყვი გადაყლაპა. ქვეშ-ქვეშ მიცქეროდა, მაკვირდებოდა, მაგრამ ჩემს სახეზე ვერაფერი ამოიკითხა.

— შენ რაღას მეტყვი, ჩემო ქალო? — ვკითხე ჟენევიევას, — ალბათ ყველაფერი რიგზე გექნება. წინდახედული ქმარი გყავს.

ჟენევიევა ყოველთვის ღიზიანდებოდა, როდესაც მის ქმარს აქებდნენ. მან აღშფოთებით განმიცხადა, ჩვენი ფირმის მოღვაწეობა უკვე დამთავრდა. ორი წელია ალფრედი აღარ ყიდულობს რომს, როგორც ჩანს, საიმედოდ მიაჩნია საქმეების შემცირებაო. რა თქმა უნდა, საარსებო საშუალება გვაქვს, მაგრამ ფილი იმუქრება, ცოლს მივატოვებო. უეჭველად ჩაიდენს კიდეც ამას, როდესაც გამოაშკარავდება, რომ სიმამრი გაუღარიბდა.

მე წავიბუტბუტე:

— უყურეთ, რა დიდი უბედურება მოხდება.

ჟენევიევა აჩქარებით ალაპარაკდა:

— ის რომ არამზადაა, ყველამ ვიცით. იანინამაც იცის. მაგრამ თუ მიატოვებს, იანინა მოკვდება. დიახ, ვერ იცოცხლებს. მამა, შენ ამას ვერ გაიგებ. შენ ამ საქმეში არაფერი გესმის. იანინამ უფრო დაწვრილებით იცის ფილის შესახებ ყველაფერი, ვიდრე ჩვენ. ხშირად მეუბნება, ფილი წარმოუდგენელი უმსგავსიაო. მიუხედავად ამისა, თუ მიატოვებს, იანინა მოკვდება. თუმცა სისულელედ გეჩვენება. ასეთი გრძნობები შენთვის არ არსებობს. მაგრამ როგორც ძლიერ გონიერ ადამიანს, შეგიძლია წარმოიდგინო ის, რაც შენთვის სრულიად უცხოა.

— ჟენევიევა, ნუ გადაქანცე მამა!

გუბერი ფიქრობდა, ჟენევიევამ თავმოყვარეობა შემილახა, ამიტომ თავის მოუქნელობით „ყველაფერს გააფუჭებსო". ალბათ შემამჩნია, რომ სახეზე სევდა მომეფინა, ის კი ვერ გაიგო, რა იყო ჩემი ჭმუნვის მიზეზი. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ჟენევიევა მოულოდნელად მოხვდა ჩემს ჭრილობას და ხელახლა გადამიხსნა.

მე ამოვიოხრე: „ბედნიერია ფილი!"

ჩემმა შვილებმა ერთმანეთს გადახედეს. ისინი ყოველთვის გულახდილად ნახევრად გიჟად მთვლიდნენ. ალბათ სრულიად მშვიდად ჩამკეტდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

— ფილი საშინელი არამზადაა, — ჩაიბუტბუტა გუბერმა.— გამოჭერილები ვყავართ.

— მისი სიმამრი უფრო ლმობიერია მის მიმართ, ვიდრე შენ, — ვუთხარი, — ალფრედი ხშირად ამბობს, რომ ფილი არც ისეთი ცუდია, როგორც ჰგონიათ, უბრალოდ, ონავარიაო.

ჟენევიევა აენთო:

— ალფრედის ჩათრევაც უნდა თავის საქმეებში. მთელმა

ქალაქმა იცის, რომ სიძემ გარყვნა სიმამრი. ერთად ხედავდნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან... რა შერცხვენაა! სწორედ ასეთმა უსიამოვნებამ მოუღო ბოლო დედას...

ჟენევიევამ თვალებზე ცრემლები შეიმშრალა. გუბერს ეგონა, მათი ყურადღება მთავარ საკითხს ავარიდე.

— ჟენევიევა, განა ახლა საქმე ამას ეხება? — იკითხა გაჯავრებულმა, — თითქოს ამ ქვეყანაზე შენსა და შენი შვილების მეტი არავინ არსებობდნენ.

აღშფოთებულმა ჟენევიევამ განაცხადა, ჯერ კიდევ გასარკვევია, რომელი უფრო ეგოისტია: შენ თუ მეო. შემდეგ დაუმატა:

— რა თქმა უნდა, ყველას თავისი შვილი სხვისას ურჩევნია. მე ყველაფერს იანინასათვის ვაკეთებდი. როგორც დედა, ვამაყობ რომ არაფრის წინაშე უკან არ დავიხევ ჩემი შვილისათვის. თუ გინდა, ცეცხლშიც გადავვარდები...

ძმამ მკვახედ გააწყვეტინა სიტყვა (მე ვიცანი ჩემი სისხლი და ხორცი). „მარტო შენ კი არ გადავარდები, სხვასაც თან ჩაიტანო“.

როგორ გამართობდა უწინ მათი კინკლაობა! გავიხარებდი ამ განხეთქილებით, რომელიც ერთგვარი შესავალი იქნებოდა, მემკვიდრეობის ყოველი ნამცეცის ირგვლივ ატეხილი ჩხუბისა. მემკვიდრეობა, რომლის წართმევაც ვერასგზით ვერ მოვახერხე. ახლა ეს დავა საძაგლად და მომაბეზრებლად მეჩვენა. საჭიროა ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას, რათა დამშვიდებით სიკვდილის საშუალება მომცენ.

— ჩემო შვილებო! რა უცნაურად მეჩვენება, რომ საბოლოოდ ის უნდა გავაკეთო, რაც უდიდეს უგუნურობად მეჩვენებოდა.

ოჰო! ჩხუბი მაშინვე შეწყდა. ორივენი მკაცრი და უნდობელი თვალებით მომაჩერდნენ. ისინი გაფაციცებული მელოდნენ.

— მე ხომ ყოველთვის ვეუბნებოდი ჩემს თავს, რაც ჩვენს მოიჯარადრე, მოხუც გლეხს გადახდა. ყველაფერი მისცა ბავშვებს, მათ კი სიცოცხლეშივე გაძარცვეს და შემდეგ შიმშილით ამოხადეს სული... ზოგჯერ ასეც ხდება, როდესაც სულთმობრძავი მოხუცი დიდხანს წვალობს, შვილები სახეზე ბალიშს დააფარებენ და ხელს დააჭერენ...

— მამა, გეხვეწები!

მათი წამოძახილი და სახის გამომეტყველება ჭეშმარიტი გულისწყრომით იყო აღსავსე.

— გუბერ, შენ ბევრი საზრუნავი საქმე გექნება მემკვიდრეობის გაყოფასთან დაკავშირებით, რამდენიმე ბანკში მაქვს ანაბარი შეტანილი; აქ, პარიზში და საზღვარგარეთაც. აგრეთვე უძრავი ქონება: სახლები, მიწები, ფერმები. ჩემს თითოეულ სიტყვაზე თვალები უფრო უფართოვდებოდათ, მაგრამ მაინც ვერ იჯერებდნენ. შევნიშნე, გუბერი ხელს ნერვიულად ხან შლიდა, ხან კუმშავდა.

— დაე ყველაფრის, აგრეთვე დედათქვენის მემკვიდრეობის გაყოფაც ჩემს სიკვდილამდე გადაწყდეს. მე ჩემს განკარგულებაში მხოლოდ კალეზს, სახლსა და პარკს დავიტოვებ, (მისი მოწესრიგება და შეკეთების ხარჯები — თქვენს ანგარიშზე იყოს). ვენახებზე არც მსურს ლაპარაკი. თქვენ ნოტარიუსის საშუალებით გადამიხდით ყოველთვიურ რენტას — ახლა საჭიროა განვსაზღვროთ რენტის თანხა. გუბერ, მომაწოდე საფულე. დიახ, პიჯაკის მარცხენა ჯიბეშია.

გუბერმა აკანკალებული ხელით გამომიწოდა საფულე. მე დაბეჭდილი კონვერტი ამოვიღე.

— აქ ნახავ ცნობას ჩემი ქონების რაოდენობის შესახებ. შეგიძლია ეს კონვერტი ნოტარიუს არკამს წაუღო. არა, ჯობია ტელეფონით დაუკავშირდე და სთხოვე მოვიდეს. თვითონ გადავცემ ამ პაკეტს და ისიც შენს თვალწინ დაადასტურებს ჩემს სურვილს.

გუბერმა აიღო კონვერტი და ნაღვლიანად იკითხა:

— დაგვცინი, არა?

— წადი, დაურეკე ნოტარიუსს და მაშინ მიხვდები დაგცინი თუ არა. ის კარს ეცა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა.

— არა, — თქვა მან, — დღეს უხერხულია... — ერთი კვირა მაინც მოვიცადოთ.

თვალებზე მოისვა ხელი. ნამდვილად რცხვენოდა, ცდილობდა ეფიქრა თავის დედაზე. კონვერტს ხელში ატრიალებდა.

— მაშ კარგი, — დავიწყე მე, — გახსენი და წაიკითხე. გაძლევ ამის უფლებას.

სწრაფად მივიდა ფანჯარასთან და კონვერტს ბეჭედი მოაგლიჯა. თითქოს კი არ კითხულობდა, თვალებით სჭამდა ქაღალდს. ჟენევიევამ ვეღარ მოითმინა, ძმას ზურგიდან დაუდგა და კისერწაგრძელებულმა ხარბად დაიწყო შიგ ცქერა.

მე მივჩერებოდი ჩემს შვილებს — და-ძმას. მათში არაფერი იყო საშინელი. გუბერი — საქმიანი კაცი, ფინანსისტი, ოჯახის მამა, ახლა გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა; ჟენევიევა — ოჯახის დედა — ორივემ უეცრად იპოვა მილიონები, რაც დაკარგულად მიაჩნდათ. არა, მათში ცუდს ვერაფერს ვხედავდი. მაგრამ საკუთარი გულგრილობა მაოცებდა.

ბე ვგავდი ადამიანს, ვისაც გაუკეთეს ოპერაცია და გამოღვიძების შემდეგ ამბობს, არაფერი მიგრძვნიაო. მეჩვენებოდა, რომ მოვიგლიჯე ის, რაც ძალიან მიყვარდა და ჩემს სხეულში ღრმად იყო შეზრდილი. თუმცა გულზე მომეშვა და ფიზიკური შვებაც ვიგრძენი. თავისუფლად ვსუნთქავდი. განა მრავალი წლის განმავლობაში არ ვცდილობდი თავიდან მომეცილებინა ჩემი ქონება, მეჩუქებინა გინდაც უცხოსათვის, ოღონდ ჩემს ოჯახის წევრს არ დარჩენოდა? ყოველთვის ვცდებოდი, მეც არ ვიცოდი, რა ძინდოდა. ჩვენ არასოდეს არ ვიცით, ნამდვილად რა გვინდა, და სულ არ გვიყვარს ის, რაც გვგონია გვიყვარსო.

გავიგონე, როგორ უთხრა გუბერმა თავის დას:

— უზარმაზარი... უზარმაზარი! პირდაპირ უზარმაზარი სიმდიდრეა... შემდეგ ერთმანეთს ჩურჩულით დაუწყეს ლაპარაკი. უეცრად ჟენევიევამ განაცხადა, ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი მსხვერპლი გავიღოთ და არა გვსურს მამა გავძარცვოთო.

ეს სიტყვები „მსხვერპლი“ და „გაძარცვა“, ჩემს ყურებში უცნაურად ეღერდა. გუბერი ჩამაცივდა.

— დღეს ძლიერ აღელვებული ხარ. არც ისე მძიმე მდგომარეობა გაქვს, როგორც გგონია, ჯერ სამოცდაათი წელიც არ შეგსრულებია. გულის ანგინით დაავადებულნი ღრმა მოხუცებულობამდე ცხოვრობენ. ცოტა ხნის შემდეგ ინანებ. თუ გინდა, მატერიალური ზრუნვისაგან გაგანთავისუფლებ. დამშვიდებით გეჭიროს ის, რაც შენ გეკუთვნის. ჩვენ გვინდა, ყველაფერი სამართლიანად მოწესრიგდეს. ჩვენ მხოლოდ სიმართლეს ვეძებთ.

დაქანცულობა თავს მართმევდა. ისინი ხედავდნენ, რომ

თვალები მეხუჭებოდა. ვუპასუხე — ჩემი გადაწყვეტილება ურყევია და შემდგომში ამის შესახებ მხოლოდ ნოტარიუსთან ვილაპარაკებთ-მეთქი. კარისკენ გაემართნენ: თავი არ მომიბრუნებია, ისე წარმოვთქვი:

— დამავიწყდა გამეფრთხილებინეთ, რომ ყოველთვიური რენტა ათას ხუთასი ფრანკის რაოდენობით დავუნიშნე ჩემს შვილს რობერს... მე დავპირდი, გუბერ, ეს გამახსენე, როცა ნოტარიუსთან აქტზე ხელს მოვაწერთ.

გუბერი გაწითლდა. არ მოელოდა ასეთ გესლს. მაგრამ ქენევიევამ ამაში ვერაფერი ბოროტი ზრახვა ვერ შენიშნა, განცვიფრებისაგან ფართოდ დაღებული თვალებით სასწრაფოდ გამოთვალა: — თვრამეტი ათასი ფრანკი წელიწადში! მერედა, ეს მეტისმეტად ბევრად არ მიგაჩნია?

თავი მეთვრამეტე

დღეს მდელო ცაზე მეტადაა მოკრიალებული. წვიმისაგან გაქღენთილ მიწას ორთქლი ასდის. წყლით დაფარულ ოღროჩოღრო ადგილებზე მოღრუბლული ცის კაბადონის ანარეკლი მოჩანს. ყველაფერი ისევ წინანდებურად მაინტერესებს, როცა კალეზი მე მეკუთვნოდა. აქ ახლა ჩემი აღარაფერია, მაგრამ თავს ღარიბად არა ვგრძნობ. უძილო ღამეებში მესმის, როგორ ხმაურობს წვიმა, ასხავს ვენახებს და ალპობს. ახლაც ისევე ვშიშობ მოსავალი არ გაფუჭდეს-მეთქი, როგორც მაშინ, როდესაც მე ვიყავი მოსავლის პატრონი. ასე მეგონა, ჩემთვის საკუთრება იყო ძვირფასი, მაგრამ ახლა მიეხვდი, ეს მხოლოდ ძვალ-რბილში გამჯდარი მიწის გლეხური სიყვარული ყოფილა. ერთგვარი ინსტინქტი გლეხების იმ პირმშო შეი-

ლებისა, ვისაც საუკუნეების მანძილზე მზერა მწუხარებით ჰიეპყრო ჰორიზონტისათვის; — აბა, რას მოგვიტანს — დარს თუ ავდარსო. ჩემი მისაღები ყოველთვიური რენტა ნოტარიუსთან დაგროვდა. მე ხომ არასოდეს არაფერი მჭირდება, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი დამჭირდება. მთელი სიცოცხლე ვნებების მონა ვიყავი, რომელთაც სინამდვილეში ვერ დამიმორჩილეს. ძაღლივით, ღამით მთვარეს რომ უყეფს, მეც ბრწყინვალე ანარეკლი მაჯადოებდა. სამოცდა რვა წლის ასაკში გამომეღვიძა! გარდავიქმენი სწორედ მაშინ, როდესაც სიკვდილი კარს მომდგომია! ნეტავი შეიძლებოდეს სიცოცხლის რამდენიმე წლით, რამდენიმე თვით, ან თუნდაც რამდენიმე დღით გახანგრძლივება...

მომველელი ქალი უკანვე გააბრუნეს ქალაქში. მე თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ახლა ჩემს გვერდით ამელი და ერნესტი იქნებიან. ისინი იზას ემსახურებოდნენ. ნემსის გაკეთებაც იციან. სასთუმალთან ყველაფერი მაქვს, ყოველგვარი საჭირო წამლები: მორფისა და ნიტრატის ამპულები. ჩემი ქალეაჟი მემკვიდრეობის განაწილების საქმეებით არიან დაკავებულნი და ჩემთვის მაშინ იცლიან, როცა ქონების რომელიმე ნაწილის შესაფასებლად ცნობა დასჭირდებათ. ყველაფერი მშვიდად, ჩხუბისა და კამათის გარეშე მიმდინარეობს, აქაოდა, გაყოფაში არ ვიზარალოთო, სასაცილო წესი შემოიღეს: ყველაფერს შუაზე ინაწილებდნენ, სახეებიანი სასადილო. თეთრეული და ჭურჭელიც კი დაითავთავეს ამჯობინებენ შუაზე გაჭრან ხალიჩა, ვიდრე რომელიმეს მთლიანად დარჩეს. მზად არიან ყველაფერი მიიღონ დაბნეულ-დაქსაქსული სახით, ოღონდ თანაბრად. აი, თურმე როგორ ყოფილა მათი წარმოდგენით სამართლიანობა, რისკენაც მიისწრაფვოდნენ.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ძაღალფარდოვანი სიტყვებით ფარავდნენ თავიანთ ყველაზე სულმდაბალ გრძნობებს... არა, მე უკან ვიბრუნებ ჩემს სიტყვებს. ვინ იცის, იქნებ ისინიც იმ ვნებათა ტყვექმნილნი არიან, როგორც მე ვიყავი. იქნებ მათში ამ გრძნობებს არა აქვთ ღრმად გადგმული ფესვები?

მაგრამ ნეტავი რას ფიქრობენ ჩემზე? ალბათ იმას, რომ ბრძოლაში დამამარცხეს და დავნებდი. რომ მომერიენ და „დამჯაბნეს". თუმცა კალეზში ყოველ ჩამოსვლისას უდიდეს მოკრძალებას და მადლობას გამოხატავენ. გაოცებულნი არიან ჩემს გამო. განსაკუთრებით გუბერი მითვალთვალებს გაფაციცებით. არა სჯერა, თუ იარაღი დავყარე. დამშვიდდი, ჩემო საბრალო ბიჭო! როდესაც კალეზში გამოსაკეთებლად მომიყვანეს, მაშინაც კი აღარ ვიყავი თქვენთვის საშიში... ახლა ხომ, მით უმეტეს!..

მდელოს ნაპირებზე თელისა და ვერხვის გრძელი ხეივანი მოჩანს. მათ ჩაბნელებულ მწკრივებს შორის ნისლი შეფენილა — ნისლი და ბოლი. წვავენ სარეველა ბალახს და წვიმით გაჟღენთილი დედამიწიდან ასული ორთქლიც მას უერთდება. ჩვენთან ახლა ხომ შემოდგომაა... წვიმის წვეთებით დაცვარული ყურძნის მბრწყინავი მტევნები აღარ გაივსება ტკბილი წვენით, წვიმიანმა აგვისტომ სულ ჩაალპო; გვიანაა, დაკარგულს ვეღარ დაიბრუნებენ! მაგრამ ადამიანისათვის შეიძლება არ იყოს დაგვიანებული. მე ვირწმუნებ თავს, ადამიანისათვის არასოდეს არაა დაგვიანებული-მეთქი:

კალეზში დაბრუნების მეორე დღეს იზას ოთახში შევედი. მოკრძალების გრძნობა სულაც არ მამოძრავებდა; უსაქმურო-

ბამ, ცუდმადობამ (მეც ვერ გამიგია, რამ), თითქოს საამო თუ მოსაბეზრებელმა გრძნობამ სურვილი აღმიძრა კიბის მარცხნივ, დერეფანში გამომავალი ნახევრად მოღებული კარი გამეღო. ამ ოთახში არა მარტო ფანჯარა იყო მოფრიალებული, კარადის კარიც და კამოდის უჯრებიც — ყველაფერი ღია ეყარა. მსახურებს ყველაფერი გამოეზიდათ. მზე ყველა კუთხემდე აღწევდა და თანდათან აქრობდა იმ ადამიანის შეუმჩნეველ კვალს, ვისი სიცოცხლეც უკვე დასრულდა. სექტემბრის თბილი დღე იდგა, გამოღვიძებული ბუზები ბზუოდნენ. მრგვალი და ხშირტოტება ცაცხვის ხეები ლაქებიან ვეებერთელა ყვითელ ნაყოფს მიაგავდნენ. ლურჯი ზეცა, რომელსაც ზევით სულ უფრო მუქი ლურჯი ფერი სცემდა, მთელემარე გორაკებთან მკრთალდებოდა. საიდანღაც ქალიშვილის მხიარული კისკისი მოისმა. მე მას ვერ ვხედავდი. ვენახებში მზეზე ოქროსფრად მბზინავი ქუდები მოჩანდა — ისინი წინ მოიწევდნენ. რთველი იწყებოდა. მაგრამ სიცოცხლე, მშვენიერი სიცოცხლე იზას ოთახიდან წავიდა. კარადის ძირში დარჩენილი ხელთათმანები და ქოლგა მიცვალებულებს მიაგავდნენ. ძველ ბუხარს შევხედე. შუა ქვაზე გამოკვეთილი ჩუქურთმა ფოცხს, ბარს, ნამგალს და ხორბლის ძნას გამოხატავს. ამ ძველებურ ბუხრებს, რომელსაც შეიძლება დიდრონი მორებიც კი შეუკეთონ, ზაფხულობით ფართო, მოხატული ტილოს ეკრანს აფარებენ. ჩვენს ეკრანზე გამოხატული იყო შებმული კამეჩები ხვნის დროს. ერთხელ, ჩემს პატარა ბიჭობაში რაღაცაზე გაბრაზებულმა მთელი ეკრანი სათლელით ავკუწე. ეკრანი ბუხარზე ირიბად იყო მიდგმული. მოვინდომე გამოწევა, თავის ადგილზე დადგმა, მაგრამ გადამიყირავდა და ნაცრით სავსე ჩაშავებული კერია გამოჩნდა. მომაგონდა ჩემი შვილების

ნათქვამი იზას კალეზში უკანასკნელად გატარებულ დღეებზე: „ჩვენ გვეგონა, ხანძარი მოხდა, თურმე ქაღალდებს წვავდაო“.

ახლა გავიგე, აშკარად გავიგე, რომ იგი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ხომ არ შეიძლება ადამიანმა ერთსა და იმავე დროს თავისა და სხვის სიკვდილზე იფიქროს. გონებიდან არა მცილდებოდა ჩემს მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრი, სულ მეგონა, აქვე, ყურის ძირში ჩამსაფრებოდა და როგორღა მივაქცევდი ყურადღებას იზას ნერვიულ დაძაბულობას? „არაფერია, ასაკის ბრალია“, — გვეუბნებოდნენ ჩვენი უგუნური შვილები.

მაგრამ, როდესაც ცეცხლს ანთებდა, ხომ იცოდა, რომ დღეები დათვლილი ჰქონდა. უნდოდა ისე გამქრალიყო, თავისი არსებობის კვალიც არ დაეტოვებინა. მივჩერებოდი კერიას, სადაც ქარი რუხი ფერის ნაცრის ფერფლს არხევდა. მაშა, იზამ რომ იხმარა, ისევ ბუხრის კუთხეში იყო მიყუდებული. მოვავლე ხელი და ნაცარში ავურიე, ამ მტვრისა და არარაობის გროვაში. ისე ვქექავდი ნაცარს, თითქოს შიგ იყო ჩამარხული ჩვენი, ორივეს საიდუმლოება. რაც უფრო ღრმად ვარჭობდი მაშას, ნაცარი უფრო მკვრივდებოდა.

რამდენიმე ქაღალდის ნაგლეჯი ამოვაძრე. ეს ალბათ იმან გადაარჩინა, რომ ქაღალდის დასტის შუაში იდებოდა. ამ ქაღალდებზე მხოლოდ ცალკეული სიტყვები და გაუგებარი წინადადებები დარჩენილიყო. ყველა ეს ხელნაწერები ერთი, ჩემთვის უცნობი ხელით იყო ნაწერი. თუმც ხელები მიკანკალებდა, გაშმაგებული განვაგრძობდი ქექვას. პაწაწინა, მურში დასვრილ ქაღალდზე შევძელი ამომეკითხა სიტყვა „pax“[1].

---

[1] Pax — მშვიდობა (ლათ.).

პატარა ჯვრის ქვეშ კი მიწერილი იყო: „23 თებერვალი 1913 წ. შემდეგ მიმართვა: „ძვირფასო შვილო...“ მთელი მონდომებით ვცდილობდი გამერჩია წინადადების ნაწყვეტები კიდეებშემომწვარ ქაღალდზე, მაგრამ მხოლოდ ეს სიტყვები აღვადგინე: „თქვენ პასუხს არ აგებთ იმ სიძულვილის გამო, რასაც ეს ბავშვი იწვევს თქვენში. ეს იქნებოდა დანაშაული, იმ შემთხვევაში, თუ ამ გრძნობას აჰყვებოდით. პირიქით თქვენ ყველანაირად ცდილობდით...“

დიდი წვალებით შევძელი კიდევ შემდეგის წაკითხვა:

„დიდი სითამამეა მიცვალებულთა განსჯა...“ მისი სიყვარული ლუკისადმი კიდევ არ ნიშნავს...“ ამ სიტყვების გარდა დანარჩენი ჭვარტლით იყო დასვრილი: „მიუტევეთ, ნულარ იძიებთ იმ დანაშაულს, რაც უნდა აპატიოთ. მიეცით მას თქვენი...“

ყველაფერ ამაზე შემდეგ ვიფიქრებ, ახლა კი უნდა ვეძიო, მხოლოდ ვეძიო. და ვეძებდი კიდეც უხერხულად დახრილი, ისე, რომ ძლივსღა ვსუნთქავდი, მაშით ვქექავდი ნაცარს და ვეძებდი. უეცრად ხელში მომხვდა მუშამბაგადაკრული პატარა უბის წიგნაკი და მღელვარებისაგან ავთრთოლდი. წიგნაკს თითქმის არ შეხებოდა ალი, მაგრამ შიგ ერთი ფურცელიც არ იდო გადარჩენილი. მხოლოდ ყდის მეორე მხარეს გავარჩიე იზას ხელით მიწერილი რამდენიმე სიტყვა: „სასულიერო თაიგული“. ქვემოთ: „მე მქვია ის, ვინც არა რისხავს, ჩემი სახელი იესოა“. (წმიდა ფრანცისკ სალსკი „ქრისტეს“ შესახებ.)

შემდეგ სხვა წინადადებები ეწერა, მაგრამ შეუძლებელი გახდა მათი წაკითხვა. ამ ფურცლებზე დახრილი დიდხანს ვეძებ-

დი, მაგრამ მეტი ვერაფერი ვიპოვე. ბოლოს წამოვდექი, მჭვარტლში დასვრილ ხელებზე დავიხედე. სარკეში დავინახე, რომ შუბლიც დამსვროდა. როგორც ახალგაზრდობაში ვიცოდი, ახლაც მომინდა წავსულიყავი სადმე მინდორში შორს, შორს და მეხეტიალა. არც კი მომგონებია, რომ ავადმყოფი გულის პატრონი ვიყავი, სირბილით დავეშვი კიბეზე.

მრავალი კვირის მანძილზე პირველად გავეშურე ვენახებისკენ, სადაც შემოძარცული ვაზები ჩამწკრივებულიყვნენ და ზამთრის ძილისთვის ემზადებოდნენ. მთელი პეიზაჟი ირგვლივ ისეთი მსუბუქი, მოკამკამე, ჰაეროვანი და ლაჟვარდ-ფერადოვანი იყო, როგორსაც ოდესღაც მარი ნამჯის ღეროდან საპნის ბუშტებს ბერავდა ხოლმე. მზესა და ნიავს უკვე გაეშრო ბორბლისა და კამეჩების ჩლიქების ღრმა ნაკვალევი. მე მივდიოდი და თან მიმყვებოდა იზას ჩემთვის დღემდე უცხო გამოსახულება. ვნებათა ღელვით განაწამები ქალისა, ვისი მორჯულებაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო. უბრალო დიასახლისი ქალი თავისი დის მიმართ ეჭვს შეეპყრო. სძულდა პატარა ლუკი. იზამ შეიჯავრა უდანაშაულო, პატარა ბიჭი! რა იყო ამის მიზეზი? შური? შიში თავისი საკუთარი შვილების გამო, რადგან ლუკი მათზე ძალიან მიყვარდა. მაგრამ მას მარინეტიც სძულდა... დიახ, დიახ, იგი ჩემი გულისათვის იტანჯებოდა. მისი წამება ჩემს ხელთ იყო. რა სიგიჟეა! გარდაიცვალა მარინეტი, გარდაიცვალა ლუკი, იზაც მათ მიჰყვა. ყველანი დაიხოცნენ, ყველანი! მეც, დაჩაჩანაკებული ბერიკაცი იმავე ორმოს პირად ვდგავარ, რომელმაც ისინი შთანთქა. და აი, მიხარია, ვხარობ, რომ ის — აწ განსვენებული ქალი ჩემდამი

გულგრილი არ ყოფილა, რომ თურმე შემეძლო მასში ასეთნაირი ქარიშხალი გამომეწვია.

სასაცილოა! და მე მართლაც ვიცინოდი. მარტოდმარტო დარჩენილს, სული მეხუთებოდა, ვაზშემოხვეულ ჭიგოს ვეყრდნობოდი; ჩემს წინ კი მკრთალ ნისლში გახვეული სოფლები, ეკლესიების სამრეკლოები და გზებზე ჩამწკრივებული ვერხვის ხეები გადაშლილიყო. ჩამავალი მზის სხივები ძლივს ახერხებდნენ ნისლში ჩაძირულ სამყაროში შეჭრას. ჩემს დანაშაულს ახლა ვგრძნობდი, ვხედავდი ხელშესახებიც კი გამხდარიყო. საშინლად მესახებოდა არა მარტო ეს საძაგელი ასპიტთა ხლართი, საკუთარი შვილებისადმი სიძულვილი, შურისგების წყურვილი, გაშმაგება ფულებისადმი, არამედ ის, რომ ამ შხამიანი ასპიტების გარდა, ვერაფერს ვხედავდი. ისე მტკიცედ ვიყავი ჩახლართული ამ საზიზღარი ასპიტების გორგალში თითქოს ჩემი გულისცემა გველების ფუთფუთს ერთვოდა. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩემში ვხედავდა იმას, რაც სინამდვილეში ჩემი არ იყო და ასევე ვიქცეოდი სხვების მიმართაც. ისევე მაბრმავებდა ის უბადრუკი სურვილები, რაც ჩემი შვილების სახეზე ამოვიკითხე. რობერი გონებაჩლუნგად მეჩვენა, მაცდური გარეგნობა ყველაფერს მალავდა. არასოდეს მიფიქრია, რომ ადამიანის გარეგნობა ნიღაბს ჰგავს, რის ჩამოგლეჯვის შემდეგ შეიძლება მისი ჭეშმარიტი სახე დავინახოთ. კარგი იქნებოდა ეს მაშინ მცოდნოდა, როდესაც ოცდაათის, ან ორმოცი წლისა ვიყავი. ახლა კი დავჩაჩანაკდი, ჩემი გული ძლივსღა ფეთქავს; ჩემს სიცოცხლეში უკანასკნელად ვხედავ შემოდგომას, თითქოს ნანას რომ უმღერის ვენახებს, და ჩამავალი მზის სხივების ბურუსში ხვევს. ისინი, ვინც უნდა მყვარებოდა, ყველა გარდაიცვალა; დაიხოცნენ

ისინი, ვისაც შეეძლო ჩემი სიყვარული. ხოლო ვინც ცოცხალი დარჩა, მათ მიმართ ძალ-ღონე აღარ შემწევს დავუახლოვდე, ამოვიცნო მათი შინაგანი სამყარო. რაღა დროისაა! აღარც ღონე შემწევს საამისოდ. ახლა ჩემი ყოველივე, ხმაც, მოძრაობაც, სიცილიც კი იმ ურჩხულს ეკუთვნის, რომელიც ამ ქვეყანას დავუპირისპირე, ურჩხულს — ჩემი სახელი რომ მივაკუთვნე.

სწორედ ასეთი ფიქრები მერეოდა თავში ვენახში მარგილზე დაყრდნობილს და ჩამავალი მზის სხივებით გაშუქებულ იკემის მინდვრებს გავცქეროდი. იმ ამბავმა, რასაც მოვყვები, უდაოდ უფრო ნათელი გახადა ჩემი ფიქრები; მაგრამ ეს ფიქრები უკვე მიტრიალებდა გონებაში, როდესაც შინ ვბრუნდებოდი. დედამიწაზე არსებული სიჩუმის შეგრძნებით ღრმად გამსჭვალული ხეების ჩრდილები გრძლად გაწოლილიყო, მთელი ქვეყანა სიწყნარისკენ ისწრაფვოდა. შორს გორაკები მხრებში ამოხრილიყვნენ და თითქოს ღამის წყვდიადს უცდიდნენ, რათა წამოწოლილიყვნენ და ადამიანური ძილით დაეძინათ.

იმედი მქონდა, რომ გუბერი და ჟენევიევა შინ დამხვდებოდნენ. შემპირდნენ, შენთან ერთად ვისადილებთო. ჩემი ცხოვრების მანძილზე პირველად მსურდა მათი მოსვლა და მათთან ყოფნა. მოუთმენლად ველოდი, რომ ჩემი განახლებული გული მეჩვენებინა. ჩემთვის ყოველი წუთი ძვირფასია. ვჩქარობ, შევიცნო ისინი და ჩემი თავიც გავაცნო მათ. ნეტავ თუ შევძლებ სიკვდილამდე გამოვცადო ჩემი აღმოჩენა? მე დავანგრევ იმ ეკლიან გზას, გადავლახავ დაბრკოლებებს, რაც ჩემს შვილებს მაცილებდა და მაინც მივაღწევ მათ გულებამ-

დე. დაბოლოს, ასპიტთა ხლართი გაპობილია. ისე ჩქარა დავიმსახურებ მათ სიყვარულს, რომ როცა თვალებს დამიხუჭავენ, დამიტირებენ.

თურმე ჯერ არ მოსულიყვნენ. ჩამოვჯექი გზის პირას სკამზე და სმენად გადავიქეცი, რომ მოტორის ხმა გამეგონა. რამდენადაც იგვიანებდნენ, იმდენად მეტად მინდოდა მათი ნახვა. ისევ წინანდებურმა ჯავრმა ამიტანა. არაფრად მიაჩნიათ, რომ მე ვღელავ. არ ენაღვლებათ, რომ მათი გულისთვის ვიტანჯები. ასე განზრახ იქცევიან-მეთქი. უეცრად გავიფიქრე — ხომ შეიძლება საპატიო მიზეზით აგვიანებდნენ, რაც ჯერ არ ვიცი. ვინ იცის, ამაოდ ვჯავრობ ძველებურად. გაისმა ზარის რეკვის ხმა, რაიც სადილობას აუწყებდა. სამზარეულოში ამელის გასაფრთხილებლად წავედი, რომ სადილი ცოტა ხანს გადაედოთ. ძალიან იშვიათად თუ შევიდოდი სამზარეულოში, სადაც ჭერის გაშავებულ მორებზე ლორის ბარკალი ეკიდა. ცეცხლაპირას ჩალის სკამზე ჩამოვჯექი. ჩემს მისვლამდე ამელი, მისი ქმარი და ჩვენი მოურავი კაზო მხიარულად საუბრობდნენ, შორიდანვე მომესმა მათი ხარხარი. შევედი თუ არა, გაჩუმდნენ. მე ყოველთვის თან მდევს შიშისა და პატივისცემის გარემოცვა. არასოდეს არ ველაპარაკები მსახურებს. იმიტომ კი არა, რომ მომთხოვნი და შარიანი მეპატრონე ვარ. უბრალოდ, ვერც კი ვამჩნევ მათ, ისინი ჩემთვის არ არსებობენ. იმ საღამოს მათ გვერდით ყოფნა კი მამშვიდებდა. რაკი ჩემი შვილები არ მოვიდნენ, ვითომ რატომ არ შეიძლებოდა იმ მაგიდაზე მესადილა, სადაც მზარეული ხორცს სჭრიდა? კაზო მაშინათვე გაქრა. ერნესტმა კი თეთრი ხალათი გადაიცვა, რომ მომმსახურებოდა. მისი სიჩუმე ჩემზე სულის შემხუთავად მოქმედებდა. ამაოდ ვცდილობდი რაიმე სათქმელი

სიტყვა მომეძებნა, არაფერი ვიცოდი იმ ცოლ-ქმრის შესახებ, რომლებიც ოცი წლის მანძილზე ერთგულად გვემსახურებოდნენ. ბოლოს მომაგონდა, რომ ქალიშვილი სოვტერში ჰყავდათ გათხოვილი. ერთხელ ჩამოვიდა კიდეც მშობლებია სანახავად და კურდღელი ჩამოიყვანა. იზას ფული არ გადაუხდია, რადგან სტუმარი ჩვენთან იკვებებოდა. არც კი მივბრუნებულვარ, საჩქაროდ დავილაპარაკე:

— რაო, ამელი, როგორაა თქვენი ქალიშვილი, ისევ სოვტერში ცხოვრობს?

ამელიმ მზემოკიდებული ქარდაკრული სახე ჩემსკენ მოატრიალა, დამაკვირდა და მიპასუხა:

— თქვენ ხომ იცით, რომ გარდაიცვალა. წმინდა მიხეილის დღეს, ოცდა ცხრაში ათი წელი შესრულდება. ნუთუ აღარ გახსოვთ?

მის ქმარს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ შუბლშეკრულმა გამომხედა. ალბათ გაიფიქრა ტყუილად, თავშესაქცევად ვიქცეოდი ასე და არ მახსოვდა მათი უბედურება.

წავილუღლუღე: „მაპატიეთ... მოვხუცდი... ტვინი აღარ მუშაობს-მეთქი...“ და როგორც, საერთოდ, უხერხულ მდგომარეობაში ყოფნისას მემართება ხოლმე, ჩუმი სიცილი ამიტყდა. ვერ შევიმაგრე ეს სულელური სიცილი. ერნესტმა თავის ჩვეული კილოთი თქვა: „სადილი მოგართვით!“

მაშინვე წამოვდექი და ნახევრად ჩაბნელებულ სასადილო ოთახისკენ გავწიე. მაგიდას მივუჯექი იზას პირდაპირ — მისი აჩრდილის პირდაპირ. აქ კი უწინ ყენევიევა იჯდა ხოლმე, მის გვერდით აბატი არდუენი, შემდეგ გუბერი... თვალებით მოვძებნე ბუფეტისა და ფანჯრის შუა ადგილი. იქ მარის მაღალი

სკამი იდგა, შემდეგ ამ სკამს იანინა ხმარობდა, ბოლოს კი იანინას გოგონა. ძლივს გადაეყლაპე რამდენიმე ლუკმა; მაშინებდა იმ კაცის გამოხედვა, ვინც მაგიდასთან მემსახურებოდა.

სასტუმრო ოთახის ბუხარში წალამი გიზგიზებდა. ამ ოთახში შთამომავლობა ერთმანეთს სცვლიდა, როგორც ზღაპიქცევისას ტოვებს ნიჟარებს, ისინიც ტოვებდნენ ალბომებს, ყუთებს, დაგეროტიპებს, ზეთის კანდელებს. რაფაზე სამშვენისები ეწყო. გარედან ცხენის ფეხის თქარათქური და ყურძნის ხის საწნეხელის ჭრიალი მოისმოდა. ამას სახლის მახლობლად ამუშავებდნენ. ეს ხმა გულს მიწუხებდა. „ჩემო საყვარელო შვილებო, რატომ არ მოხვედით.“ ვკვნესოდი საცოდავად. ჩემი ხმა რომ გაეგოთ ჩემს მსახურებს, ეგონებოდათ, სასტუმროში სრულიად სხვა ადამიანი ზისო. ისინი არ დაიჯერებდნენ, თუ ეს სიტყვები შეიძლებოდა წარმოეთქვა იმ ბებერ არამზადას, ვინც მათი აზრით, თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არ იცოდა მათი ქალიშვილის სიკვდილი. ყველამ — ცოლმაც, შვილებმაც, პატრონებმა თუ მსახურებმა, ყველამ პირი შეკრა ჩემს საწინააღმდეგოდ და ისინი მიკარნახებენ ჩემს საძაგელ როლს. მე იმავე გაბოროტებულ, უმოძრაო პოზაში გავშეშდი, როგორსაც მაიძულებდნენ მიმეღო. ჩემი გარეგნობა იმ გამოსახულებას ეთანხმებოდა, რაიც მათმა სიძულვილმა ჩემს მიმართ შექმნა. რაოდენ დიდი უვიცობაა, სამოცდა რვა წლის ასაკში იმედი მქონოდა დინების წინააღმდეგ წავსულიყავი, რათა ჩემში სხვა ადამიანი დამენახვებინა. მე ხომ სხვანაირი ადამიანი ვიყავი და ასეთივე დავრჩი. ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავთ, რის ცქერასაც შეჩვეულნი ვართ. თქვენ ნამდვილად ვერა გხედავთ, ჩემო საბ-

რალო შვილებო. ახალგაზრდა რომ ვიყო, ჩემი სულიერი განწყობა ასე მკვეთრად არ იქნებოდა გამოხატული, ჩვეულებებიც ასე მტკიცედ აღარ გაიდგამდნენ ფესვებს. თუმცა ახალგაზრდობაშიც ძნელად თუ მოვიცილებდი თავიდან ამ მომაჯადოებელ სიბოროტეს. ამისათვის საჭიროა ძალა. რა ძალა? საჭიროა ვიღაცის დახმარება, ის, ვინც ყველას წინაშე თავდებად დამიდგება, რომ მე გავიმარჯვე ჩემს თავზე, რომ ჩემს მახლობლებს ჩემი განახლება მისთვის დაეჯერებინათ. ნამდვილად ახლა მე მჭირდება მოწმე, ვინც ჩემზე სიმართლეს იტყოდა, ჩამომხსნიდა მხრიდან საძაგელ ტვირთს და თვითონ მოიკიდებდა...

საუკეთესო ადამიანებიც კი დახმარების გარეშე ვერ სწავლობენ სიყვარულს. იმიტომ, რომ გვერდი აუარო სასაცილო თვისებებს, მანკიერებას, განსაკუთრებით კი ადამიანთა სისულელეს, საჭიროა სიყვარულის იმ საიდუმლეობას ფლობდე, რაიც ქვეყნიერებამ უკვე აღარ იცის. ვიდრე ამ საიდუმლოებას ხელახლა არ აღმოვაჩენთ, ამაო იქნება ადამიანთა პირობების შეცვლის ცდა. წინათ ვფიქრობდი ეკონომიური და სოციალური პრობლემების გვერდის ახვევა ჩემი ეგოიზმით იყო გამოწვეული. ჭეშმარიტად საზარელი ვიყავი ჩემს მარტოობაში გამომწყვდეული და ხალხის მიმართ გულგრილი; მაგრამ აღმავსებდა ფარული გრძნობები და ბუნდოვანი რწმენა, რომ რევოლუცია ჩვენს ქვეყანას სახეს ვერ შეუცვლის. საჭიროა ქვეყნის გულში შევიჭრათ. მე ვეძიებ იმ ერთადერთს, ვინც ამ გამარჯვების მოპოვებას შეძლებდა. ის ისეთი გული უნდა იყოს, რაიც დაიტევს ყველა გულთა სიყვარულს. იქნებ ჩემი სურვილი უკვე ლოცვას წააგავდა. ცოტაც და, შეიძლება დავყრდნობოდი სავარძელს, მუხლებ-

ზეც დამეჩოქა, როგორც ამას ზაფხულის საღამოობით აკეთებდა იზა, თავისი სამი ბავშვით, კაბაზე რომ ეკვროდნენ. სეირნობიდან დაბრუნებული, მათ ვხედავდი განათებულ ფანჯარაში. ვცდილობდი მომეყრუებინა ჩემი ნაბიჯების ხმა და ჩაბნელებული ბაღიდან შეუმჩნევლად ვჰვრეტდი ამ მლოცველთა ჯგუფს: „შენს წინაშე ხელაპყრობილი ვადიდებ შენს სახელს, უფალო,—ხმამაღლა ამბობდა იზა, — რომ ჩემს გულს მიეც უნარი შენი შეცნობის და შეყვარების!“..

ახლა კი მე ვდგავარ შუა ოთახში და ისე ვბარბაცებ, თითქოს ვიღაცას გაველახე. ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობ. ვუმზერ მას. არა, წინ ვერ აღუდგები ამგვარ მღვრიე დინებას. ჩემი ცუდი ადამიანობის წყალობით მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთი მეგობარიც ვერ შევიძინე, იქნებ იმიტომ, რომ ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — შენიღბვის უნარი არა გქონდა? ყველა ადამიანს ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩემსავით უნიღბოდ რომ ევლო, მაშინ ისინიც გაოცდებოდნენ, რაოდენ მცირე განსხვავება იქნებოდა მათ მორალურ დონეს შორის. სიმართლე ითქვას, არავინ თავის სახეს არ გვაჩვენებს, არავინ. მეტი წილი ხალხი მაიმუნობს, ამაღლებულ და კეთილშობილ გრძნობებს გამოხატავენ. თავადაც ვერ ხედავენ, როგორ ბაძავენ ლიტერატურულ გმირებს და სხვებს. წმინდანებმა იცოდნენ ადამიანთა სულისკვეთება და ამიტომ მათი სახით სძულდათ და ეზიზღებოდათ თავიანთი თავიც. მე რომ არ ვყოფილიყავი გულგახსნილი, გაშიშვლებული, ყოველგვარი შეფერილობის გარეშე, არავისში არ გამოვიწვევდი ზიზღს.

ასეთი აზრები მოსვენებას არ მაძლევდა, როდესაც ბოლთას ვცემდი ნახევრად ჩაბნელებულ სასტუმროში და თან მძიმე პალისანდრის და წითელი ხის ავეჯს ვეჯახებოდი. ჩემი ოჯა-

ხის ახლა უკვე მიწადქცეული რამდენი წევრი დაყრდნობია ამ სავარძლებს, წოლილა ამ ტახტებზე. პატარები ფეხსაცმელით ძვრებოდნენ და აჭუჭყიანებდნენ დივანს, რომ ზედ მოხერხებულად მოთავსებულიყვნენ და 1870 წლის დასურათებული ჟურნალები ეთვალიერებინათ. გადაკრული ნაჭერი იმ ადგილას ისევე გაშავებულია, როგორიც ბავშვების ფეხსაცმელებმა დატოვა. ქარი გაშმაგებით დაჰქრის სახლის ირგვლივ და ცაცხვის გამხმარ ფოთლებს ჰგვის. ერთ საწოლ ოთახში ისევ დავიწყებიათ დარაბების ჩაკეტვა.

თავი მეცხრამეტე

მეორე დღეს შეშფოთებული მოუთმენლად ველოდი ფოსტას. მეც ხეივანში დავდიოდი წინ და უკან, იზასავით, ბავშვების დაგვიანების გამო რომ წუხდა ხოლმე და ბაღში ბოლთას სცემდა.

„რა მოხდა, ხომ არ იჩხუბეს? იქნებ ვინმე გახდა ავად?“— ვფიქრობდი, „საშინლად ვღელავდი“. ჩემი ცოლისა არ იყოს, ათასნაირ სახიფათო ამბებს ვიგონებდი. ვერაფრით ვერ მოვიცილე აკვიატებული ცუდი აზრები. დიდხანს დავბორიალობდი ვენახში. ზრუნვით და ფიქრით შეპყრობილი ვერაფერს ვხედავდი და ვერ ვამჩნევდი, მაგრამ არ გამომპარვია ჩემში მომხდარი ცვლილება. თითქმის კმაყოფილიც კი ვიყავი ჩემი ასეთნაირი წუხილით. ნისლში ხმაურით იბნეოდა თითოეული ბგერა, ველი არა ჩანდა, მისი ხმაური კი ისმოდა. ვაზების გრძელ მწკრივს, სადაც ყურძენს ჯერ არ შეჰპარვოდა სიდამპლე, მხიარულად დასტრიალებდნენ თავს ბოლოქანქარები და შაშვები.

ბავშვობისას არდადეგებზე ჩამოსულ ლუკს ძალიან უყვარდა ადრეული შემოდგომის დილა...

როგორც იქნა, მოვიდა ფოსტა და მივიღე გუბერის პარიზიდან გამოგზავნილი წერილი. ამან ვერ დამამშვიდა. იწერებოდა, მოულოდნელად სასწრაფო საქმეზე პარიზში მომიხდა წასვლა. საკმაოდ სერიოზული უსიამოვნო ამბებია, რასაც დაბრუნებისას მოგიყვებიო. დაბრუნებას ზეგ ვაპირებო. ვიფიქრე, ფინანსიურმა ინსპექციამ ხომ არ გაართულა-მეთქი საქმე. ან იქნებ უკანონობა რამ ჩაიდინა.

შუადღისას მოთმინება დამელია. ვუბრძანე სადგურში წავეყვანეთ და ბორდოში გავესტუმრებინეთ, თუმცა ბავშვებთან შეპირებული ვიყავი არასოდეს მემოგზაურა მარტო. ახლა ჩვენს ძველ სახლში ჟენევიევა ცხოვრობდა. ჩემს ქალიშვილს დერეფანში შევეფეთე. ვიღაც უცნობ კაცს ემშვიდობებოდა. უთუოდ ექიმი იქნებოდა.

— გუბერმა არაფერი შეგატყობინა?

ჟენევიევამ იმ ოთახში წამიყვანა, სადაც იზას დასაფლავების დღეს უგრძნობლად ვიწექი. გულზე მომეშვა, როდესაც გავიგე, რომ საქმე თურმე ფილის გაქცევას ეხებოდა, — უფრო დიდი უბედურება მეგონა. თურმე ფილი ვიღაც ქალთან ერთად გაქცეულა. ამ ქალს მაგრად ჰყავს „ჩაქერილიო". ფილისა და იანინას შორის საშინელი საუბარი ყოფილა. ერთობ მკაცრად ეჭირა თავი და არც არავითარი იმედი აღარა აქვს იანინასო. საბრალო იანინა, მეტისმეტად დასუსტებულია, მისი ჯანმრთელობა ძლიერ აფიქრებს ექიმსო. ალფრედი და გუბერი გაქცეულს პარიზში მისწევიან. ეს არის ახლა მივიღეთ დეპეშა, ჩანს, ვერაფერს გამხდარან.

— როცა დავფიქრდები რა ბევრს ვაძლევდით მათ სარჩე-

ნად... ცხადია, ვფრთხილობდით. ხელში არ ვუგდებდით ფულს. მაგრამ საკმარისად მნიშვნელოვან რენტას კი იღებდნენ. ღმერთო ჩემო, იანინა კი როგორ სისუსტეს იჩენდა მის მიმართ. რასაც მოისურვებდა, ყველაფერს აკეთებინებდა იანინას. წარმოიდგინე, წინათ ემუქრებოდა მიგატოვებ თუ შენ, მამა არაფერს დაგვიტოვებდი. მაგრამ მაშინ კი არა, ახლა გაიქცა, როცა მთელი ქონება ჩვენ გადმოგვეცი. როგორ ხსნი ამას?

ევენეიევა ჩემს პირდაპირ გაჩერდა, წარბები აჭიმა და ფართოდ გახელილი თვალებით გაოცებული მომაჩერდა. შემდეგ ბატარეას მიეკრა და შეციებულივით ხელებს ერთმანეთს უსვამდა.

— ეტყობა, ძლიერ მდიდარ ქალთან ერთად გაქცეულა.

— სრულიადაც არა. სიმღერის მასწავლებელია. მშვენივრად იცნობ იმ ქალს, ქ-ნი ველარია, არცთუ ისე ახალგაზრდა და ბევრის მომსწრეც. მგონი მარტო წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე. რის სიმდიდრე! ძლივს შოულობს ლუკმაპურს. როგორ ფიქრობ, რატომ მოიქცა ასე?—გამიმეორა კითხვა.

პასუხისათვის აღარ მოუცდია, ისევ ალაპარაკდა. ამ დროს შემოვიდა იანინა. ხალათი ეცვა, გოგონამ შუბლი გამომიშვირა საკოცნელად. ჩემის აზრით, არ იყო გამხდარი. მაგრამ მწუხარებას მისი მსუქანი, უშნო გარეგნობისათვის ჩამოეცილებინა ის თავისებურება, რაც ესოდენ მძულდა მასში: ამ საბრალო, უწინ ისეთ პრანჭია ქმნილებას ახლა მოეშორებინა თავისი არაბუნებრივობა და უბრალო, თავისი ნამდვილი სახით მოგვეელინა. ჭაღის კაშკაშა სინათლე პირდაპირ სახეში სცემდა, მაგრამ თვალიც არ დაუხამხამებია. მხოლოდ მკითხა:

— თქვენ უკვე იცით? — და შეზლონგზე ჩამოჯდა. ნეტავი თუ გაიგონა დედამისის გაუთავებელი ლანძღვა ფილის წინა-

ალმდეგ, ვისზე ლაპარაკს, ალბათ აღარც გაათავებდა იმ ბიჭის გაქცევის შემდეგ?

— წარმოიდგინეთ, რა მოხდა!..

ჟენევიევა ლაპარაკს ყოველთვის ასე იწყებდა: „წარმოიდგინეთ რა მოხდა!“ რაიც უცნაურად გეჩვენებოდათ ისეთი ქალისაგან, რომელსაც ყველაზე ნაკლებ გააჩნდა წარმოდგენის უნარი.

— წარმოიდგინეთ, რა მოხდა, — თქვა მან, — მიუხედავად იმისა, რომ ოცდაორი წლისამ საკმაოდ დიდი ქონება გაგვინია, ნაადრევად რომ მიიღო (იგი ობოლი იყო და ახლობლებიც არავინ ჰყავდა. იძულებული იყვნენ გაენთავისუფლებინათ მეურვეობისაგან). ჩვენმა ოჯახმა შეგნებულად დახუჭა თვალები მის გარყვნილ ცხოვრებაზე... მშვენიერი გოგონა მიათხოვა და ხედავ, როგორ გადაგვიხადა სამაგიერო...

ბოღმა ყელში მომაწვა, თავს ძლივს ვიკავებდი. ჩემში კვლავ გაიღვიძა ძველმა სიავემ. განა თვითონ ჟენევიევა, ალფრედი, იზა და მათი მეგობრები არ დასდევდნენ ფილის და ცდილობდნენ ათასგვარი დაპირებებით მოეზიდათ?

— გასაკვირი არ არის, — ჩავიბუტბუტე, — რომ შენი ზღაპრებისა შენვე გჯერა. თავადაც ხომ კარგად იცი, როგორ დასდევდით იმ ბიჭს...

— ყური მიგდე, მამა! იქნებ აპირებ დაიცვა?

მე ვუთხარი ფილის დაცვას სრულიადაც არ ვაპირებ-მეთქი, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით სამართლიანი, როცა ბიჭს უფრო მეტად ვაძაგებდით, ვიდრე სინამდვილეში იყო. უთუოდ საკმაოდ უხეშად აგრძნობინებდნენ, აქაოდა იანინას ქმარი ხარ და მდიდრულად, უზრუნველად ცხოვრობ, ვალდებულიც ბრძანდები ყოველგვარი დამცირება მოითმინო, წასასვლელი გზა მაინც

არსაითა გაქვსო. მაგრამ ადამიანები არც ისეთი სულმდაბალნი ყოფილან, როგორც ჩვენ გვეჩვენება.

— წარმოიდგინე ერთი! შენ იცავ არამზადას, რომელმაც მიატოვა ახალგაზრდა ცოლი და პაწაწინა ქალიშვილი?

— ენენევიევა! — ვუყვირე გაღიზიანებულმა. — ვერ გამიგე. აბა დაატანე თავს ძალა და შეეცადე გამიგო. უდაოდ ძალიან ცუდია, როცა ქმარი ტოვებს ცოლ-შვილს. მაგრამ დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდეს როგორც სულმდაბალი ზრახვები, ისევე კეთილშობილური მიზნებიც.

— მაშ, როცა ქმარი ტოვებს ოცდაორი წლის ცოლს და პატარა ქალიშვილს, ეს კეთილშობილი საქციელია? — ჯიუტად განაგრძობდა ჩემი შვილი.

ამგვარი მსჯელობის მეტი, სხვა უნარი არ გააჩნდა ენენევიევას, მას სულ არაფერი ესმოდა.

— არა, შენ მეტისმეტად ტუტუცი ხარ... ვინ იცის, იქნებ განგებაც იკატუნებ თავს და ისე იქცევი, თითქოს არაფერი გესმოდეს, მაგრამ აი, რას გეტყვი: ფილი არც ისე საძაგლად მოგეჩვენება მას შემდეგ, რაც...

ენენევიევამ ყვირილით გამაწყვეტინა სიტყვა. მანამდე მაინც შეგეკავებინა თავი, სანამ იანინა ოთახიდან გავიდოდა, რადგან, საბრალო, შეურაცხყოფად მიიღებს მის ასეთნაირ გამოსარჩლებასო. მაგრამ იანინამ, აქამდე ჩუმად რომ იჯდა, უეცრად დაილაპარაკა ჩემთვის უცნობ ხმაზე:

— დედა, რატომ უარყოფ? ჩვენ ხომ მიწასთან ვასწორებდით ფილის. გაიხსენე, როცა ქონების გაყოფა დაიწყო, მბრძანებლობაც კი დავუწყეთ. ჰო, მე მეგონა, შეიძლებოდა ლამაზი ძაღლივით მისი თასმით ტარება. ბოლოს თითქოს წინანდელივით აღრც კი მწყინდა, რომ არ ვუყვარდი. ის მე მეკუთვნოდა

და ჩემს პირად ქონებას წარმოადგენდა. ფული ჩემს ხელთ იყო, ის უკანა ფეხებზე შემდგარი მომჩერებოდა. დედა, ეს ხომ შენი საკუთარი სიტყვებია: „ახლა კი შენს წინაშე უკანა ფეხებზე შემდგარი იცქმუტებსო“. ჩვენ გვეგონა, ფული მისთვის ყველაფერზე ძვირფასი იყო. შეიძლება თვითონაც ასე ფიქრობდა, მაგრამ სირცხვილმა, გულისწყრომამ თავისი გაიტანა. როდესაც მიდიოდა, გამომიტყდა, არ მიყვარს ის ქალი, ვისთანაც მივდივარო. წასვლისას ბევრი მწარე ჭეშმარიტება გადამიშალა. თუმც არ უყვარდა, მაგრამ ის ქალი არ ცდილობდა ფილის დამცირებას. მან ფილი ფულით კი არ იყიდა, მოწონებით გაჰყვა. მე კი სათამაშოსავით ვიყიდე.

იანინამ რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები, თითქოს თავს ამათრახებდა. დედამისი მხრებს იჩეჩავდა, მაგრამ უხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს იანინა ატირდა: „ახლა გულზე მოეშვება...“ შემდეგ თავის ქალიშვილს დამშვიდება დაუწყო.

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო, დაგიბრუნდება. შიმშილი ჭელსაც კი ბუნაგიდან გამოაგდებს. ისიც ჟინს მოიკლავს, სიდარიბეც შეაწუხებს და...

დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვები იანინაში ზიზღს გამოწვევდა. ქუდს წამოვაელე ხელი. ძნელი ასატანი იქნებოდა ემთვის საღამო ევენევიევასთან გამეტარებინა. დავარწმუნე ემი შვილი მანქანა დავიქირავე კალეზში დასაბრუნებლადეთქი. უეცრად იანინამ თქვა:

— წამიყვანეთ თქვენთან, პაპა!

დედამისი შეშფოთდა, — ხომ არ გაგიჟდა, იანინა ქალაქში ინდა იყოს. შეიძლება იურისტებს დასჭირდეთ. ესეც არ იყოს, კალეზში „სევდა შესჭამსო.“

ევენევიევა ფეხდაფეხ გამომყვა. კიბის ბაქანთან გაჩერდა და

საყვედურებით ამავსო, ხელს რად უწყობ იანინას უგუნურ ვნებებსო.

— თუკი იანინა შეძლებს მისი სიყვარული ძთლიანად ამოიგლიჯოს გულიდან, ეს ხომ დიდი ბედნიერება იქნება. გაურის მიზეზი ყოველთვის შეგვიძლია ვიპოვოთ. იანინა თავისი სიმდიდრის წყალობით მშვენივრად გათხოვდება. მაგრამ ჯერ საჭიროა დაივიწყოს ის არამზადა. შენ რას აკეთებ? წინათ შენც ხომ გძულდა ფილი, ახლა კი იანინას წინაშე ქებით იხსენიებ. არავითარ შემთხვევაში არ გამოვუშვებ. წარმოდგენილი მაქვს, რა ხასიათზე დაბრუნდება იქიდან. აქ კი, ბოლოს და ბოლოს გავუქარწყლებთ მძიმე ფიქრებს, და დაივიწყებს...

„თუ ჯავრმა არ მოკლა“ — გავიფიქრე. საბრალო მისი ცხოვრება მუდამ გაუნელებელი დარდით და მწუხარებით იქნება აღსავსე. შეიძლება იანინა იმ ქალთა რიცხვს ეკუთვნის, რაც ჩემთვის, მოხუცებული ვეჭილისათვის კარგადაა ცნობილი: ეს უბედური ქალები იმედით სულდგმულობენ. ოცი წლის შემდეგაც უცდიან და გზას ერთგული ძაღლივით გასცქერიან.

ოთახში დავბრუნდი, სადაც იანინა გაუნძრევლად იჯდა იმავე ადგილას და ვუთხარი:

— ჩამოდი, როცა მოგესურვება, გოგონი... ყოველთვის მოხარული ვიქნები შენი ნახვის.

არ განძრეულა და ვერ გავიგე მიხვდა თუ არა ჩემს ნათქვამს.

შემოვიდა ჟენევიევა და უნდობლად მომაჩერდა, მერე მკითხა: „რა უთხარი?“ თურმე შემდეგ მე მადანაშაულებდა — იმ რამდენიმე წუთში იანინა მან „შეაცდინა“, თავის გასართობად ათასგვარი მავნე აზრებით გამოუტენა თავიო. მე კი სულ ყურებში მედგა ჩემი საბრალო შვილიშვილის ხმა, როცა კიბე-

ზე ჩამოვდიოდი, როგორ დამიძახა: „წამიყვანეთ თან...“ დიახ, იანინამ მთხოვა აქედან წამეყვანა. ჩემდაუნებურად ფილის შესახებ მე ის სიტყვები დამცდა, რისი მოსმენაც, ალბათ ძლიერ ენდოდა იანინას. შეიძლება მე ვიყავი პირველი ადამიანი, ვინც ჩემს გოგონას შეურაცხყოფა არ მიაყენა.

ბორდოს ქუჩებში მივაბიჯებდი. სასწავლო წლის დასაწყისის საპატივსაცემოდ ილუმინაციით რომ გაენათებინათ. ჟინჟღლისაგან დასველებული ქვაფენილები ბრწყინავდა. საჰხრეთელების მყვირალა ხმები ფარავდა ტრამვაის ხმაურს. ჩემი ბავშვობის არომატი გაქრა. თუმცა შეიძლება იგი მეპოვა უფრო გულჩათხრობილ კვარტალებში დიუფურ-დიუბერჟიესა და გროს-კლოშის ქუჩებზე. ვინც იცის, რომელიმე მოხუცი იქ ახლაც ჰყიდის წაბლს... გულზე მიუკრავს ცხელცხელი მოხარშული წაბლით სავსე ქოთანი, რომელსაც ანისის სურნელება ასდის. არა, სრულიადაც არ ვიყავი მოწყენილი. იმ საღამოს მე მომისმინეს და გამიგეს. მე და იანინა გავერთიანდით. ეს იყო გამარჯვება. სამაგიეროდ ჟენევიევასთან დავმარცხდი. ამგვარი გონებაჩლუნგი მოაზროვნის წინაშე უძლური აღმოვჩნდი. კაცი ბოროტმოქმედი და ზნედაცემული ადამიანის სულისკენ უფრო ადვილად იპოვის გზას, მაგრამ უხამსობა გადაულახავი დაბრკოლებაა... რა გაეწყობა. ასეც გადავწყვიტეთ. შეუძლებელია ყველა საფლავის ქვა ერთად დაიმტვრეს. ბედნიერი ვიქნები, თუ სიკვდილის წინ შევძლებ ერთ ადამიანთან მაინც სულიერი კავშირის დამყარებას.

ღამე სასტუმროში გავათიე. მეორე დღეს კალეზში დავბრუნდი. რამდენიმე დღის შემდეგ მესტუმრა ალფრედი და მისგან შევიტყვე, რომ ჩემს ვიზიტს ჟენევიევასთან მძიმე შედეგი

გამოეღო. იანინას ფილისთვის გადარეული წერილი მიეწერა, ყველაფერში მე ვარ დამნაშავეო და ქმარს პატიებას ითხოვდა. „ქალები ყოველთვის ასეთ სისულელეებს სჩადიან.“ გულარხეინმა დუნდრუხანამ ვერ გაბედა ხმამაღლა გამოეხატა თავისი აზრი, დარწმუნებული ვარ, ძალიან უნდოდა ეთქვა: „ბებიამისის კვალს მიჰყვაო“.

ალფრედმა მიმახვედრა პროცესი წაგებულად შეგვიძლია ჩავთვალოთო. ამაში ჟენევიევა თურმე მე მადანაშაულებს, „იანინას თავგზა იმან აურიაო.“ მე ღიმილით ვკითხე სიძეს,— რა შეხედულებისა ხარ ჩემს ასეთნაირ საქციელზე-მეთქი. მან დამარწმუნა, არ ვიზიარებ ცოლის აზრსო. მისი თქმით, თითქოს შურისგება მამოძრავებდა, თავს ვიქცევდი და შეიძლება „სიბოროტითაც“ ჩავდიოდი ამას.

შვილები აღარ მოსულან ჩემს სანახავად. ორი კვირის შემდეგ ჟენევიევას წერილი მივიღე. მწერდა: იანინა ნევროფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვათავსეთ. რა თქმა უნდა, სულით ავადმყოფი არ არის, მაგრამ ექიმებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეს სამკურნალო იზოლაცია სასიკეთო შედეგებს გამოიღებსო.

მეც იზოლირებული აღმოვჩნდი. თუმცა არა. ავადმყოფობის მიზეზით კარგა ხანია, გულს აღარ შეუხსენებია ჩემთვის თავისი არსებობა. ორ კვირაზე მეტია ნათელი, თბილი ამინდები დაიჭირა — შემოდგომა აგვიანებს გამოჩენას. ხეებიდან არც ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდნილა. ვარდები ხელახლა გაიშალა. მე კვლავ დავნაღვლიანდი, რომ შვილები ისევ გამეთიშნენ. გუბერი მხოლოდ საქმეებზე სალაპარიკოდ თუ მოვიდოდა. მეტისმეტად უცხვირპირო და ცივია. თავაზიანად კი მელაპარაკებოდა, მაგრამ ემჩნეოდა დაძაბული იყო.

იანინაზე ცუდი გავლენის გამო, რაშიც ბადანაშაულებდნენ, კვლავ დავკარგე ის სიმპათია, რაც ჩემს შვილებში მოვიპოვე. მათ თვალში კვლავ ცბიერ მტრად და ყოველივე ცუდის გამკეთებელ მოხუცად გადავიქეცი. ერთადერთი არსება, რომელმაც მე გამიგო, იანინა, ხალხს მოაცილეს და ჩაკეტეს.

მე მაინც შევიცანი ღრმა სულიერი სიმშვიდე. ყველაფერს მოკლებული მარტო მყოფი მოხუცი — რომლის თავზე სიკვდილი ღრუბელივით გაწოლილა, რათა აგემოს თავისი მრისხანება — მე ვიყავი მხოლოდ ზომიერი, მხნე და არ ვკარგავდი გონებამახვილობას. ჩემი მწუხარე ცხოვრება არ მაღონებდა. არ ვგრძნობდი განვლილი წლებისა და მარტოობის სიმძიმეს. თითქოს არც მოხუცი ვიყავი, არც მძიმე ავადმყოფი. თითქოს წინ ხანგრძლივი სიცოცხლე მედო. თითქოს იმ სიმშვიდეს, რომელსაც ჩემი სული მოეცვა, ხორცი შეესხა და ცოცხალ ადამიანად ქცეულიყო.

თავი მეოცე

ერთი თვეა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოქცეული იანინა ჩემთან ცხოვრობს. საბრალო, ისევ ავადაა. თავი შეთქმულების მსხვერპლად მიაჩნია. მარწმუნებს — ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმიტომ ჩამკეტეს, რომ ფილის საწინააღმდეგოდ საქმის აღძვრა-გაყრასა და ქორწინების ხელშეკრულების გაუქმებაზე უარი ვთქვიო.

ნათესავები ფიქრობენ, თითქოს მე შთავაგონებ იანინას ასეთ აზრებს და თავისიანების წინააღმდეგ ვამხედრებ. ეს არაა მართალი, პირიქით, კალეზში მთელი დღეების განმა-

ვლობაში (სოფელში კი გახსაკუთრებით ნელა მიიზლაზნება ეს დღეები), თავგამოდებით ვებრძვი მის ილუზიებს და ქიმერებს. ამინდები საშინელია — წვიმა და ჭყაპი. ტალახში ლპება სველი, ჩამოცვენილი ფოთლები. მოახლეები მძიმე ქოშინით თქერავენ ხრეშით მოკირწყლულ ეზოს. ვიღაც კაცს თავზე ტომარა წამოუფარებია და ისე მიდის. შემოდგომამ ხეები შემოძარცვა და ბაღებს ერთგვარი „სიმშვენიერე“ შემატა. აშკარად გამოჩნდა ის, რაც აქ[illegible]ე შეუმჩნეველი იყო: ფანჩატურის ცხაური თაღებიც, გამუდმებული, ცივი წვიმებისაგან გათოშილი წარაფებიც, დეკორატიული მცენარეებიც.

საწოლ ოთახში ისეთი გამჭვალავი სინესტეა, რომ მე და იანინას საღამოობით ვერ გაგვიბედია დავთმოთ სასტუმრო ოთახის ბუხარი. საათი შუაღამეს გვამცნობს, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვინდა ავდგეთ და ჩვენს ოთახებში წავიდეთ მეორე სართულზე. ერთმანეთზე მუყაითად დაწყობილი ნაღვერდლების გროვა ნაცარზე ნელ-ნელა იბნევა. ჩემს შვილიშვილს დაუსრულებლად ვარწმუნებ, რომ მის მშობლებს, ძმას თუ ბიძია გუბერს — არავის მისთვის ცუდი არ უნდა. როგორც შემიძლია ვცდილობ, დავავიწყებინო ფსიქიატრიული საავადმყოფო, მაგრამ ქმარზე ლაპარაკს არაფრით არ ეშვება და ამიტომაც სულ ერთთავად ფილიზე ვსაუბრობთ: „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ადამიანია!.. თქვენ მასზე არაფერი არ იცით...“

ამ სიტყვებს მისი საბრალდებულო სიტყვა ან ხოტბა მოჰყვება ხოლმე. კილო, როგორითაც იანინა თავის შესავალ სიტყვას იწყებს, უკვე გასაგებს ხდის, შეაქებს თუ ტალახში ამოსვრის თავის ქმარს. მაგრამ გინდ აქოს, გინდ აძაგოს, მის მიერ მოყვანილი ფაქტები მაინც უმნიშვნელოდ მეჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ იანინას არა აქვს წარმოდგენის უნარი,

ამ საბრალო ქალისათვის სიყვარულს მაინც საოცარი ძალა შეუმატებია. მას შეუძლია გადაასხვაფეროს, დაამახინჯოს, გადააჭარბოს და თუ გნებავთ, სულაც სახე უცვალოს რეალურ ფაქტებს.

— მე ხომ ვიცნობ შენს ფილის! იგი არარაობაა! მხოლოდ დაუდეგარმა სიშაბუკემ წუთიერად გახვია იგი სილამაზის შარავანდედში. შენ კი ამ ნებიერ, „ყველაფრით უზრუნველ-ყოფილ“ ბიჭუკელას ხან ამაღლებულ გრძნობებს მიაწერ, ხან ცბიერსა და მუხანათურ ზრახვებს. სინამდვილეში იგი მოკლებულია აზროვნების უნარს. მხოლოდ რეფლექსებით მოქმედობს.

არც შენ და არც შენს მშობლებს არ გესმოდათ, რომ მას უნდოდა თავისუფლად ესუნთქა და თქვენზე ძლიერი ყოფილიყო. იმ ლუკმას, რომელსაც აწვდიდით, რატომ აწევდით ასე მაღლა და აიძულებდით უკანა ფეხებზე შემდგარიყო? ასეთი ჯიშის ძაღლებს არ უყვართ ხტუნვა. ისინი იქით გარბიან, სადაც არ აწვალებენ და საჭმელს პირდაპირ მიწაზე უდგამენ.

საბრალო იანინა, წარმოდგენაც კი არა აქვს, როგორია სინამდვილეში მისი ფილი. ან კი როგორ დაინახავს, როდესაც თვალებს მწუხარება და სურვილი უბნელებს, რომ გვერდით ჰყავდეს, ეალერსებოდეს (ათასში ერთხელ მოწყალებასავით რომ გაიმეტებდა), ახრჩობს ეჭვიანობა და შიში, რომ სამუდამოდ დაკარგა. თვალებდავსებული, ყნოსვის, შეხების უნარს მოკლებული გადარეულივით მისდევს ხელიდან გაშვებულ ნადავლს, არ კი იცის, ვინ არის, ან ვის მისდევს... ამბობენ, არსებობენ მამები, რომელთა სიყვარული ბრმაა. იანინა ჩემი შვილიშვილია, მაგრამ ჩემი შვილიც რომ ყოფილიყო,

ისევე დავინახავდი, როგორიც სინამდვილეშია. არაფრით არ არის მიმზიდველი. თუმცა სახის ნაკვთები სწორი აქვს, მაგრამ სხეული დამძიმებია, უხეშია, სქელი. ხმას რაღაც უცნაურად აწრიპინებს. იგი ისეთი ქალების რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც მამაკაცი არ შეხედავს და არ მოიწონებს. მიუხედავად ამისა, საღამოობით იმ განსაკუთრებული სილამაზით დაძშვენდება ხოლმე, რაც ქალს სახეზე სიყვარულისგან ტანჯვის გამო ეფინება. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მამაკაცი მიეზიდა კიდეც ამ მოგიზგიზე კოცონს. მაგრამ საბრალო, უმოწყალოდ იწვის წყვდიადში მარტოდმარტო, მხოლოდ მოხუცი პაპაა მისი ტანჯვის მოწმე.

მებრალება იანინა. მთელი ამ უძილო საღამოების მანძილზე მოთმინებით ეუსმენ მის საუბარს არაჩვეულებრივი ფილის შესახებ, თუმცა ეს ყმაწვილი ისევე ჰგავს სხვა ჭაბუკებს, როგორც თეთრი პეპელა სხვა თეთრ პეპლებს. მაოცებს ის ვნება, რაიც მხოლოდ ფილიმ შეძლო დაენთო ამ ქალში. ისეთი ძლიერი ვნება, რომელმაც ეს ქალი ყველაფრისგან — ხილული და უხილავი ქვეყნისაგან გამოთიშა. იანინასათვის არაფერი არ არსებობს თავისი ქმრის, ახალგაზრდა მამაკაცის გარდა. თუმცა ცხოვრებას უკვე მოეთელა და ყველა გრძნობას ისევ სმას ამჯობინებს. სიყვარულს კი ისე უცქერის, როგორც თავისებურ მოვალეობას და დამქანცველ შრომას... რა უბადრუკობაა!

იანინას აღარც კი აგონდება თავისი გოგონა, ბინდბუნდ'ში პაწია ნელ-ნელა მოიკვლევს გზას სასტუმროში. დედა არც კი უყურებს, ანაზდად ეხება ტუჩებით მის ხუჭუჭა თმებს. არ შეიძლება ითქვას, თითქოს ეს პაწია გოგონა მის ცხოვრებაში

არავითარ როლს არ თამაშობდეს. სწორედ ამ თავისი შვილის გამო იკრეფდა ძალ-ღონეს იანინა, რომ ფილის უკან დადევნების გაშმაგებულ სურვილს არ აჰყოლოდა. (მზად იყო თავი მოეძულებინა, ისე ედევნა ნაბიჯნაბიჯ. ეხვეწა, ემუდარა, ან თუნდაც საჯაროდ გაემართა სცენები და შეურაცხყოფაც კი მიეყენებინა). არა, მარტო მე ვერ დავაკავებდი შინ, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვი აჩერებდა, მაგრამ ვერც ის ამშვიდებდა, ვერ ანუგეშებდა. გოგონა თითქმის გრძნობდა ამას და საღამოობით, როცა სადილის მოლოდინში ცეცხლის პირას ვისხედით, ჩქარობდა ამოცოცებულიყო ჩემს მუხლებზე. გეგონებოდათ, ჩემთან თავშესაფარს ეძიებდა. მე ვყნოსავდი მის თმებს ჩიტის ბუდის სურნელება რომ უდიოდა, რაიც მარის მახსენებდა. ვხუჭავდი თვალებს და მის თმებზე ტუჩებდაკონებული გარინდებული ვიჯექი. დიდი სურვილი მქონდა მაგრად ჩამეკრა ეს პაწაწინა არსება. ჩემი გული კი ჩემს საბრალო დაღუპულ ბავშვს უხმობდა. ხან ისიც მეჩვენებოდა, ლუკს ვეხვეოდი. ზოგჯერ, როდესაც ამ პატარა გოგონას თამაშის შემდეგ ვაკოცებ, ვგრძნობ, თითქოს ლოყები მარილიანი აქვს. პატარა ლუკივით, ზაფხულის არდადეგებზე მთელ დღეს ისე რომ დაიღლებოდა ხოლმე სირბილით, რომ მერე მაგიდაზე ეძინებოდა.

აი, რა ფიქრი მიტრიალებდა თავში, როცა სიყვარულით ტყვექმნილი იანინა განუწყვეტლივ უვლიდა ოთახს გარშემო.

მახსოვს, ერთ საღამოს მკითხა:

— რა ვქნა, რა გავაკეთო, რომ ასე აღარ ვიტანჯებოდე, როგორ ფიქრობთ, გამივლის?

ცივი ღამე იყო. უეცრად იანინამ ფანჯარა გახსნა და დარაბები გააღო. შემდეგ მთვარის შუქით განათებულ ბაღში

ცქერა და გაყინული ჰაერით სუნთქვა დაიწყო. მე უკანვე წამოვიყვანე, ცეცხლთან დავსვი, თუმცა ალერსს შეჩვეული არა ვარ, უხერხულად მივუჯექი და ხელი მოვხვიე. შემდეგ ვკითხე ცოტათი მაინც თუ გაქვს საკუთარი თავის იმედი-მეთქი.

— მორწმუნე ხარ?

მან თითქოს ვერ გამიგო და დაბნეულად გაიმეორა:

— მორწმუნე?

— ჰო, გწამს ღმერთი?

ანთებული თვალებით უნდობლად შემომხედა და ბოლოს მითხრა, ვერ გამიგია ამას რა კავშირი აქვსო... რაკი აღარ მოვეშვი, მიპასუხა:

— რა თქმა უნდა, მორწმუნე ვარ. ეკლესიაში დავდივარ და ჩემს მოვალეობას ვასრულებ. რატომ მეკითხებით? დამცინით?

— როგორ ფიქრობ, — გავნაგრძე ჩემი, — ფილი ღირსია შენი ასეთი დიდებული წყალობის?

დაღვრემილმა იანინამ მკაცრად, გაჯავრებით შემომხედა, ჟენევიევასავით, როცა მას არ ესმის, რას ეუბნებიან, არ იცის, რა უპასუხოს, რადგან ეშინია ჩიხში არ მოემწყვდეს. ბოლოს გაბედა:

— ერთმანეთთან აბა, რა კავშირშია... არ მიყვარს, როცა ასეთ საქმეებში რელიგიას ურევენ. დიახ, მორწმუნე ვარ, ამიტომ მძაგს ასეთი არასწორი დაპირისპირება. მე ხომ რელიგიის ყველა ადათ-წესებს ვასრულებ...

ისეთი კილოთი წარმოთქვა ეს სიტყვები, გეგონებოდათ საფინანსო ინსპექტორს მოახსენა გადასახადები პირნათლივ გადავიხადეო. მე ხომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწორედ

ქრისტიანული ცხოვრების ეს უხეში კარიკატურა და საცოდავი შარჟი მძულდა და მძულს. იმიტომ, რომ მქონოდა მისი სიძულვილის უფლება, თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ამაში ნაძდვილ ჭეშმარიტ ქრისტიანობას ვხედავდი. სახეში თამამად უნდა უცქირო მას, რაც გძულს. „მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ საკუთარ თავს ვიტყუებ.“ — გავიფიქრებდი ხოლმე. მე ეს ვიცოდი გასული საუკუნის ბოლო წლებშივე, როდესაც აქ, კალეზში აბატმა არდუენმა მითხრა: „თქვენ ძლიერ კეთილი ხართო.“ განა სიმართლე არ არის, რომ ვიცოდი? უფრო მოგვიანებით ყურებში თითს ვიცავდი, არ გავიგონო სიტყვები, რასაც მომაკვდავი მარი ჩურჩულებს-მეთქი. სწორედ მაშინ, მის სასთუმალთან თვალწინ გადამეშალა ადამიანის სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოება. ჩემი პატარა გოგონა ჩემი მიზეზით კვდებოდა. მინდოდა ეს ყოველივე დავიწყებისათვის მიმეცა, შეუპოვრად ვიბრძოდი, დამეკარგა ამ საიდუმლოების გასაღები, მაგრამ ვიღაცის ხელი ჩემი ცხოვრების ყოველ გადამწყვეტ მოსახვევში უკანვე მიბრუნებდა (განა დამავიწყდა ლუკის გამოხედვა კვირა დღის წირვის შემდეგ, ის დრო, როცა პირველი კუტკალიები აჭრიჭინდნენ? ან გაზაფხულის საღამო, სეტყვა რომ მოვიდა)?

აი, როგორი ფიქრები მიტრიალებდა თავში იმ საღამოს. მახსოვს, ავდექი და ისე უხეშად გავკარი ხელი სავარძელს, რომ იანინა შეკრთა. კალეზში გამეფებული ღამის მკვრიელი, თითქოს უდრეკი სიჩუმე ბოჭავდა და ახშობდა მის მწუხარებას. ბუხარში ცეცხლი ქრებოდა, ოთახი თანდათან ცივდებოდა. იანინამ ისე მიაცურა სკამი, თითქოს მისი ფეხები ნაცარს ეხებოდა. მბჟუტავ ცეცხლს უფიცხებდა ხელებს თავდახრილი. ბუხრის რაფაზე მდგარი ლამპა ანათებდა მის დახრილ, მძიმე

სხეულს. მე კი ნახევრად ჩაბნელებულ პალისანდრისა და წითელი ხის ავეჯით გამოჭედილ სასტუმროში ბოლთასა ვცემდი. უმწეოდ ვუვლიდი გარს, თითქოს ლოდისაგან გამოკვეთილ, უმოძრაო სხეულს. „ჩემი პატარა“... ვეძებდი და ვერ ვპოულობდი შესაფერ სიტყვებს. ამ საღამოს, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, როგორ მეხუთება სული, როგორ მტანჯავს გულის ტკივილი, თითქოს სადაცაა გამისკდება, რადგან აღივსო სიყვარულისგან, და ბოლოს, მე შევიმცნე მისი სახელი, მისი მომხიბვლ.....

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

კალეზი, 10 დეკემბერი 193

ძვირფასო ჟენევიევა!

ამ კვირას მოვრჩები მამაჩემის მაგიდის ქაღალდებით გატენილი ყველა უჯრის დალაგებას, მაგრამ მოვალედ ვთვლი თავს, დაუყოვნებლივ გაგაცნო ერთი მეტად უცნაური დოკუმენტი. შენ იცი, რომ მამა თავის სამუშაო ოთახში გარდაიცვალა; ამელი 24 ნოემბერს დილას რომ შევიდა მის ოთახში. საწერ მაგიდასთან მჯდარი ნახა. სახე გადაშლილ რვეულზე დაებჯინა. ამ რვეულს დაზღვეული ბანდეროლით გიგზავნი. მისი წაკითხვა უდაოდ გაგიძნელდება, რადგან მეც ბევრი ვიწვალე. თუმც იმითია კარგი, რომ მსახურები ვერ გაარკვევდნენ და ვერ წაიკითხავდნენ. თავდაპირველად, თუნდაც ზრდილობისათვის, მინდოდა არ წამეკითხებინა შენთვის ეს რვეული. კადნიერად და შეურაცხმყოფელად გიხსენიებს. მაგრამ განა მაქვს უფლება დაგიმალო ის დოკუმენტი, რომელიც მე და შენ

ერთნაირად გვეკუთვნის? ხომ იცი, ყველაფერში წესიერება მიყვარს, რაც, ასე თუ ისე, ჩვენი მშობლებიდან გამომყვა. ამგვარად, გადავიფიქრე და გიგზავნი რვეულს. თუმც მამა ვიღას არ აყენებს შეურაცხყოფას თავის ღვარძლით სავსე სტრიქონებში. ეს ახალს არაფერს გვეუბნება. სამწუხაროდ. ყველამ ვიცით მისი ჩვენდამი დამოკიდებულება. მთელი სიჭაბუკე მოწამლული მქონდა ზიზღით, რასაც რატომღაც ვიწვევდი მამაჩემში. ამის მიზეზით დიდხანს არა მჯეროდა ჩემი თავის, ჩემი ძალის. მთლად ოფლში ვიწურებოდი, როდესაც გამჭვალავად დამიწყებდა ხოლმე ცქერას. მრავალი წელი გავიდა, ვიდრე ჩემში საკუთარი ღირსების გრძნობა განმტკიცდებოდა.

ყოველივე ვაპატიე — დავძენ იმასაც, რომ სწორედ ვაჟიშვილის მოვალეობამ მაიძულა გამეცნო შენთვის ეს დოკუმენტი. რა დასკვნაც არ უნდა გამოიტანო ამ ჩანაწერებზე, სადაც აშკარად გამოთქმულია საშინელი გრძნობები, ახლა უდაოდ ჩვენი მამის სახე შენს წინაშე უფრო კეთილშობილი წარმოსდგება, უფრო ადამიანური (მხედველობაში მაქვს, კერძოდ, მისი სიყვარული ჩვენი განსვენებული დის მარის და პატარა ლუკის მიმართ. შენ დაინახავ ამ სიყვარულის მგზნებარე დადასტურებას). ახლა უკეთ მესმის ის მწუხარება, რაიც საბრალო დედის კუბოსთან გამოიჩინა, ყველა რომ ძლიერ განგვაცვიფრა. შენ კი გეგონა, ცოტა არ იყოს, თავს იკატუნებსო. თუნდაც ამ სტრიქონებმა ის როლი შეასრულონ, რომ დაგანახვონ თურმე, რა ტანჯვას იტანდა ამ მოუდრეკელი, ავადმყოფურად ამაყი ადამიანის გული, მარტო ამისთვისაც კი ღირს, ძვირფასო ჟენევიევა, წაიკითხო მისი აღსარება, რაც არ უნდა გემწაროს ის სტრიქონები.

ამ აღსარების წყალობით, მე სულიერი სიმშვიდე მოვიპოვე. დარწმუნებული ვარ, შენც ასეთივე გრძნობებით განიმსჭვალები. ბუნებით წესიერების მოყვარული ვარ. გინდ ყოველ მხრივ დარწმუნებული ვიყო ჩემს სიმართლეში, საკმარისია რაიმე უმნიშვნელო ამბავი, რომ სინდისი დამიწყებს ქენჯნას. მძიმეა იმ ადამიანის ცხოვრება, ვისაც ესეოდენ ძლიერ აქვს განვითარებული თავაზიანობის და მორალის გრძნობები, როგორც მე. მამას ვძულდი და მდევნიდა. ყოველ ჩემს კანონიერ თავდაცვაზე მკაცრ სულიერ ტანჯვას განვიცდიდი. თუ მე არ ვიქნებოდი ოჯახის უფროსი, ვისაც დაკისრებული აქვს საგვარეულო ღირსება და ბავშვების ქონების დაცვის მოვალეობა, ვამჯობინებდი შემეწყვიტა მამასთან ბრძოლა. მხოლოდ იმიტომ, რომ არ განმეცადა ის სულიერი ტკივილები და შინაგანი წამება, რომლის მოწმე არაერთხელ ყოფილხარ.

მადლობას ვწირავ მაღალ ღმერთს, რომ მამაჩემის ჩანაწერების თანახმად სავსებით მართალი ვარ. იგი, უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებს მას, რაც უკვე ვიცოდით. თვითონვე აღიარებს თავის მიერ შეთხზულ ხრიკებს, რის საშუალებითაც უნდოდა ჩვენთვის მემკვიდრეობა წაერთმია. მრცხვენია, იმ ფურცლებს რომ ვკითხულობ, სადაც მამა თავის გამოგონილ მეთოდს აღწერს. როგორა ჰყავს გამოჭერილი რწმუნებული ბურიუ და ვინმე რობერი. დავიწყებას მივცეთ ეს სამარცხვინო ინტრიგები, ცხადია, მოვალე ვიყავი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჩამეშალა ეს საძაგელი გეგმები. საქმეები წარმატებით ჩავატარე. ამის გამო არც ვწითლდები. ჩემო დაო, ეჭვი აო შეგეპაროს, რომ გამდიდრებას მე უნდა მიმადლოდე. საბრალო მამა, თავის აღსარებაში ცდილობს დაირწმუნოს თა-

ვი, რომ ჩვენს მიმართ სიძულვილი მოკვდა. იგი ტრაბა-ხობს — უცაბედად უარვყავი ამქვეყნიური კეთილდღეობანიო (გამოგიტყდები, ამ სტრიქონების წაკითხვისას სიცილი ვეღარ შევიკავე). მაგრამ, გეთაყვა, მიაქციე ყურადღება სახელდობრ როდის მოხდა ეს მოულოდნელი შემოტრიალება — სწორედ იმ დროს, როცა ჩაიშალა მისი ბოროტი ზრახვები, რადგან მისმა უკანონო შვილმა საიდუმლოება მოგვყიდა. ასეთი დიდძალი ქონების გადამალვა არცთუ ისე იოლი საქმეა. რამდენიმე წლის განმავლობაში გულმოდგინედ შემუშავებულ მობილიზაციის გეგმას ორ-სამ დღეში ვერ გადააკეთებ. სინამდვილე სავსებით აშკარაა: საბრალო, გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. არ ჰქონდა აღარც დრო, არც საშუალება, რაიმე ხერხით ხელიდან გამოეცალა მემკვიდ-რეობა, გარდა იმ შეთქმულებისა, რაც განგების წყალობით აღმოვაჩინეთ.

რაკი სურდა არც საკუთარი თავისა და არც ჩვენს წინაშე წაეგო პროცესი, ნახევრად უგუნურ გაიძვერობას მიჰყო ხელი (შემიძლია ესეც ვიფიქრო). გადაუწყვეტია თავისი დამარცხება მორალურ გამარჯვებად ექცია. იგი ღაღადებს თავის უანგა-რობას, ყოველივეს უარყოფას. აბა თქვი, მეტი რაღა დარჩე-ნოდა? არა, ასეთი ხრიკებით თვალებს ვერ ამიბამს. შენ, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანი, სავსებით დამეთან-ხმები, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს სასიხარულო და სამადლო-ბელი.

მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი, რაშიც მამაჩემის აღსა-რებამ სრულიად დამაკმაყოფილა და ახლა სულიერად დამ-შვიდებული ვარ. ამ საკითხში განსაკუთრებით მკაცრად ვაკრიტიკებდი ჩემს თავს, ჩემს სინდისს და უნდა გამოგიტ-

ყდე, დიდხანს ვერც დავმშვიდდი. მხედველობაში მაქვს ჩემი მონდომება, თუმცა ამაო, რომ მამა ფსიქიატრებს შეემოწმებინათ და დაედგინათ მისი გონებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა. უნდა გითხრა, ჩემი ცოლის მოსაზრებები უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა. თუმცა იცი, არაფრად ეაგდებ მის აზრებს, რადგანაც მეტად არაკეთილგონიერია. დღე და ღამე მოსვენებას არ მაძლევდა, ყურებში ჩამძახოდა თავის მოსაზრებებს, სიმართლე გითხრა, ზოგიერთმა მისმა არგუმენტმა დამაფიქრა. საბოლოოდ დამარწმუნა კიდეც, რომ ჩვენი დიდებული ვექილი საქმოსანი, მოხერხებული ფინანსისტი და ღრმა მოაზროვნე ფსიქოლოგია — ამქვეყნად ყველაზე ზომიერი ადამიანი.

რა თქმა უნდა, ადვილად შეიძლება კაცმა მტარვალებად მიიჩნიოს ისეთი შვილები, რომლებიც მემკვიდრეობის დაკარგვის შიშით ცდილობენ საკუთარი მამა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჩაკეტონ. ხედავ, მე ყველაფერს გულახდილად ვლაპარაკობ, არ მეშინია ჩემი სიტყვების. ბევრი უძილო ღამე გამიტარებია. მხოლოდ ღმერთი ხედავდა ჩემს ტანჯვას.

ჰოდა, აი ამას გეტყვი, ძვირფასო ჟენევიევა, ეს რვეული, და განსაკუთრებით ზოგიერთი სტრიქონები, აშკარად ცხადჰყოფენ, რომ მამაჩვენი შეპყრობილი იყო პერიოდული სიგიჟით. მე მგონია, მედიცინის თვალსაზრისით, ერთობ საინტერესო შემთხვევასთანაც კი გვქონდა საქმე. კარგი იქნებოდა ეს ჩანაწერები ფსიქიატრისთვის გვეჩვენებინა. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, ჯერჯერობით ამ საბუთს ნუ გავხდით საქვეყნოდ, რამაც შეიძლება არასასიამოვნო შედეგი მოუტანოს ჩვენს შვილებს. ვჩქარობ ამის შესახებ გაცნობო და

გაფრთხილებ, წაკითხვისთანავე დაწვი ეს რვეული. ძლიერ საშიშია, უცხოს არ ჩაუვარდეს ხელში. ჩვენ ყოველთვის ეფარავდით, რაც ოჯახურ საქმეებს ეხებოდა. მივიღე კიდეც ზომები, რომ არავინ არაფერი გაიგოს მამაჩვენის სულით ავადმყოფობის შესახებ; რაც არ უნდა იყოს, მაინც ოჯახის უფროსი იყო. მაგრამ, წარმოიდგინე, ზოგიერთები, ვინც ჩვენთან სისხლით ნათესაურ კავშირში არ იმყოფებიან. ძლიერ თავშეუკავებლად და არაკეთილგონიერად მოიქცნენ. განსაკუთრებით შენი არამზადა სიძე. იმ ურცხვმა, მამაჩემზე საშინელი ამბები უამბო ყველას, რაც ასე ძვირად გვიჯდება. მშვენივრად იცი, როგორი ხმები დადის ქალაქში. ფილის ჭორების წყალობით ძალიან ბევრნი იანინას ნევრასტენიას მამაჩემის უცნაურობას მიაწერენ.

მაშ გახსოვდეს, რომ უნდა დახიო, დაწვა რვეული და არავის არაფერი გააგებინო. ჩვენც აღარასოდეს ამოვიღებთ ამაზე ხმას. უნდა გითხრა, მაინც მეცოდება მისი განადგურება. იმდენი ფსიქოლოგიური განცდებია შიგ. მშვენივრად აქვს აღწერილი ბუნება... როგორც ეტყობა, მამას. ორატორობის გარდა, მწერლობის ნიჭიც ჰქონია. მერე რა, მით უფრო აუცილებელია მოსპობა. წარმოიდგინე, რა საშინელება იქნება, რომელიმე ჩვენმა ბავშვმა მომავალში ეს აღსარება რომ გამოაქვეყნოს. მაგრამ ჩვენს შორის არაფერი გაუგებარი არ უნდა დარჩეს. ყველა საგანს თავისი სახელი ვუწოდოთ. ამ რვეულის წაკითხვის შემდეგ დავრწმუნდებით, რომ მამაჩვენი მართლაც ნახევრად გიჟი იყო. ახლა ჩემთვის გასაგებია შენი ქალიშვილის სიტყვები, რაც მის ავადმყოფურ წარმოდგენებს მივაწერე. „პაპა — ერთადერთი მორწმუნე ადამიანია, როგორიც მე არასოდეს შემხვედრია.“ საბრალო იანინას ნამ-

დეილი ეგონა იმ იპოხონდრიკის ბუნდოვანი მისწრაფებები და ოცნებანი. მტერი თავისი მახლობლებისა, ყველასაგან მოძულებული, რომელსაც არც ერთი მეგობარი არ გააჩნია და როგორც ამ ნაწერებშიც ნახავ — უბედური სიყვარულში. (აქ სასაცილო წვრილმანი ამბებიც კია აღწერილი.) ეჭვით შეპყრობილმა, თავის ცოლს გულუბრყვილო ქალიშვილობისდროინდელი ფლირტიც კი რომ ვერ აპატია. ნუთუ სიცოცხლის დასასრულს ლოცვით უნდოდა ნუგეშის მოპოვება? ვერაფრით ვერ დავიჯერებ ასეთ გარდაქმნას. იმ სტრიქონებში, სადაც ლაპარაკია ამის შესახებ, ცხადია, საქმე მკაფიოდ გამოხატულ გონებრივ აშლილობასთან გვაქვს. დევნის მანია, სულით ავადმყოფის აკვიატებული აზრები, ყოველივე ამან რელიგიური ფორმა მიიღო. შენ შემეკითხები, იქნებ ამაში ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა იყოო? არა, დარწმუნებული ვარ, არა, რადგან ასეთ საკითხებში კარგად ვერკვევი და ვიცი, რა ფასი აქვს ასეთ ღვთისმოსაობას. უნდა ვაღიარო, რომ მამაჩემის ასეთი ცრუ მისტიციზმი ჩემში უსაზღვრო სიძულვილს იწვევს.

როგორც ქალი, იქნებ სხვაგვარად მიუდგე ამ საკითხს. თუ ირწმუნებ მამას ასეთ შემობრუნებას, მაშ გაიხსენე, რა საოცრად იცოდა სიძულვილი, სიყვარული კი ვინმეს გამოსაჯავრებლად შეეძლო. აღსარებაში იგი გადაგვიშლის თავის რელიგიურ სწრაფვას, რაც იმ პრინციპების პირდაპირ შებრუნებულ კრიტიკას წარმოადგენს, დედაჩვენმა რომ პატარაობიდანვე შთაგვინერგა. იმიტომ გადავარდა ასეთ გაშმაგებულ მისტიციზმში, რომ უკეთ დასხმოდა თავს იმ გონივრულ სარწმუნოებას, რასაც ჩვენს ოჯახში ყოველთვის პატივს სცემდნენ. ჭეშმარიტება — ეს წონასწორობაა... აქ

ვამთავრებ მსჯელობას და აღარ გავაგრძელებ, რომ არ გადაგღალო. ყველაფერი საკმარისად მოგახსენე, ხელნაწერს კი თვითონ გაეცანი. მოუთმენლად ველი შენი შთაბეჭდილების პასუხს.

ადგილი ძლიერ ცოტა დამრჩა. შენს მეტად მნიშვნელოვან კითხვებსაც უნდა გავცე პასუხი. ძვირფასო ჟენევიევა, ჩვენ ახლა კრიზისი გვაქვს. საჭიროა გადავჭრათ ძლიერ მწვავე, ამაღელვებელი პრობლემა. რა ვუყოთ ქონებას? თუ სეიფში ბანკის ბილეთებს დასტა-დასტად შევინახავთ, მაშინ ჩვენი კაპიტალით უნდა ვიცხოვროთ და ეს ხომ უბედურებაა. თუ ბირჟაზე პროცენტიან ქაღალდებს ვიყიდით და კუპონებს მოვჭრით, ესეც ვერაფერი სახარბიელო იქნება, რადგან, ასე თუ ისე, ზარალი მოგველის. ყველაზე საიმედო იქნება ფრანგული ბანკის კრედიტის ბილეთები შევინახოთ. ახლა ფრანკი მხოლოდ ოთხი სუ ღირს. მაგრამ უზრუნველყოფილი ვიქნებით, რომ უამრავი ოქრო მოჰყვება. მამა ამას აშკარად ხედავდა და ჩვენც მის კვალს უნდა მივყვეთ. ფრანგებმა დანერგეს ძლიერ სახიფათო ჩვევა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თავიანთი კაპიტალი რომელიმე წარმოებაში მოათავსონ. ძვირფასო ჟენევიევა, ამ ცდუნებას მთელი ძალ-ღონით უნდა შეებრძოლო. საჭიროა არა ხელგაშლით, არამედ ეკონომიით, ყაირათიანი ცხოვრება. თუ დაგჭირდება რაიმე რჩევა-დარიგება, იცი, რომ მუდამ შენს განკარგულებაში ვიქნები. მიუხედავად მძიმე დროისა, შესაძლოა, ხელსაყრელი შემთხვევა მოგვეცეს და კაპიტალი სარგებლიანად დავაბანდოთ. ახლა დიდი ყურადღებით ვათვალიერებ ერთ-ერთი მარკის კონიაკს და ანისელის არაყს... ვაჭრობის საქმეში ასეთ რამეს კრიზისი

არ შეემთხვევა. ჩემის აზრით, საჭიროა ეს მხარე ავირჩიოთ. ვიმოქმედოთ თამამად და ფრთხილად.

მიხარია იანინას კარგი ამბები. ახლა აღარაა საშიში მისი გადაჭარბებული ღვთისმოსაობა. მთავარია, რომ თავიდან მოიცილა აკვიატებული აზრი ფილიზე.

დანარჩენი თავისით ჩადგება კალაპოტში. იანინა ჩვენი ჯიშისაა. ჩვენ კი ყოველთვის შეგვწევდა უნარი, ბოროტად არ გამოგვეყენებინა სიამოვნებანი.

ნახვამდის, ძვირფასო ჟენევიევა. ოთხშაბათს გინახულებთ.

შენი მოყვარული ძმა

გ უ ბ ე რ ი.

. . . . . .

ი ა ნ ი ნ ა — გ უ ბ ე რ ს

ძვირფასო ძია!

გთხოვთ, მე და დედაჩემი თქვენ განგვსაჯოთ. პაპას „დღიურს“ არ მაკითხებს. საკმარისია ეს „დღიური“ წაიკითხო, მაშინვე გაგიქრება პაპასადმი თაყვანისცემაო. ასე უფრთხილდება ჩემს ხსოვნას პაპაზე, რაც ჩემთვის ესოდენ ძვირფასია. რატომ მიმეორებს ყოველ დღე: „შენ ვერ წარმოიდგენ, რა ცუდად გიხსენიებს, შენს გარეგნობასაც კი ეხებაო“. უფრო მეტად მაოცებს ის, რომ სიამოვნებით წამაკითხა თქვენი მკაცრი წერილი, სადაც კომენტარიას უკეთებთ ამ „დღიურს“.

ჩემთან ბრძოლაში დაქანცულმა დედამ ბოლოს მითხრა, იმ შემთხვევაში მოგცემ პაპას ნაწერებს, თუ ბიძაშენი ამას საჭიროდ სცნობსო. ის თქვენზეა მონდობილი. გემუდარებით, იყავით სამართლიანი. უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, უცბად გამოვრიცხო ის დაბრკოლება, რაც მე მეხება. რაც არ უნდა მკაცრად მსჯელობდეს ჩემზე პაპა თავის „დღიურში“,

მე უფრო მკაცრად ვასამართლებ ჩემს თავს. დარწმუნებული ვარ, მისი სიმკაცრე არ შეეხება იმ საბრალო ქალს, როგორიც მაშინ ვიყავი, მთელი შემოდგომა, მისი სიკვდილის უკანასკნელ დღემდე მასთან, კალეზში რომ გავატარე.

ჩემო ძია! მაპატიეთ, რომ ვბედავ ერთ მნიშვნელოვან საკითხში შემოგედაოთ. მე ერთადერთი მოწმე ვარ მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეების განცდებისა. თქვენ კიცხავთ მის ბუნდოვან და არაჯანსაღ რწმენას. მე კი გარწმუნებთ, რომ კალეზში სამჯერ შეხვდა მღვდელს. (ერთხელ ოქტომბერში და ორჯერ ნოემბერში.) არ ვიცი, რატომ არ გინდათ ის დაიმოწმოთ. დედაჩემი ამბობს, დღიურში, სადაც პაპა თავისი ცხოვრების წვრილმანებსაც კი აღწერს, ნახსენები არაა ეს შეხვედრები. პაპას სულიერი გარდაქმნა ამასთან რომ ყოფილიყო დაკავშირებული, მაშინ აუცილებლად ჩასწერდა თავის „დღიურში". დედა ხომ ამბობს, დღიური შუა სიტყვაზეა შეწყვეტილი. უეცველად პაპას სიკვდილი მაშინ ესტუმრა, როცა განზარხული ჰქონდა აღსარება ეთქვა. ამაო იქნება იმის შემოდავება, თუ, მაგალითად, დათანხმდებოდა ცოდვების მონანიებას, საზიარებლად წავიდოდაო. მახსოვს სიტყვები, სიკვდილის წინა დღით რომ მელაპარაკებოდა. მოსვენებას არ აძლევდა აზრი, ჯერ არა ვარ ზიარების ღირსიო. საბრალომ, გადაწყვიტა, შობამდე მოეცადა. ვერ გამიგია, რატომ არ გჯერათ ჩემი? რატომ ფიქრობთ, რომ ჰალუცინაციები მაქვს? დიახ, სწორედ ოთხშაბათს, სიკვდილის წინა დღით, კალეზის სასტუმრო ოთახში იმ სასურველ შობა დღეზე მელაპარაკებოდა. ახლაც ყურებში მიდგას მისი მწუხარებით აღსავსე წყნარი, ვინ იცის, უკვე მაშინვე ჩამქრალი მშვიდი ხმა.

ნუ შეწუხდებით, ძია! არ ვაპირებ პაპა წმინდანად წარმო-

გისახოთ. გეთანხმებით, რომ უცნაური იყო. ზოგჯერ საშინელიც. მაგრამ მისი ცხოვრების უკანასკნელ ჩანს თითქოს ნათელი შუქი მოეფინა. მხოლოდ მან მომკიდა ხელები თავზე და ძალით შემაქცევინა ზურგი იმ...

ხომ შეიძლება მამათქვენიც სრულიად სხვაგვარი ყოფილიყო, ჩვენც რომ სხვანაირები ვყოფილიყავით. არ გეგონოთ, შეურაცხყოფას გაყენებდეთ. კარგად ვიცი თქვენი ღირსება და ისიც, რომ პაპა უსამართლოდ გექცეოდათ თქვენც და დედასაც. ჩვენდა საუბედუროდ, სამაგალითო ქრისტიანები ვეგონეთ. თუ შეიძლება, ნუ მეკამათებით. პაპას სიკვდილის შემდეგ გავიცანი ხალხი, რომელთაც აქვთ თავისი ნაკლი, თავისი სისუსტე, მაგრამ ისე ცხოვრობენ, როგორც სარწმუნოება უქადაგებთ. ისინი კეთილმოწყალე გრძნობით არიან აღსავსენი. იქნებ პაპას ასეთ ხალხში რომ ეცხოვრა, უკვე დიდი ხანია მიეღწია იმ კარიბჭემდე, რომელსაც სიკვდილის წინა დღეს მიადგა!

ვიმეორებ, არ მინდა მთელი ჩემი ოჯახი დავადანაშაულო, რათა გავამართლო მისი სასტიკი მეთაური. რაც მთავარია, რა დამავიწყებს, რომ საბრალო ბებიას მაგალითს მისთვის თვალები უნდა აეხილა. მაგრამ ის მაინც ისე დიდხანს ისწრაფვოდა შური ეძია თავისი შეურაცხყოფის გამო. ნება მიბოძეთ საბოლოოდ აღვნიშნო, რატომ ვამართლებ მას. სადაც ჩვენი განძი იყო, ჩვენი გულიც იქ იმყოფებოდა. მხოლოდ იმას ვფიქრობდით, მემკვიდრეობა არ დაგვეკარგა. მართალია, შეგვეძლო თავის გამართლება, მაგალითად თქვენ ხომ ფინანსისტი ხართ, მე კი სუსტი ქალი... მაინც, ბებიას გარდა, ჩვენი ცხოვრება არ ეთანხმებოდა ჩვენს პრინციპებს. ჩვენმა ფიქრებმა, სურვილებმა და მოქმედებამ ვერ გაიდგა ისე

ფესვები, რომ იმ რწმენას შეერთებოდა, რასაც ჩვენი ბაგენი ქადაგებდნენ. ჩვენ მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის დასაპყრობად ვისწრაფვოდით, მაშინ, როცა პაპა...

მიმიხვდებით თუ არა, რომ გითხრათ, პაპას გული სულაც არ მიიწევდა სიმდიდრისკენ. მზად ვარ დავიფიცო, რომ ღღიური, რომელსაც მე არ მაძლევენ წასაკითხად, უდაოდ ამას ადასტურებს.

ვიმედოვნებ, ძია, გამიგებთ და თქვენდამი ნდობით აღ-ფურვილი ველი თქვენს პასუხს.

ი ა ნ ი ნ ა.

შინაარსი

ნაწილი პირველი . 8

ნაწილი მეორე . 134

Франсуа Мориак

«Клубок змей»

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1968

რედაქტორი ელ. გოგოლაშვილი
ხატვარი ი. დიენგორცევა-გრიგოლია,
მხატვრული რედაქტორი დ. დენდია
ტექრედაქტორი რ. მელაძე,
კორექტორი ე. მესხი

გადაეცა წარმოებას 23/II-67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/32.
ნაბეჭდი თაბახი 11,03
სააღრ.-საგამმც. თაბახი 0.09
ტირაჟი 40.000. შეკვ. № 450.
ფასი 55 კაპ.

●

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

●

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.